საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№22 (65)
16 - 22 ივნისი, 2010
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

# იარაღის კონტრაბანდის ახალი დეტალები 7



რა სამხედრო ტვირთი გადაიტანა «ИЛ-76»-მა 2008 წლის 28 ივლისსა და 4 აგვისტოს სპეცრეისით ომანი-თბილისი-ომანი?

რა სამხედრო ტექნიკა გაიტანეს ქუთაისის კოპიტნარის აეროპორტიდან გვინეაში?

რა აკავშირებთ „სიკვდილით მოვაჭრე“ ვიქტორ ბუტს, ალექსანდრე ისლამოვს, სააკაშვილის ბიძას – თემურ ალასანიას და თბილავიამშენს?

## ბენდუქიძემ დავით აღმაშენებელი მართლმადიდებლურად მონათლულ ებრაელად მოიხსენია 8



## 4 რუსთავში წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი გაქურდეს



2 ვინ და რისთვის გვავიწყებს აფხაზეთს

რამაზ კლიმიაშვილი: ახალი გადანაწილება რეგიონში, ანუ ყველა მინუს სააკაშვილი 4

არჩევნები დამთავრდა – ლარის კურსის გეშინოდეთ, ხალხო! 5

«ვანოს რუსები» ქართულ პოლიტიკაში 6

აიღეს თუ არა მერაბიშვილის მიერ შეთავაზებული თანხა ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ? 6

არნო ხიდირბეგიშვილი: „კამო ბრიგადეში“, მიხეილ სააკაშვილი? 12

13 როგორ მოიშორა ცსს-მ ურჩი პრეზიდენტი

16 – 22 ივნისი, 2010 წელი. №22 (65)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ვინ და რისთვის გვაავიწყებს აფხაზეთს

**გასულ კვირას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული პაუზის შეგრძნება გაჩნდა. ზაფხულში ასე ხდება ხოლმე, თანაც მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო, ყველა მოწადინებულია, ცოტათი მაინც ამოისუნთქოს და დაისვენოს. თუმცა, ცხადია, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ პროცესები ოდნავაც არ შენელებულა. ხელისუფლება და ოპოზიცია ძალებს საშემოდგომოდ იკრებენ, მიდის ჯერაც ნაკლებად ხილული გადაჯგუფებები, ლარი ეცემა, ფასები იზრდება, ისმის უამრავი ემოციური და კვლავინდებურად იდიოტური განცხადება, საქართველოს ფარგლებს გარეთ კი მის აწმყო-მომავალთან დაკავშირებით საინტერესო მინიშნებები კეთდება. ამ მხრივ გასულ კვირას ამერიკულმა დიპლომატიამ საინტერესო სამსჯელო თემებით უხვად მოგვამარაგა.**



## იმპოტენცია... ისე არ მოდის

აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს დირექტორმა რუსეთისა და ევრაზიის რეგიონის საკითხებში მაიკლ მაკფოლმა, ფაქტობრივად, აღიარა, რომ ობამას ადმინისტრაციის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში ამ დრომდე უნაყოფო აღმოჩნდა:

**„არის თუ არა ობამას ადმინისტრაციის მიზანი, მშვიდობიანი გზით ხელი შეუწყოს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დასრულებას და აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და იდენტურობა? დიახ, აბსოლუტურად ასეა. ეს ჩვენი მიზანია. ჩვენ გვაქვს სხვა მიზნებიც, რომლებიც საქართველოს ეხება. მინდა, ხაზი გავუსვა: ჩვენი მიზანია საქართველოსა და რეგიონში სტაბილურობის გამყარება, საქართველოში დემოკრატიისა და ეკონომიკური ზრდის გამყარება და ყოველივე ამას ერთდროულად ვაკეთებთ. მივაღწიეთ თუ არა პროგრესს ამ მთავარი მიზნების მიღწევაში? ჩემი პასუხია, — არა, ვერ მივაღწიეთ. ეს სიმართლეა“.**

ტიტან(იკ)ური მიღწევები დემოკრატიისა და ეკონომიკის აღმშენებლობაში დროებით გვერდზე გადავდოთ, რადგან უფრო საინტერესო თემას უნდა შევეხოთ: **გამომდინარეობდა თუ არა ეს წარუმატებლობა რაღაც ტაქტიკური სირთულეებიდან, თუ დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა, იმ სტრატეგიიდან გამომდინარე, რომელიც თეთრმა სახლმა აირჩია, იმთავითვე შეუძლებელი იყო?** გასაღები რებუსის ამოხსნისთვის შეიძლება სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის — ფილიპ გორდონის განცხადებამ მოგვცეს:

**„შეერთებულ შტატებში აზრთა სხვადასხვაობაა რუსეთთან, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სიტუაციასთან დაკავშირებით, თუმცა ეს საკითხი უფრო მიმდინარე დიალოგის ასპექტია, ვიდრე შეფერხება რუსეთთან ურთიერთობებში“.** როგორც ვხედავთ, ეს მიდგომა ძალიან მოაგონებს ფრაზას ობამას მიმართვიდან კონგრესისადმი, რომელიც რუსეთთან ე. წ. 1 2 3 შეთანხმების (თანამშრომლობა ბირთვული ენერგეტიკის დარგში) რატიფიცირებას ეხებოდა: **„სიტუაცია საქართველოში აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას ამ შეთანხმების წინ წაწევისათვის“.**

„შეფერხება“, „დაბრკოლება“ — გეგონება, გზის პირას დაგდებულ საბურავზე საუბრობენ, რომლებიც მოძრაობას ხელს დიდად არ უშლის. ჩვენთვის ეს, ალბათ, ერთობ დამამცირებლად ჟღერს, თუმცა ტერმინებს თავი დავანებოთ, ყოველივე ამის მიღმა არსებული რეალობა გაცილებით ტრაგიკულია. აშშ, როგორც ჩანს, მზად არ არის, რუსეთთან ურთიერთობების რომელიმე თემა (თუნდაც მეორეხარისხოვანი) საფრთხის ქვეშ დააყენოს, იმისთვის, რომ საქართველოსთან დაკავშირებით პროგრესს მიაღწიოს; სურს თუ არა ეს საერთოდ, სხვა საკითხია.

ამ ვითარებაში ურიგო არ იქნებოდა ნიკოლაი გოგოლის ერთი ფრაზის გახსენება; ტარას ბულბა რომ ეკითხება შვილს, რომელმაც გაყიდა უკრაინა, მტრის მხარეზე გადავიდა და ამ ნაბიჯმა იგი სრულ კრახამდე მიიყვანა: „Ну что, сынку, помогли тебе твои ляхи?“ (რაო, შვილო, დაგეხმარნენ შენი პოლონელები?). ვერ დაეხმარნენ და არც დაეხმარებოდნენ, მეტი საქმე არ ჰქონდათ, რა... საერთოდ ამ ფრაზაში, ალბათ, არ არის ცინიზმი და არც გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის ელფერი იგრძნობა, მასში არაფერია ტკივილისა და სინანულის გარდა; შვილია ბოლო-ბოლო, რომელიც ტარასმა ღალატისთვის საკუთარი ხელით უნდა მოკლას: „Я тебя породил, я тебя и убью!“. ზოგადად, საინტერესო ამოსავალი წერტილი ჩანს, ქვეყნისა და მისი მცდარი გზით წასული ელიტის აწმყო-მომავალზე სამსჯელოდ, მითუმეტეს თუ XVII საუკუნისთვის დამახასიათებელ სისხლიან ექსცესებს გვერდზე გადავდებთ და მხოლოდ პროცესების არსზე ვისაუბრებთ.

## ლეთარგიის მოკრძალებული ხიბლი

საერთოდ, რომელიმე საღად მოაზროვნე ადამიანს, ამერიკელების ამ განცხადებების მოსმენის შემდეგ შეიძლება გაუჩნდეს ერთი მარტივი კითხვის დასმის სურვილი: **ამ საკითხების გადაწყვეტა ვაშინგტონს რატომ უნდა მივანდოთ? ეს არის პრობლემა საქართველოსა და რუსეთს შორის და გამოსავალი სწორედ ამ ქვეყნებმა ერთმანეთთან მოლაპარაკების გზით უნდა მოძებნონ. ლოგიკაც და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაც, ალბათ, ამ დასკვნამდე მიგვიყვანს.** რა თქმა უნდა, აშშ ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფოა, თუმცა იგი მზად არ არის, ჩვენი პრობლემების გადაწყვეტისთვის რუსეთთან ურთიერთობა გაართულოს და, შესაბამისად, შედეგსაც ვერ აღწევს, რასაც გულწრფელად აღიარებს (ხელებს ხომ არ იბანს?) მაიკლ მაკფოლი.

**„ჩემთვის საინტერესო იქნება გავიგო, არსებობს თუ არა ალტერნატიული სტრატეგია, რომელიც უფრო დიდი წარმატების მიღწევას შესაძლებელს გახდის. ყოველთვის იოლია თქმა, რა არის სასურველი, რა უნდა გავაკეთოთ, რა უნდა ჩაიწეროს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში და ა.შ. ეს ძალიან იოლია, ძნელია სტრატეგიის ფორმულირება და მისი განხორციელება. ჩვენ ღია ვართ ალტერნატიული სტრატეგიების განხილვისთვის“,** — ამბობს მაკფოლი და შესაძლოა გრძნობს, რომ მისი ეს პოზიცია საიმედოდ დაცულია კრიტიკისგან, რადგან ერთადერთი დაინტერესებული მხარე, რომელმაც, იდეაში, შეიძლება მსგავსი სტრატეგია შესთავაზოს, საქართველოა, ხოლო მისი ამჟამინდელი ხელისუფლება ამას უბრალოდ არ გააკეთებს ორი მიზეზის გამო: **1) მას, სავარაუდოდ, არ ძალუძს ამ მასშტაბის სტრატეგიების შემუშავება; 2) მას, როგორც ჩანს, არ სურს, მისი მიდგომები, ამერიკულისგან თუნდაც ერთი იოტით განსხვავდებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ამას საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისთვის უზარმაზარი ზიანი მოაქვს.**

ხელისუფლებაში ამჟამად მყოფი პოლიტიკოსები, ალბათ, ვერასდროს ამოვლენ შემდეგი პოზიციიდან: **„ძია სემ, კაი კაცი ხარ, მაგრამ ახლა გაგვატარე, ეს ჩვენი პრობლემაა და ჩვენ თვითონ მივხედავთ“.** ეს შეუძლებელი ჩანს როგორც პოლიტიკური, ისე ფსიქოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე, ინფანტილიზმის დაძლევას, თამამი დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმას, ალბათ, ცოტა სხვა ნებისყოფა და პიროვნული მახასიათებლები სჭირდება.

**ინფანტილური მიდგომა, რომელიც საკუთარი ქვეყნის ბედის სხვის ხელში გადაცემას გულისხმობს, მხოლოდ ხელისუფლებას რომ ახასიათებდეს, ეს შედარებით მცირე პრობლემა იქნებოდა. თუმცა ის, ასე თუ ისე, ოპოზიციაშიც და მთელ საზოგადოებაშიც დომინირებს.** შედეგად, ვსხედვართ აგერ და მაკფოლისა და კროულის (გნებავთ, ვინმე სხვა იყოს) გამოსვლებში სიტყვებსა და წერტილ-მძიმეებს ვითვლით (იქნებ, გვეშველოს რამე!). ეს პასიური პოზიცია ფრიად კომფორტულია, თუმცა, ალბათ, რაღაცით ლეტარგიულ ძილს ჰგავს, რომლის დროსაც შეიძლება ხედავდე სიზმრებს, მაგრამ ფიქრი და მოძრაობა არ შეგიძლია.

ისე, ძველად, ლეტარგიულ ძილს ხშირად სიკვდილისაგან ვერ განასხვავებდნენ და რამდენიმე დღით ჩაძინებულ ადამიანებს მარხავდნენ კიდეც. შესაძლოა ჩვენს ქვეყანასაც მარხავენ, სანამ გლობალურ პოლიტიკასა და ძლევამოსილ მოკავშირეებზე ბრჭყვიალა და მაცდურ სიზმრებს ვხედავთ.

ცხადია, საქართველოში რჩება ბევრი ადამიანი, რომ-

## მოკლედ



### ვახანიას დამ შიმშილობა დაიწყო

**14 ივნისს თბილისში, ევროსაბჭოს მისიის შენობასთან, პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიას დამ ნანული ვახანიამ სააპელაციო სასამართლოს სხდომის დანიშვნის მოთხოვნით უვადო შიმშილობა დაიწყო.**

საქმეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები მარინა იმერლიშვილი, მალხაზ ოქროპირაშვილი და მურთაზ კაპანაძე იხილავენ. მათ საპროცესო კოდექსით დადგენილი საქმის განხილვის სამთვიანი ვადა დაარღვიეს და საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს.



### კარლია ნატო

**ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა უკვე მერამდენედ განაცხადა, რომ „ნატოს კარი საქართველოსთვის ღიად რჩება“.**

მაგრამ ნატო-საქართველოს კომისიის დასრულების შემდეგ გაკეთებულ ამ განცხადებას ტრადიციულად ახლდა კიდევ ერთი „მაგრამ“, რომლის შემდეგაც ჩვენს ხელისუფლებას აქტენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს რეფორმირებაზე გადატანა ურჩიეს, თან იქვე დააიმედეს, ჩვენც დაგეხმარებითო.



### დეპუტატები დააჯარიმეს

**პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე გამოუცხადებლობისა და სხვისი პულტის გამოყენების გამო ცხრა დეპუტატს ხელფასი დაექვითება.** დასჯილთა შორის არიან გოკა გაბაშვილი, გიორგი გოდაბრელიძე, ბადრი ბასიშვილი, გოჩა კუპრავა და გოდერძი მარსაგიშვილი. სავარაუდოდ, სადამსჯელო ღონისძიებას გადაურჩება დეპუტატი ელენე ჯავახაძე, რომლის პულტითაც მისმა კოლეგამ ვახტანგ ბალავაძემ ისარგებლა. გამცდენი და სხვათა პულტებით მოსარგებლე დეპუტატების დაჯარიმების საკითხი მიხეილ მაჭავარიანმა დააყენა.



### ვინ განდევნის ვანოს

**„ოპოზიციის დაქსაქსვის მიზნით, ჭორების გავრცელება ვანო მერაბიშვილის კამპანიაა. ყველა პარტიამ თავისი ოფისიდან მერაბიშვილის იდეოლოგია უნდა განდევნოს.** ვანოს იდეოლოგიის განდევნა თავისი ოფისიდან თვითონ პრეზიდენტ საკაშვილსაც სურს და პირიქით, თუმცა ისინი ამას უკვე ველარ ახერხებენ, აი, ქართველ ხალხს კი შეუძლია, პოლიტიკიდან ორივე გააძევოს“, — განაცხადა „თეთრი მოძრაობის“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა და ოპოზიციურ პარტიებს ლიდერის გარეშე გაერთიანებისკენ მოუწოდა.



### ახალაია ავღანეთში მიდის

**მას შემდეგ, რაც ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე საქართველოს ISAF-ის ოპერაციაში მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადეს, ჩვენს ხელისუფლებას ფრთები შეესხა.** საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ გადაწყვიტა, უახლოეს მომავალში ავღანეთს სწვეოდა და საკუთარი თვალით ეხილა, რისთვის გადაგვისვა ნატომ თავზე ხელი. მანამადე კი იმავე კომისიის სხდომაზე ავღანეთში წაუსვლელადაც მშვენივრად ისაუბრა ამ ოპერაციაში მონაწილეობის უდიდეს მნიშვნელობაზე.

ლისთვისაც ქვეყნის გამთლიანების იდეამ აბსტრაქციის სფეროში არ გადაინაცვლა და მზად არის, ხელისუფლებას (შესაბამისად, მის ამერიკელ პარტნიორებს) უნაყოფო პოლიტიკისთვის პასუხი მოსთხოვოს. ეს ოფიციალური თბილისისთვის (ირიბად ვაშინგტონისთვისაც) გარკვეულ დისკომფორტს უკავშირდება, რადგან სათქმელი, პრინციპში, არაფერი აქვთ, გარდა იმისა, რაც მაკფოლმა და კროულიმ გააჟღერეს. **იმისთვის, რომ ეს თემა საზოგადოების ყურადღების ცენტრში არ მოექცეს, მათთვის, სავარაუდოდ, საკმაოდ ხელსაყრელი იქნებოდა საქართველოს საინფორმაციო სივრცეში რიგი ღონისძიებების გატარება, რომელთა ერთობლიობას შეიძლება (პირობითად) ოპერაცია „მიძინება“ დავარქვათ.**

## ყველაზე ლამაზი ქალაქი

მართალია, ჰალსტუხის ცნობილი თემა ბოლო დროს ერთობ გაცვეთილი გახდა, თუმცა ამჯერად მასთან შეხება მაინც მოგვიწევს.

**„თუ სადმე შავიზღვისპირეთში ასეთი სილამაზე დევს, მზად ვარ ხელმეორედ შევჭამო ჩემი ჰალსტუხი“** („რუსთავი 2“; 27.05.10.), — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა აჭარაში მოსწავლეებთან შეხვედრაზე და ბათუმის განვითარების პერსპექტივებზე ესაუბრა. მეორეს მხრივ, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ინტერნეტში მოძებნოს კლიპი „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“, რომლის დაწყებიდან დაახლოებით ერთ წუთში ეკრანზე ჩნდება წითელ პერანგში გამოწყობილი მიხეილ სააკაშვილი და გარკვევით ამბობს: **„საქართველოს ყველაზე ლამაზი ქალაქი არის სოხუმი“.**

ასე რომ, ნებისმიერ მსურველს შეუძლია ეს ორი განცხადება მიხეილ სააკაშვილს წარუდგინოს და შეცდომის აღიარება ან კიდევ დადებული სიტყვის შესრულება მოსთხოვოს. ერთიც და მეორეც, ალბათ, ისეთივე საჯარო უნდა იყოს, როგორიც — ეს განცხადებები. შეგვიძლია უცხოელი კორესპონდენტები მოვიწვიოთ, პირდაპირი ტრანსლაციაც უზრუნველვყოთ, თუმცა, სიმართლე გითხრათ, არა მგონია, ამით რაიმე ხეირი ვნახოთ. **რაც უნდა, ის ჭამოს და, რაც უნდა, ის ილაპარაკოს; ჩვენთან (იდეაში) დემოკრატიაა; მთავარი სულ სხვა რამაა — საზოგადოებაში პრიორიტეტების ჩანაცვლების პოლიტიკა, რომელსაც, სავარაუდოდ, ხელისუფლება მიმართავს. მან ჯერ მოახდინა სოხუმისა და აფხაზეთის (და ცხინვალის რეგიონის) თემის აქტუალიზება, ხოლო აგვისტოს კრახის შემდეგ, როგორც ჩანს, ცდილობს, ეს თემები საზოგადოების ყურადღების პერიფერიაზე ჩააჩოჩოს.**

ბათუმში, ქობულეთსა და ფოთში სულ ბროლის ცათამბჯენები რომ ალიმართოს, ხოლო სოხუმში პატარა ქოხების გარდა არაფერი დარჩეს, ნებისმიერი ქართველისთვის, რომელსაც გული და სინდისი აქვს, ყველაზე ლამაზ ქალაქად, ალბათ, მაინც სოხუმი დარჩება. არქიტექტურა და ლანდშაფტი აქ არაფერ შუაშია, ჩვენ ამ შემთხვევაში (ყოველგვარი პათეტიკის გარეშე) უფრო მაღალ მატერიებზე, ერის მეხსიერებასა და სულიერ მდგომარეობაზე ვსაუბრობთ. **ის, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკა ამ მიმართულებით კატასტროფით დასრულდა, ვერანაირად ვერ გაამართლებს იმას, რომ დავივიწყოთ სოხუმი ან მასზე ფიქრს თავი დავანებოთ.**

სხვათა შორის, იმ წერტილის განსაზღვრა, საიდანაც ყოველივე ეს დაიწყო, საკმაოდ ზუსტად შეიძლება. გასული წლის თებერვალში, პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის დროს, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: **„ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ათი ან მეტი პრიორიტეტი გვქონდეს... ჩვენი პრიორიტეტია ეკონომიკური სირთულეების მოგვარება“** (კიდევ ერთ პრიორიტეტად ნატოში ინტეგრაცია დასახელდა).

დაახლოებით ამ პერიოდიდან მმართველი პარტიის წარმომადგენლების გამოსვლებსა და სახელისუფლო პროპაგანდაში აფხაზეთის თემის უკანა პლანზე თანდათანობითი და, როგორც ჩანს, გეგმაზომიერი გადაწევა დაიწყო. ამავე დროს, ხდებოდა ხელმისაწვდომ პერსპექტივაში, პრობლემის დაუძლევლობის (შესაბამისად, უიმედობის) განწყობის დამკვიდრება. მაგალითი, „ყველაზე ლამაზი ქალაქის“ შესახებ, ამ შემთხვევაში ერთი პატარა, თვალსაჩინო შტრიხია**, გაცილებით საშიშია არა სიტყვების, არამედ პრიორიტეტებისა და ღირებულებების ჩანაცვლების მცდელობა.** უხეშად რომ ვთქვათ, საზოგადოებას სთავაზობენ ოცნებას სავსე მაცივრებზე (ალბათ, ამაოს, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს), სანამ ხელისუფლებისა და მისი ამერიკელი პარტნიორების პოლიტიკა კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით ჩიხიდან არ გამოვა („სტრატეგიული მოთმინების“ იდეა).

**რას აპირებს ამასთან დაკავშირებით საზოგადოების აქტიური ნაწილი? ტოვებს საკითხის გადაწყვეტას ამ, დღემდე ძალიან წარუმატებელი, მოთამაშეების ხელში თუ გზას სხვა პოლიტიკურ ძალებსა და ალტერნატიულ სტრატეგიებს უხსნის? პასუხი სწორედ იმ პრიორიტეტებზე იქნება დამოკიდებული, რომლითაც ის იხელმძღვანელებს, ამიტომაც ამ პრიორიტეტების ჩანაცვლება ხელისუფლებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ჩანს.**

ბათუმი საოცარი ქალაქია, ბოლოდროინდელი არქიტექტურული ექსპერიმენტები მას დიდს ვერაფერს დააკლებს. მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ნორმალური ბათუმელი, სხვა ქართველების მსგავსად, თანახმა იქნება, „ყველაზე ლამაზი ქალაქის“ გვირგვინი სოხუმს სამუდამო მფლობელობაში გადასცეს.

**დღესდღეობით, ჩვენი პროპაგანდის გადამკიდე, ბევრი რამ შეიძლება შეუძლებელი ჩანდეს, თუმცა საქართველოს წარსული ცხადყოფს: ყველაზე დიდი მიღწევები სწორედ სასოწარკვეთის დაძლევას მოსდევს, რისთვისაც, ალბათ, მნიშვნელოვანია, ყველაფერი გვახსოვდეს და არც არაფერი დავივიწყოთ.**

**დიმიტრი მონიავა**

**P.S. იმ კაცის ჰალსტუხზე რას ვშვებით?**

# მდაბალი მოდის კვირეული

**მესმის, ყველაფერი ხდება, მაგრამ, რატომ ხდება ყველაფერი ეს მაინც და მაინც ამ ადამიანის თავს, ვერა და ვერ გამიგია. როდესაც მიხეილ სააკაშვილი ელისეს სასახლის შესასვლელში იდგა, უცნაურად გაშლილი ხელებითა და არანაკლებ უცნაური ღიმილით, მისი შარვალი საკმაოდ კომიკურად გამოიყურებოდა.**



გარკვევით არ ჩანს, შარვლის მარჯვენა ტოტი უშნოდ შემოეკეცა თუ წინდაში ჰქონდა ჩატანებული, თუმცა ერთი რამ ნათლად დადასტურდა, შემდეგი ვიზიტისთვის პროტოკოლის სამსახურმა შარვალი საგანგებოდ ძაფით უნდა დაუმაგროს, თორემ თავი ისევ მოგვეჭრება, „За державу обидно“, რომ იტყვიან. შეიძლება ვინმე შემომედავოს და მითხრას: კაცმა ტერიტორიები დაკარგა და ამ შარვალზე რას ჩააცივდიო; ალბათ, მართალიც იქნება, იმ ტერიტორიებიდან თუნდაც ერთ სოფელს თუ დააბრუნებს, თუ უნდა, სიცოცხლის ბოლომდე ლასტებითა და აკვალანგით იაროს, ძეგლსაც დავუდგამ საკუთარი ხელით მარმარილოსა და ბრინჯაოში, ლასტებითა და აკვალანგით.

**ცოდვა გამხელილი სჯობს და, ჩემი ნება რომ იყოს, იმ ფოტოზე მხოლოდ კარლა ბრუნის დავტოვებდი, საპატიო ყარაულის გვარდიელების გარემოცვაში; კარგი, ნატიფი ილუსტრაცია იქნებოდა ჟან პარვულესკოს ფრაზისთვის „ის საფრანგეთი რომელიც იყო, აღარ არის და ისევ იქნება“. რატომღაც ლექსის სტრიქონიც მომაგონდა: „შენ უნდა ღრუბელი გეფინოს ლურჯი“, თუმცა ვიცი, ელჩი ერიკ ფურნიე წინდახედულად ვიზას არ მომცემს და ამით იმავე ლექსში ნახსენებ დამბაჩასთან და სველ თოვლთან გზას გადამიღობავს. Mon Dieu!**



ფრანგული ფოტოების დათვალიერება უიმედობისგან დავიწყე, რადგან ინფორმაცია იქაური მოლაპარაკებების შესახებ აქაურ პენსიებზე უფრო მცირე აღმოჩნდა. აგერ ფოტო ელისეს სასახლიდან, რაღაც ღია ვერანდაა, გარემო „უკანა ეზოს“ შთაბეჭდილებას ტოვებს. ფრანგები უყურებენ ქართული დელეგაციის წევრებს ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ისინი დამპალი მანდარინების შეძენას სთავაზობენ. მიხეილ სააკაშვილს თითები გადაჭდობილი აქვს, წვენი მის ჭიქაში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა ჭიქებში. ისე, პირის ღრუს სიმშრალე და თითების გადაჭდობა, გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, როგორც წესი, აღელვებაზე მიუთითებს, მეტიც, იმპულსების ინკონგრუენტულობაზე, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ფიქრობ ერთს, ხოლო ამბობ მეორეს, თუმცა ნუ ჩავხლართავთ, ჩავთვალოთ, რომ სააკაშვილი სიმართლეს ლაპარაკობს (არ მესროლოთ, ძმებო!), ხოლო წვენი იქვე მჯდომმა გია ბარამიძემ დაულია. ფრანგები კი მაღალვოლტიანი ტრანსფორმატორებივით დაიძაბნენ, რადგან მათი შემდეგი სტუმარი ვლადიმერ პუტინია და დათქმულ დროზე ადრე რომ ჩამოსულ-შემოსულიყო, საფრანგეთის ისტორიას ისეთი სცენა შეემატებოდა, რომლის მსგავსი მას შემდეგ არ გათამაშებულა, რაც გრაფმა დე ბალზიმ ანა დე კომონ დე ლა ფორსს შევალიე დე ჟოკურთან შეუსწო (მაშინ ანამ დაარწმუნა გრაფი, რომ საქმე ჰალუცინაციასთან ჰქონდა).



პიერ კარდენი

**Tres bien, თვალი სხვა ვიზუალურ მასალებსაც გადავავლოთ; წარუშლელი შთაბეჭდილება პიერ კარდენმა დატოვა. მართალია, ზოგიერთმა ტელე- მაყურებელმა შეამჩნია, რომ მაესტროს ჰალსტუხი ერთობ უცნაურად ჰქონდა შემოხვეული და ცთომილება, მისთვის დასაშვებ თავისუფლებასაც კი აღემატებოდა; თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ჰალტუხს გარეგნული ძალადობის კვალი არ ემჩნეოდა, დაკბეჩილი და ჩამოხეული ის ნამდვილად არ იყო.**

ტელეეკრანზე ასე ჩანდა და სხვა არაფერი ვიცი, მთავარი, ალბათ, ისაა, რომ მესიე კარდენი ამჟამად თავს კარგად გრძნობს.

ზოგადად, ჩაცმულობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ღონისძიებებზე მოკრძალებულად, თუმცა მაღალი გემოვნებით ჩაცმული ფრანგების ფონზე ქართული დელეგაციის წევრები გამოიყურებოდნენ როგორც ის მაფიოზები ჰოლივუდურ ფილმებში, რომლებმაც ორი კაპიკი იშოვეს და ძალიან ძვირადღირებული კოსტუმები შეიძინეს, თუმცა მაინც ფრიად უგვანოდ გამოიყურებიან. რას იზამ, გემოვნებას ვერ იყიდი. **ალბათ, მადლობა იმაზეც უნდა ვთქვათ, რომ კარდენთან შეხვედრაზე მაინც, ამ ჩვენ „Enfant terrible“-ს შარვალი წინდაში ჩატანებული არ ჰქონდა.** გუბაზ სანიკიძეს რომ მიმართავდა, შარვალსა და კომბინეზონს შორის განსხვავება არ გესმისო (იდეაში, გუბაზს ტრადიციული ბავარიული კოსტუმი მოუხდებოდა, ბუმბულიანი ქუდითა და შორტებით “Kurze Lederhose), ცხოვრებამ ძველი ჭეშმარიტების „ნუ დასცინი სხვასაო“ სისწორეში მყისიერად დაარწმუნა, თანაც საამისოდ ირონიულად საკმაოდ კარგი ადგილი, ელისეს სასახლის საფეხურები შეურჩია.



**დიმიტრი მონიავა**

16 — 22 ივნისი, 2010 წელი. №22 (65)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რუსთავში წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი გაქურდეს

**15 ივნისს, გამთენიისას, რუსთავში წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარი გაქურდეს. წაღებულია შემოწირულობები, ძვირფასეულობა, სეიფი.**

მას შემდეგ, რაც ქრისტეს ფრჩხილის მკვნეტელი, ალქაჯი თუთბერიძე უშვერი სიტყვებით ლანძღავს მართლმადიდებლობასა და ეკლესიას, ხოლო ამ ერესსა და სიბრიყვეს სიტყვის თავისუფლებად ასაღებენ ნასყიდი ტელეარხები, ვიღას გაუკვირდება ღვთის სახლის ხელყოფა ბილწთა მიერ, რომელთაც არჩევნებში ნაცბოლების მხარდაჭერის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის ბითუმად და ცალობით ათავისუფლებენ ციხეებიდან.

**რატომ უნდა გაგვიკვირდეს ეკლესიის გაძარცვა, როცა ზნეობა წაგვიბილწეს ვიღაც ტვინნაღრძობი დეისაძის სექსუალური გადახრების ტირაჟირებით და რექტორად მონათლული თევზაძის ხელდასმით მოწყობილი პრეზენტაციით ეს სიბინძურე თავისუფალი აზრის გამარჯვებად წარმოგვიდგინეს.**

რატომ გაგვიკვირდება, როცა „კავკასიის" ეკრანიდან მერაბიშვილთან „შეხმატკბილებაში" მრავალგზის შემჩნეული თავისუფლების ინსტიტუტთან ერთად მართლმადიდებლობასთან „ომის ბილიკზე" გასული აქუბარდია-გულაშვილის დუეტი მიზანმიმართულად ცდილობს დედაეკლესიის ავტორიტეტის შერყევას...

შედეგიც სახეზეა — იძარცვება ეკლესია და ხმას არავინ იღებს.

# მერკერის მიერ დედანატირები დედათბილისი და «რუანდის ლომი» ლადო გურგენიძე

**ცუდად შემოგვიბრუნდა თბილისის მზისა და ვარდების მხარეობა. მზემ და სიცხემ ცეცხლი წაგვიკიდა. ვარდებმა ლამის ამოგვძირკვოს და გადაგვაშენოს. ხალხზე ვამბობ, თორემ სააკაშვილი თავს ისე გრძნობს, როგორც ფადიშაჰი ჰარამხანაში.**

გადაწევს ტახტრევანის ფარდას, გადმოგვხედავს ტელეეკრანებიდან და გვეტყვის, რომ „თბილისი ბეჭედია ბაჯაღლო" და ავლაბრის სასახლე „შიგ ჩასმული ბადახში". ამასობაში კი თბილისის სინამდვილეს ობიექტურად შეისწავლის **ამერიკული კომპანია „მერკერი", ხოლო Trend-ი სკანდალურ ინფორმაციას გამოაქვეყნებს: „თბილისში ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დონეა. „მერკერის" რეიტინგში თბილისს 217-ე ადგილი უკავია და უსწრებს მხოლოდ სუდანის, ჩადისა და ცენტრალური აფრიკის ქალაქებს".**

კონსალტინგურმა კომპანიამ, 39 კრიტერიუმის მიხედვით, განსაზღვრა ქალაქის რეიტინგი. მათ შორისაა, კაფეების, რესტორნებისა და დასასვენებელი ადგილების რაოდენობა, სატრანსპორტო სისტემისა და საავადმყოფოების კომფორტულობა, მომსახურების დონე, კლიმატური პირობები, დამნაშავეობის დონე და სხვა ფაქტორები.

**ცნობისთვის: პირველ ადგილზე მეორე წელიწადია ავსტრიის დედაქალაქი ვენაა, მეორე და მესამე ადგილებზე — შვეიცარიის ციურიხი და ჟენევა.**

**ეტყობა, „მერკერს" მიხეილ სააკაშვილისთვის არ მოუსმენია! მიშამ 15 ივნისს ბათუმში გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა ისეთი რამ, რაც მისგანაც კი მოულოდნელი იყო.**

ყური უგდეთ: (ლაპარაკობს ლადო გურგენიძეზე, საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრზე, რომელიც თანამდებობიდან იმიტომ გაუშვეს, რომ არ ივარგა. მაგრამ სააკაშვილის სიტყვაში იგი უცებ წარმატებულ პრემიერად ტრანსფორმირდება — „წარმატებულ საქართველოს პრემიერ-მინისტრად") იგიო, ხაზს უსვამს მიხეილ სააკაშვილი, არის **„არა მხოლოდ წარმატებული საქართველოს პრემიერ-მინისტრი, არამედ რუანდის მთავრობის მთავარი მრჩეველი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა აფრიკაში. და ეს ნამდვილად არ არის ძალიან მხიარული თემა (!), იმიტომ, რომ რუანდა ჯერჯერობით ბევრ ევროპულ ქვეყანაზე ბევრად უფრო წარმატებულია (!), განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლადო გურგენიძე შევაგზავნეთ იქ და შიგნიდან ალაგებს სიტუაციას. ახლა კიდევ უფრო მძიმე ფრონტზეა გადასული და ზიმბაბვეს ახალ მთავრობას აძლევს რჩევებს... ეს ასჯერ უფრო მძიმე ამოცანაა, ვიდრე, მაგალითად, ვაკის არჩევნების მოგება"...** მაგრამ ამ სპიჩის გაგებაზე და დაჯერებაზე უფრო ძნელი — არა.

ზიმბაბვედან ლადო გურგენიძეს სააკაშვილი სუდანში, ჩადსა და ცენტრალური აფრიკის სხვა ქვეყნებში შეაგზავნის და მალე მათი ქალაქებიც გაუსწრებენ თბილისს, სადაც ბადახშის თვალი — ავლაბრის რეზიდენცია ბრწყინავს.

**არმაზ სანებლიძე**

# ახალი გადანაწილება რეგიონში, ანუ ყველას მინუს სააკაშვილი

**ცენტრალური აზია კვლავ ცეცხლშია გახვეული. თითქოს ავღანეთის მიწაზე განვითარებული გაუთავებული სისხლისღვრა ამ ხალხებისათვის საკმარისი არ იყოს, ახლა მან პრაქტიკულად იმავე ხალხებისათვის ყოფილ საბჭოთა შუა აზიაში გადმოინაცვლა. ეს ტერიტორია უხსოვარი დროიდან სპარსულენოვანი სკვითებით იყო დასახლებული, მაგრამ მეექვსე საუკუნიდან თანდათან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოდიან მომთაბარე თათარ-მონღოლები, დღევანდელი თურქების წინაპრები. მე-13 საუკუნისათვის ეს ტერიტორია პრაქტიკულად მათი ხდება, სპარსულენოვანი ხალხებიდან მხოლოდ ტაჯიკები დარჩნენ. ეს იყო პერიოდი ჩინგის-ყაენის იმპერიისა, რომელიც მსოფლიოში უდიდესად ითვლება და ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს ატერორებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს უზარმაზარი იმპერია მისმა შვილებმა დაინაწილეს. მხოლოდ ერთხელ იყო მცდელობა იმპერიის აღდგენისა, სისხლიანი „კოჭლი თემურის" დროს, რომელიც ამავე დროს, როგორც იმდროინდელ აღმოსავლელ ტირანებს შეეფერებოდათ, მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი იყო და შესანიშნავი დედაქალაქი აიშენა სამარყანდის სახით.**



მაგრამ ამ თურქულენოვან ტომებს შორის გაუთავებელი ომები იყო და ტომობრივი და გეოგრაფიული ნიშნით სახანოებად იყვნენ დაყოფილი. ამით ისარგებლა მეფის რუსეთმა და XIX საუკუნის მეორე ნახევარში ერთი მეორის მიყოლებით ეს სახანოები თავის ვასალებად აქცია. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რუსეთში სამოქალაქო ომის დროს ეს სახანოები დროებით გაერთიანდნენ „თურქესტანის რესპუბლიკის" სახელით, მაგრამ ბოლშევიკურმა რუსეთმა მას სულ მალე ანექსია გაუკეთა და ჯერ ავტონომიებად დაჰყო, ხოლო შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკების სტატუსი მისცა ოთხ თურქულენოვან და ერთ სპარსულენოვან (ტაჯიკეთი) რესპუბლიკას. მათ „ერები" ეწოდათ, თუმცა ისლამში ერის მცნება განსხვავებულად ესმით და მათთვის ეს სტატუსი თავსმოხვეული იყო.

**ვინაიდან იმპერიული პრინციპია „Divide Et Impera", ანუ დაყავი და იბატონე, საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, მონღოლთა თუ თურქთა ეს შთამომავლები არავითარ შემთხვევაში არ გაერთიანებულიყვნენ. ამიტომ მათ შეუქმნეს საკუთარი ენათმეცნიერების ინსტიტუტები, თითქოს თუნდაც უზბეკური და ყირგიზული სხვადასხვა ენები იყოს და არა თურქულის დიალექტები. მხოლოდ თურქების „უმცროსი ძმები" — აზერბაიჯანელები გადავიდნენ 90-იან წლებში ლათინურის თურქულ ტრანსკრიფციაზე, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა დანარჩენი თურქულენოვანი ხალხები აღმოსავლურ სლავურ გრაფიკაზე (კირილიცა) დარჩნენ.**

ცენტრალურ აზიაში ურთიერთქიშპობის პერიოდი გორბაჩოვის მმართველობის დროს განახლდა. პირველი იყო ჩვენთვის კარგად ცნობილი დარბევა ფერაგანის ხეობაში, რომლის პირველი მსხვერპლი, ასევე, თურქულენოვანი „თურქი მესხები" (პირობითი სახელწოდება) გახდნენ და ეთნოწმენდაში მოჰყვნენ. თვითონ ფერგანის ხეობა ხელოვნურად არის გაყოფილი სამ სახელმწიფოს შორის. შემდეგ უკვე უზბეკები თავის მონათესავე ყირგიზებს დაერივნენ. არადა, მეფის დროს ყირგიზების ტომს ბევრი მეცნიერი მთიელ უზბეკებს უწოდებდა. ფერგანის ხეობა კი ვაჰაბიზმის ბუდე გახდა, ისე, როგორც პანკისის ხეობა ჩვენთან.

შემდეგი სისხლისღვრა, რომელიც სამოქალაქო ომში გაიზარდა და ყველაზე დიდი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე – ეს ტაჯიკეთში მოხდა. იქ მეზობელ ავღანეთში, ნაჯიბულას კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ, თალიბები მოძმე ტაჯიკეთში გადავიდნენ და შარიათის დამკვიდრება სცადეს. აქ კომუნისტური რეჟიმი იმდენად სუსტი იყო, რომ ამას ადვილად მიაღწევდნენ; მაგრამ იქ იდგნენ ავღანეთიდან გამოყვანილი საბჭოთა ჯარისკაცები, რომლებსაც დემობილიზაცია ჯერ არ შეხებოდათ და სასტიკი ომების შემდეგ თალიბები უკან ავღანეთში გააბრუნეს.

**უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრები ცენტრალურ აზიაში სრულიად ხელოვნურია და ნაწილი მეფის რუსეთმა დააწესა, ხოლო ნაწილი საბჭოთა პერიოდში დადგინდა. ამიტომ სასაზღვრო კონფლიქტები აქ სრულიად გარდაუვალია. მაგალითად, გაუგებარია, რატომ არის სამარყანდის ავტონომია უზბეკეთში, როდესაც მისი მოსახლეობის 80% ტაჯიკია (ახალი ყარაბახი?). ასევე, კასპიის ზღვის შელფი არ არის დემარკირებული და შარშან თურქმენეთსა და აზერბაიჯანს შორის ლამის ომი დაიწყო იმ მდიდარი ენერგოსაბადოების გამო, რომელიც ამ ჩაკეტილი ზღვის ფსკერზეა.**

ყირგიზებს პრობლემები ხუთი წლის წინათ დაეწყოთ. მას წლების განმავლობაში მართავდა ყოფილი ცეკას მდივანი ასკარ აკაევი. ის საგარეო პოლიტიკაში მთლიანად რუსეთს უჭერდა მხარს, მაგრამ ლიბერალური და დემოკრატიული რეფორმები აქ ყველაზე წინ იყო წამოწეული. მას ამერიკაში „აზიის შვეიცარიასაც" უწოდებდნენ, და სწორედ ამან დაღუპა იგი – პრეზიდენტმა ბუშმა და მმართველმა ნეოკონსერვატორებმა გადაწყვიტეს, რომ სწორედ ყირგიზეთი გამოდგებოდა მათი მორიგი ექსპერიმენტისა და „ფერადი" რევოლუციისათვის.

მათ, მართლაც, დაამხეს აკაევი და მოიყვანეს გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაციის ბაკიევი, რომელიც ხან რუსებს უმტკიცებდა ლოიალობას, ხან — ამერიკას, და ასე გაუთავებლად; ამასთან, ორივეს დიდ ფულს დასტყუებდა. მაგრამ მაშინ თვით იმ რევოლუციამ საშინელი ფორმა მიიღო – მთებიდან ჩამოსულმა მშიერმა მოსახლეობამ პირწმინდად გაძარცვა დედაქალაქი ბიშკეკი (ეს ხუთი წლის წინათ იყო, ახლა კი აპრილში ყველაფერი იმავე სცენარით განმეორდა, რომელსაც ზოგი პოლიტიკოსი თბილისსაც უწინასწარმეტყველებს).

როგორც ჩანს, უზბეკების მიერ ოცი წლის წინათ ყირგიზების დარბევა კვლავ მეხსიერებაში რჩება, თუ შევხედავთ ამჯერად ყირგიზების მიერ უზბეკების დარბევას ოშსა და ჯალალაბადში; საინტერესოა, რომ უზბეკები ყირგიზეთის დროებით მთავრობას უჭერენ მხარს, განსხვავებით ყირგიზეთის სამხრეთისა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ბაკიევის კლანისაა. ამჟამად ყირგიზეთის ეს ორი მთავარი ქალაქი (დედაქალაქის შემდეგ) მთლია- ▶

## მოკლედ




### დაშლა კანონიერად

**თარგამაძე-გრიგოლია-დავითაიას პოლიტიკურმა ბლოკმა თავისი მისია კეთილსინდისიერად შეასრულა — თბილისის საკრებულოში სამი ადგილი დაისაკუთრა და დაიშალა.**

ამ სამადგილიან მონაპოვარს, ცხადია, შორიდანაც არავინ დაანახებს ვინმე მაგდა კოტრიკაძეს, რომელიც საიდანღაც მოულოდნელად გაჩნდა და პირდაპირ ბლოკში შემავალი კიდევ ერთი გაერთიანების „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო მოძრაობას" მეთაურად მოგვევლინა. რა ქნას ახლა მაგდამ, ისევ გაქრეს?



### ბურჯანაძე უარზეა

**„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი და „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილი მიხვდნენ, რომ სამშობლოს ახალი ოპოზიციური გაერთიანება სჭირდება და გადაწყვიტეს, ეს მძიმე ხვედრი თავად იტვირთონ.**

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე, მართალია, არავის დაუპატიჟებია, შემოგვიერთდიო, მაინც მწარე უარზეა — არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არ გავერთიანდებიო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ნად ცეცხლის ალშია გახვეული, არ არის წყალი, დენი და გაზი, სუპერმარკეტები და მაღაზიები მთლიანად გაძარცვულია, ქუჩაში კი გვამები ყრია.

**მართალია, ყირგიზეთის სამხრეთი ბაკიევის კლანის ბაზაა, მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა სჭირდებოდეს გადაყენებულ პრეზიდენტს ეთნოკონფლიქტი, ეს, ალბათ, უფრო უკონტროლობისა და მართლწესრიგის არ ქონის ბრალი უნდა იყოს. საერთოდ, ნაზარბაევს რომ ბაკიევი მაშინვე სასწრაფოდ არ გაეყვანა ყირგიზეთიდან, მაშინ ქვეყნის ორად გახლეჩა და სამოქალაქო ომი გარდაუვალი იქნებოდა, თუმცა არც ახლა არის ეს გამორიცხული. ამჯერად ეს ჯერჯერობით ეთნო დაპირისპირება და სუპერმარკეტების ძარცვა უფროა, ვიდრე სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომი. საინტერესოა, რომ, როდესაც 10-ში საღამოს ყველაფერი ეს დაიწყო, ამას დედაქალაქიდან მომავალი 20-მანქანიანი კორტეჟის პროვოკაციად თვლიან. არადა, დედაქალაქი ბაკიევის მომხრეთა ხელში ნამდვილად არ არის.**

დროებითი მთავრობის მეთაურმა, რომელიც მაინც ბაკიევს ადანაშაულებს, უკვე რუსეთს სთხოვა შველა და ჯარების შეყვანა, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთმა გაითვალისწინა 2008 წელს მის მიერ საქართველოში გამოყენებული „არაპროპორციული ძალა“ (ბუშის სიტყვები) და ახალ კონფლიქტში თავის შეყოფაზე უარი თქვა. რაც შეეხება ბაკიევს, მან უკვე განაცხადა, რომ არავითარი როლი არ მიუძღვის ამ ამბებში.

სამაგიეროდ, ტაშკენტში შეხვდნენ უზბეკეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტები, რომლებიც ძალიან შეწუხებულები არიან სიტუაციის გართულებითა და „ავღანიზაციით“, როგორც ეს მას უწოდეს. ყველაზე საშიში ამ მოვლენებში უზბეკეთის ჩართვა იქნებოდა, ვინაიდან ყირგიზეთში სწორედ ეთნიკურ უზბეკებს ხოცავენ, მაგრამ, რუსეთის მსგავსად, უზბეკეთი ჯერჯერობით არ ერევა მიმდინარე მოვლენებში. ასევე არ ერევა და მხოლოდ საზღვარი ჩაკეტა ყირგიზეთის ერთ-ერთმა მთავარმა ეკონომიკურმა პარტნიორმა – ჩინეთმა. არადა, ჩინეთისათვის ეს საგრძნობი ფინანსური დანაკლისია, ვინაიდან ჩინური საქონელი სწორედ ყირგიზეთის გავლით გადის ცენტრალურ აზიაში და იქიდან – ევროპაში.

ბევრ ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ რეგიონში შეიძლება ახალი პოლიტიკური მოთამაშე გამოჩნდეს, რაც, უბრალოდ, კარგად დავიწყებული ძველია. მართლაც, ამ შემოდგომაზე თურქეთის პარლამენტში ამაყად ითქვა „ჩვენ ახალი ოსმალები ვართ!“. პრინციპში, აქ თითქოს განსაკუთრებული არაფერია, დღევანდელი თურქები ხომ სწორედ ამ ცენტრალური აზიის ხალხების შთამომავლები არიან, იქნებიან ეს სელჯუკები, ოსმალები, თურქმენები და ა.შ., რომელთაც ანატოლიის ადგილობრივ ხალხებსა და ზოგ კავკასიურ ტომებთან ერთად ახალი მძლავრი ეთნოსი შექმნეს. მაგრამ აქ მთავარია ტერმინ „ოსმალოს“ ხმარება, როგორც ოსმალთა იმპერიაზე მინიშნება, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში გაუქმდა თურქული ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად. მაგრამ ბოლო პერიოდში თურქეთში დასუსტდნენ სამხედროები, რომლებიც მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ იყვნენ სეკულარული სახელმწიფოს გარანტებად აღიარებულნი და სულ უფრო მომძლავრდა ფუნდამენტალისტური ისლამი. ვინაიდან სარკოზიმ და მერკელმა ღიად დააფიქსირეს, რომ ისინი თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგი არიან, თურქეთში ბევრი სერიოზულად დაფიქრდა თავიანთ ოსმალურ წარსულზე და „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ ლიდერობის პოზიციის დაჭერა მოისურვეს.

ამერიკელების აზრით, თურქეთი ისრაელთან ერთად უნდა ყოფილიყო რეგიონის სტაბილურობის გარანტი. მაგრამ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა 2008 წელს სააკაშვილის ავანტიურის შემდეგ, რეგიონში დაიწყო ახალი გადანაწილება. ხოლო თურქეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობა ამ დღეებში მკვეთრად გაუარესდა (ამაზე წინა ნომერში ვწერდით). ამავე დროს ყველასათვის მოულოდნელად თურქეთი დაუმეგობრდა რუსეთსა და ირანს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცენტრალური აზია, ერთის მხრივ, განიხილებოდა როგორც რუსეთის ინტერესთა სფერო, მაგრამ ეს ტერიტორია თურქების მონათესავე ხალხებითაა დასახლებული, რომლებშიც საბჭოური ათეიზმი სულ უფრო ისლამიზაციით იცვლება. ასე რომ, პოლიტიკურ ანალიტიკოსებს ყველაზე მეტად აინტერესებთ, რაზე შეთანხმდებიან თურქეთი, რუსეთი და ირანი.

**არადა, ისინი რეგიონის ახალ გადანაწილებაზე უკვე მსჯელობენ. რამდენიმე დღის წინათ სტამბულში გაიმართა უმაღლესი დონის შეხვედრა, სადაც თურქებთან მოსალაპარაკებლად ჩავიდნენ რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინი და ირანის პრეზიდენტი ახმადინეჯადი „რეგიონის უსაფრთხოების პრობლემების“ განსახილველად.**

ამ შეხვედრის დეტალები არ ხმაურდება. ზოგიერთის ცნობით, იქ იანუკოვიჩი და ნაზარბაევიც იმყოფებოდნენ. არადა, ეს ჩვენი რეგიონია, მაგრამ სააკაშვილი არავის არ დაუპატიჟებია. ის ამ დროს პარიზში სეირნობდა. დაპატიჟებული არ იყო არც აზერბაიჯანი. იგი თავის „უფროს ძმებზე“ — თურქებზეა განაწყენებული მათი სომხებთან დიალოგის სურვილის გამო, თვითონ კი სულ უფრო უახლოვდება ისრაელს სამხედრო სფეროში.

და ბოლოს, დავსვათ კითხვა, რომელიც დღეს სპეციალისტებს აწუხებთ: ვინ არის დამნაშავე ყირგიზეთში მიმდინარე პროცესებში და გარდაუვალი იყო ეს თუ არა? პასუხი ცხადი და ერთმნიშვნელოვანია: რომ არა პრეზიდენტ ბუშისა და მისი გარემოს უტოპიური პროგრამა „ფერადი რევოლუციებისა“ და დემოკრატიის ექსპორტის შესახებ, ეს მოვლენები თავისი მძიმე გაგრძელებებით შეიძლება აცილებული ყოფილიყო თავიდან. და ვინაიდან უკანასკნელი „ფერადი“ რევოლუციის ნაყოფი სწორედ საქართველოშია, სადაც დემოკრატიის ნაცვლად კლასიკური ავტორიტარული რეჟიმი ჩამოყალიბდა, ხოლო ეკონომიკას ვერაფრით ვერ უშველეს და ყველაფრის გაყიდვით გადიან დროებით ფონს, მომავალი ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა!

**რამაზ კლიმიაშვილი**

# არჩევნები დამთავრდა — ლარის კურსის გეშინოდეთ, ხალხო!

**არჩევნები დაამთავრა თუ არა, ხელისუფლებამ ცოტა ხნით, საკუთარ იმიჯზე ზრუნვას თავი დაანება და მომავალ კეთილდღეობაზე ფიქრი დაიწყო. ფიქრიდან პირდაპირ საქმეზე გადავიდა და გაცდენილი დღეებისა და დახარჯული მილიონების ანაზღაურება ლარის გაუფასურებით დაიწყო. რაკი ბიუჯეტს იმდენი არ შეუძლია, რომ ხელისუფლებამ არჩევნებიც ჩაატაროს, ამომრჩევლებიც მოქრთამოს და სახლშიც ბარაქიანად წაიღოს, ვილაცებს ქამრების შემოჭერა მოუხდათ. ჰოდა, ჩვენსავით სულ ასე ქამარშემოჭერილები ხომ არ ივლიდნენ?! ღრმად ჩასუნთქული ამოისუნთქეს და ყოველგვარი ზედმეტი დაფიქრების გარეშე ლარი საცოდავ დღეში ჩააგდეს. ხელისუფლებამ თავისი გაინაღდა და ახლა დახარჯულის ამოღებას ცდილობს. ვერც გაამტყუნებ, რა ქნას, ჩვევა აქვს ასეთი. პირველი შემთხვევაა თუ რა?**



## არჩევნებამდე კრავებად გადაქცეული «ნაცები» ისევ მგლებად მოგვევლინნენ

ამ დროისთვის ერთი დოლარი თითქმის ორ ლარს უტოლდება. წინა ხუთშაბათს ლარი 1.9 ნიშნულსაც გადასცდა დოლართან მიმართებაში. ასეთი სუსტი და უსუსური ლარი 2006 წლის მაისის შემდეგ არავის ახსოვს. საზოგადოებას თანდათან შიში იპყრობს. მას აინტერესებს, სადამდე გაუფასურდება ლარი და როგორ დაგეგმოს ცხოვრება. ეროვნულ ბანკში კი პროგნოზებს არ აკეთებენ.

**ლარის მკვეთრი გაუფასურება გასულ კვირას, ანუ არჩევნებიდან რამდენიმე დღეში დაიწყო. სავალუტო ჯიხურებთან მისული მოქალაქეები გაოცებული ტოვებდნენ ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს. ლარის კურსი ერთ დღეში ერთბაშად ათი პროცენტით დაეცა. პარასკევს საღამოს ეროვნულმა ბანკმა ისეთი კურსი დაადგინა, დილით საზოგადოება გაღიმებული დატოვა. თვითონ შაბათ-კვირისთვის „ბედნიერი უიკენდი“ მოიწყო და ხელებიც დამიბანიაო, გამოაცხადა. ლარის კურსის დაცემამ დოლართან მიმართებაში ბოლო 4 წლის მანძილზე მაქსიმუმს მიაღწია.**

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ მიმდინარე პროცესებში კუპონიზაციის საფრთხესაც ხედავს. მათი აზრით, ეროვნული ვალუტის გაუფასურება ხელოვნურად ხდება. ამით ხელისუფლებაა უშუალოდ დაინტერესებული, რადგან ეროვნული ვალუტის გაუფასურება ექსპორტიორ კომპანიებს მოგებას უზრდის და, შესაბამისად, ისინი გაცილებით მეტ თანხას იხდიან ბიუჯეტში.

სანამ ექსპერტები და საზოგადოება ბჭობდნენ ლარის დაცემის მიზეზებზე, ახალი ინფორმაცია გახმაურდა, რომელმაც ყველა კითხვას გასცა პასუხი — ხელისუფლება 2010 წლის ბიუჯეტის 215 მილიონი ლარით გაზრდას აპირებსო. პარლამენტში ცვლილების პროექტი უკვე შესულია და მას 18 ივნისს დაამტკიცებენ. ხელისუფლება ბიუჯეტის ზრდას ეკონომიკის მოსალოდნელ ზრდას უკავშირებს, ეს არის ოფიციალური განმარტება. ექსპერტულ წრეებში კი აცხადებენ, რომ ბიუჯეტის ზრდა ლარის გაუფასურებამ გამოიწვია.

როგორც ჩანს, წლის ბოლომდე ხელისუფლება ბიუჯეტის 215 მილიონით გაზრდას ლარის კურსის თამაშიდან ამოღებული თანხებით აპირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულ ცოტა 150-200 მილიონი ლარი საკუთარი ჯიბიდან უნდა გადაიხადოს საქართველოს მოსახლეობამ, თანაც ყველაზე ხელმოკლე ნაწილმა. ესეც ასე, არჩევნებამდე კრავებად გადაქცეული „ნაცები“ისევ მგლებად მოგვევლინნენ.

**ლარის გაუფასურების კვალდაკვალ პროდუქტიც გაძვირდა. ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების ღირებულება უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ეროვნული ვალუტა გაუფასურდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზნესკრედიტების დიდი ნაწილი, დაახლოებით 80-85 პროცენტი, აშშ დოლარშია გაცემული, რაც დამატებითი პრობლემაა საზოგადოებისთვის.**

ფასების ზრდა მომხმარებლისათვის დადებით მომენტად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ, როდესაც შემოსავალი არ იზრდება, ყველა ოჯახი თითქმის ყოველდღიურად ყიდულობს საკვებ პროდუქტებს. აქედან გამომდინარე, საკვების გაძვირება ყველაზე მეტად აღელვებს საზოგადოებას.

**დოლართან მიმართებაში ლარის კურსის მნიშვნელოვანმა დაცემამ, ქართულ ბაზარზე მედიკამენტების გაძვირებაც გამოიწვია. „ავერსსა“ და „პსპ“-ს ქსელში ფასების მატებას ლარის გაუფასურებას უკავშირებენ. ამასთან, ამ ეტაპზე კომპანიები ვერ აკონკრეტებენ, რამდენი პროცენტით მოიმატა ფასებმა წამლებზე.**

ფარმაცევტულ კომპანიებში განმარტავენ, რომ მედიკამენტებზე ფასები ლარის კურსის გამყარებასთან ერთად ავტომატურად შემცირდება, რაც ნაკლებდასაჯერებელია, რადგან არავის ახსოვს, ეს პირობა ვინმეს შეესრულებინოს. ისე, საინტერესოა, რატომ გაძვირდა მედიკამენტები? ამ კომპანიებს რომ ჰკითხო, ევროპული დონის ფარმაცევტული საწარმო აქვთ ლილოს დასახლებაში. ხომ არის ეს ადგილობრივი წარმოება? მაშინ რატომ გაძვირდა?

**განსაკუთრებით იმპორტული პროდუქტის ფასი გაიზარდა. ამბობენ, რომ შედარებით ნაკლებად შეიმჩნევა ფასების მატება ქართულ ნაწარმზე, მაგრამ ის ბაზრიდან რატომღაც გაქრა. მაგალითად, ზეთი „მზიური“, უკვე რამდენიმე დღეა, ბაზარზე არ შემოტანილა. მიზეზი კი გამყიდველებისთვის უცნობია. ასე რომ, ბაზარზე თითქმის ყველაფერი გაძვირდა, რა იქნება მომავალში, რთული სათქმელია.**

**გია ხუხაშვილი, ეკონომიკის ექსპერტი:**

— ლარის კურსის გაუფასურება რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული, თუმცა მოსაზრება, რომ ხელისუფლება ამ გზით ბიუჯეტის გაზრდას ცდილობს, დამაჯერებელია. საქართველოში ლარის კურსის ცვლილება არა ეკონომიკურ პროცესებზე, არამედ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. ჩვენთან ხელისუფლება წყვეტს, როდის დაუშვას კურსის ვარდნა და როდის შეაჩეროს. ამ შემთხვევაშიც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პროცესიც ხელისუფლების ინტერესებში შედის.

**დოლარის კურსის აწევა, ბუნებრივია, სამომხმარებლო კალათაზე ფასების გაზრდას იწვევს. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში ყველაზე მეტად სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა ზარალდება. ახლა უფრო მეტი ადამიანი აღმოჩნდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. შექმნილი სიტუაცია ხელსაყრელი აღმოჩნდა ბიზნესისთვის. დოლარის გაზრდის დროს ფასების გაზრდა ბაზრის თავდაცვითი რეაქციაა და მოგებაზეა ორიენტირებული.**

როგორც წესი, მომატებული ფასები ძნელად იწევს ქვევით. კლებას უფრო მეტად კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემო სჭირდება, რომელიც საქართველოში არ არსებობს. ამიტომ სავარაუდოა, რომ გაზრდილი ფასები დაბლა აღარ დაიწევს. რამდენ ხანს გასტანს ლარის რყევა, ძნელი სათქმელია. კონფიდენციალური ინფორმაციაა და არც გახმაურდება, მაგრამ ფაქტია, შექმნილი სიტუაცია მძიმე აღმოჩნდა მოსახლეობისთვის.

**თეო ტაბატაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# «ვანოს რუსები» ქართულ პოლიტიკაში



**ქართული პოლიტელიტა ხშირად იცვლის პოზიციებს, გუნდიდან გუნდში გადანაცვლება ან ხელისუფლებიდან მკვეთრ ოპოზიაში გადასკუპება რა მოსატანია, როცა ხშირად გლობალურად ეცვლებათ „გემოვნება“ და მათი მზე, ვინც დღეს ნატოს სიკეთეებზე საუბრობდა და აღმოსავლეთში მხოლოდ მტერს ხედავდა, ხვალ შესაძლოა სწორედ აღმოსავლეთიდან ამობრწყინდეს.**

უკანასკნელმა ხუთმა წელიწადმა აჩვენა, რომ ქართული პოლიტიკა მეტისმეტად არამყარია. მიხეილ სააკაშვილის „ურღვევი და ურყევი“ გუნდის ერთი პრემიერ-მინისტრი მკვდარია, მეორე ოპოზიციაშია, ოპოზიციაშია პარლამენტის თავმჯდომარეც და სააკაშვილთან მეტისმეტად დაახლოებული შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრიც, რომელმაც მიშას გუნდის ერთიანობის მითი პირველმა დაანგრია.

მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარე ბურჯანაძე (ისევე, როგორც ექსპრემიერი ნოღაიდელი) მუდმივად გვევლინებოდა დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსად და სრულად იზიარებდა სააკაშვილის დოქტრინას, რომ ნატო საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზაა, რუსეთმა რომ არ გადაგვყლაპოს.

**გარდა საერთაშორისო პოლიტიკური ორიენტაციისა, ნინო ბურჯანაძისთვის არც შვიდი ნოემბერი იყო ამაღელვებელი, არც მის კაბინეტთან მსხდარი მოშიმშილე დეპუტატების საქციელი მიაჩნდა სწორად. ახლა კი სწორედ ის ბურჯანაძე, რომელიც კონსტრუქციულობისკენ მოუწოდებდა ოპოზიციონერ დეპუტატებს და აქციების დარბევას მიესალმებოდა ხელისუფლების შესანარჩუნებლად, თავად გვევლინება ქუჩის აქციებზე.** მისი მზეც ახლა აღმოსავლეთიდან ამოდის და ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის დროს სიტყვა „ოკუპანტსაც“ კი არ ახსენებს.

**პოზიციების მკვეთრი შეცვლა, ბურჯანაძის მსგავსად, ბურჯანაძის მიერ სიხისტის გამო პრემიერ-მინისტრის პოსტის დასაკავებლად „დაბრაკული“ ზურაბ ნოღაიდელისთვისაც არ აღმოჩნდა რთული. ისიც რუსეთის კარზე ელოდება სარჩოს, აბა, ქართულ პოლიტიკაში ნაშოვნ მილიონებს ხომ არ დახარჯავს „ქვეყნის გადასარჩენად“ და სააკაშვილისგან გასათავისუფლებლად ბრძოლაში?**

არადა, ოპოზიციაში გადასვლამდე ზურაბ ნოღაიდელს არასდროს გაუკრიტიკებია ქვეყნის კურსი, მეტიც, სიტყვაც არ წამოსცდენია, მისი უახლოესი მეგობრისა და იმ ადამიანის საეჭვო გარდაცვალების გამო, რომლის დამსახურებითაც, როგორც ხშირად ხუმრობენ, ზურაბ ნოღაიდელმა კალოში გაიხადა და ძვირადღირებულ ფეხსაცმელში „ჩასკუპდა“.

**ხელისუფლების მაღალჩინოსნებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანად სწორედ ნოღაიდელი მოიაზრებოდა ხელისუფლებაში ყოფნის დროს და არავისთვის უცხო არ იყო, რომ ქობულეთიდან „ჩამოკუპონებულმა“ ნოღაიდელმა ეს ქონება ქვეყნის სათავეში ყოფნის დროს „მწვანეებით“ დააგროვა.** ახლა იგი აღარ იზიარებს გარდაცვლილი პრემიერის ფრთიან ფრაზას „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“ და აზიურ ყაიდაზე გადაწყობილი, პუტინის კარზე ელოდება ხელისუფლებაში დასაბრუნებელ გასაღებს.

**ზურაბ ჟვანიას საეჭვო გარდაცვალებაზე კი ბევრი ილაპარაკა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მინისტრის პორტფელი დაატოვებინეს ყოფილ სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავას.** ხაინდრავას ავტორიტეტი და პოლიტიკური ინტერესები აქტუალური საზოგადოებისთვის არასდროს ყოფილა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისიც ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრი და ნოღაიდელივით მის მიერ გაპოლიტიკოსებული რეჟისორია, პროდასავლური ორიენტაციის უნდა ყოფილიყო, მაგრამ რას იზამ, დრომ მოიტანა და ისიც რუსეთის კარზე ეძებს წარმატების გასაღებს.

საერთაშორისო პოლიტიკის მიმართ შეხედულებები არ შეუცვლია, მაგრამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ბურჯანაძესთან მტრად მოკიდებული საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ბურჯანაძის გვერდით აღმოჩნდა და ქუჩის აქციებზეც აქტიურად ხმაურობდა პარიზული ყაიდის ქალბატონი, რომლის მეუღლესაც ეკუთვნის ფრთიანი გამონათქვამი: **„ნინო ბურჯანაძესა და სალომე ზურაბიშვილს შორის ისეთივე განსხვავება, როგორც პარიზსა და ქუთაისს შორისო“.**

**ჯერ ადგილობრივი აზერბაიჯანელებისგან იღებდა 20 ათასს და სიამაყით აცხადებდა, კიდევ ავიღებ ამ ხელისუფლების დასამხობადო, სააკაშვილის ყოფილი თანაგუნდელი და მეგობარი კობა დავითაშვილი. ახლა კი საქართველოს საზღვრებს გასცდა და ისიც კრემლს მიადგა თავის მეწყვილე, ასევე ყოფილ „ნაციონალ“, სააკაშვილის აქტიურ მხარდამჭერ ზვიად ძიძიგურთან ერთად.**

„ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო“, სააკაშვილმა უნდა თქვას, რადგან რუსეთში გაექცა გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ გამომცემელი მალხაზ გულაშვილი, რომელსაც, ბეჟუაშვილების დიდი დამსახურებით, გაზეთის პოლიტიკაც კი შეაცვლევინა და მკვეთრად ოპოზიციურ გაზეთს იმდენად სწრაფად შეაცვლევინა კურსი და ტაში აკვრევინა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებისთვის, მკითხველმა გონზე მოსვლა ვერ მოასწრო.

**მალხაზ გულაშვილს კარგი მადა აქვს. როგორც ჩანს, ბეჟუაშვილებმა მისი გაფართოებული კუჭი ვერ ამოავსეს, ჰოდა, გულაშვილმაც რუსეთს მიაშურა. ახლა მოსკოვიდან რადიოს საშუალებით ეკონტაქტება ქართულ საზოგადოებას, თანაც ქრისტიანობისთვის წამებულისა და დევნილის იმიჯით.**

ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი, სააკაშვილის ხელისუფლების ხერხემლად წოდებული ვანო მერაბიშვილი, ყველაფერს უსმენს და ყველაფერს ხედავს, მაგრამ ხანდახან მაინც აღმოჩნდება ხოლმე, რომ ვიღაც საზღვარზე გადაიპარა ან სახელმწიფო მინისტრი, რომელსაც კონფლიქტური რეგიონები ებარა, პრორუსული ყოფილა.

ალბათ, ამითაც აიხსნება, რომ ზემოჩამოთვლილ ყოფილებს — ყოფილ პრემიერ ნოღაიდელს, ყოფილ სპიკერ ბურჯანაძეს, ყოფილ სახელმწიფო მინისტრ ხაინდრავას, სააკაშვილის ყოფილ მარჯვენა ხელს — დავითაშვილს, ბეჟუაშვილების ყოფილ საქმიან პარტნიორ გულაშვილს ხალხში (მოფერებით კი არა) დაცინვით „ვანოს რუსებს“ ეძახიან...

„ვანოს რუსები“, ანუ, ხალხის აზრით, პრორუსული ორიენტაციის მქონე საზოგადოების ნაწილში ვანოს მიერ „შეგდებული“ ძვირფასი გვამები ხალხის ამ ირონიას არად დაგიდევენ... ისინი ჯიუტად ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ყოფილი „მიხუინები“, ანუ სააკაშვილის ყოფილი ყურმოჭრილი მონები არიან... არადა, საქართველოში ყველამ კარგად იცის, რომ ყოფილი „კაგებეშნიკი“ ან ყოფილი „მიხუინი“ თუ ყოფილი ბეჟუაშვილების ბიზნეს-პარტნიორი არ არსებობს...

საინტერესოა, იციან თუ არა ეს მოსკოვში, სადაც ყოფილ პრემიერ-სპიკერ-ბეჟუაშვილების საქმიან პარტნიორებს, ანუ ყოფილ „მიხუინებსა“ და მოქმედ „ვანოს რუსებს“ ხშირად მასპინძლობენ?!

**მაკა მუმლაძე**

# აიღეს თუ არა მერაბიშვილის მიერ შეთავაზებული თანხა ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ?

**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ სენსაციური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ მას ვანო მერაბიშვილის შუამავალი დაუკავშირდა და სოლიდური თანხა შესთავაზა. სანიკიძემდე იგივე განაცხადა „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, რომელმაც არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და სხვა პარტიებსაც ამისკენ მოუწოდა. აქედან გამომდინარე გაჩნდა ეჭვი, რომ მსგავსი შეთავაზება სხვა პარტიებსაც ექნებოდათ. ამ საკითხზე სასაუბროდ გუბაზ სანიკიძეს ორი დღე ვუკავშირდებოდით, მაგრამ იგი მობილურ ტელეფონს არ იყენებს, სახლიდან „ადრე გადის და შინ გვიან ღამით ბრუნდება“. ამიტომ, მასთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. თუ რა შესთავაზეს ლეიბორისტებს ვანო მერაბიშვილის ხელქვეითებმა, „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერი გიორგი გუგავა გვიამბობს.**

— რა თქმა უნდა, იყო ასეთი შემოთავაზება. ბუნებრივია, ამისათვის პოულობენ ისეთ შუამავალს, რომელიც დაახლოებული პირია ორივე მხარესთან. ჩვენს შემთხვევაში ასეთი იყო ერთ-ერთი ჩვენი თანამებრძოლის ძველი ახლობელი და მეგობარი. ამ შემოთავაზებას თან ახლდა მუქარა, რომ, თუ არ დავთანხმდებოდით, მაშინ ჩვენ მიმართ გარკვეული რეპრესიული ღონისძიებებიც განხორციელდებოდა და განხორციელდა კიდეც.

**— რაში გამოიხატა რეპრესიები?**

— ერთ-ერთი ჩვენი ახლობლის ოჯახის წევრი დაიჭირეს. მე ახლა მის ვინაობას ვერ დავასახელებ, რადგან არ მინდა, გაურთულდეს მდგომარეობა საპატიმროში. ასე რომ, ეს მუქარა მათ შეასრულეს.

მეტსაც გეტყვით, გვითხრეს რაოდენობა, თუ რამდენ წევრს გავიყვანდით საკრებულოში, და რომ მეორე ადგილს დავიკავებდით. მაგრამ საპასუხოდ მკაცრი უარი შევუთვალეთ და მოვუწოდეთ ოპოზიციურ პარტიებს ბოიკოტი გამოეცხადებინათ არჩევნებისთვის, რადგან ეს იყო კარგად მომზადებული სპექტაკლი, წინასწარ განაწილებული როლებით.

სხვათაშორის, ეს შემოთავაზებები მოდიოდა არამარტო ჩვენი ხელისუფლებისგან, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული პოლიტიკური წრეებიდანაც. ოღონდ მათი მხრიდან ამას თხოვნის ფორმა ჰქონდა.

**— ასეთივე შემოთავაზება მიიღო გუბაზ სანიკიძემაც. ამ საკითხის კომენტირებაზე ჩვენთან უარი განაცხადა კობა დავითაშვილმა... როგორ ფიქრობთ, სხვა პარტიები წავიდნენ გარიგებაზე?**

— მე ვერ გეტყვით, ვინ რა გარიგებაზე წავიდა, ყველაფერზე მსჯელობენ შედეგებიდან გამომდინარე. შედეგი არის საკმაოდ სავალალო ჩვენი ქვეყნისთვისაც და ოპოზიციისათვისაც. როგორც ხედავთ, ამ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა სააკაშვილს ჩამოაწერეს მისი ყველა შავბნელი საქმე, რა თქმა უნდა, პოლიტიკურად, თორემ მას ერთ დღეს მსჯავრი დაედება იმ დანაშაულებრივი საქმეების გამო, რომლებიც სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა ჩაიდინეს.

ამ ეტაპზე კი ის უცხოეთში იკვეხნის, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი იქამდე მივიდა, კონკურენტები ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავენო. ეს ოპოზიციის დამსახურებაა. ამის თაობაზე ჩვენ წინასწარ ვაფრთხილებდით მათ, ვაცხადებდით, რომ მხოლოდ და მხოლოდ რეფერენდუმის სახე ჰქონდა არჩევნებს, უჭერდა თუ არა ხალხი სააკაშვილს მხარს, მას სჭირდებოდა პოლიტიკური სუბიექტების მაქსიმალური მონაწილეობა, რომ ეს დადასტურებულიყო, რაც გააფორმეს კიდეც, რა თქმა უნდა, მასობრივი გაყალბებით, რომელზეც არავინ საუბრობს და, ჩვენდა გასაკვირად, საარჩევნო კომისიებში მხოლოდ ჩვენმა წევრებმა დაწერეს საჩივრები, მხოლოდ ჩვენები ებრძოდნენ გაყალბებას.

არჩევნებში მონაწილე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა კი დემოკრატიისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასეს ეს არჩევნები, რაც ამ რეჟიმის გაძლიერებას ემსახურებოდა და დღეს უკვე სააკაშვილმა განაცხადა, რომ 2013 წლის შემდეგაც არ აპირებს ხელისუფლებიდან წასვლას და, მოდელირებული კონსტიტუციის შესაბამისად, როგორც პრემიერ-მინისტრი, აპირებს თავისი რეჟიმის გამყარებას, გაძლიერებასა და ხელისუფლებაში დარჩენას.

**— ანუ გარკვეულწილად ოპოზიციაზე ეჭვები მაინც ჩნდება. გასაგებია, რომ თქვენ პირდაპირ არ გინდათ ამის თქმა თქვენს კოლეგებზე...**

— მე ხელს ვერავის დავადებ. კონკრეტული შემთხვევა ჩვენთან მიმართებაში მოგიყევით. მე ვამბობ ფაქტს, იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი ითამაშეს არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა ამ რეჟიმის გაძლიერება-გათეთრება-„გაპრავებაში“. რის გამო გააკეთეს ეს, სხვა საკითხია.

**თუ როგორ შეაფასებდა ამ ფაქტს, ჰქონდა თუ არა შემოთავაზება მერაბიშვილისგან მის პარტიას, კობა დავითაშვილსაც ვკითხეთ, მაგრამ მან გასაგებად გვიპასუხა, რომ მას ეს საკითხი არ აინტერესებს და შესაბამისად, კომენტარსაც არ გააკეთებს.**

**მოდი და ნუ გაგიჩნდება ეჭვი მათ საარჩევნო სლოგანზე: „ბრძოლა დღესვე“. „ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს“, შედეგი კი მიიღეს „უზარმაზაარი!“**

**სოფო გელაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იარაღის კონტრაბანდის ახალი დეტალები

**რამდენიმე წელია, აქტიურად საუბრობენ საქართველოს ხელისუფლების მონაწილეობაზე იარაღით ვაჭრობაში — საერთაშორისო კონტრაბანდაში, რომლის კრიმინალური საფუძვლებიც არამარტო ქართველი სპეციალისტების, არამედ საზღვარგარეთის სპეცსამსახურების ინტერესის სფეროშიც მოექცა. არაერთხელ დასახელდა საქართველოსთან ერთად ამ კონტრაბანდაში მონაწილე ქვეყნები — ისრაელი, უკრაინა, იორდანია და ა. შ. ასევე ასახელებდნენ კონკრეტულ გვარებსაც, თუმცა თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი და პრეზიდენტ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია ერთმანეთს პირველობას „ეცილებოდნენ“ და ეს არავის უკვირდა, სახელისუფლო ვერტიკალში მათი მდგომარეობისა თუ გავლენის გამო.**
**„საქართველო და მსოფლიო“ ყურადღებით ადევნებდა თვალს მათ „კონტრაბანდისტულ ვნებებს“. ამ ინტერესის ერთ-ერთი გამოვლინებაა დღევანდელი პუბლიკაცია. გთავაზობთ საგაზეთო ვარიანტს გადაცემისა, რომელიც ჩვენმა კოლეგებმა „სპეციალური რეპორტაჟის“ სახით შესთავაზეს ტელეკომპანია „მაესტროს“ მაყურებელს.**
**მომავალშიც განვაგრძობთ ამ თემაზე ჟურნალისტური გამოძიების შედეგად მოპოვებული მასალების პუბლიკაციას, რათა ჩვენი გაზეთის მკითხველს კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნას, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების სახით ვისთან, რა ხალხთან გვაქვს საქმე.**



## რა სამხედრო ტვირთი გადაიტანა «ИЛ-76»-მა 2008 წლის 28 ივლისსა და 4 აგვისტოს სპეცრეისით ომანი-თბილისი-ომანი?!

**ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელში ჩაუვარდა საქართველოს უშიშროების სამინისტროში იარაღით უკანონოდ ვაჭრობის შესახებ წარმოებული საქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. გთავაზობთ ამ დოკუმენტისა და მასში მოყვანილი ფაქტების უკომენტარო კონსტატაციას.**

**სპეცსამსახურის ოპერატიული თანამშრომელი მოხსენებაში წერს:**

„ზემოაღნიშნულ სიტუაციაში გარკვევის მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ისლამოვთან პირადი კონტაქტის დამყარების შესახებ, რომელიც განხორციელდა მიმდინარე წლის 18 აპრილს“.

**რა სიტუაციაში უნდა გარკვეულიყო საქართველოს უშიშროება და ვინ არის ისლამოვი?**

ალექსანდრე რაულის ძე ისლამოვს ეკუთვნოდა გვინეის რესპუბლიკაში რეგისტრირებული კომპანია „პეგოს კომპანიონი ვიტელი“. ამ უკანასკნელმა რამდენიმე წლის წინათ გააფორმა ხელშეკრულება ქართულ მხარესთან ვადაგასული და მიზნობრივად გამოუყენებელი სამხედრო ტექნიკის შეძენის თაობაზე.

საქართველოდან გაიტანეს 1 მილიონ 300 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების პროდუქცია, რომლის ტრანსპორტირება უკრაინის ავიაკომპანიის მეშვეობით ქალაქ ქუთაისის კოპიტნარის აეროპორტიდან განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ტვირთი, რომელიც საქართველოდან საჰაერო და საზღვაო გზით გავიდა, გვინეის რესპუბლიკის ქალაქ კონგაში ჩაიტანეს, სადაც რეგისტრირებულია ფირმა „პეგოს“ კომპანია „ნავტე“.

**ვიქტორ ბუტი — მაესტროს „სპეციალური რეპორტაჟის“ მაყურებლისთვის უკვე ნაცნობი იარაღის ბიზნესის ყველაზე ცნობილი მესვეური, ზედმეტ სახელად „სიკვდილით მოვაჭრე“, ჰოლივუდის ცნობილი ფილმის გმირი, რომლის კლიენტებს შორის „ალ-ქაიდაც“ კი სახელდებოდა; მოკლედ პირი, რომელიც მსოფლიოს იატაკქვეშეთს იარაღით ამარაგებდა.**

ალექსანდრე ისლამოვი, სლოვაკური გამოცემის მიხედვით, სახელდება ბუტის შემდეგ ერთ-ერთ უმსხვილეს იარაღით მოვაჭრედ, რომელიც საბრძოლო ტექნიკით ლიბერიას ამარაგებდა; უკვე ნახსენები ვიქტორ ბუტი კი ისლამოვის კომპანიას იარაღის გადაზიდვის მომსახურეობას უწევდა. **„კრიმინალნაია უკრაინა“ წერს, რომ ალექსანდრე ისლამოვმა ყირგიზეთის თავდაცვის სამინიტროს ვერტმფრენები ისე შეიძინა, თავად ყირგიზეთის მთავრობას ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. საბრძოლო ტექნიკა ლიბერიაში „ილ-76“ ტიპის თვითმფრინავით უნდა გადაეტანათ, რომელიც, უკრაინული წყაროს გადმოცემით, ასევე, ვიქტორ ბუტს ეკუთვნოდა.**

**რამდენიმე უცხოური მედიასაშუალება, თავის მხრივ, ეყრდნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს დასკვნას, რომელშიც ალექსანდრე ისლამოვი აფრიკის ქვეყნების იარაღით მომარაგებაში ვიქტორ ბუტთან ერთად არის ბრალდებული. ისლამოვის კომპანია, გაეროს უშიშროების საბჭოს დასკვნის მიხედვით, იარაღით ვაჭრობის ბიზნესქსელის ერთ-ერთ ძირითად რგოლად არის დასახელებული.**

იარაღით ვაჭრობის საქმიან წრეში მოღვაწე ალექსანდრე ისლამოვს საქართველოში ტვირთების გადამზიდავი ავიაკომპანია აღმოაჩნდა. საჯარო რეესტრის ვებგვერდზე კომპანია **„ეარ კარგო ჯორჯიას“** აქვს საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომერი და მითითებულია, რომ ფირმა რეგისტრირებულია 2002 წლის 19 სექტემბერს. მაგრამ ეს ერთადერთი ოფიციალური საჯარო დოკუმენტია, რითიც ამ კომპანიის არსებობა დასტურდება. დანარჩენს სპეცსამსახურის ოპერმუშაკის მოხსენებიდან ვგებულობთ, რომელსაც, ჩვენივე წყაროს ცნობით, ისლამოვის ე. წ. ვერბოვკა ჰქონდა დავალებული.

მოხსენებაში წერია:

**„ავიაკომპანია შპს „ეარ კარგო ჯორჯია“ ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოშია რეგისტრირებული. აღნიშნული კომპანიის წესდების მიხედვით, მას აქვს უფლება, განახორციელოს ყველა სახის საავიაციო მომსახურება; მათ შორის, საშიში და სპეცტვირთების საავიაციო და საჰაერო გადაზიდვები; ასევე მასთან დაკავშირებული ყველა სახის მომსახურების უზრუნველყოფა. აღნიშნული ქმედების განხორციელება შეუძლია როგორც საკუთარი სახელით, ასევე — შუამავლის მეშვეობით. წესდების მიხედვით, მომსახურეობის არეალი შეზღუდული არ არის.**

**შპს „ეარ კარგო ჯორჯიას“ დამფუძნებელი პარტნიორები არიან:**

**შპს „გამა ცენტრი“ — 20%-ის მფლობელი;**
**შპს „ნავტე“ — 16%;**
**შპს „აგრა ტექნოლოჯი“ — 49%;**
**გ. გაბადაძე — 7%;**
**პ. ჩიტიაშვილი — 5%;**
**ვ. ნაყოფია — 3%“.**

დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული სია უშიშროების თანამშრომელს ისლამოვმა თავად წარუდგინა. ალექსანდრე ისლამოვის განცხადებით, ექსპლუატაციის მოწმობის მიღებისთანავე იგი „ილ-76“ ტიპის თვითმფრინავების შესყიდვასა და აღნიშნულ თვითმფრინავებზე საფრენად ქართული ეკიპაჟების გადამზადებას გეგმავდა.

შეგახსენებთ, რომ ტაილანდში რამდენიმე თვის წინათ 40 ტონა იარაღით დაკავებული საქართველოში რეგისტრირებული თვითმფრინავი სწორედ „ილ-76“ ტიპის იყო.

**2002 წელს ისლამოვის დარეგისტრირებული „ეარ კარგო ჯორჯიას“ კვალს, საჯარო რეესტრის გარდა, ვერსად მივაკვლიეთ; თუმცა ცნობილი „ილ-76“ „კარგო ეარვეისის“, ასევე „ეარკარგოს“ ვარიანტებში სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის საიტზე მრავლად გვხვდება; განსაკუთრებით, — რუსეთ-საქართველოს ომის დროს.**

**ინფორმაცია 2008 წლიდან უცხო ქვეყნის ავიაგადამზიდველებზე გაცემული არარეგულარული კომერციული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვების გაცემის თაობაზე:**

**ავიაკომპანია „კალ კარგო ეარვეისი“:** რეგისტრაციის სახელმწიფო — ისრაელი; საჰაერო ხაზის დასახელება — ნიუ-იორკი-ლიეჟე-თბილისი-ლიეჟე; ნებართვის სახე — არარეგულარული სატვირთო; ნებართვის გაცემის თარიღი — 18 ივნისი, 2008 წელი; საჰაერო ხომალდის ტიპი — „ბოინგ-747“;

**ავიაკომპანია „იორდან ინტერნეიშენელ ეარკარგო“:** რეგისტრაციის სახელმწიფო — იორდანია; საჰაერო ხაზის დასახელება — ომანი-თბილისი-ომანი; ნებართვის სახე — არარეგულარული სატვირთო; ნებართვის გაცემის თარიღი — 28 ივლისი, 2008 წელი; საჰაერო ხომალდის ტიპი — „ილ-76“.

**ავიაკომპანია „იორდან ინტერნეიშენელ ეარკარგო”:** რეგისტრაციის სახელმწიფო — იორდანია; საჰაერო ხაზის დასახელება — ომანი-თბილისი-ომანი; ნებართვის სახე — არარეგულარული სატვირთო; ნებართვის გაცემის თარიღი — 4 აგვისტო, 2008 წელი; საჰაერო ხომალდის ტიპი — „ილ-76“.

ზუსტად ერთი კვირის წინათ „სპეციალურ რეპორტაჟში“ იორდანიაც და ისრაელიც საქართველოს გავლით იარაღის უკანონოდ კონტრაბანდის კონტექსტში იყვნენ მოხსენიებულნი. ისლამოვის დოკუმენტში გაკეთებული განცხადების მიხედვით, მას დაგეგმილი აქვს შუამავლის მეშვეობით საბრძოლო ტექნიკის ერაყში გადატანა.

**იარაღით მოვაჭრე, ასევე, ამბობს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იარაღის ექსპორტთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს უგანდის ხელისუფლებასთან და გადაზიდვა მისი კუთვნილი „ეარ კარგო ჯორჯიას“ მეშვეობით „ილ-76“-ით უნდა განხორციელდეს.**

მოხსენების შემდეგ ნაწილში ამავე სცენაზე უკვე ქართველი მილიონერი, „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორი პანტიკო თორდია შემოდის:

„ა. ისლამოვმა გამოკვეთა მისი ახლო ურთიერთობა „თბილავიამშენის“ გენერალურ დირექტორთან — პანტიკო თორდიასთან. მისი განმარტებით, ამ უკანასკნელთან არაერთხელ ჰქონდა საუბარი კომერციულ თემაზე, რომელიც შეეხებოდა „თბილავიამშენის“ ნაწარმის — საბრძოლო თვითმფრინავებისა და მათი მარაგნაწილების რეალიზაციას აფრიკის განვითარებად ქვეყნებში“.

მაგრამ მალევე ისლამოვის გადაზიდვები შეფერხდა. იარაღით მოვაჭრე, დოკუმენტის მიხედვით, სირთულეების შექმნაში პანტიკო თორდიას სდებს ბრალს. ისლამოვის თქმით, ქართველმა მილიონერმა თორდიამ მოახერხა სამთავრობო დონეზე გარიგების ჩაშლა, რადგან აღნიშნული ტვირთების გადაზიდვა თავად სურს.

**პანტიკო, იგივე ვაჟა, თორდია დაიბადა 1935 წლის 22 იანვარს. მისი შრომითი კარიერა 1959 წლიდან იწყება თბილისის საავიაციო ქარხანაში, ინჟინერ-კონსტრუქტორის თანამდებობაზე; 1998-2000 წლამდე იგი საავიაციო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორია; 2000-2002 წლებში კი — უკვე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორი; 2002-2006 წლამდე — ამავე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; 2006 წლიდან დღემდე — სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორი; მისი ქონება 250 მილიონ დოლარად არის შეფასებული.**

თორდიამ სატელეფონო და სატელევიზიო კომენტარზე უარი განაცხადა, თუმცა დაგვიდასტურა, რომ ისლამოვს იცნობს; არ უარყო, ასევე, მეგობრობა სააკაშვილის ბიძასთან — თემურ ალასანიასთან, რომლის სახელმაც იარაღის ბიზნესთან დაკავშირებით არაერთხელ გაიჟღერა.

პანტიკო თორდიამ არ დაადასტურა ისლამოვის არც ერთი განცხადება და თქვა, რომ ისლამოვი ტყუის. თავად ისლამოვი კი აღნიშნავს, რომ მას სპეცსამსახურები დევნიან...

**„მაესტროს“ „სპეციალური რეპორტაჟის“ მიხედვით**

**გაგრძელება იქნება**



## რა სამხედრო ტექნიკა გაიტანეს ქუთაისის კოპიტნარის აეროპორტიდან გვინეაში?

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


# ბენდუქიძემ დავით აღმაშენებელი მართლმადიდებლურად მონათლულ ებრაელად მოიხსენია

**გასულ პარასკევს, 11 ივნისს, საქართველოს ყოფილი დიდჩინოსნისა და პრეზიდენტის ფავორიტის, ამჟამად მოხეტიალე მილიონერის — კახა ბენდუქიძის „ბლოგზე“ დაიდო მისი „პოსტი“, გასაგებად რომ ვთქვა, ამ დღეს ინტერნეტში გამოჩნდა, ლიტერატორებთან ბოდიშს ვიხდი, მისი „ესსე“ სათაურით „ერთი ბიჭის ისტორია“, ცხოვრება დავით აღმაშენებლისა. „თავისუფალი აზროვნების“ ჭიანაჭამი კიდევ ერთი განხეთქილების ვაშლი, კიდევ ერთი შეტევა მართლმადიდებლობაზე, ჩვენს სიწმინდეებზე, ქართველობაზე საერთოდ და ქართველთათვის აბსოლუტურად უცხო და მიუღებელი ანტისემიტიზმი. მოკლედ — სიბინძურე! რამდენი მილიონი დოლარის მოხვეჭაა საჭირო ტვინის ისე გამოსარეცხად, თავს ნება რომ მისცე, ჩვენს სიწმინდეებთან გასაბღლარძუნებლად? ბიჭიო დავითზე! რუსები ასეთ თავხედობას, ფრანგების მიბაძვით, ამიკოშინსტვოს უწოდებენ. ქართულად — ამიკოშინობა მეგობრულ გაღორებას ნიშნავს. განდიდების მანიითაა შეპყრობილი ეს მეგობარი კოშინი: ხელის ბიჭი ჰგონია დავითი! მძიმე შემთხვევაა. ძალიან. რამდენად შორსაა წასული ფსიქიკური დარღვევა, ფსიქიატრებს ვკითხოთ. მანამდე კი წაიკითხეთ, გეთაყვა, ორიგინალი. დედნის ქალწულებრივ უმანკოებას არავინ შეხებია.**


დავითთან მებრძოლი „გოლიათი“

„FRIDAY, 11 JUNE 2010

## ერთი ბიჭის ისტორია

მინდა ერთ ბიჭზე მოგიყვეთ.

ქუთაისელი იყო. თბილისი ბავშვობიდან არ უყვარდა. ცხენები უყვარდა. ოცნებებში ხედავდა, ცხენზე ამხედრებული თავის რაზმელებთან ერთად თბილისელებს მუსრს როგორ ავლებს. ჯანიანი ბიჭი იყო, მოჩხუბარი, დიდი დანა ჰქონდა და კარგადაც ატრიალებდა. თუმცა წესრიგი უყვარდა.

16 წლის იყო, როცა მამამ საგვარეულო ბიზნესი გადასცა სამართავად. მართვის ნიჭი აღმოაჩნდა, საქმე კარგად გამოსდიოდა.

ბევრ რამეზე ფიქრობდა, ბევრი იდეა აწუხებდა.

მამა უთხრა, ჩვენ ებრაული წარმოშობისანი ვართო, და სახელიც ებრაული დაარქვა, თუმცა მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში მონათლა. დიდი ბებია სომეხი, ბებია კი ოსი ჰყავდა. ცოლი ჯერ სომეხი ჰყავდა (მერე სახლიდან გააგდო და მონაზვნად აღაკვეცინა), და და მერე გადამთიელი (სადღაც დონსა და ვოლგას შორის დაბადებული). უნდოდა, საქართველოში რომ თავისი ურჯულო ძმაკაცები ჩამოეყვანა — დარწმუნებული იყო, რომ ეგენი არ უღალატებდნენ — ქუთაისელების იმედი არ ჰქონდა, თბილისელების — მით უფრო. თან ერთი-ორი კაცი კი არა, ბევრი უნდოდა ჩამოესახლებინა.

მორწმუნე კი იყო, მაგრამ ეკლესიასთან ვერ დაალაგა საქმეები. ეკლესია მის კონკურენტებს უჭერდა მხარს. მას კი არ მოსწონდა, ნებისმიერ ავაზაკს და ძველ ბიჭს რომ შეეძლო ჯერ ემამაძაღლა, ექურდა, და მერე ფული ეკლესიისთვის შეეწირა და კარგი ტიპი გამხდარიყო, შეიძლება ეპისკოპოსიც კი. ქრთამები არ ევასებოდა, ეკლესიაში, უცბათ რომ სამღვდელო კარიერას აკეთებდნენ ბლატით და ა.შ. ამეებზე ძაან იბოღმებოდა. ნატრობდა — ეკლესიაში განხეთქილება მოხდეს და ჩემიანი ვინმე დაწინაურდესო. თავის ბიზნესს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ეკლესიას.

გადასახადებზეც უცნაური მოსაზრებები ჰქონდა — ვითომ უნდა სდომებოდა ქართველებისთვის შეღავათები, ის კი პირიქით ფიქრობდა — ქართველები სად წავლენ, მაინც აქ იქნებიან, უცხოელებს კი ნაკლები გადასახადები უნდა ქონდეთო გადასახდელიო.

ბევრს არ მოსწონდა, ბევრი ებრძოდა, დაუნდობელი იყო, საქმეში ხელს თუ შეუშლიდი, გაგანადგურებდა.

რას იტყვით მასზე თქვენ?

რა უნდა თქვას თბილისელმა, ქართული ჯიშისა და ჯილაგის მაქებარმა კაცმა, შევარდნაძის დროს ხაზინიდან მოპარულ ფულით კაცურად რომ ქეიფობს და საქართველოს სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისით სვამს, ეხლა კი სოროსისტებმა და ლიბერასტებმა სამშობლო გაუყიდეს, სამსახური დაუკარგეს და ქართველობას ართმევენ?

რას იტყვის არაერთი ჟინიანი პოლიტიკოსი, უცხო წარმოშობა ხინჯად რომ მიაჩნია?

რას იტყვის ქართველი დედა, შვილს რომ ეუბნება — სომეხი, რუსი, მაჰმადიანი ცოლად არ მოიყვანოო?

რას იტყვიან მართლმადიდებელმშობელთკავშირელასახალხომართმადიდებლები?

რას იტყვის ზოგი ქართველი წარმოება რომ გადაარჩენს საქართველოს თორემ მთავრობა მას კი არ ეხმარება უცხოელებს ეძებს?

— ბიჭი 1089 წელს გამეფებდა.

— 1103 წელს მოიწვია რუის-ურბნისის კრება, გადააყენებინა ულირსი სამღვდელო პირები, მწიგნობართუხუცესის და ჭყონდიდელის თანამდებობების გაერთიანებით დაუქვემდებარა ეკლესია სახელმწიფოს (რაც ოთხი საუკუნის მერე გააკეთა ჰენრი მერვემ ბრიტანეთში და ხუთი საუკუნის შემდეგ პეტრე პირველმა რუსეთში).

— 1118 წელს საქართველოში ჩამოასახლა რამდენიმე ათეული ათასი ყივჩაღთა ოჯახი, რაც ქართული მოსახლეობის (სავარაუდოდ, 100 ათასი ოჯახი) მნიშვნელოვანი წილი იყო.

— 1122 წელს, დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ალყა შემორარტყა და სისხლისმღვრელი ბრძოლით დაიპყრო თბილისი, სამი დღე ალაფა აკრეფინა თავისი რაზმებს და შემდეგ, ქალაქში მოსახლეობის და გამოცდილების შესანარჩუნებლად, დაუწესა გადასახადი ასე: მუსლიმებს სამი დინარი, ებრაელებს ოთხი და ქართველებს ხუთი.

— 1125 წელს, მრავალი სხვა საქმის გაკეთების შემდეგ, 53 წლის ასაკში, აღსრულდა წმიდა კეთილმსახური დავით მეოთხე ბაგრატიონი, მეფე ყოვლისა საქართველოჲსა აღმაშენებელად წოდებული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, ბიბლიური დავითის მოდგმა, ოსი ბორენას შვილიშვილი და სომეხ მარიამ არწრუნის შვილთაშვილი, რუსუდან სომეხთა მეფისასულის და გურანდუხტ ყივჩაღთმთავარ ათრაქას-ასულის მეუღლე.

მან დაწერა საკუთარ თავზე:

ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონად მივჰყიდე თავი“.

Posted by Kakha at 13:43.

წაიკითხეთ? და ისევ ფეხზე დგახართ?!

პირქვე დაემხეთ, ვითარცა გორში მფორთხავი, მუხლი მოიყარეთ ამ მონუმენტის წინაშე, რომლის შექმნას თვით მაესტრო ზურაბ წერეთელიც ვერ იკისრებდა ხრწნადი მასალისა გამო.

ვერ ჩაწვდით ბენდუქიძის ცინიზმის დიდებულებას? თავიდან წაიკითხეთ, ოღონდ რიხარდ ვაგნერის სამდღიანი ოპერის — „ნიბელუნგების ბეჭდის“ ფონზე.

სცადეთ!

ვოლტერი გამოგვეცხადა, ბატონებო! მკითხველთა ფიქრის მბრძანებელი და ლიტერატურული გემოვნების მოდის დამდები.

თუ ვაგნერმაც ვერ გიშველათ, ადექით და ჩემთან ერთად გაიმეორეთ: „სირობაა“ ეს ყველაფერი. ოღონდ „საიდუმლო“ კი არა, საქვეყნოდ გამოტანილი, როგორც გმირთა მოედნის ცენტრში ვერტიკალურად დაყენებული დაგრეხილი თაბახის ქაღალდი, მემორიალად წოდებული.

> ხომ ასეა, ბატონო, სერ თუ სირ?
>
> Хер?
>
> ვირეშმაკულად წერს. ვითომ ფაქტს აფიქსირებს, ისე, სასხვათაშორისოდ ამბობს, რომ ებრაელი იყოო დავითი („მამამ უთხრა“), „სახელიც ებრაული დაარქვა“, მაგრამ „მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში მონათლა“.
>
> ლატენტური ანტისემიტიზმია ეს, სხვა არაფერი.

ვირეშმაკულად წერს-მეთქი, ვითომ კარგს ამბობს მეფე დავითზე და თან ტალახში სვრის, გულღვარძლიანობას აბრალებს **და ეკლესიასთან მებრძოლ კარიერისტად წარმოგვიდგენს,** რომელიც ერთ რამეს ნატრობდა მხოლოდ: „ეკლესიაში განხეთქილება მოხდეს და ჩემიანი ვინმე დაწინაურდესო. თავის ბიზნესს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ეკლესიისას“. „...დაუნდობელი იყო, საქმეში ხელს თუ შეუშლიდი, გაგანადგურებდა“.

აერია, ალბათ, და იმ ბიჭზე წერს, ვინაც სარბევად და სათარეშოდ საქართველო უწილადა.

„რას იტყვით მასზე თქვენ?“ — აქეთ გვეკითხება. იმას ვიტყვით, რაც ახლა თქვენა ბრძანეთ, პატივცემულო ეზოპ! კერძოდ, „ქუთაისლების იმედი არ ჰქონდა, თბილისელების — მით უფრო“. იმდენად ეზიზღებოდა, რომ „ოცნებებში ხედავდა, ცხენზე ამხედრებული თავის რაზმელებთან ერთად თბილისელებს მუსრს როგორ ავლებს“.

> ვითომ დავით IV-ზე ლაპარაკობს, სააკაშვილზე კი მიგვანიშნებს.
>
> **განა ეს ეკადრება ამ თაობას, ამ ხანას? ასე უხდი მადლობას ბელადსა და ამხანაგს?**

ახალი ბელადები უფრო და უფრო კნინდებიან, რაც მათი მადიდებლების დონის პირდაპირ პროპორციულია — რაც ერიო, ის ბერიო.

„ლიტერატურულ ვნებათა“ აფორისტულობა (შეგიძლიათ აფერისტულობად გაშიფროთ) ბენდუქიძეს, ეტყობა, იმისთვის დასჭირდა, რომ დავით აღმაშენებლის მეუღლეების, საქართველოს დედოფლების უცხოტომელობით დღევანდელი პირველი ლედის ჰოლანდიური წარმოშობა ისტორიის კანონზომიერებად წარმოგვიდგინოს, ხოლო დავით მეფის „ებრაელობით“ სააკიან-სააკაშვილების შესაძლო სომხური წარმომავლობა ღვთივკურთხეული გარდუვალობით გაამართლოს.

ასე იყო და ასეც არისო!

დაბოლოს, ერთ ციტატას შემოგთავაზებთ, რომელიც მაინც და მაინც ახლა გამახსენდა. ეს არის ამონარიდი უდროოდ გარდაცვლილი ნოდარ ჯინის (ჯინჯიხაშვილის) უაღრესად საინტერესო წიგნიდან Иосиф Сталин. Учитель. (Евангелие от Иосифа):

> **„ყველა ადამიანი ამქვეყნად შემთხვევით იბადება. მაგრამ არიან ისეთები, ვისაც უცებ შეატყობ, რომ ცეტი სპერმის შედეგია, რომელიც არ კვდება და პერიოდულად ტვინში ურტყამს... რეკომენდებულია ამ ადამიანების გაუსამართლებლად დახვრეტა. მაგრამ მრავალგზის“.**

რაღა ახლა გამახსენდა?!

* * *

**ბენდუქიძის ოპუსის კომენტარი „საქართველო და მსოფლიომ“ ქართული მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს სთხოვა.**

**ჯანსუღ ჩარკვიანი, პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი:**

— მართალი გითხრათ, ბენდუქიძე, არ ვიცი, ვინაა. ის კი ვიცი, რომ ქართული სამზარეულო ამ დონემდე ვერ მიიყვანდა. მისი რაციონი კამოს მენიუთია გამდიდრებული.

სხვა რა მოგახსენოთ?

კაცი, რომელიც ვერ აზროვნებს, კაცი, რომელიც ზიზღითა და დოლარითაა გულ-მუცელ გავსებული, იმ კაცზე საუბარი არ ღირს.

> ერთადერთი, ვინც მეცოდება, დედამისია, რომელსაც წლების მანძილზე გაშორებული იყო — რუსეთში წავიდა და ჩამოიტანა განძი არაქართული — შური და აღვირახსნილობა. სამწუხაროდ, დღეს კიდევ არიან მსგავსი არაქართველები, რომლებიც, ალბათ, სამომავლოდ იყვირებენ: გაუმარჯოს ბოროტებას! გაუმარჯოს ზიზღს! გაუმარჯოს სიძულვილს! ძირს მართლმადიდებლური სარწმუნოება, რამეთუ ჩვენა ვართ ამქვეყნიური ეშმაკები და ბოროტები!

აი, ესაა ჩემი სათქმელი. გათავდა და მორჩა!

**რეზო ამაშუკელი, პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი:**

— როცა რაღაც შეიცვლება და აუცილებლად შეიცვლება, დროის ამბავია, ეს ნეხვის ზვინი თავის საკადრის პასუხს მიიღებს.

თავის დროზე, როცა სახელმწიფოს ბიუჯეტის შევსება უჭირდა, **შევთავაზე, მიეყიდათ ბენდუქიძე რომელიმე ზოოპარკისთვის, რადგან სამყაროში მაგისი მსგავსი ცხოველი არ არსებობს. წარმოიდგინეთ, ეს ორტონიანი ღორი მოკლე შარვლით, მზესუმზირით ჯიბეში სიდნეის ზოოპარკის ვოლიერში რომ გამოგორდება, ბავშვები როგორ გაიხარებენ!**

მსოფლიოს ნებისმიერი ზოოპარკი იყიდის მაგას და დიდ ფულსაც გადაიხდის, მაგრამ გადაგზავნა გაძნელდება. ამიტომ უნდა დავიქირაოთ დიდი ტვირთმზიდი თვითმფრინავი „რუსლანი“ და გადავაფრინოთ დანიშნულებისამებრ. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ აუცილებლად საპნად უნდა მოვხარშოთ. ბევრი გამოვა, მაგრამ მყრალი იქნება. ამიტომ **სურნელოვანი მინარევები დავუმატოთ და ასე გავასაღოთ. აქედანაც კარგი ფული შემოვა და გამაგრდება ბიუჯეტი.**

**აკადემიკოსმა რონინ მეტრეველმა** თქვა:

— წარმოდგენა არ მაქვს, ასეთ სიბინძურეს რა პასუხი უნდა გაეცეს. თუ გამოაქვეყნებთ, თითოეული ქართველისგან საკადრის პასუხს მიიღებს! გირჩევთ, ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს მიმართოთ.

**მივმართეთ. ქალბატონმა მარიკამ, როგორც მანდილოსან მეცნიერს შეჰფერის, ასე თუ ისე, შეძლო ემოციების შეკავება და ანალიტიკურად გაარჩია ბენდუქიძის „ოპუსი №1“.**

**მარიკა ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი:**

— გაუგებარია, რატომ დასჭირდა წარმატებულ ბიზნესმენს საკუთარი სამშობლოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის, მეფე დავით IV აღმაშენებლის, ასეთი დამცინავი ტონით მოხსენიება?! ალბათ, მას არ აქვს ქართული ეროვნული თვითშეგნება, საქართველოს სამშობლოდ აღქმის გრძნობა. წლების მანძილზე რუსეთში ცხოვრების პირობებში მას, შეიძლება, ჩამოუყალიბდა რუსული ეროვნული მენტალიტეტი.

▶

◀ არ ვიცი, იქ რა მოხდა, მაგრამ ადვილად რომ გაეცალა რუსეთს და დაბრუნდა საქართველოში, ფაქტია.

საინტერესოა, საიდან გაიგო მან, რომ დავითს თბილისი ბავშვობიდანვე არ უყვარდა, „ოცნებებში ხედავდა", როგორ ავლებდა მუსრს თბილისელებს. ხომ საქვეყნოდ ცნობილია, რომ ამ დროს დავითი მაჰმადიანთა ულლისგან თბილისის გასათავისუფლებლად იბრძოდა და გაათავისუფლა კიდეც. ხოლო საქართველოს დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა.

რაც შეეხება თბილისის მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადების სისტემას, ხომ ცნობილია, რომ მაჰმადიანთა ხელში მყოფ თბილისში ვაჭრობა მთლიანად მაჰმადიანთა (და ნაწილობრივ სომეხთა) ხელთ იყო. დავით მეფემ თბილისელ მაჰმადიანებს შეღავათები მიანიჭა, რათა არ ამოეგდო თბილისი იმ საერთაშორისო ვაჭრობიდან, რომელიც ამ დროს მახლობელ აღმოსავლეთში არსებობდა. თბილისიდან, როგორც სატრანზიტო სავაჭრო გზაზე მდებარე ქალაქიდან, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი შემოსავალი ჰქონდა.

**სრულიად უადგილოა, თუნდაც გადატანითი მნიშვნელობით მეფობის „ბიზნესთან" გაიგივება: დავით IV-მ ტახტი საქართველოში საუკუნეთა მანძლზე დამკვიდრებული მემკვიდრეობის წესით მიიღო. გათვალისწინებულია ისიც, რომ 16 წლის ახალგაზრდა იმდროინდელ საქართველოში „ბიჭი" არ არის, ჩამოყალიბებული პიროვნებაა და ეს რომ ასეა, სწორედ დავით IV-ს მაგალითზე კარგად ჩანს.**

ბატონმა ბენდუქიძემ უნდა იფიქროს იმაზე, რომ სახელმწიფო მოღვაწის ყველაზე პირუთვნელი მსაჯული ხალხი და ისტორიაა. სწორედ ქართველმა ხალხმა, მემკვიდრეებმა, შემდგომმა თაობებმა დავით მეოთხეს აღმაშენებელი უწოდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რა მაღალ შეფასებას აძლევენ მას, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, თანამედროვე თუ მომდევნო ხანის სომეხი, ევროპელი და სხვა ქვეყნების ისტორიკოსები.

საქართველოს დედოფლების შესახებ საუბრისას აუცილებელია იმის ცოდნა, რომ ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარქიაში ქვეშევრდომის დედოფლად დასმა არასასურველი იყო, რათა მისი ოჯახის წევრებს გავლენა ვერ მოეხდინათ მეფეზე. ასეთი ტენდენცია სხვა ქვეყნებშიც შეინიშნება. ამიტომ იყვნენ ჩვენი დედოფლები ბერძნები, სომხები, ოსები ან სხვა მეზობელი ქვეყნების სამეფო ოჯახთა შვილები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დინასტიურ ქორწინებებს პოლიტიკური მიზნები ჰქონდა. პოტენციურ დედოფლებს, როგორც წესი, ქრისტიანობაზე მოაქცევდნენ, ქართულ ყოფასა და ტრადიციებს აზიარებდნენ და შემდეგ მოჰყავდათ მეფის თანამეცხედრედ.

ბაგრატიონთა ღვთიური (სწორედ ღვთიური) წარმომავლობა ბიბლიური წარმოშობის მემკვიდრეობით სქემას ემყარება და დავითის გამეფებამდე ეს კარგად იცოდნენ არა მარტო ქართული სამეფო სახლის წევრებმა, ჩვენმა მეზობლებმაც (ბერძნებმა, სომხებმა).

დავითმა მის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმით სახელმწიფო მმართველობისა და ეკლესიის ინტერესები გააერთიანა, რითაც ქვეყნის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

იქნებ, არცაა საჭირო წერილში წამოჭრილ ყველა საკითხზე დავა, იქნებ, რაც ითქვა, ისიც ზედმეტია?!

მე არ ვიცი, რამდენად კარგად ასრულებს ბენდუქიძე ბიზნესმენის ერთ-ერთ მოვალეობას — ქველმოქმედებას, მაგრამ **რამდენიმე წლის წინათ, როცა იგი ჯერ კიდევ მოსკოვში მოღვაწეობდა, ივანე ჯავახიშვილის „შრომათა" თორმეტტომეულის ერთი ტომის დაფინანსება ვთხოვეთ. მან ეროვნული ისტორიისადმი დამოკიდებულება იმით გამოამჟღავნა, რომ პასუხის გაცემაც არ ჩათვალა საჭიროდ.**

* * *

დიდი მადლობა მოვახსენოთ ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს, რადგან მისი კორექტული შენიშვნები და განმარტებები, ძალიან სჭირდება „ინტერნეტში მორბენალ" თაობას, რომლის 31 წარმომადგენლიდან, ვინც ბენდუქიძის ბლოგს ერთი დღის განმავლობაში ეწვია, 30-მა სულ ტაში უკრა და „ბრავო!" უძახა.

ერთმა შეხედა მხოლოდ კრიტიკული თვალით და მისწერა:

**„ბატონო კახა, სად დავითის რეფორმა და სად გენრიხ მერვესი და პეტრე პირველის?! დავითი სწორედაც რომ არ აყენებდა „თავის ბიზნესს ეკლესიაზე მაღლა", გაწმინდა ეკლესია ერესისგან და უამრავი სიბინძურისგან. რუის-ურბნისის კრებით ჭეშმარიტი სარწმუნოება დაუბრუნა ამ გზააბნეულ ხალხს. პეტრე პირველის მთელი მოღვაწეობა კი სრულიად ანტიმართლმადიდებლური იყო — საპატრიარქო მმართველობა გააუქმა და სინოდი დააარსა, კალენდარი შეცვალა და კიდევ ვინ მოთვლის რა.. არაფერს ვამბობ გენრიხზე, რომელმაც პირადი ინტერესების გამო გაწყვიტა რომის ეკლესიასთან ურთიერთობა და თავი დედამიწაზე ღმერთის მოციქულად გამოაცხადა.**

**საერთოდ, ძალიან მრავალაზროვანი „პოსტია". ყველა ნახავს თავის გასახარს — ისიც, ვინც დავითს ვერ იტანს და ისიც, ვისაც უყვარს. თუმცა დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ნეგატივი უფრო მეტია.**

**და ისე, მართლმადიდებელი სომეხი, ოსი და „გადამთიელი" მირჩევნია გადაგვარებულ „სვეტ" ქართველს, გეების აღლუმზე რომ ოცნებობს. იქნებ, დავითიც ასე ფიქრობდა?!".**

**ამ „ბლოგერის" ნამდვილი სახელი და გვარი, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია.**

**Taisia — ამ ფსევდონიმით წერს.**

**გაიხარე, ტაისია!**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ყვებიან, რომ ერთ დროს ჩინეთს ერთი იმპერატორი მართავდა. ცუდად მართავდა და ცუდად ისროდა მშვილდით ისარს. ყოველთვის აცდენდა მიზანს. შემდეგ შემოხაზავდა წრეს იმ წერტილის გარშემო, სადაც მოხვდებოდა მისი ნატყორცნი ისარი და ხარობდა — გულისგულში მოვარტყიო.**

**იმ იმპერატორს ხომ არ ბაძავს ეს მეიგავე დერვიში?**

**მიზანი აქვს გამრუდებული და რას უშველის თაყვანისმცემელთა წრეების შემოხაზვა ინტერნეტოპუსების გარშემო. ერთ ნაცოდვილარზე დღეს ვილაპარაკეთ, მის „ოპუს №2"-ს სათაურით „ჩვენი სტერეოტიპები", სადაც ქართველები პაპუასებთან ვყავართ გაიგივებული, თუ საჭირო გახდა, მივუბრუნდებით.**

**ა.ს.**

# სიჩლუნგე და უზნეობა, ანუ გვეშველება რამე?

**ამ სათაურის შემდეგ ერთი მოკლე „არას" დაწერაც საკმარისი იქნებოდა, მაგრამ, როგორ თუ არ გვეშველებაო, ხომ აღშფოთდებიან მიშიაკები, რატომ არ გვეშველებაო, ხომ იკითხავენ ურა-პატრიოტები. ჰოდა, ვეცდები, პოპულარულ ენაზე აგიხსნათ, პირველებო, და დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა, მეორენო. ნორმალური ხალხი ისედაც ყველაფერს ხვდება.**



პირველი და უმთავრესი. ისეთი დაჩლუნგებული აზროვნების პირობებში, როგორიც ქართველობას გააჩნია (კოლექტიურ აზროვნებაზეა საუბარი და არა ინდივიდუალურზე, თუმცა, კარგა ხანია, ამ უკანასკნელშიც არ ვწყვეტთ ციდან ვარსკვლავებს), არანაირი შანსი არ გაგვაჩნია, რომ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები დავადგინოთ ობიექტურად და, შესაბამისად, ამ მიზეზების აღმოფხვრაზე ვიმუშაოთ.

**„მოდი დავეტყეპოთ ახლა რამდენიმე დღით მთავრობის სახლის კიბეზე, გამოვაცხადოთ შიმშილობა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდანაც გავალთო",** — თქვეს ჩლუნგებმა 1989 წლის აპრილში და ნათქვამი შეასრულეს კიდეც. შეასრულეს, ოღონდ ამ ნათქვამის ბოლო ნაწილის გარეშე. სამწუხაროდ და საუბედუროდ, ამ ყველაფერს ისინი შეეწირნენ, ვისაც საქართველო მართლაც უყვარდა.

შემდეგ ჩლუნგებმა სამტრედიის რკინიგზის კვანძზე გადაინაცვლეს და – აქედან უნდა დავანგრიოთ საბჭოთა იმპერიის ეკონომიკაო – გამოაცხადეს. და ჩვენ ვართ რუსთველისა და ილიას შთამომავლები, მამარდაშვილის თანამედროვენი...

**ქართველი მაშინ ხარ და საქართველო მაშინ გიყვარს, თუ სუფთა ქართულით მეტყველებ, ხოლო შიგადაშიგ, რუსული აღზრდა-განათლების გამო, საუბარში თუ რუსულ სიტყვებს ურევ, რუსეთუმე და კრემლის აგენტი ხარ. ასე თქვა მაშინ მეზღაპრე პეტრიაშვილმა და მთელი ერიც აჰყვა. ერი, რომელმაც მერაბ მამარდაშვილი გვერდზე გასწია, უსტვინა, ინფარქტამდე მიიყვანა და უკვე ხსენებული პეტრიაშვილის ჭკუაზე სიარული ამჯობინა. ესეც ვნახეთ.**

შარშან, აპრილის საპროტესტო აქციების დროს, რუსთაველზე ახლობელი შემხვდა და როგორ ხარო, მკითხა. როგორ ვიქნები, 21-ე წელია, ამ ქუჩასა და საპროტესტო აქციებს ვერ გავცდით-მეთქი. გავაფანატებთ ვიღაცას, ამოვიჩემებთ, გინდა თუ არა, ესაა ერის გადამრჩენელიო, შემდეგ მოსახლეობის ნახევრის აზრი ჩვენსას არ ემთხვევა და იწყება გამიშვი-გამატარე. ჩვენი გასაკეთებელი რომ არის ძირითადი საქმე, ამაზე ნურას უკაცრავად. „ის" უნდა ავირჩიოთ და „იმან" უნდა მოგვიწყოს საამური ცხოვრება.

**პარადოქსია, მაგრამ ყველაზე ზუსტი რეაქცია ქართველთა პათოლოგიურ მოთხოვნილებაზე ბელადის თუ კერპის ყოლის შესახებ ისეთმა ოდიოზურმა ფიგურამ გამოხატა, როგორიც ჯაბა იოსელიანი იყო. გახსოვთ, ალბათ, მისი ერთ-ერთი „ფრთიანი" გამონათქვამი – სულ იმას მეკითხებიან, ვის გავყვეთ, ვის გავყვეთო. ტრამვაის გაყევით, მე თქვენი...**

ჩვენი საქმე იმანაც გაართულა, რომ ერთმანეთში აღრეულია სიჩლუნგე და უზნეობა და ხშირად ძალიან რთულია იმის გარკვევა, რომელ მათგანთან გვაქვს საქმე. 200 ათასი ადამიანი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ნეშტის ჩამოსვენებას დაესწრო და რუსთაველზე შეიკრიბა, ჩლუნგი იყო თუ უზნეო? ვერ ხვდებოდნენ, რომ იმდროინდელ ოპოზიციასთან და იოსელიან-კიტოვანებთან ერთად სწორედ გამსახურდიას ხელისუფლებას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ქვეყნის გახლეჩვის, სამოქალაქო ომამდე მიყვანისა და აფხაზეთის დაკარგვის გამო? თუ ხვდებოდნენ, მაგრამ „ეკიდათ"? თუ, ეგონათ, გამსახურდია რომ არ ყოფილიყო, საბჭოთა კავშირი არ დაინგრეოდა?

**ვინც „ვარდების რევოლუციამდე" ვერ ხვდებოდა, რომ სააკაშვილი მთლად დალაგებული ფსიქიკის პატრონი არ იყო, ჩლუნგი იყო და მართლა ვერ ხვდებოდა, თუ, ხვდებოდა, მაგრამ „ოღონდ შევარდნაძე მოგვეშორებინა და მერე რამე იქნებოდა"?**

**ვინც 12 აგვისტოს პარლამენტის შენობის წინ ტაშფანდურს მართავდა და სჯეროდა, რომ საქართველომ რუსეთს ომი მოუგო?**

**ვინც კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდება – ერთად დავდგეთ და ჩუმად ვილოცოთო – გააუკუღმართა, გაამიშარასტა და უაზრო ღრეობა მოაწყო „ცოცხალი ჯაჭვის" სახელწოდებით? და ამით რუსეთს ვუმტკიცებდით რამეს, არა?**

**და ვისაც გიორგი თარგამაძე ოპოზიციონერი ჰგონია?**

**ხაზი მინდა გავუსვა, მე არ ვსაუბრობ უკვე სამი ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე საქართველოს სახელმწიფოს წინაშე, არც ოპოზიციის „დიაგნოზი" მაინტერესებს ამჯერად. უბრალოდ, როგორც ერთმა ადამიანმა ამას წინათ მითხრა, როცა ხალხი ასე „აზროვნებს", საიდან უნდა მოიყვანო ან ნორმალური ხელისუფლება, ან ნორმალური ოპოზიციაო?**

„ქართველები ზარმაცი ხალხი არ ვართო", — ამომრჩეველთა შორის ქულების დასაწერად ამტკიცებდა სააკაშვილი წლების მანძილზე. როგორ არ ვართ, ჩემო კარგებო და ძვირფასებო, ზარმაცები ვართ, აბა, რა? ზარმაცი მხოლოდ ისაა, ვისაც სამსახურში სიარული ეზარება? როცა გაუსაძლისი ეკონომიკური მდგომარეობაა და, თუ არ იმუშავებ, ელემენტარულად, შიმშილით მოკვდები, ნამდვილად აიძულებ საკუთარ თავს, რომ ცოტა „გაინძრე", მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ზარმაცები არ ვართ. რაც ყველაზე მთავარი და ცუდია, აზროვნება გვეზარება, აზროვნება!

**დავანებოთ თავი ხელისუფლებას თავის ოპოზიციანად, ქუჩაში, საგზაო მოძრაობას ვინ ჩივის, მანქანის ნორმალურად გაჩერება ვინ უნდა გვასწავლოს, სააკაშვილმა? თუ გრეჩიხამ უნდა გვითხრას – მანქანა ისე გააჩერეთ, რომ არავინ არ ჩაკეტოთო? მეტი არაა ჩემი და თქვენი მტერი, იმან ეგ არ გვითხრას... სკოლაში ბავშვის დატუქსვის მსურველი მასწავლებელი მშობელს რომ დაიბარებს და თვითონვე რომ მიხვდება, რომ ეს მშობელი თავის ბავშვზე არანაკლები გაუზრდელია, ეს ეკა ხერხეულიძის ბრალია თუ კახა კუკავასი?**

ამას წინათ ერთმა სოციოლოგიურმა სამსახურმა გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხულთა უდიდესმა უმრავლესობამ ნომერ პირველ პრობლემად უმუშევრობა, სიღატაკე და, ზოგადად, სოციალური სფერო დაასახელა. პარადოქსი კი ის არის, რომ მეორე შეკითხვაზე – თქვენი აზრით, რომელი პრობლემა უნდა მოაგვაროს ხელისუფლებამ პირველ რიგშიო, გამოკითხულთა იმავე უმრავლესობამ... ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაასახელა. და ამის მერე ჩვენ ვიტყვით, რომ ვაზროვნებთ?

**ღმერთმა დამიფაროს, იმას ვამტკიცებდე, რომ ქართველები ვინმეზე უარესი ვართ ან რომელიმე სხვა ერი ჩვენზე უკეთესია. მოგეხსენებათ, შედარებები ასეთ საკითხებში საერთოდ სისულელეა და, თუ ხაზი ჩვენი მენტალიტეტის მანკიერებას გავუსვი, გავუსვი იმიტომ, რომ ქართველი ვარ და ქართული მტკივა. ბევრი რამ იმდენად კარგი გვაქვს, ბარე ერთი-ორ სხვა ერს არ დაესიზმრება, მაგრამ რად გინდა, ჩვენივე ხელით ვყრით ყველაფერს წყალში.**

კიდევ ერთი გამოკითხვის შედეგები და ამის კომენტარი უკვე მკითხველისთვის მიმინდვია.

ორი თუ სამი წლის წინათ, რაიონებს ვინ ჩივის და თბილისელებს დაუსვეს კითხვა, ზაფხულის ცხელ დღეებში რა სიხშირით იღებდნენ შხაპს. შხაპზე, ანუ წყლის გადავლებაზე იყო საუბარი და არა — ბანაობაზე, ვინმეს საპნის უქონლობა რომ არ მოემიზეზებინა, ალბათ.

ყოველდღეო, უპასუხა გამოკითხულთა 7%-მა.

გვეშველება რამე?



**არჩილ ჩხარტიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# პანკისის ხეობის ტყეების მითვისება პეტრე ცისკარიშვილს არ გამოუვიდა

**რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ საქართველოში ტყეების გასხვისება ისევ იგეგმება. ბოლო აუქციონი შარშან, ოქტომბერში გაიმართა, ივნისში კი ეკონომიკის სამინისტრო აუქციონზე წინანდლის, პანკისის ხეობისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტყეების ნაწილის გასხვისებას გეგმავს. ცნობილია, რომ ტყეები აუქციონზე გამარჯვებულს 10 წლით გადაეცემა, საიდანაც ეკონომიკის სამინისტრო 800 ათას ლარზე მეტის მიღებას ვარაუდობს. ჯერ კიდევ კახა ბენდუქიძის მიერ დაწყებული ტყეების გასხვისება ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა ლაშა ჟვანიამ იმ მოტივით შეაჩერა, რომ ტყეები აღწერის გარეშე იყიდებოდა.**





ძალიან სასიამოვნოა, რომ ტყეს მოულოდნელად ამდენი გულანთებული პატრონი გამოუჩნდა. ყველას ახსოვს, ალბათ, დრო, როცა წიფლით დატვირთული მორები თურქეთში გაჰქონდათ. მაშინ რატომღაც არავის ახსენდებოდა საქართველოს ტყეები. ფაქტი ისაა, რომ ვერც დღევანდელი მთავრობა უვლის ტყეებს. თუმცა მასმედიის საშუალებით არაერთხელ გვინახავს, როგორ რგავენ ხეებს მაღალჩინოსნები ჩვენი თვალის ასახვევად. აუქციონით ტყეების გაყიდვა პირდაპირ ნიშნავს ტყეების განუკითხავად გაჩეხვას. ჯერ ბენდუქიძე ანიავებდა სახალხო ქონებას, თითქოს ყველაფერი მისი და მიშასი ყოფილიყოს, ახლა მისი მემკვიდრეები აგრძელებენ ამ საქმეს.

ნორმალურ ქვეყნებში აქვთ დიდი სია იმ რესურსებისა, რომლებიც ნაციონალურ სიმდიდრედაა გამოცხადებული და მისი ხელის ხლება კანონით ისჯება!

საქართველოში კი კვლავაც უმოწყალოდ იჭრება უნიკალური ჯიშის ხეები ხარაგაულისა და ხაშურის რაიონებში, ჯერ კიდევ გასულ წელს „ტყის დაცვის კომიტეტის“ მუშაობამ, რომელიც „ლეიბორისტული პარტიის“ ინიციატივით 2009 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა, შედეგი გამოიღო და ის ტყეები, რომლებიც ხელისუფლების მიერ გასაყიდად იყო გამოტანილი, აღარ გაიყიდა. მხოლოდ ტყით სარგებლობის ლიცენზიები გაიცა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ თავისი ბნელი ზრახვები ვერ განახორციელა. ასე გადაურჩა გასხვისებას ახმეტის და ყვარლის ტყეები.

**„მწვანეთა მოძრაობის“ თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძის აზრით, დაუშვებელია პანკისის ხეობის ტყეების გასხვისება. ჯერ ერთი, რომ ხეობაში უნიკალური ჯიშის ხეებია; ამას გარდა, ხეობა სასაზღვრო ზოლზე გადის, ამიტომ ტყეები კი არ უნდა გაიკაფოს, დაცულ ტერიტორიებად უნდა გამოცხადდეს.**

ნეტავ, სადმე კიდევ დარჩა ტყე გასაყიდი?! ეკონომიკის სამინისტრო მაღაზიასავითაა (ეკონომიკის არარსებობის გამო) და მხოლოდ ქონების გაყიდვით არის დაკავებული. ასე ესმით ჩვენთან ეკონომიკა. ბევრ ქვეყანაში ტყეებს პატრონი ჰყავს, კანონი კანონობს და მის შესაბამისად ხდება ხე-მცენარეების მოვლაც და განახლებაც. ჩვენთან კი მსგავსი არაფერი შეიმჩნევა. ყველამ კარგად იცის, როგორ ტარდება ტენდერები და როგორ იდებენ ჯიბეში ფულს. ნორმალურ ქვეყანაში კი ტყის გაჩეხვას აკონტროლებენ. აქ კი ყველა ბიზნესს ზურგს სახელმწიფო უმაგრებს, ახალი მთავრობა მამულიშვილურ ვალად თვლის ძველისგან „დაკრიშული“ ხალხის გაწენვას; შესაბამისად, არავის არ აქვს იმის განცდა, რომ ბოლომდე შერჩებათ, რაც „მიირთვეს“. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი მათთვის ისაა, რომ გაყიდონ თავიანთი ბიზნესი.

**კარგი იქნება, იმავე სატყეო კომპანიებმა ფული ჩადონ კადრების მომზადებაში — მეტყევეების, ტყის ეკოლოგების გაზრდაში. საქართველოს ამჟამად ამ სფეროში კვალიფიციური კადრი სჭირდება, რომელიც მხოლოდ უნივერსიტეტებში შეიძლება აღიზარდოს, თორემ დღეს მხოლოდ ყვირილი აღარაა საკმარისი, განათლება და კვალიფიკაციაა აუცილებელი.**

ყველას გვახსოვს, ალბათ, ქვიშხეთთან ახლოს ერთ-ერთი ძალოვანი მინისტრის ძმამ სპეციალური სახერხი ქარხანა რომ გამართა, სადაც მხოლოდ საზღვარგარეთ გასაგზავნი წაბლი იხერხებოდა. ქარხანა პრეზიდენტმა დაათვალიერა, მოიწონა და პატრონი შეაქო. ამის შემდეგ ვის აქვს ორი თავი, ეჭვით შეხედოს წაბლის მოჭრას და საზღვარგარეთ მის გაგზავნას? არადა, მთელმა რაიონმა იცოდა, რომ ვერტმფრენებით გამოიზიდა წაბლის მორები ხარაგაულის ტყის მიუვალი ადგილებიდან, დაიხერხა ხაშურში და გაიგზავნა იტალიაში.

**ეკონომიკის მინისტრ ლაშა ჟვანიას სკანდალური განცხადებიდან ირკვევა, რომ ტყეები ისე სხვისდებოდა და მისი გაყიდვაც ისე იგეგმებოდა, რომ აღწერა საერთოდ არ იყო ჩატარებული; არავინ იცოდა, რისი ლიცენზია გამოდიოდა აუქციონზე. 2008 წლის დეკემბერში ტყეების გასხვისება ეკონომიკის მინისტრმა საკუთარი გადაწყვეტილებით შეაჩერა, რაც მაშინ** ▶

# ჯარიმა — ბიუჯეტის შევსების საშუალება

**როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მთვარობას დაპირებები ავიწყდება. დაპირებები უფრო აქტუალური არჩევნების პერიოდშია, ჩაივლის არჩევნები და ვითომც არაფერი. ჯერ კიდევ როდის ითქვა, რომ ახალი გადასახადების შემოღების თუ არსებულის შემცირება-გაზრდის საკითხი რეფერენდუმზე უნდა გადაწყვეტილიყო. მიუხედავად პარლამენტის ამ ინიციატივისა, მთავრობა ახალი გადასახადების შემოღების ინიციატივით მაინც გამოვიდა. მალე „საავტომობილო გზების შესახებ“ კანონში ცვლილებები იგეგმება. კანონპროექტს პარლამენტი მალე განიხილავს და, სავარაუდოდ, დაამტკიცებს კიდეც. ამის გარდა, მთავრობა გადასახადის დაწესებას ითხოვს საავატომობილო გზით სარგებლობაზე, ასევე, მკაცრდება კანონი ესკორტის მოძრაობის ხელის შეშლისათვის.**



ინიციატივის არგუმენტად დანაშაულის პრევენცია სახელდება. სულ ცოტა ხნის წინათ პარლამენტმა მთავრობის ინიციატივით 2009 წლის 15 ივნისამდე ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებისთვის დაკისრებულ გადაუხდელ ჯარიმებსა და მასზე დარიცხულ საურავებზე ამნისტია გამოაცხადა. ამნისტიის არგუმენტად კი არსებული სოციალური ფონი დასახელდა.

**ალბათ, კურიოზია, როცა ამნისტია სწორედ იმ დანაშაულებებს შეეხო, რაზეც ახლა ჯარიმები იზრდება. თუკი ეს ნაბიჯი საარჩევნოდ მოქალაქეების გულის მოგებას ემსახურებოდა, ახლა უკვე პარლამენტის ინიციატივა ბიუჯეტის შესავსებად ესაჭიროებათ. უარესი კიდევ ისაა, რომ ბიუჯეტის შევსების საკითხი თუ ამ წყაროებზეა დასული, ჩვენი საქმე იმაზე ცუდად ყოფილა, ვიდრე გვეგონა.**

გასაკვირი, ალბათ, უფრო ის იქნებოდა, ამ ხელისუფლებას რაიმე ჭკვიანური რომ გაეკეთებინა. თუკი ერთი თვის წინათ მოსახლეობის სოციალურ ფონზე ლაპარაკობ და ამნისტიას აცხადებ, შეიძლება ერთი თვის შემდეგ იგივე დანაშაულზე სასჯელი და ჯარიმა გააორმაგო? **ალბათ, ამ ერთ თვეში მოსახლეობა ისე გამდიდრდა, რომ მათთვის ეს ჯარიმა პრობლემას აღარ წარმოადგენს. მთავარი კი ისაა, რომ არჩევნებმა ჩაიარა და ახლა არავის გულის მოგება არ სჭირდებათ. ბიუჯეტიც შესავსებია და ეს არის პირველი გზა, რითაც ბიუჯეტის შევსებას გეგმავენ. მერე არჩევნები რომ მოვა, ისევ ამნისტიას გამოაცხადებენ და მოსახლეობას ეტყვიან, ხომ ხედავთ, რა კარგები ვართო.**

კანონპროექტს საბოლოო სახე ჯერ არ მიუღია, თუმცა რა საკითხები შევა მასში, მასმედიისთვის უკვე ცნობილი გახდა. საქმე ეხება გზათსარგებლობის გადასახადის დაწესებას. კანონპროექტი არეგულირებს გზათსარგებლობის საფასურის განაკვეთებთან, გადახდის წესთან და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. **რაც შეეხება გზით სარგებლობის საფასურს, ის ჯერ მხოლოდ იმ სატვირთო ავტომობილების მფლობელებისთვის დადგინდება, რომლებიც საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთების გადაზიდვას ახორციელებენ. მაგრამ ვერაფერს ამბობენ, თუ რამდენი იქნება გადასახადი და რა გავლენას იქონიებს ის ტრანზიტზე.**

ყველაზე კურიოზული, ალბათ, ღვედის გამოუყენებლობაზე ჯარიმის გაორმაგებაა; მით უმეტეს, რომ თბილისში ღვედების ტარების აუცილებლობა ახლა დააწესეს და ჯარიმასაც გააორმაგებენ. მართალია, ქართველები ძნელად ეგუებიან სიახლეებს, ღვედიც ზოგიერთისთვის უცხო ხილია და მისი გამოყენება მას მხოლოდ საპატრულო მანქანის დანახვისას ახსენდება, მაგრამ ჯარიმის გაორმაგება მეტისმეტია. **ღვედის გამოუყენებლობა ისეთ საავტომობილო გზაზე, სადაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ნებადართულია 80 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, აქამდე მოქმედი ნორმით, რომელიც 20 ლარით დაჯარიმებას ითვალისწინებდა, ჯარიმა უკვე 40 ლარს შეადგენს.**

**მძღოლს, რომელიც იმ სატრანსპორტო საშუალებებს შეაფერხებს, რომლებზეც სპეციალური სიგნალებია ჩართული და ესკორტს ახორციელებენ, 6 თვით ჩამოერთმევა მართვის უფლება; უცხოელ მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს კი 300 ლარით აჯარიმებენ. პროექტის თანახმად, ესკორტის მოძრაობის ხელისშეშლა გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 1 წლის ვადით. უცხო ქვეყნის მოქალაქეები კი ასეთ შემთხვევაში 500 ლარით დაჯარიმდებიან.** თუმცა ზუსტად რა იგულისხმება ესკორტისათვის ხელის შეშლაში, რამდენი წუთის შემდეგ შეიძლება ბრალის წაყენება და როგორ განხორციელდება დაჯარიმების პროცესი, კანონპროექტის ავტორებმაც არ იციან.

რაც შეეხება სიმთვრალეს, კი, ბატონო, ამაზე სანქციის გამკაცრება შესაძლოა არავის გაუკვირდეს. სტატისტიკურად ბოლო პერიოდში ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის დროს მომხდარმა ავარიებმა მკვეთრად იმატა. ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაც კი აღმოვჩნდით ავტოავარიების რაოდენობის მხრივ. ვინც საკუთარ ავტომობილსა და ჯანმრთელობას არ უფრთხილდება, ნასვამ მდგომარეობაშიც კი არ ამბობს უარს ავტომანქანის მართვაზე, ახალი კანონპროექტით გათვალისწინებული ჯარიმები ნამდვილად დააფიქრებს. **კანონპროექტში შესული ცვლილებების თანახმად, ნასვამი მძღოლები, 150 ლარის ნაცვლად, ამიერიდან 200 ლარით დაჯარიმდებიან; ხოლო პირები, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებას სამართავად მთვრალ პირს გადასცემენ, 170-ის ნაცვლად, 250 ლარს გადაიხდიან.**

**ამასთან, მართვის შეუსაბამო კატეგორიის მოწმობის მქონე მძღოლებს ჯარიმის ოდენობა უოთხმაგდებათ. თუ პირს მის მიერ მართული სატრანსპორტო საშუალების შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა არ გააჩნია, იგი სადღეისოდ მოქმედი 50-ლარიანის ნაცვლად, 200-ლარიან ჯარიმას გადაიხდის.**

კანონპროექტის თანახმად, **„ჯარიმის ან საურავის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის გამო, მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილება შეიძლება გაუქმდეს და სამართალდამრღვევს მართვის მოწმობა დაუბრუნდეს“.**

ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პირი მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლამდე გადაიხდის ჯარიმის გადაუხდელობისთვის დაკისრებულ საურავს და დამატებით 1000-ლარიან ჯარიმას. ამასთან, ეს ▶



**არასამთავრობო სექტორის მიერ სამართლიან გადაწყვეტილებად შეფასდა.**

**საგარეჯოს რაიონის ცნობილი უდაბნო ადრე ტყის მასივებით იყო დაფარული. მისმა გაჩეხვამ წყაროების დაშრობა გამოიწვია და ერთ დროს ტყიანი ტერიტორია გადაიქცა უდაბნოდ. ასე თუ გაგრძელდა უდაბნოები მოგვიმრავლდება.**

გასხვისება-გაქირავებასაც თავისი წესები აქვს; მქირავებელი როდესაც სარგებლობს ტყით, მას განსაზღვრული რაოდენობის ხის მოჭრა შეუძლია წელიწადში და ტყის განაშენიანებაზეც ზრუნავს.

**საინტერესოა, ლეიბორისტების ინიციატივით ჩამოყალიბებული „ტყის დაცვის კომიტეტი“ წელს რა გზით აპირებს, ტყეები გასხვისება-გაყიდვას რომ გადაარჩინოს.**

**სოსო შატბერაშვილი:** — ჩვენ ჩავშალეთ 11 ივნისს დაგეგმილი პირველი აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იყო პანკისის ხეობის ტყეები. ამასთან, გამოვავლინეთ, რომ ამ ტყეების შესყიდვის უკან პეტრე ცისკარიშვილი იდგა. ის იყო დაინტრესებული, რომ ტყეები მის მფლობელობაში გადასულიყო; თუმცა თვითონ ამ საქმეში არ ჩანდა, მაგრამ ჩვენი ძალისხმევის შედეგად მოხდა ისე, რომ აუქციონი არ შედგა.

ასევე ვაპირებთ 21-ში დაგეგმილი აუქციონის ჩაშლასაც, რომელზეც სამეგრელო-ზემო სვანეთის ტყეების ბედი უნდა გადაწყდეს. ჩვენი რაიონული და რეგიონალური ორგანიზაციები ამ კუთხით უკვე მუშაობენ, ყველანაირად ვცდილობთ, არ მივცეთ ხელისუფლებას საშუალება, ტყეები კერძო მფლობელობაში დააკანონონ.

**— ბატონო სოსო, ხომ არ სჯობს, აუქციონების ჩაშლის მაგივრად ხელისუფლება ტყის კანონის მიღებისაკენ უბიძგოთ, რომელიც დაარეგულირებს ტყეების გასხვისების საკითხს. ყოველთვის ხომ ვერ მოახერხებთ აუქციონის ჩაშლას? როცა იარსებებს კანონი, საპროტესტო გამოსვლებიც აღარ იქნება საჭირო.**

— გეთანხმებით. მაგაზე ჩვენც ვიფიქრეთ, მაგრამ ამ კანონს არ მიიღებენ. ჯერ ერთი, ჩვენთან კანონი არ კანონობს; მეორეც, უმრავლესობის არაერთი ლიდერი, არაერთი დეპუტატი დაინტერესებულია ამ ტყეების მითვისებით და არა მგონია, ამ კანონის მიღებას ხელი შეუწყონ. მხოლოდ რამდენიმე ოპოზიციონერი კი ვერ მიიღებს კანონს.



**ნუგზარი, 53 წლის :** — ამდენი წელია, ტაქსის მძღოლი ვარ და ასეთი არაფერი მინახავს. მოძრაობის წესებზე ფულს როგორ არ აკეთებდნენ. პოლიცია იდგა და პირდაპირ იღებდა ფულს, მაგრამ ახლა უარესია. დღეს ვითომ უკანონო ფულის წართმევები აღარაა, მაგრამ ისეთი უაზრო ჯარიმები შემოიღეს, თანაც ისეთი ოდენობით, უარეს მდგომარეობაში ჩაგვაყენეს მძღოლები.

**ესკორტის ხელის შეშლისთვის დაჯარიმება რას ნიშნავს, ვერ გავიგე. კარგად მაინც განგვიმარტონ. შეიძლება ვილაცას ჩემი მანქანა თვალში შეეჩხიროს და ესკორტისთვის ხელის შეშლისთვის დამაჯარიმონ, ვერ შევედავები, რადგან, მე მგონი, თვითონაც ვერ გარკვეულან, რა შემთხვევაში მოქმედებს ეს ჯარიმა.**

**ქეთი, 23 წლის:** — დიდი ხნის მძღოლი არ ვარ, მაგრამ მგონია, რომ ჯარიმების გაორმაგება კარგი აზრია. იქნებ, ასე მაინც მოწესრიგდეს მოძრაობა ქალაქში. როცა ეცოდინებათ, რომ დიდი თანხაა გადასახდელი, იქნებ, თავი შეიკავონ ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისგან. ძალიან ხშირად მაფერხებენ გზაში ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლები. მერე კი ამბობენ, რომ ქალებმა მანქანის მართვა არ ვიცით. არა მგონია, რომელიმე ქალი-მძღოლი ნასვამი ჯდებოდეს საჭესთან. მაქსიმალურად ვცდილობ, ყველა მოძრაობის წესი დავიცვა და ამასვე ვურჩევ სხვებსაც, მაშინ ჯარიმის გაორმაგების არ შეეშინდებათ, რადგან, თუ არ დაარღვევენ წესებს, არც დაჯარიმდებიან.

ნორმა ამოქმედდება, თუ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამორთმეულია ერთი წლის ვადით. თუ მართვის უფლება ჩამორთმეულია ორი წლით, მაშინ, საურავთან ერთად, პირს დამატებით 1500-ლარიანი ჯარიმის გადახდაც მოუწევს.

**საინტერესოა, რას ფიქრობენ მძღოლები ახალ ჯარიმებთან დაკავშირებით.**

**დათო, 27 წლის :** — მანქანის შენახვა ისედაც ძვირი მიჯდება. ამ ბოლო დროს საწვავსაც იმხელა ფასი აქვს და ამ უაზრო ჯარიმებით კიდევ უფრო ართულებენ მდგომარეობას. ეს ჯარიმები რომ შემოიღეს, მოძრაობას უფრო მოაწესრიგებს? კარგად იციან, ვინც ნასვამი ჯდებოდა საჭესთან, აწიც დაჯდება, არა მგონია, ჯარიმის 50 ლარით გაზრდამ რამე შეცვალოს. ამ გზით დარღვევების აღმოფხვრა შეუძლებელია. საკუთარ თავსა და ჯიბეზე ფიქრობენ და მოსახლეობას ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობას უფრო მეტად უმძიმებენ.

# გსურთ აჭარაში დასვენება დღეში 200 დოლარად?



**ზაფხული დადგა და დასვენებისა და კურორტების თემა, რაც უფრო ცხელა, მით უფრო აქტუალური ხდება. ივნისის სიცხისგან შეწუხებული ადამიანები სერიოზულად შფოთავენ ივლისსა და აგვისტოში მოსალოდნელი მაღალი ტემპერატურის გამო. ამიტომ ბევრი უკვე ცდილობს, ზაფხულის სიცხეს სხვადასხვა კურორტებზე „გაუმკლავდეს“ და თანაც დასვენება მაქსიამალურად სასიამოვნოდ და ხელსაყრელ ფასად დაგეგმოს. საბედნიეროდ, ქართველებს, კურორტების თვალსაზრისით, ფუფუნება ნამდვილად გვაქვს. მართალია, ინფრასტრუქტურა ჩვენთან კარგად არაა განვითარებული, სამაგიეროდ შესაძლებელია დაისვენოთ ზღვაზე, მთაში (დალაშქრო მწვერვალები, ტრამალები)...**

**ერთი სიტყვით, არჩევანი საკმაოდ დიდია. ოღონდ გააჩნია, საზაფხულო დასვენებისთვის გამოყოფილი თქვენი ბიუჯეტი სად მოგცემს დასვენების საშუალებას.**

გარუჯვისა და მცხუნვარე მზის მოყვარულებს, აჭარის რეგიონი წელსაც გაგიწევთ მასპინძლობას. სეზონი უკვე გახსნილია და აჭარლებიც მოუთმენლად ელიან დამსვენებლებს. ამბობენ, რომ შარშანდელთან შედარებით ზღვაზე ფასები წელს გაზრდილია. **აჭარის კურორტებზე სასტუმროებში ნომრის ფასი 35 დოლარიდან იწყება და 200 დოლარამდე ადის....** რა თქმა უნდა, კომფორტი ფასთან ერთად იზრდება. თუ არ გინდათ, სასტუმროს ძებნაში დრო დაკარგოთ, შეგიძლიათ, თბილისშივე მიმართოთ ტურისტულ სააგენტოებს და წინასწარ დაჯავშნოთ თქვენთვის სასურველ კურორტზე სასტუმროს ნომერი.

ზოგიერთ სასტუმროში ნომრის ფასში ერთჯერადი კვებაც შედის, თუმცა, ძირითადად, რესტორნებსა და კაფე ბარებში მოგიწევთ დანაყრება, სადაც, მართალია, ფასები კატასტროფულად ძვირი არ არის, მაგრამ, თუ თბილისურ ფასებს შევადარებთ, გაორმაგებულია. სასტუმროში დასასვენებელად თანხა თუ არ გყოფნით, შეგიძლიათ, კერძო სექტორს და აჭარელ დიასახლისებს მიმართოთ.

**აჭარაში, ძირითადად, დამსვენებლების მხოლოდ 20% ისვენებს სასტუმროში, უმეტესობა კერძო სექტორს ირჩევს, სადაც ფასები მნიშვნელოვნად დაბალია. ერთი საწოლი — ე.წ. „კოიკა“ დღეში დაახლოებით 10 ლარიდან 30 ლარამდე მერყეობს (ზღვიდან დაშორებისა და პირობების გათვალისწინებით) ბათუმში, ქობულეთში, გონიოში, კვარიათში, ურეკში, სარფში... არჩევანი დიდია.**

ცურვას, მზეზე გარუჯვას, მზის ჩასვლას, სანაპიროზე სეირნობასა და აზვირთებული ტალღებით ტკბობას რა სჯობს! თუმცა ამ აზრს ყველა როდი იზიარებს. ზოგიერთს სრულიადაც არ ხიბლავს ეს ნეტარებანი და არც ზღვისკენ მიილტვის მაინცდამაინც, მიზეზად კი იმას ასახელებს, რომ ზღვა დაბინძურებულია და უამრავ პრობლემას უდებს სათავეს. ზოგს კი, უბრალოდ, არ უყვარს ზღვა, სიცხე და უპირატესობას მთას ანიჭებს. მათ, ვისაც ბუნების ხელუხლებელ წიაღში შეღწევა და მივარდნილ ბილიკებზე ცხენით გასეირნება იტაცებს, შეუძლიათ დარიალის ხეობაში, სვანეთში, თუშეთში... მაღალმთიან კურორტებს მიაშურონ. **სვანეთში სასტუმროების ფასი 50 ლარიდან იწყება, მაგრამ სვანეთის ულამაზესი ბუნებით დასატკბობად უფრო დაბალ ფასებში ბინის დაქირავებას კერძო სექტორშიც მოახერხებთ.**

**ზაფხულის სეზონზე სურამსა და კეჩხობში შეგიძლიათ ბინა დაიქირაოთ როგორც ერთი თვით, ასევე დღიურად. ერთი თვით ბინის დაქირავებას 300 ლარადაც მოახერხებთ, დღიურად კი 10-15 ლარი ელირება.**

ხეტიალის, ლაშქრობის, ჯომარდობისა და ცხენით ჯირითის მოყვარულებს დაცული ტერიტორიები საკმაოდ საინტერესო ტურებს გთავაზობთ. **შეგიძლიათ ბორჯომ-ხარაგაულის, კოლხეთის, ჭაჭუნის ტყე-პარკებში; ლაგოდეხის, თუშეთის, ქობულეთის, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებში დაისვენოთ, თანაც მისაღებ ფასებში. აქ თქვენ შეგიძლიათ ღამე კოტეჯებში 20 ლარად გაათიოთ ან სულაც კარვით ისარგებლოთ. კარვისთვის ადგილს კი სულ რაღაც 5 ლარად დაიქირავებთ.** თუ კარვის ტარება გეზარებათ, მის დაქირავებს ადგილზეც მოახერხებთ, ასევე — 5 ლარად. რაც შეეხება დანაყრებას, მას სპეციალურად ტურისტებისთვის მოწყობილ კაფეებში შეძლებთ.

თავგადასავლების მოყვარულებს დაცულ ტერიტორიაზე სასიამოვნო დასვენება გელით. შეგიძლიათ სამთო ველოსიპედით ისეირნოთ ან ცხენით შემოიაროთ ტყე-პარკები, მონაწილეობა მიიღოთ სპეციალურ ლაშქრობებში, ითევზაოთ, დააკვირდეთ იშვიათი ჯიშის ფრინველებს. **თუ დაცულ ტერიტორიებზე გადაწყვეტთ დასვენებას, ჯობს, სპორტული ტანსაცმელი მოიმარაგოთ. სქელძირიანი, დახურული, საველე ფეხსაცმელი, ქუდი, საწვიმარი ლაბადა, სპორტული შარვალი და, ყოველი შემთხვევისთვის, თბილი ტანსაცმელი. მთაში საღამოობით ყოველთვის ცივა.** წარმოიდგინეთ, შუა ზაფხულში თბილად ჩაცმული ზიხარ კოცონთან და თბები, მაშინ, როცა თბილისში სიცხისგან ყველაფერი იწვის. დამეთნხმებით, ნამდვილი ნეტარებაა.

**მთაში დასვენების მოყვარულებს, ასევე, შეუძლიათ რაჭას, ბახმაროს ესტუმრონ. ბახმაროში შეგიძლიათ ერთი თვით დაიქირაოთ სახლი, რომლის ქირის ფასი 400 ლარიდან 700 ლარამდე მერყეობს.**

**რაც შეეხება რაჭას, სასტუმროებში ფასები 20 ლარიდან იწყება და 50 ლარამდე ადის. აქაც, როგორც სხვა კურორტებზე, თუ სურვილი გექნებათ, ადგილობრივი მცხოვრებნი ბინას უფრო დაბალ ფასში მოგაქირავებენ.**

მიუხედავად იმისა, რომ ბაკურიანი და გუდაური ზამთრის კურორტებია, იქ დასვენება ზაფხულშიც საკმაოდ სასიამოვნოა. **ზამთართან შედარებით ბაკურიანსა და გუდაურში ფასები გაცილებით დაბალია. სასტუმროში ნომრის დაქირავებას 40-80 ლარად შეძლებთ. თანაც ბაკურიანი თავისი სამკურნალო თვისებებით, მშვიდი გარემოთი გამოირჩევა. ასე რომ, თუ სუფთა ჰაერი, ბუნება და მშვიდი დასვენება გიზიდავთ, ბაკურიანსა და გუდაურში ამას შესანიშნავად მოახერხებთ.**

იმედია, ჩვენს მკითხველს ამ ინფორმაციით ცოტათი მაინც დავეხმარებით, ერთწლიანი დამღლელი სამუშაოს შემდეგ თავიანთი შვებულება სასიამოვნოდ რომ გაატარონ. დაუვიწყარ დასვენებას გისურვებთ!



გვერდები მოამზადეს ლილი მიროტაძემ და თეო ტაბატაძემ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# არნო ხიდირბეგიშვილი: «კამო გრიადეში», მიხეილ სააკაშვილი?

**„კამო გრიადეში“ (QUO VADIS) („საით მიემართები“)** პოლონელი მწერლის ჰენრიკ სენკევიჩის ისტორიული რომანია. რომანის მოქმედება რომის იმპერიაში, იმპერატორ ნერონის მმართველობის ხანაში ვითარდება. ნაწარმოების მთავარი თემა — რომაული თემის პირველი ქრისტიანების ბრძოლაა უმძლავრეს იმპერიასთან. დაწვრილებითაა წარმოჩენილი ცნობილი ხანძარი რომში, რომელიც, გადმოცემით, ნერონმა თვითონ მოაწყო, რათა პოეტური შთაგონება გაეღვივებინა. ნერონის მმართველობისას ქრისტიანები პირველად დაექვემდებარნენ მასშტაბურ დევნას — იმპერატორმა ხანძრის გაჩენა მათ დააბრალა. რომანის სახელწოდება მწერალს უძველესმა გადმოცემამ უკარნახა: თითქმის ყველა რომაელი ქრისტიანის განადგურების შემდეგ პეტრე მოციქული მალულად ტოვებს ქალაქს, რომლის გარეთ ქრისტეს ხვდება და ეკითხება: **„საით მიემართები, უფალო?“.**

ქრისტე მიუგებს: **„რაკი ჩემი ხალხი დატოვე, რომში მივდივარ, ხელახალი ჯვარცმისთვის“.**

ამის შემდეგ პეტრე რომში ბრუნდება და მოწამეობრივად აღესრულება.



## წარსული
### („ზემოთ კიბეზე, რომელიც ქვემოთ მიემართება...“)

„2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამით ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მასირებული საარტილერიო ცეცხლით იერიში მიიტანეს სამხრეთ ოსეთის ქალაქ ცხინვალზე და სწორედ ამან დაუდო საფუძველი ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტს სამხრეთ კავკასიაში“, — ნათქვამია სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტის გარემოებათა გამომძიებელი საერთაშორისო კომისიის დასკვნაში **ჰაიდი ტალიავინის** თავმჯდომარეობით. რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა სამხედრო ოპერაცია ჩაატარეს ქართული არმიის წინააღმდეგ და გაანადგურეს მისი სამხედრო ფორმირებები (რომლებმაც რუსეთის მშვიდობისმყოფელებზე იერიში მიიტანეს), რასაც შემდგომ **„ხუთდღიანი ომი“** ეწოდა. შედეგად საქართველომ დაკარგა ასობით ჯარისკაცი, მოკავშირეებისგან მიღებული და სხვადასხვა ქვეყანაში შეძენილი მრავალრიცხოვანი სამხედრო ტექნიკა და საბრძოლო მასალა, რომ აღარაფერი ვთქვათ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისგან (КЗакВО) ხელშეკრულებით დარჩენილ მემკვიდრეობაზე *(ჩვენი ყოფილი სამხედრო სიმდიდრის დაწვრილებითი აღწერილობა ყველასთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტში, სტატიების კრებულში „აგვისტოს ტანკები“, რომელიც 2009 წელს მოსკოვის სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების ანალიზის ცენტრმა მოამზადა.).*

2010 წლის 26 მაისის სამხედრო აღლუმმა აჩვენა, რომ **უახლოეს მომავალში საქართველო, სავარაუდოდ, ვერ აღადგენს თავის სამხედრო პოტენციალს 2008 წლის დონემდე** (08.08.08-მდე). **„ჟანგისლაქებიანმა“, ნაცრისფრად შეღებილმა თურქულმა ტექნიკამ** პრეზიდენტ სააკაშვილის ილუზია გამახსენა **„ჟანგიან რუსულ ტანკებზე“** და ჩვენს ათობით T-72-ზე, რომელიც მათი მწარმოებელი ქვეყნის არმიას სამხედრო ნადავლად დარჩა...

*(სხვათა შორის, საინტერესოა, პირდაპირ ეთერში აღლუმის კომენტირებისას „რუსთავი 2“-ის წამყვანმა რამდენიმეჯერ ხაზგასმით რატომ აღნიშნა, რომ კამუფლაჟის ახალი ფერები — როგორც ჯარისკაცის ფორმის, ასევე ტექნიკისა —* ***საგანგებოდ ქალაქის ფერებთანაა ადაპტირებული?*** **ნიშნავს თუ არა ეს, რომ რუხი ასფალტისა და შემოდგომის ფოთოლცვენისფერი ჩვენი არმია ბრძოლების წარმოებას ქალაქში და ისიც შემოდგომით აპირებს?! თუ ასეა, რომელ ქალაქში მოხდება ეს და რომელი წლის შემოდგომაზე?).**

**ხუთდღიანი ომის შედეგად საქართველოს ხელმძღვანელობამ საკუთარი თავის დისკრედიტება მოახდინა მსოფლიო თანამეგობრობის თვალში და სამუდამოდ დაკარგა ძალისმიერი გზით ტერიტორიული პრობლემების გადაჭრის საშუალება. მოგვიანებით, ევროპის, აშშ-ის, გაეროსა და ეუთოს მედიატორობითა და დიპლომატიური მეთოდებით ამ მისწრაფებების რეალიზების მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.**

*(2010 წლის 26 მაისს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მისალოცი განცხადების გარდა, არც ერთ ქართულ ტელეარხს არც ერთი სხვა მილოცვა არ გადმოუცია: ნუთუ ჩვენს ხელისუფლებას ისეთი ცუდი რეპუტაცია აქვს, რომ სხვამ არავინ მოგვილოცა მთავარი სახელმწიფოებრივი დღესასწაული – დამოუკიდებლობის დღე?! სხვაგვარად, განა ჩვენი პროსამთავრობო ტელევიზიები ამ ფაქტს მიჩქმალავდნენ?! მხოლოდ მეორე დღეს გამოჩნდა ინფორმაცია ინტერნეტში, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მიხეილ სააკაშვილს მისალოცი წერილი გამოუგზავნა და ასევე მიულოცეს სხვა სახელმწიფოთა ლიდერებმაც: ანგელა მერკელმა, ნიკოლა სარკოზიმ, შვეიცარიის, მექსიკის, იაპონიის, პერუს, საბერძნეთის, კორეის, ყაზახეთის, უკრაინისა და აზერბაიჯანის პირველმა პირებმა. სხვათა შორის, ამ ჩამონათვალში სომხეთი ვერ შევნიშნე...)*

**შედეგი (საქართველო):** ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტის დაკარგვა, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, რფ-სთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა, კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, საქართველოს მიმართ რუსეთის 200-წლიანი პოლიტიკისა და ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისიის შექმნა, დამოუკიდებლობის დღეს (2010 წლის 26 მაისს) თბილისში ყველაზე მაღალი მონუმენტის გახსნა საქართველოში **(ჟანგით დაწინწკლული ნაცრისფერი მონუმენტი — ჩვენი სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის მსგავსად),** რომელიც 1918-2008 წლებში რუსეთთან შეიარაღებულ კონფლიქტში დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა **(პირადად ჩემთვის ეს რუსეთ-საქართველოს „დაჟანგული“ ურთიერთობის სიმბოლო იყო).** საგულისხმოა, რომ მინისა და ლითონის ვერტიკალური სექციებისგან შემდგარ 48-მეტრიან სტელას **სპეციალურად დაუმთავრებელი წვერი აქვს,** რაც ამ მონუმენტის გახსნისას **კამუფლაჟით შემოსილი პრეზიდენტ სააკაშვილის** განცხადებასთან ერთად (იმის თაობაზე, რომ **საქართველოში თითოეული მზად უნდა იყოს კამუფლაჟის ჩასაცმელად!**) პირქუშ ეჭვებს ბადებს...

**შედეგი (რუსეთი):** მიუხედავად რუსეთის ხელმძღვანელობის ოფიციალური განცხადებისა კავკასიაში მწვავე პრობლემების გადაჭრის შესახებ, რეგიონში მდორედ მიმდინარე პროცესები კიდევ კარგა ხანს იქონიებს ნეგატიურ გავლენას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციაზე როგორც თავად რუსეთსა და ამიერკავკასიის სახელმწიფოებში, ისე დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებშიც. **ამგვარად, ჩრდილოეთ კავკასიაში „ჩეჩნური პრობლემის“ საბოლოოდ გადაწყვეტამდე, რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში დამატებითი „ქართული პრობლემა“ შეიძინა. ამასთან, ორივე პრობლემას შერწყმისა და გაფართოების ტენდენცია აქვს.**

## აწმყო
### („პანიკოვსკის მცდარი გზით...“)

ახლა კი დროა, დღევანდელობაში გადმოვინაცვლოთ და პრეზიდენტ სააკაშვილს დავუსვათ კითხვა: **„კამო გრიადეში“ (საით მიემართები)?**

**2008 წლის 8 ოქტომბერს აზერბაიჯანული საინფორმაციო** სააგენტო Day.Az-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ***„მხოლოდ რუსეთს ძალუძს კავკასიური ცარცის წრის გარღვევა!“***

(www.day.az/news/georgia/132606.html)

საქართველოში 08.08.08-ის შემდეგ მოვლენების განვითარების 5 შესაძლო სცენარს განვიხილავდი, რომელთაგან ერთი (№3) იუწყებოდა:

***„სცენარის მე-3 ვარიანტი — აშშ-ის პროვოკაციებზე პასუხი.***

საქმე ისაა, რომ იამადაევისა და ზიაზიკოვის მკვლელობა, სოხუმში სახელმწიფო უშიშროების შენობასთან მომხდარი აფეთქებები, სოფელ ორჭოსანთან მდებარე კარიერებზე ატეხილი სროლა, ცხინვალში მშვიდობისმყოფელთა შტაბთან მომხდარი აფეთქება — ერთი ჯაჭვის რგოლებია. აშშ, რომელმაც ვერ გაბედა, აშკარად დაპირისპირებოდა რუსეთს 8-12 აგვისტოს ხუთდღიან ომში და კავკასიისთვის პირველი ბრძოლა წააგო, კვლავ ვერ ჩაიგდო ხელში ჩრდილოეთ კავკასიისა და კასპიისპირეთის გასაღები. გამორიცხული არაა, რომ ის „მეორე ეშელონს“ ამზადებდეს (ისევ მიამიტი ქართველების ხელით): ამჯერად პროვოცირებული იქნება ტერაქტები და პარტიზანული ომი. ეს აშშ-ს აქ აშკარად შემოსვლის საშულებას მისცემს ტერორიზმთან ბრძოლის დროშით, რათა დაამტკიცოს, რომ რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზეც კი სრული უწესრიგობაა...“

**ვშიშობ, რომ დღეს მოვლენები სწორედ ამ სცენარის მიხედვით ვითარდება:**

***„აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოიწონა მსოფლიოს 75 ქვეყანაში სპეციალური დანიშნულების ჯარების განთავსების გეგმა „ალქაიდას“ ტერორისტულ ქსელთან ბრძოლის ფარგლებში,“*** — განაცხადა ოდიოდე კვირის წინათ **The Times**-მა, რის შემდეგაც **The New York Times**-ი აცხადებს, რომ აშშ-ის ცენტრალური სარდლობის სარდალმა, გენერალმა **დევიდ პეტრეუსმა** ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელიც შეიცავდა **ამერიკის საიდუმლო ბაზების შექმნისა და შესაბამისი სადაზვერვო ხასიათის ღონისძიებების გატარების გეგმას საქართველოში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და უზბეკეთში.**

*(საგულისხმოა, რომ* ***The New York Times***-ის ინფორმაცია დროში პრაქტიკულად დაემთხვა რუსეთის საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მთავარი მრჩევლის — **მაიკლ მაკფაულის** მიმანიშნებელ განცხადებას, რომელმაც გასულ კვირას მოსკოვში სამუშაო ვიზიტით ყოფნისას პირველად აღიარა ოფიციალურად, რომ **ამერიკა, სავარაუდოდ, საქართველოს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს ვერ დაუბრუნებს: „გულახდილად გეტყვით, ვერ წარმომიდგენია, რომ შევიმუშავებთ სტრატეგიას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, საქართველოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მის უწინდელ საზღვრებში დავუბრუნოთ,“** — განაცხადა მან.).

ისმის კითხვა: **დაადგება თუ არა ჩიხში მოქცეული ახალგაზრდა და იმპულსური სააკაშვილი შევარდნაძის მცდარ გზას, რომელმაც უწინ მსგავს სიტუაციაში აირჩია ვარიანტი: *„ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“?*** 2001 წელს ხომ ჩეჩენი საველე მეთაურის — **რუსლან გილაევის „მაღალი ინტელექტითა და ინტელიგენტობით“** მოხიბლულმა, ჭაღარა და დარბაისელმა შევარდნაძემაც კი ვერ გაუძლო ცდუნებას: ***„თუ ეს ბოევიკი სოხუმს ვერ დაგვიბრუნებს, რუსებს მაინც დააწიოკებს!“*** — გულწრფელად სჯეროდა შევარდნაძეს, როცა რუსლანს „ციმციმ“ აცილებდა პანკისიდან კოდორის ხეობაში... თუმცა უმთავრესმა — გილაევის ბოევიკების გამოჩენამ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნურ მონაკვეთზე — რფ-ის ფედერალური ძალების საზღვრისპირა ინციდენტებზე პროვოცირება მოახდინა, **რის შემდეგაც საქართველო გარკვეულ ხანს ჩრდილოელი მეზობლის „იმპერიული ამბიციების“ წინააღმდეგ ერთიანდებოდა. ამით კი შევარდნაძე, რომელიც ძლივს ინარჩუნებდა ცენტრალურ ძალაუფლებას, თავისი პერსონის მიმართ ქართველი ხალხისა და დღითიდღე გაძლიერებული ოპოზიციის ყურადღების გადატანას ლამობდა საგარეო, ანუ რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეზე.**

(რით დასრულდა ეს სამწუხარო ავანტიურა, ყველას ახსოვს, განსაკუთრებით კი კოდორის ხეობის ბუჩქებს, რომლებზეც გილაევის რაზმის ნაშთები ეკიდა... თავად მძიმედ დაჭრილმა გილაევმა მისთვის შევარდნაძის მიერ გამოგზავნილი შვეულმფრენით ძლივს გაასწრო. მერე კი შევარდნაძემაც ძლივს გაასწრო სააკაშვილს მშობლიური პარლამენტიდან... ვფიქრობ, ამგვარადვე დასრულდება ნებისმიერი ახალი ავანტიურა, თუკი ის განხორციელდება).

**შევარდნაძე-2001 და სააკაშვილი-2010:** ეგებ, ისინი ერთმანეთს ჰგვანან?!

მომხდარის გაანალიზებითა და სხვადასხვა მედიაში აღმოჩენილი ინფორმაციებით (მათ შორის, ამერიკულსა და ევროპულ მედიაშიც), **რომელთა უგულებელყოფასაც ან თუნდაც მათდამი თავისი ღრმა აღშფოთების გამოხატვას საქართველოს მოქმედი ხელისუფლება, როგორც ჩანს, არც აპირებს,** უნდა ვივარაუდოთ, რომ დღეს კვლავ იდგმება ნაბიჯები საქართველოს ხელმძღვანელობისა და ე.წ. დევნილი ჩეჩნური მთავრობის ლიდერების დაახლოებისაკენ. ინტერნეტში, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მასალებით, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიაზე აქტიური მუშაობა გააჩაღა, რომლის მიზანიც, არც მეტი, არც ნაკლები, ჩრდილოეთ კავკასიაში, უწინარესად კი ჩეჩნეთში, დაღესტანსა და ინგუშეთში ვითარების დესტაბილიზაციაა. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ამჯერად, სავარაუდოდ, იჩქერიის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ბრიგადის ყოფილი გენერალი **აჰმედ ზაკაევი** შეირჩა *(იჩქერიის რესპუბლიკის კულტურის ყოფილი მინისტრი, ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი და პრემიერ-მინისტრი, რომელიც 2001 წლიდან რფ-ის გენერალურმა პროკურატურამ ტერორიზმის, მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მკვლელობა-* ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ *თა ორგანიზების ბრალდებით საერთაშორისო ძებნაში გამოაცხადა და რომელსაც დიდმა ბრიტანეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა).* თუ ეს ყველაფერი სიმართლეს შეესაბამება, ძნელი არ არის მიხვდე, რა პირქუშ პერსპექტივებს უმზადებს შექმნილი ტანდემი საქართველოსა და მთელ რეგიონს...

კონკრეტული მაგალითი (ინტერნეტ-ინფორმაციის ციტირებას ვახდენ): *„2009 წლის დეკემბერში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს მთავრობის მაღალჩინოსანთა ხელშეწყობითა და ქვეყნის პრეზიდენტის დავალებით, უმკაცრესი კონფიდენციალობის დაცვით, უცხოური ტერორისტული ორგანიზაციების ემისრებისა და კავკასიური იატაკქვეშა ბანდფორმირებების ლიდერთა მონაწილეობით თბილისში დახურული შეხვედრა გამართა ჯიჰადის მომხრეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების წარმომადგენლებთან, რომლებიც სხვადასხვა ისლამურ და ევროპულ ქვეყანაში შეიქმნა, რათა რუსეთის სამხრეთ ფლანგზე თავისი საქმიანობის კოორდინირება მოეხდინა“.*

ინფორმაცია ამ **„კულტურული ღონისძიების“** შესახებ (როგორც, ალბათ, შევარდნაძე იტყოდა!) ბევრ ინტერნეტ-საიტზეა განთავსებული (*მათ შორის* — ***The Washington Times***-ში გამოქვეყნებული, აშშ-ის სენატისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლის — **ჯეიმს ჯ. ჯატრასის** სტატია „თავსატეხი საქართველოსთვის და ამერიკის შეერთებული შტატების არჩევანი“) და მეტყველებს შემდეგს (ისევ ციტირებას ვახდენ): *„ღონისძიებაზე მთელი კონტროლი დაეკისრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ* ***ვ. მერაბიშვილს*** და მის მოადგილე **გ. ლორთქიფანიძეს.** დასავლეთის საზოგადოებრიობისა და ქართული ოპოზიციის მხრიდან მ. სააკაშვილის მისამართით გამოთქმული კრიტიკის თავიდან ასარიდებლად საქართველოს შსს-ს ხელმძღვანელმა ყრილობის მუშაობაში არ დაუშვა საქართველოს პრეზიდენტის მონაწილეობა. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან რადიკალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა და იორდანიის მოქალაქე ჩერქეზებისა და ჩეჩნების საქართველოში ჩამოყვანის საკითხების გადაჭრით პირადად იყო დაკავებული საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში (ქუვეითში, საუდის არაბეთში, კატარში, ომანში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ბაჰრეინში — **ა. ხ.**) ***ეკატერინე მაიერინგ-მიქაძე.*** ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად თბილისში ჩამოვიდნენ უცხოეთში ჩეჩნური ბანდსტრუქტურების წარმომადგენლებიც — **მ. ტარამოვი (ცუცაევი); მ. ჰაზბიევი**, რომელიც უწინ ცნობილი ტერორისტის — **მ. ევლოევ-თაზიევის** გარემოცვაში იმყოფებოდა; **რ. აბდურზაკოვი; ვ. აიგუმოვი** და რამდენიმე ათეული დელეგატი ავსტრიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ნორვეგიიდან, ფინეთიდან, საფრანგეთიდან, შვედეთიდან, აზერბაიჯანიდან და აშშ-დან. ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებისთვის ბრძოლაში ფსონს ჩამოდის ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მოქმედ უკანონო შეიარაღებულ ბანდფორმირებებზე — შეურიგებელ ბოევიკებზე, რომელთა ლიდერიც ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს შექმნისკენ გეზაღებული **დოკუ უმაროვია**“.

იმ შეხვედრის შემაჯამებელ შედეგად იქცა (ციტირებას ვახდენ):

**„ერთობლივ მოქმედებათა გეგმის შემუშავება, რომელიც დსთ-სა და დასავლეთის ქვეყნებში იატაკქვეშა ბანდფორმირებების გააქტიურებასა და, ასევე, აშშ-ისა და საქართველოს სპეცსამსახურების ეგიდით მათ ლიდერთა ძალისხმევის გაერთიანებას ითვალისწინებს. „სამხედრო“ მოქმედებებთან ერთად (რუსეთის სამხრეთზე თავდასხმა) განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იდეოლოგიურ ომს, მაგალითად — „პირველი კავკასიური“ არხის რუსულ ენაზე ტრანსლაციას“.**

**დიახ, დიახ, „პირველი კავკასიურისა“, სწორედ იმ ოლეგ პანფილოვის ხელმძღვანელობით, ახლახან ჩვენს მრავალეროვნულ ქვეყანაში რომ გადმოსახლდა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ პროვოკაციული მოწოდება რომ გააკეთა საქართველოში რუსული ენის აკრძალვის შესახებ!**

ამის შემდეგ, ინტერნეტში შემდეგი სტრიქონების წაკითხვისას (ციტირებას ვახდენ): *„ამჟამად საქართველოში უკვე აღდგენილია 2000-იანი წლების დასაწყისში გაუქმებული ბოევიკთა მოსამზადებელი ბანაკები ახმეტის რაიონში... ამერიკელები უნდა აცნობიერებდნენ, რომ სააკაშვილი სულ უფრო ხშირად აძლევს პოლიტიკურ თავშესაფარს ჯიჰადის მიმდევრებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რუსეთის სამხრეთ ნაწილში მომხდარ მრავალრიცხოვან ტერაქტზე... სააკაშვილის რეჟიმთან ინტენსიური თანამშრომლობის მცდელობები მათ საშუალებას აძლევს, თავდასხმები მოაწყონ კავკასიის რეგიონზე“*; სანამ აღშფოთებით წამოიძახებ **„სიცრუეა!!!“**, ძალაუნებურად დაფიქრდები: **ნუთუ სააკაშვილი, რომელიც „მთელი გზა“ საქართველოს აშშ-ისა და ნატოსკენ მიათრევდა, ერთი ხელით ეხმარება ამერიკას ავღანეთში, მეორე ხელს კი მის დაუძინებელ მტრებს — ისლამისტ ფუნდამენტალისტებს, საერთაშორისო ტერორისტებსა და ჯიჰადის მიმდევრებს უწვდის?! ნუთუ შს მინისტრმა მერაბიშვილმა — საქართველოში დანაშაულები, ბანდიტიზმი და ქურდული მენტალიტეტი რომ დაამარცხა და სამაგალითო- საჩვენებელი „ძალოვანი“ სტრუქტურები შექმნა — თბილისში ამ ბანდიტური „სხადნიაკის“ მოწყობა უზრუნველყო?“** ძნელი დასაჯერებელია...

მეორე მხრივ კი: **რით აიხსნება საქართველოს პრეზიდენტის მიერ ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმედინეჯადის მოპატიჟება, ოფიციალური ვიზიტით ესტუმროს საქართველოს,** იმ დროს, როცა აშშ არ მალავს თავის განზრახვას ირანის მიმართ, ამერიკას კი (სანქციების შესახებ რეზოლუციას) უკვე მხარი დაუჭირა რუსეთმაც?! რით აიხსნება თბილისში (მიმდინარე წლის მარტში) სამეცნიერო კონფერენციების გამართვა, რომელთა მონაწილეებმაც რუსეთში ჩერქეზი და ადიღეელი ხალხების გენოციდზე იმსჯელეს და საქართველოს პარლამენტსაც მიმართეს მოწოდებით, აღიაროს ჩერქეზი ხალხის გენოციდი XIX საუკუნის მეორე ნახევარში?! და რომ **საქართველოს პარლამენტმა უკვე დაიწყო მუშაობა ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარების საკითხზე**? და ეს საქართველო-რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიის შემდგომ დღემდე არსებული დაძაბულობის პირობებში?! **სულ ახლახან კი ჩვენ FBI-ის წყალობით შევიტყვეთ, რომ საქართველო იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდა-რეალიზაციაშია ჩართული...**

## მომავალი

**(„უფსკრულისკენ მქროლავს, შესაძლოა, თვალწარმტაცი მწვერვალებისკენ ფრენა ესიზმროს...“)**

თუ ზემომოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე სიტუაციის მოდელირებას მოვახდენთ, ნებისმიერი დიასახლისიც კი დაასკვნის, რომ:

**1)** ევროპაში, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, ტერორისტთა თარეშის შემხედვარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს აშშ-ის სპეცსამსახურების მონაწილეობის გარეშე როდი ხდება, რომლებიც ამ სახელმწიფოებში ისლამისტთა გააქტიურების პირობებში, დემოკრატიისათვის, საერთაშორისო ტერორიზმსა და ფეთქებადსაშიში რეგიონის ქვეყნების მიერ ბირთვული იარაღის წარმოების წინააღმდეგ ბრძოლის სახელით, იქ სამხედრო ჩარევით ავღანურ-ერაყული სცენარის გათამაშების საშუალებას მიიღებს. ხოლო იმისათვის, რომ გაეროს, ეუთოსა და ევროპელ „აზიზებს“ ენა არ მოუბრუნდეთ „ღრმა აღშფოთების“ გამოსახატავად, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებენ, **ევროპის ქვეყნებში ჩეჩნური ტერორისტული სტრუქტურების საქმიანობის გააქტიურება თანდათან ჩაითრევს მათ კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში და ტერორისტთა მორიგ სამიზნე მსხვერპლად აქცევს** (განხორციელდება იმგვარი ტერაქტები, როგორიც იყო ესპანეთში რკინიგზის ვაგზალზე, ინგლისსა და რუსეთში — ლონდონისა და მოსკოვის მეტროებში და სხვ.), **რაც შედეგად ადგილობრივ რადიკალებთან ამ ბანდფორმირებების შერწყმას გამოიწვევს;**

**2) ევროპასა და ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმის ტალღის გამოყენებით აშშ ბოლოს და ბოლოს იერიშს მიიტანს ირანზე** (ისრაელის მხარდაჭერით) და **კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს** (ეგებ, საბედისწეროსაც...) თავისი სანუკვარი ოცნებისკენ — **ამ რეგიონზე კონტროლის დამყარებისკენ, სადაც ნავთობის მსოფლიო მარაგის 62 პროცენტია თავმოყრილი**. ვფიქრობ, მანამდე აშშ რუსეთისგან ამაზე თანხმობას მიიღებს და საბოლოოდ აღიარებს კავკასიასა და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს მისი ექსკლუზიური და კანონიერი ინტერესების ზონად. ნავთობით მდიდარი რუსეთი არაფერს წააგებს — ყოველ ჯერზე (ომის შემთხვევაში — გარდაუვალი) ბარელი ნავთობის 10 დოლარით გაძვირება მას 25 მილიარდი დოლარის წლიურ მოგებას მოუტანს;

**3) ევროპაში ტერორიზმის აფეთქებითა და აშშ-ის მიერ ირანზე იერიშის მიტანის გამოყენებით, საქართველო ხელს შეუწყობს ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის დესტაბილიზებას. ამით რუსეთის ყურადღებას სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან გადაიტანს და შეეცდება, ხელსაყრელი პირობები იქ ხელახალი სამხედრო ოპერაციის ჩატარებისთვის გამოიყენოს, თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით;**

**4) მოვლენების ამგვარად განვითარებისას რუსეთს ყველა საფუძველი ექნება, თავისი ჯარები (მშვიდობისმყოფელები) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეიყვანოს ახალი კავკასიური ომის აღსაკვეთად** (რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან (ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, დაღესტანი, ადიღეი, ყარაჩაევო-ჩერქეზეთი) სამხრეთ კავკასიაში გადაინაცვლებს (საქართველო, აუცილებლად მოახდენს დეტონირებას ყარაბაღში და შესაბამისად — აზერბაიჯანსა და სომხეთში); **ასევე, 2014 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოდ ჩასატარებლად სოჭში.** თურქეთი, რომელსაც რეგიონში თავისი ინტერესები აქვს (მათ შორის, — ტერიტორიული პრეტენზიებიც), რუსეთის ამ პრევენტიულ მოქმედებებს მხარს დაუჭერს და გადამწყვეტ მომენტში უმოქმედოდ არ გაჩერდება.

**რუსეთი კავკასიის დაცვით (სამხრეთ კავკასიაში რფ-ის მოქალაქეებისა და, ამავე დროს, თავისი სამხრეთ საზღვრების დაცვით) ამიერკავკასიის ხალხებისა და თურქეთის კეთილგანწყობას მოიპოვებს იმის გამოც, რომ რუსეთის სრულმასშტაბიანი წარმომადგენლობა მთელი რეგიონისთვის უსაფრთხოების გარანტი იქნება ამერიკა-ირანის კამპანიის პირობებში.**

**P.S.** მიუხედავად იმისა, რომ ზემონათქვამი მარტოდენ ჰიპოთეზაა, ანუ ვარაუდია, მაინც სერიოზული დაფიქრების საბაბს იძლევა ყველასთვის: საზოგადოების, ხელისუფლებისა და პრეზიდენტისთვის... და განა ამას წინათ „იმედის“ ტელეარხზე ამავე მიზნით არ გვაჩვენეს საქართველოში რუსეთის ფართომასშტაბიანი შემოჭრის ინსინუაცია?!

# როგორ მოიშორა ცსს-მ ურჩი პრეზიდენტი

**ევროპარლამენტის დეპუტატმა და ლიტვის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა როლანდას პაქსასმა სენსაციური განცხადება გააკეთა. იგი ირწმუნება, რომ მისი გადადგომა აშშ-ის ინსპირირებული იყო. ამის შესახებ ექსპრეზიდენტმა ლიტვის პარლამენტის ნაციონალური უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტის მომსენებზე განაცხადა. ეს მოსმენები სახელმწიფოს ამჟამინდელი მეთაურის — დალი გრიბაუსკაიტეს მითითებით იმართება და ლიტვის ტერიტორიაზე 2004-2005 წლებში მოქმედ ცსს-ს საიდუმლო ციხესთან დაკავშირებულ გამოძიებას ეხება.**



თავის გამოსვლაში როლანდას პაქსასმა პირდაპირ განაცხადა, რომ 2004 წელს თანამდებობიდან გადააყენეს იმის გამო, უარი თქვა ქვეყანაში ცსს-ს საიდუმლო ციხის განთავსებაზე. „პრეზიდენტის პოსტზე ჩემი მუშაობის პერიოდში ლიტვაში ტერორიზმში ბრალდებული პირების ჩამოყვანის სურვილი გამოითქვა,“ — ირწმუნება ექსპრეზიდენტი. როგორც **როლანდას პაქსასმა არნიშნა, 2003 წლის გაზაფხულზე სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა მეჩის ლაურინკუსმა მას ჰკითხა, შეიძლება თუ არა, ლიტვაში არაოფიციალურად ჩამოიყვანონ აშშ-ში ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები. ლაურინკუსმა ხაზი გასუვა იმ გარემოებას, რომ ამით ისინი დიდ სამსახურს გაუწევდნენ „უცხოელ პარტნიორებს“, რომლებიც, თავის მხრივ, ვალში არ დარჩებოდნენ.**

იმ დროისათვის ლიტვა მთელი ძალისხმევით მიისწრაფოდა ნატოსკენ და, თუკი ამით ბლოკში შესვლის პროცესი დაჩქარდებოდა, ბევრ პოლიტიკოსს ნაციონალური სუვერენიტეტის ასეთი მსხვერპლი გადაჭარბებული არ მოეჩვენებოდა. **მაგრამ პაქსასმა, პირადი აღიარებით უგულებელყო ცსს-ს წინადადება, ხოლო ნახევარ წელიწადში ლიტვის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკური სკანდალი ატყდა, რომელსაც შედეგად პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენება მოჰყვა.** სკანდალი მეჩის ლაურინკუსის მიერ იყო ორგანიზებული, რომელმაც ადგილობრივ მედიას როლანდას პაქსასზე კომპრომატები გადასცა. მან პრეზიდენტი რუს ბიზნესმენთან, იური ბორისოვთან მჭიდრო კავშირში დაადანაშაულა, რომელმაც ლიტვის მოქალაქეობის უკანონოდ მიღების სანაცვლოდ პაქსასს საარჩევნო კამპანია დაუფინანსა.

**2004 წლის აპრილში, როცა ლიტვა ნატოში გაწევრებას ზეიმობდა, ქვეყნის პარლამენტმა პრეზიდენტ პაქსასის იმპიჩმენტს კენჭი უყარა. ხოლო ოდნავ მოგვიანებით, ვილნიუსიდან 20 კმ-ში, ანტივილაის დასახლებაში ამუშავდა ცსს-ს საიდუმლო ციხე.**

**ანალიტიკოსების თქმით, პაქსასი ნაციონალური პოლიტიკის გატარებას ცდილობდა და „ატლანტიზმის იდეალების“ ნაცვლად, თავისი ქვეყნის ინტერესებზე იყო ორიენტირებული. ამიტომაც შეიძინა „პრორუსული“ პრეზიდენტის რეპუტაცია — იგი ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში ზომიერი პოლიტიკის მომხრე იყო. მარტო ამ მიზეზითაც კი პაქსასის იმპიჩმენტი აშშ-სთვის ხელსაყრელი გახდა.**

მედია ყურადღებას აქცევს შემდეგ გარემოებასაც: 2003 წლის ბოლოს ამერიკის სპეცსამსახურებს აღარ ჰქონდათ საიდუმლო ციხე მეზობელ პოლონეთში, სადაც ამ საპყრობილის გამო დიდი სკანდალი ატყდა, ხოლო ცსს-ს ძალიან ესაჭიროებოდა ასეთი ბაზა ევროპის ამ რეგიონში. ურჩი პრეზიდენტის თავიდან მოშორებით ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი შეიქნა ლიტვაში.

აღნიშნული სიტუაცია აღმოსავლეთ ევროპის ახალ სახელმწიფოთა „დამოუკიდებლობის“ დონის თვალსაჩინო მაჩვენებელია. **ეს სახელმწიფოები იძულებული არიან, „ვაშინგტონის საოლქო კომიტეტის“ პირველივე მოთხოვნით, მონაწილეობა მიიღონ დანაშაულებრივ პროგრამებში. დამოუკიდებლობის დაცვის ნებისმიერ მცდელობას კი მაშინვე მოჰყვება „თავნება“ მეთაურის პოსტიდან გადაყენება...**

***პაველ არისტარხოვი***, სეგოდნია.რუ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სტრასბურგის სასამართლომ გაამართლა ლეგენდარული საქმეების გამომძიებელი

**სტრასბურგში საქართველოზე და ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ჩვენზე უკეთ უწყიან, რადგან ყოველი მეორე საქმე ქართული სასამართლოების გავლის შემდეგ სწორედ სტრასბურგში მიდის. სტრასბურგის სასამართლოში საქმის წარმოება საკმაოდ სერიოზულ თანხებთანაა დაკავშირებული, ამიტომ იქ მხოლოდ ის საქმეები იგზავნება, რომლის მოგებაშიც ადვოკატიც დარწმუნებულია და მომჩივანიც. ერთ-ერთი ასეთი პროცესი სტრასბურგის სასამართლოში ახლახან გაიმართა. საქმე ეხებოდა ლევან კალაძის საქმის გამომძიებლის — ბათუ საღინაძეს, რომელიც ქართულ მართლმსაჯულებას საკუთრების ხელყოფაში, უკანონო პატიმრობასა და წამებაში ადანაშაულებდა. მან სტრასბურგის სასამართლოში სამივე საქმე მოიგო. სტრასბურგის სასამართლო ახლო მომავალში მის კიდევ ერთ საჩივარს განიხილავს, რომელიც სასამართლოში მოგვიანებით შევიდა.**

## გიორგი ბარამიძე ბათუ საღინაძეს შს მინისტრის მოადგილედ დანიშვნას ჰპირდებოდა მიხეილ სააკაშვილის სახელით





ბათუ საღინაძე 2004 წელს საქართველოს შს სამინისტროს სს სამძებრო სამსახურის უფროსად მუშაობდა და მას დავალებული ჰქონდა ლევან კალაძის გატაცების საქმეზე დანაშაულის გახსნისა და გამოძიებისთვის სრულყოფილი დახმარების მიზნით შექმნილი სპეციალური ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფის ხელმძღვანელობა. გენერალურმა პროკურატურამ 2006 წელს სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით დააკავა იგი და ბრალი რამდენიმე მუხლით წაუყენა:

**პროკურატურა საღინაძეს ლევან კალაძის გატაცების საქმეზე მუშაობისას, 2004 წლის 24 მარტს, მესტიის რაიონის სოფელ ეცერში, აფრასიძეების საცხოვრებელ სახლში განხორციელებული ანტიკრიმინალური ღონისძიების შედეგად დაკავებულ ვლადიმერ მურავიოვის მოტყუებით, ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით ჩვენების გამოძალვას ედავებოდა, თითქოს მან 2004 წლის აგვისტოში აფრასიძეების სახლში ნახა ლევან კალაძე.**

**ასევე, საღინაძეს ბრალად შეერაცხა ლევან კალაძისა და სხვა საქმეებთან დაკავშირებული სამსახურებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი საიდუმლო დოკუმენტების მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრება და თავის საცხოვრებელ სახლში გადამალვა.**

**ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის საღინაძეს ბრალი წარედგინა საქართველოს სს კოდექსის 333-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით. 335-ე მუხლის II ნაწილით, 236-ე მუხლის I ნაწილით, 363-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელის ზომად თავისუფლების 7 წლით აღკვეთა და 500-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.**

ეს ქართულ სასამართლოში, ხოლო, როგორც აღვნიშნეთ, ევროსასამართლოში ბათუ საღინაძემ საქართველოს წინააღმდეგ საქმე მოიგო და ამჯერად თავად ხელისუფლებას დაევალა 15 000 ევროსა და, სავარაუდოდ, მილიონის გადახდა ბათუ საღინაძისთვის. სტრასბურგის სასამართლომ უკანონოდ სცნო მისი გამოსახლება, ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა წამებას და უკანონო პატიმრობას, მეოთხე სარჩელი კი, რომელიც სტრასბურგის სასამართლოში ცოტა მოგვიანებით შევიდა, ბათუ საღინაძის მიმართ არასამართლიანი სასამართლოს საკითხს განიხილავს.

**გელა ნიკოლეიშვილი, ბათუ საღინაძის ადვოკატი:** „ბათუ საღინაძე, უკვე 4 წელია, პატიმრობაშია და მისჯილი აქვს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, როდესაც სასჯელის ნახევარს მოიხდის პირი, რომლის ასაკიც 70 წელს გადასცილდა, უნდა გაათავისუფლოს სასამართლომ, თუ რამე არსებითი დარღვევები არ აქვს და უარყოფითად არ ხასიათდება.

**ბათუ საღინაძეს უკვე შეუსრულდა 73 წელი. ორი თვის წინათ, კანონის ამ მოთხოვნის საფუძველზე, მივმართეთ სასამართლოს, მაგრამ არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლომ, გაუგებარი მოტივით, არ დააკმაყოფილა ჩვენი კანონიერი მოთხოვნა.**

**— რას ედავებოდა საღინაძეს გამოძიება?**

— მას ედავებოდნენ, თითქოს მან გასცა ბრძანება, რომ აფრასიძეების მოსამსახურე მურავიოვისთვის გამოეძალათ ჩვენება და ამის გამო მასზე განახორციელეს ფიზიკური ზეწოლა. მოგეხსენებათ, ერთ-ერთი ეჭვმიტანილი იმ დროს კალაძის მკვლელობის საქმეში იყო აფრასიძეების ოჯახი, უფრო სწორად, იყო მინიშნებები, თითქოს იქ წავიდა ფული, რომელიც გამოსძალეს კალაძეების მამას.

აფრასიძეების ოჯახი მისგან მალულად და ფარულად გაანადგურეს, ფაქტობრივად, თავს დაესხნენ მათ, იმ დროს დააპატიმრეს მოსამსახურე, აფრასიძის ორ შვილთან ერთად. იგი დღესაც პატიმრობაშია იმ მოტივით, რომ თითქოს წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას. **აფრასიძეების მოსამსახურე სასამართლო პროცესებზე ღიად აცხადებდა, რომ ბათუ საღინაძეს მისთვის სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია, არანაირ ზეწოლას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია.**

საღინაძეს, ასევე, ბრალად ედება, თითქოს საიდუმლო საქმე და ცეცხლსასროლი იარაღი შეინახა იმ ბინაში, რომელშიც ცხოვრობდა. საინტერესო ის არის, რომ ამ ბინიდან, უფრო სწორად, შს სამინისტროს კოტეჯიდან, რომელშიც ის ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა (იგი არის დევნილი აფხაზეთიდან, პოლიციის პოლკოვნიკი და შს სამინისტრომ გამოუყო კოტეჯი ავჭალაში), მისი გამოსახლების შემდეგ კი იქ პოლიციის პუნქტი გაიხსნა, გამოსახლებიდან წელიწადნახევრის შემდეგ ჩაატარეს ჩხრეკა და „აღმოაჩინეს“, რომ მისი იქ ცხოვრების დროს დარჩენილა რაღაც საიდუმლო საქმე, რომელიც მას სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ წაუღია, და ასევე ცეცხლსასროლი იარაღი. ეს მაშინ, როცა საღინაძეს ცეცხლსასროლი იარაღი გაფორმებული ჰქონდა და უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი არაფერში სჭირდებოდა.

**სახელმწიფომ მის მიმართ გამოიჩინა არაკეთილსინდისიერი და მიკერძოებული დამოკიდებულება. საღინაძის საქმე სამი სხვადასხვა მიმართულებით გასაჩივრდა სტრასბურგის სასამართლოში.**

**აქვე მინდა ვთქვა, რომ, ძირითადად, ამ საქმეს აწარმოებდა ადვოკატი მალხაზ პატარაია და მას ეხმარებოდა ადვოკატი ზურაბ თოდუა. პირველი დამატებითი ოქმი, გულისხმობს საკუთრების ხელყოფას, იგულისხმება მისი გამოძევება სახლიდან თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით, შვილებით, შვილიშვილებით (საქმეს ჰქვია „საღინაძე და ხუთი სხვა საქართველოს წინააღმდეგ“; ეს ხუთი სხვა არის სწორედ მისი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები).**

**კერძო საკუთრების ხელყოფის გარდა ასევე არის წამებაზე, უკანონო დაპატიმრებაზე (მეხუთე მუხლი) და თავისუფლების არაკანონიერ აღკვეთაზე.**

ევროკონვენციის მეექვსე მუხლით გასაჩივრებულია არასამართლიანი სასამართლოც. არასამართლიანი სასამართლოს გარდა, რომელიც მოგვიანებით წავიდა სტრასბურგში, როდესაც უკვე მიუსაჯეს საღინაძეს და ყველა ინსტანცია მოიარა საქმემ, ყველა დანარჩენზე არის გადაწყვეტილება, ანუ სასამართლომ დაადგინა, რომ უკანონოდ ჩამოართვეს მას ქონება და სახელმწიფოს დაევალა, მიეცა შესაბამისი კომპენსაცია ან დაებრუნებინა ქონება ექვსი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო თავად გადაწყვეტს იმ თანხის ოდენობას, რომელიც სახელმწიფომ საღინაძეს უნდა გადაუხადოს. ასევე დაავალა 15 000 ევროს გადახდა ჯარიმის სახით სამი თვის ვადაში, მორალური ზიანისთვის, რომელიც მან მიიღო პატიმრობის უკანონოდ გაგრძელებისთვის. დარჩა განსახილველი მეექვსე მუხლთან დაკავშირებული საჩივარი, არასამართლიან სასამართლოზე და ეჭვი არ მეპარება, რომ ამასაც ასევე წააგებს საქართველოს ხელისუფლება.

**— იმოქმედებს თუ არა ეს გადაწყვეტილებები მის პატიმრობაზე?**

— საქმე ისაა, რომ პატიმრობაზე სტრასბურგის გადაწყვეტილებები არ მოქმედებს. უამრავი შემთხვევა ვიცით, როდესაც ჯარიმას იხდის სახელმწიფო, იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმები ორმაგი და სამმაგი ხდება, მაგრამ ადამიანი რჩება პატიმრობაში. თუმცა არ გამოვრიცხავ, სახელმწიფომ დაიწყოს მოლაპარაკება კომპენსაციის თანხასთან დაკავშირებით, ვინაიდან ეს საკმაოდ სერიოზული თანხაა. მას ჩამოთვლილი აქვს მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვი, დიდი მეურნეობა, რომელიც ჰქონდა და ზარალი შეფასებულია მილიონამდე. მთავარი ჯერ წინ არის.

**მთავარია, არასამართლიანი სასამართლოს ცნობა და როდესაც ცნობენ, რომ არასამართლიანი სასამართლო ჩატარდა, ხელისუფლება უკვე იძულებული იქნება, საღინაძე გაათავისუფლოს.**

**თუმცა არ გამოვრიცხავ ამ უზარმაზარი ზარალის ანაზღაურებაზე მოლაპარაკებისას მანამდეც გამოიჩინოს ეს ინიციატივა.**

**— რატომ არის სასამართლო დაინტერესებული, რომ ბათუ საღინაძე პატიმრობაში დარჩეს?**

— ბათუ საღინაძე ამას უკავშირებდა შს სამინისტროს მაღალჩინოსნების ინტერესებს, რომლებიც გარეული იყვნენ კალაძის გატაცების საქმეში; როგორც თვითონ ამბობს, ეს ადამიანები უშლიდნენ მას ხელს გამოძიებაშიც და დაინტერესებული იყვნენ, ლევან კალაძის გატაცების ორგანიზატორებამდე ვერ მისულიყო გამოძიება. იგი მიიჩნევს, რომ ეს საქმე დღესაც არ არის გახსნილი. გვამი, რომელიც აღმოაჩინეს, არ არის ლევან კალაძის, და არ გამორიცხავს, რომ ამ საქმის მთავარი შემკვეთები, რომლებთანაც კუდი ჰქონდათ „გადასკვნილი“ კანონიერ ქურდებსა და პოლიციის მაღალჩინოსნებს, დარჩნენ დაუსჯელნი.

## ვინ არიან ლევან კალაძის მკვლელობის მთავარი შემკვეთები, რომლებთანაც კუდი ჰქონდათ «გადასკვნილი» კანონიერ ქურდებსა და პოლიციის მაღალჩინოსნებს

ყველაზე მეტი, ბუნებრივია, მან იცის ამ საქმესთან დაკავშირებით. წარმოიდგინეთ, 50 წელი იმუშავა გამოძიებაში და ლეგენდარული საქმეები აქვს გახსნილი, მას არაფერი შეეშლებოდა. საღინაძე პენსიაში იყო გასული, გიორგი ბარამიძისა და მიხეილ სააკაშვილის დაჟინებული თხოვნით (რომელიც ბარამიძემ გადასცა) დაბრუნდა სამინისტროში. **ბარამიძე მას ეუბნებოდა, პრეზიდენტი გთხოვს, ყველა პირობას შეგიქმნით, ხვალ-ზეგ მინისტრის მოადგილედ დაგნიშნავთ, ოღონდ ეს სირცხვილი ჩამორეცხე საქართველოს და კალაძის საქმე გახსენიო.** თვითონ როგორც ამბობს, კვალზე იყო დამდგარი და, ფაქტობრივად, გახსნილი იყო საქმე. სწორედ იმიტომ დააპატიმრეს, რომ ეს ვილაცებს ხელს არ აძლევდა.

**სოფო გელაშვილი**

## ზურაბ გაგნიძე:

# სალომე ზურაბიშვილი ბედის მაძიებლად შემოხეტებული ავანტიურისტია

**ასრულდა მერაბიშვილის წინასწარმეტყველება — „ნაციონალურ მოძრაობას“ თბილისელების 64% უჭერს მხარსო“. რამდენად ობიექტურია ჩატარებული არჩევნების შედეგები, მედლის მეორე მხარეა. ნათელია, რომ „ნაციონალების“ გამარჯვებაში ოპოზიციური ძალებისადმი ხალხის განაწყენებამ და უნდობლობამ ლომის წილი შეიტანა. ოპოზიციური ძალები ისე დაიქსაქსნენ, რომ ვერც საარჩევნო პროცესზე და ვერც შედეგებზე ზემოქმედება ვერ შეძლეს. „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი იმედოვნებს, რომ ოპოზიციაში ყველაფერი დალაგდება და ბრძოლა გაგრძელდება.**
**მის პოლიტპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით სალომე ზურაბიშვილზე, რომელიც საპროტესტო აქციების უშედეგოდ დასრულებასა და არჩევნებში დამარცხებას ოპოზიციის მარცხად არ აღიქვამს?**

— უპირველესად, ეს მიგვანიშნებს, რომ ოპოზიცია თავად ემსგავსება ხელისუფლებას. სალომეს შეუმცდარი პოლიტიკოსის პრეტენზია აქვს, თორემ მინისტრის სავარძლის დატოვებისთანავე თავის პროფესიას დაუბრუნდებოდა. თვითონვე განაცხადა: **„ამ მთავრობაში შემთხვევით მოვხვდი, როგორც ვიქნებოდი ნებისმიერ მთავრობაში, რომელიც შემომთავაზებდა ამგვარ პოსტს“.** ამიტომ გადაბარგდა ოპოზიციაში და იყვირა: **„ქაჯები კი არ მოდიან, მიდიან“.** მოირგო რა ოპოზიციონერის სამოსი, უკომპრომისოდ და კატეგორიულად ხელში აიღო ქართული პოლიტიკის ოპოზიციური ფლანგის მოძღვრის მისია, რითაც ხელაღებით დადო სასწორზე თავისი პოლიტიკური რეპუტაცია.

მალე გაუჩნდა ამბიცია, რომ სიტუაცია თავის ჭკუაზე ემართა. ამას მოწმობს 2009 წლის აპრილის აქციები, რომლებიც უშუალოდ მისი ინიციატივითა და დიდი მონდომებით დაიწყო. მან ყველა პარტიის ოფისი კარდაკარ ჩამოიარა და ყველა ლიდერს სამპუნქტიან დოკუმენტზე ხელის მოწერა მოსთხოვა. დოკუმენტის მიხედვით, ოპოზიცია მოითხოვდა სააკაშვილის გადადგომას, ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას.

**წარმოიდგინეთ, რამდენად საჩოთიროა, რომ სააკაშვილის ყოფილი მინისტრი, რომელსაც საქართველოში თითქმის ნახევარი საუკუნე არ უცხოვრია და დედაქალაქში საკუთარი ჭერიც არ აქვს, წლების მანძილზე საფრანგეთში მეუღლე ჟანრი კაშიასთან ერთად საქართველოს პირველი პრეზიდენტის, 9 აპრილის გმირის — ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციას ეწეოდა, 9 აპრილის სახელით მონათლული აქციის ლიდერობა სურს და თანაც სამპუნქტიან დოკუმენტს ნამდვილ ოპოზიციონერთა გამოსავლენ ტესტად მიიჩნევს, ანუ „გარეულმა შინაური გააგდო“.** ეს იყო სალომეს მიერ განცხადებული პოლიტიკური სიბეცე. დოკუმენტი შედგა, მაგრამ ზურაბიშვილმა თვითონვე არ იცოდა, რა გზით და როგორ აპირებდა მიზნის მიღწევას. იგი არწმუნებდა ხალხსაც და ლიდერებსაც, მიშა წასულია და ცოტა მიწოლა უნდაო.

სინამდვილეში მას არ გააჩნდა რაიმე გეგმა ან მოქმედების პროგრამა. არ იყო პარტიების კოორდინაცია, პრობლემებისადმი მიდგომები. ოპოზიციის ერთი ნაწილი რეფერენდუმზე საუბრობდა, მეორე — იმპიჩმენტზე, სალომე — გაძლებასა და მიწოლაზე. ამ პოლიტიკოს ქალბატონს ეგონა, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და უხეშად არღვევდა პოლიტიკური ბრძოლის კანონს, რომლის მიხედვითაც უნდა იცოდე, რა გინდა და რა გზით აპირებ მიღწევას, მარცხი გარდაუვალი იყო. **113 დღე იდგა ხალხი მზესა და წვიმაში, ელემენტარულ აუცილებლობას მოკლებული სალომეს ინიციატივით გამართული, დაუგეგმავი აქციები სპექტაკლს დაემსგავსა, რადგან არავითარი ფორმა არ ჰქონდა. ამიტომ ზოგი ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე წავიდა, ზოგი რეგიონებში გავიდა.**

სალომეს აშკარად არ აღმოაჩნდა ლიდერის პოლიტიკური ძალა და ალღო. გათვლებს ლირიულ-სკანდალურს აკეთებდა. **მან თქვა, რომ ტანსაცმელს იქამდე არ გაიხდიდა, სანამ სააკაშვილი არ გადადგებოდა. ეს კეკლუცი ქალის „მარტვილობა“ უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკური განაცხადი. საკანში გამოკეტვითა და ტანსაცმლის გამოუცვლელობით მსოფლიო ისტორიაში არც ერთი ხელისუფლება არ შეცვლილა. ორიენტირი სულელური იყო, ყოველგვარ გონებრივ განსჯას მოკლებული; აქციაზე წითელი კვერცხებითა და პასკებით გამოცხადება კი — საკმაოდ არასერიოზული.** პრეზიდენტთან დიალოგს ჯერ ეშმაკის ცდუნებას უწოდებდა, შემდეგ კი გადადგა ეს ნაბიჯი. კურიოზად კი აქციის მონაწილეებს ამ თემაზე დაწერილი უნიჭო ლექსი შესთავაზა. ამ ქმედებებით ქალბატონმა სალომემ, როგორც პოლიტიკოსმა, ხალხის თვალში ფასი დაკარგა.

**მეორე და სკანდალური უმეცრება სალომემ მაშინ გამოამჟღავნა, როდესაც პრეზიდენტის მიერ გადმოგდებული ანკესი გადაყლაპა. ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის სტუმრობის წინ სააკაშვილმა ოპოზიციონერები უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიიწვია, მანდატდახეულები პარლამენტში შეიპატიჟა, ხოლო ლიდერებს მინისტრის მოადგილეების პოსტები შესთავაზა.** სალომემ იფიქრა, რომ პრეზიდენტს აქციების შეეშინდა და მიშა სიტყვაზე დაიჭირა, „საქართველოს ხერხემლის“ ტვინობა“ მოინდომა და განცხადებაც გააშანშალა. ამასობაში მისმა დოკუმენტზე ხელმომწერებმა კანცელარიასა და შავნაბადაზე ირბინეს, ვანოს ბიჭებმა კი რუსთაველი საკნებისგან გაათავისუფლეს. **ყველაზე დიდი უმეცრება კი ისაა, რომ მისი ლიდერობის ჟამს მოხდა პატრიარქის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში ჩართვა.**

**9 აპრილის აქციების ლიდერობით ზურაბიშვილს ძალაუფლების დაბრუნება და სხვა ოპოზიციურ ძალთა დაჩრდილვა სურდა, ამიტომ დაიკავა ეს ოპოზიციურ ნიშა. სინამდვილეში კი მისი უთავბოლო ამბიციით ხალხიდან პროტესტის ორთქლის გამოშვება მოხდა და საზოგადოებაში მისი პოლიტტრიუკებით მუხტი ჩაქრა.**

ყოველივე ამან კი სააკაშვილს დემოკრატი მმართველის იმიჯი შეუქმნა. რამდენიც გინდა ამტკიცოს ქალური სიჯიუტით — „მნიშვნელოვან შედეგს მივაღწიეთ, ხელისუფლება გამოვააშკარავეთ, გავიყვანეთ ქალაქიდან და სერიოზულად შევაჯანჯღარეთ“, ფაქტი სახეზეა. ხალხმა არჩევნებში მათ „შეჩვეული ჭირის“ ხმის მიცემა არჩია. ხომ აცხადებს, — ყველას აქვს უფლება 9 აპრილის შესახებ ილაპარაკოს, მაგრამ ჩემზე დიდხანს და რეგულარულად იქ არავინ მდგარაო. ჰოდა, აიღოს მომხდარზე სრული პასუხისმგებლობა: რატომ გაღვივდა ხალხში სრული ნიჰილიზმი ოპოზიციურ ძალთა მიმართ? რატომ შეიქმნა საპროტესტო ელექტორატში პრობლემა და ეჭვი ამ ქალბატონის მიმართ? ნუთუ მხოლოდ ზურაბიშვილის ბუნებრივმა სიბრიყვემ და უზომო პატივმოყვარეობამ ჩააქრო საპროტესტო მუხტი?! იქნებ, უხეირო თავდაჯერებით ვიღაცის დავალებას ემსახურებოდა?! მის ქცევებს აგენტურული საქმიანობის სუნი ხომ არ დაჰკრავს?..

**— ბატონო ზურაბ, ხალხი და პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ რუსეთთან ურთიერთობების დალაგება ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რატომ ეწინააღმდეგება ამას ქალბატონი სალომე?**

— ქალბატონმა სალომემ, როგორც დიპლომატმა, კარგად უნდა იცოდეს, რას ნიშნავს კავკასიის რეგიონში რუსეთის გავლენა და როლი. ეტყობა, დიპლომატიაშიც მოიკოჭლებს, თუნდაც იმიტომ, რომ მას არ გააჩნია პოლიტიკური ხედვა. ის ამბობს: **„უცხოელების მიმართ უნდობლობის გაჩენას ერთი მიზანი აქვს — ისევ რუსეთისაკენ წაგვიყვანონ, ამას ჩემი ძალებითაც შევეწინააღმდეგები“.** მან საელჩოებისთვის ამგვარი განცხადება გააკეთა: **„სააკაშვილი და მისი გუნდი კვლავ ქმნიან შიდა მარცხისა და სახელმწიფო კოლაფსიდან ყურადღების გადატანას კონფრონტაციაზე, რომელიც რუსეთის პროვოცირებაზეა გამიზნული... მოგმართავთ, ამ რეჟიმის უპასუხისმგებლო ქმედებაზე ადეკვატურად იმოქმედოთ“.** სალომე ზურაბიშვილი მთელი არსებით ეწინააღმდეგება რუსული ფაქტორის შემოტანას ქართულ პოლიტიკაში და ყველაფერს პრორუსულს პროვოკაციას უწოდებს — პროვოკაციას, სახელად ნოღაიდელს; რამდენად აქვს სხვებისთვის იარლიყების მიწებების მორალური უფლება, როდესაც თვითონვე აცხადებს, რომ ამით ხდება დასავლური ძალების დისკრედიტაცია. პოლიტიკოსი დიპლომატი ხმამაღლა ყვირის: **„არასოდეს შეიძლება დიალოგი იმ ხელისუფლებასთან, რომელსაც შენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული“**. ვითომ?! განა ეს აპრობირებული არაა მსოფლიო პოლიტიკაში?! სალომე კი მაინც არ ცხრება: **„ცუდია, რომ რუსეთი შემოვიდა ქართულ პოლიტიკაში, მას ვერაფერს ვუზამთ, ვერც დაპირებებით და ვერც დიალოგით“.** რისი ეშინია მადამ სალომეს, მაშინ, როდესაც თვითონ ნატო თანამშრომლობს რუსეთთან და ამერიკამ კი, დიდი ხანია, დაიწყო გადატვირთვის პოლიტიკა. ის კი მაინც იწეწება: **„ასეთი თემა დღეს დივერსიულ როლს თამაშობს, თუ ვიღაცას უნდა წარმოაჩინოს, რომ ჩვენს ბრძოლაში მოთამაშე რუსეთია, ამას მე არასოდეს დავეთანხმები“.**

რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით გვჩრიდა ცხვირში საეჭვო ღირსების მქონე ამერიკულ ექსპერიმენტს — ირაკლი ალასანიას დედაქალაქის მერად, ხოლო სხვა კანდიდატურებს ჩვეული მედიდურობით ცხვირს უბზუებდა. რუსული ფაქტორის გაურკვეველი შიშით აიღო თავზე ალასანიას კანდიდატურის მფარველი ანგელოზის მისია: **„სოციოლოგიურ გამოკითხვას მხარს არ ვუჭერ, რადგან ოპოზიციის საერთო კანდიდატი გამოვლენილია და ის ირაკლი ალასანიაა“.** ალასანიას აპოლოგეტი სხვა პარტიებს მოუწოდებდა: **„აქ ვაჭრობის დრო არ არის, ახლა ერთობის დროა და ყველა ოპოზიციონერი ირაკლი ალასანიას გვერდით უნდა გაერთიანდეს“.**

გადააჭრელა პრესა ალასანიას დითირამბებით: **„ჩემთვის ერთი გამოცხადებული კანდიდატი არსებობს — ირაკლი ალასანია და ვერ ვხვდები, რატომ არ უნდა დავუჭირო მხარი?“.** იმასაც ამატებდა: **„ყველა შემთხვევაში, გვჭირდება ლეგიტიმურობა გარედან“** და მიიჩნევდა: **„ერთადერთი იმედი და ხელისუფლების ალტერნატივა ირაკლი ალასანიაა.“** იმდენად იყო აჟიტირებული, რომ მერობაზე კანდიდატურა არ დაასახელა, იმედოვნებდა: **„დიდი იმედი მაქვს, რომ არჩევნებს მოვიგებთ, რომ გვაქვს გარკვეული შანსი, ამ შანსის ყველაზე უკეთესი კანდიდატურა ირაკლი ალასანიაა“** ან **„ყოველთვის ვამბობდი, რომ ალასანია საუკეთესო კანდიდატია, როგორც ტიპაჟი. ეს არის ადამიანი, რომელიც ქვეყანას არ დაანგრევს“.** სალომემ თავისი მხურვალე მხარდაჭერით ამომრჩეველს ის ეჭვი განუმტკიცა, რომ ალასანია დასავლეთის რჩეული იყო. რჩეულმა კი არჩევნებში დიდი სიმწარე და მარცხი იგემა.

აქედან გამომდინარე **ზურაბიშვილის პოლიტიკა არსებული რეალობის არაადეკვატურია, თანაც ერთპიროვნულია, აკლია ობიექტურობა. სიმტკიცე არ ჰყოფნის, სიმართლეს პირდაპირ შეხედოს, კეთილგონივრულად გააანალიზოს და იქ გაჭრას, სადაც საჭიროა. ის პოლიტიკის ზედაპირზე დაფარფატებს და არ ჰყოფნის სიმძიმე სიღრმეში ჩასვლისა. ვერა და ვერ გამოვიდა ილუზიის არტახებიდან. ტრიბუნაზე დგომამ და პანეგერიკულმა ღაღადისმა პოლიტიკოსად ვერ აქცია;** ცუდად იხარჯება; იაფმა პოპულარობამ გაიტაცა; „ქაჯთა ქვეყანაში“ საკუთარ თავზე ყალბი წარმოდგენა შეიქმნა; წარმოჩენის არც ერთი მცდელობა არ გამოუვიდა, რადგან მისი ოპოზიციონერობა ძალაუფლების ჩამორთმევით გამოწვეული შელახული პატივმოყვარეობის ყვავილია. **სალომე ზურაბიშვილი უცხოეთიდან ეროვნულ ნიადაგზე ბედისმაძიებლად შემოხეტებული ავანტიურისტია, ისეთივე „შემთხვევით“, როგორც ხელისუფლებაშიც მოხვდა.** რატომ მოხვდა ერის საპროტესტო სათავეში ეს ქალბატონი, რომელსაც კონსტიტუციურად უფლება არ აქვს, ხალხის რჩეული, ანუ პარლამენტარი იყოს, გაუგებარია. როდესაც ამგვარი სუბიექტი პოლიტიკურად გვმოძღვრავს, მაშინ ერის საქმე ცუდადაა და ამას გაანალიზება სჭირდება.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

16 — 22 ივნისი, 2010 წელი. №22 (65)
www.geworld.net

გსურთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო



# როცა ქვეყანას «უგნური ერდოღანი გარღვევას აპირებს

**სულ ცოტა ხნის წინათ პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის გააქტიურებას საერთაშორისო ასპარეზზე მიმომხილველები ხსნიდნენ თურქეთის მისწრაფებით, დაეკავებინა ლიდერის პოზიცია რეგიონში.**

ამჟამად, ანუ ჰუმანიტარული მისიის ტრაგიკული კონფლიქტით დასრულების შემდეგ, რაც ისრაელის შეიარაღებულმა წინააღმდეგობამ გამოიწვია და რომელშიც თურქეთის მოქალაქეებიც დაიღუპნენ, მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ პალესტინაში მიმავალ ჰუმანიტარულ ქარავანს თურქეთი თავისი საზღვაო ძალების ხომალდებს გააყოლებს ბადრაგად, ერთ-ერთ კრეისერზე კი თავად აპირებს ასვლას, იმავე მიმომხილველებმა **გადახედეს პირვანდელ დასკვნას რეგიონულ ლიდერობაზე პრეტენზიის შესახებ და თურქეთის ამბიცია ისლამური სამყაროს ლიდერობამდე განავრცეს.**

რეგიონის ჩარჩოებში ვეღარ ეტევაო.

სხვისი აზრების ამოკითხვის მცდელობა, ანუ გაუმჟღავნებელი ფიქრის ამოცნობა უზნეობადაა მიჩნეული. მაგრამ, როცა ეს აზრები და ფიქრი (ამ შემთხვევაში ერდოღანის) განზრახვად ჩამოყალიბდება და ფაქტებად დალაგდება, ტაბუირება, როგორც ჩანს, უქმდება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ეს ფაქტები საერთაშორისო ნორმებისა და სტაბილურობის დარღვევის სერიოზულ ნიშნებს შეიცავს.

**ექსპერტების დაკვირვებით, ერდოღანის პოლიტიკა ასეთი საშიშროების მნიშვნელოვანი დოზითაა გაჯერებული. უარესიც — მიმართულია ოსმანთა იმპერიის უწინდელი სიძლიერითა და ბრწყინვალებით აღდგენისკენ.**

**ჯერჯერობით დაფარულიაო ეს ტენდენცია.**

რამდენად სწორადაა ამოკითხული ერდოღანის ჩანაფიქრი და რამდენად შესაძლებელია მისი რეალიზაცია, ცალკე მსჯელობის საგანია. მაგრამ სავსებით საკმარისია დაძაბულობის შესაქმნელად თუნდაც რეგიონში, ურთიერთობათა დაძაბულობისა და გართულების შესაქმნელად მაინც, რაც განსაკუთრებით საფრთხილოა საქართველოსთვის, რომლის ხელისუფლება საერთაშორისო პოლიტიკაში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ამოტრიალებული თევზი, რომელიც ამღვრეულ დინებას მიაქვს. ამღვრეულ წყალში კი, ათადან-ბაბადან ცნობილია, თევზის დაჭერა იოლია, განსაკუთრებით მაშინ, როცა თეთრი მუცელი მზისთვის აქვს მიშვერილი და ზედაპირზე ტივტივებს.

უსიცოცხლოა.

მაგრამ ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა რა დავაშავეთ ისეთი, რომ შევეწიროთ მოცემულობას, რომელიც თავიდან ყარს?

ახლო აღმოსავლეთის გაღვივებული კონფლიქტის ახალმა მონაწილემ — თურქეთმა ერდოღანის ენერგიული დემარშით დააფიქსირა, რომ იგი პალესტინელების ინტერესების დამცველია. ამან და, საერთოდ, ბოლო პერიოდში ჩვენი სამხრეთელი მეზობლის მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ გაარღვია არაბულ სამყაროსთან მისი ერთგვარად გაუცხოების ისტორიული ჯებირები. ოსმანთა იმპერიის ზეობის პერიოდში არაბები თურქებს დამპყრობლებად და მჩაგვრელებად აღიქვამდნენ, ჩვენს დროში კი ისრაელთან მოკავშირეობრივი ურთიერთობის გამო ლამის ურჯულოებად და ისლამის მოღალატეებად მონათლეს.

მხოლოდ სამი წელიწადი დასჭირდა თურქეთს, რათა ერთგვარად გაუცხოებული ირანი პოტენციურ მოკავშირედ მოექცია.

უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ ანალიტიკურ წერილებში სულ უფრო დაჟინებით მიგვანიშნებენ, რომ **იკვეთება ახალი ბლოკის კონტურები, რომელშიც, მკვლევართა აზრით,**



**შეიძლება გაერთიანდეს თურქეთი, ირანი, სირია და ლიბანი. ამ ბლოკს, ალბათ, რუსეთიც მხარს დაუჭერს, მაგრამ არა საჯაროდ, — ფარულად.**

ნაკლებ სავარაუდოა, რომ ქართული საგარეო პოლიტიკის მამებმა გათვალეს ეს ყველაფერი. მაგრამ სააკაშვილის მიერ ერდოღანის ქებათაქება, რაც ბათუმში გადმოღვარა, დააჯილდოვა კიდეც, პრემიერის აღმოსავლური პოლიტიკის მოწონებისა და მხარდაჭერის აშკარა დემონსტრაცია იყო.

**ე.ი. საჯაროდ განვახორციელებთ იმას, რასაც პერსპექტივაში რუსეთმა შეიძლება მხარი დაუჭიროს ფარულად.**

**ირანს ხომ ფიანდაზა დავუფინეთ უვიზო მიმოსვლისთვის ჩვენი მზაობითა და მისწრაფებით. ხოლო მას შემდეგ, რაც გასულ კვირაში გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია ირანისთვის სანქციების დაწესების შესახებ, ხელების სავსავი და თვალებციმციმა ჟურნალისტი გოგონებისთვის იმის განცხადება, რომ სანქციები ეხება ბირთვული შეიარაღების პრობლემას და არა სხვა სფეროებში მასთან თანამშრომლობას, ძალიან ჰგავს ნახევრად ქალწულად თავის წარმოჩენის სურვილს.**

რასაც საქართველოში კი მივეჩვიეთ, მაგრამ რაც გაუგებარია მსოფლიო თანამეგობრობისთვის.

ობამამ, მერკელმა, სხვა ლიდერებმა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება დემოკრატიისა და პროგრესის გამარჯვებად შეაფასეს. ორიოდ დღის წინათ კი შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი), რომლის ასოცირებული წევრი — ირანი, მეორე წელიწადია, სრულუფლებიან წევრობას ითხოვს, პრეზიდენტ ახმადინეჯადს ყველა გზა გადაუკეტა იმით, რომ თავის წესდებაში შეიტანა ახალი პუნქტი, რომლის ძალით ამ ორგანიზაციაში არ მიიღებენ გაეროს სანქციებს დაქვემდებარებულ ქვეყანას.

პოლიტიკოსები, რომლებიც გადაჩვეულები არ არიან ლოგიკურ მსჯელობას, განსჯიან ასე: **ანკარის ახალმა პოლიტიკამ არა მარტო გაართულა ისრაელის მდგომარეობა, არამედ პრაქტიკულად საფუძველი გამოაცალა აშშ-ის განზრახვას, განახორციელოს ირანზე თავდასხმის ოპერაცია, რადგან ამ საომარი კამპანიის დროს თურქეთს ამერიკის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი პლაცდარმის ფუნქციის შესრულება ეკისრებოდა.**

ეს ერთი.

მეორე მომენტი უფრო მასშტაბურია. **თუ ერთმორწმუნე მაჰმადიანთა ბლოკი, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, მართლაც შეიკრა, მაშინ ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური ვითარება შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს. ინტერესთა დაპირისპირებას რეგიონში აქცენტების გადანაცვლება მოჰყვება: დასავლეთისთვის მთავარი ამოცანა გავლენის სფეროს შენარჩუნება გახდება და არა კავკასიის გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.**

თავისი გაუჭირდება.

მაშასადამე, ვითარების შეცვლა რუსეთისთვის იქნება მომგებიანი.

ჩვენ სად ვიდგებით ამ დროს? ▶

# ირანმა დაიმსახურა სანქციები, მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტი უფრო დაგვიახლოვდა

**ირანის თემა მსოფლიო პრესის გასული კვირის პუბლიკაციებში პირველ ადგილს იკავებს. მიმომხილველები გამოწვლილვით აანალიზებენ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ირანის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს და მათს ნაკლებეფექტიანობას.**



**ჯერ ერთი**, იმიტომ, ხაზს უსვამს **The Financial Times**, რომ გაეროს უახლესმა ღონისძიებებმა სათუოა, რაიმე გავლენა იქონიოს ირანის ბირთვულ გეგმებზე, რადგან **არ არის პარალიზებადი — არ ეხება ნავთობით მისაღებ სასიცოცხლოდ აუცილებელ შემოსავალს**. ამიერიდან ირანი კონცენტრირებული იქნება იმაზე, თუ როგორ აუაროს გვერდი სანქციებს და შემოატრიალოს ისინი თავის სასარგებლოდ.

**„სანქციების მუქარა ჩვეულებრივ მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე უფრო ძლიერ მოქმედებს“,** — წერენ ავტორები **რეი ტაკეიხი**, რომელიც აშშ საერთაშორისო კავშირების საბჭოს თანამშრომელია, და **სიუზან მელონი** Brooking Institution-იდან.

**მეორე**, სანქციებმა პოზიციები გაუმყარა ირანის ხელმძღვანელობაში მყოფ „ყველაზე უფრო პარანოიდულ წრეებს“, მიიჩნევს Financial Times და მოუწოდებს დასავლეთს, პირდაპირ ესაუბროს ირანს, ამასთან — აღიჭურვოს მოთმინებით.

მოთმინება მხოლოდ კეთილ სურვილად რჩება, არცთუ ეფექტიანად, რადგან **წინასაომარი სიტუაცია უკვე ხელშესახებ რეალობად იქცა. ამას ამტკიცებს სტეფან სიმანოვიჩი** ბრიტანულ **The Guardian**-ში „ირანის წინააღმდეგ სანქციები შეიარაღებულ კონფლიქტს გვაახლოებს“.

ირანთან უშუალო მოლაპარაკების შედეგების დროში შეკვეცილი ეფექტიანობა დაადასტურა აჰმადინეჯადის პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევის შემდეგ ირან-აშშ-ის შარშანდელმა შეხვედრამ, რომელიც მათ შორის 30-წლიანი გაუცხოების შემდეგ შედგა. ამერიკამ ირანს შესთავაზა ირანის ურანის ბირთვულ საწვავზე გაცვლა. აჰმადინეჯადი პრინციპში დაეთანხმა, მაგრამ ისეთი პირობები წაუყენა, რომლებიც ვაშინგტონს ხელს არ აძლევდა და გარიგება ჩაიშალა.

გასულ თვეში ბრაზილიამ და თურქეთმა პრაქტიკულად იდენტურ შეთანხმებას მიაღწიეს ირანთან — ურანის ნახევარი მარაგის საწვავზე გაცვლა, მაგრამ ამჯერად ვაშინგტონის რეაქცია სკეპტიკური იყო (განსხვავებით მიხეილ სააკაშვილის რეაქციისგან, რომელმაც ერდოღანის დიპლომატიური ნაბიჯი ისტორიულ მოვლენად შეაფასა).

სიმანოვიჩი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტ ობამას ძალა არ შესწევს სერიოზული გავლენა მოახდინოს ირანთან ურთიერთობის ამერიკულ კურსზე. მისი (ობამას) ამბივალენტური (ურთიერთგამომრიცხავი) მიდგომა სამხრეთის ამ ქვეყანაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებისადმი (რომელიც აშკარად გაყალბებული იყო), მიზნად ისახავდა ოფიციალურ თეირანთან ურთიერთობის მოწესრიგებას. ამიტომ გადაიდგა უდავოდ პრაგმატული ნაბიჯი უშუალო კონტაქტების დასამყარებლად.

თუმცა უეფექტო გამოდგა.

**არც უშიშროების საბჭოს სანქციებს მიიჩნევენ მიმომხილველები რაიმე გარღვევად. ხოლო ამ სანქციების გამკაცრება იმ მიმართულებით, რომ „ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ირანში მიმავალი ან ირანიდან გამოგზავნილი ტვირთები შეამოწმონ, უეჭველად დაგვაყენებს შეიარაღებული კონფლიქტის ზღვარზე“, —** ასკვნის **The Guardian**.

„არც ომის, არც მშვიდობის“ მსგავსი სიტუაციაა,

გაეროს სანქციების შეფასებაში გაცილებით კრიტიკულ პოზიციაზე დგას ფრანგული **Le Monde**. მსოფლიოში დაივიწყეს ამ გამწვავებული პრობლემის თავიდათავი მიზეზი, კერძოდ, ისლამური რესპუბლიკის უარი, შეეწყვიტა ურანის გამდიდრების პროგრამა. ამიტომ **„გაეროს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. სწორად მოიქცა“, თუმცა ახალი სანქციები, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, „ვერ გატეხავს ირანს“, რადგან არ არის „მახრჩობელა“.**

მაგრამ, ამასთან ერთად, ეს ისლამური ქვეყანა შეიძლება იზოლაციაში აღმოჩნდეს, რადგან **„ჩინეთმა და რუსეთმა, ირანის უმსხვილესმა სავაჭრო პარტნიორებმა, მხარი დაუჭირეს სანქციებს“.**

და, როგორც წყლის გადაწურვა, დასკვნა: **დიალოგის შეთავაზება ეწინააღმდეგება აჰმადინეჯადის რეჟიმის ბუნებას.**

თუ ეს პოზიცია მაქსიმალისტური არ არის, ამ ეტაპზე მაინც ასე ჩანს, მაშინ, იქნებ, აგვიხსნას ჩვენმა საგარეო უწყებამ, რა უდევს საფუძვლად საქართველოს ზეოპერატიულ გადაწყვეტილებას ირანთან უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ?

მსოფლიოს ამ რეგიონში სიტუაცია ცივილიზებულ ჩარჩოებში თუ არ მოექცა, უვიზოდაც კარგად შემოვლენ, როცა დასჭირდებათ.

ჩვენ ჩვენი თავი ვიტიროთ, რადგან სწორედ სიტუაციის დალაგებაა საეჭვო. ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დემაგოგი» მართავს!

**თუ თურქეთის (პერსპექტივაში ირანისა და სხვა შესაძლო მოკავშირეთა) პოლიტიკა რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს, სააკაშვილი კი თურქეთს ელაციცება და ირანისკენაც გაურბის თვალი, გამოდის, რომ საქართველო რუსეთის თამაშს თამაშობს!**

ალაჰმა უწყის!

მივყვეთ პოლიტოლოგების ვარაუდებს: შეიძლება მოხდეს ისე, რომ მნიშვნელოვან რეგიონში გავლენის დაკარგვის პრობლემის წინაშე დამდგარი შეერთებული შტატები, ისრაელი და ევროკავშირი მოელაპარაკონ ანკარას ხისტი პოლიტიკის შერბილების თაობაზე. თუმცა **არც ისაა გამორიცხული, რომ შეიმუშაონ პოლიტიკური ასპარეზიდან ერდოღანის მოცილების გეგმა, თუნდაც სამხედრო გადატრიალების ან მის წინააღმდეგ ტერაქტის განხორციელების გზით.**

**„არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა“...**

საერთაშორისო საკითხებზე მომუშავე ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ევროკავშირი არ დაუშვებს თურქეთის რადიკალურ ისლამიზაციას. მაგრამ რის ფასად?

პასუხის მისაღებად ალაჰთან „გადამისამართება“ არაფერს მოგვცემს. მაშასადამე, მაქსიმა, რომ სხვისი აზრების წაკითხვა უზნეობაა, არა მარტო ძალაში რჩება, არამედ დამბრალებლის ათასი ცოდვით შეიძლება დამძიმდეს.

რაღა ჩვენ ვზიდოთ?

**როგორც Sueddeutsche Zeitung-ის მიმომხილველი აღნიშნავს, საეჭვოა, სანქციებმა აიძულოს ირანი, გადაუხვიოს არჩეულ კურსს.**

**„გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება,** — ნათქვამია ამ გამოცემის მიმოხილვაში, — **არის პოლიტიკური სიგნალი, რომელიც სწორად აღიქვეს, უწინარეს ყოვლისა, რეგიონში, რადგან არაბულ სახელმწიფოებს არაფრის ისე არ ეშინიათ, როგორც ბირთვული ბომბით შეიარაღებული ირანის“.**

ირანის ბომბს კი „ძალუძს უახლოეს მომავალში ისედაც არასტაბილური ახლო აღმოსავლეთი ბირთვული ომის საშიშროების წინაშე დააყენოს“.

ამ ყველაფრის შემყურე ევროპა კი განზე დგომას ამჯობინებს. არადა, აქვს ჩარევის მიზეზი, თანაც, ორი — თურქეთისა და ისრაელის პოზიციები. **ანკარამ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა და „იზოლაციის გზა აირჩია. ამ პოზიციის ასე თუ ისე ახსნა კიდევ შეიძლება პრემიერ-მინისტრის შიდაპოლიტიკური გათვლებით, მაგრამ მისი განზრახვა, ეჭვი შეგვეპაროს თურქეთის ორიენტაციაში, შემაშფოთებელია“.**

ეს ჩვენს ხელისუფლებას არ ენაღვლება...

## დარღვევებით ჩატარებული საქართველოს არჩევნები



**დანიელ ლარისონის ეს წერილი, რომელიც The Americsan Conservative-მა გამოაქვეყნა, უკან მიდევნებული ლამპარივით კია, მაგრამ ის შემთხვევაა, როცა სულ არაფერზე უკეთესია.**

„საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის პარტიამ მუნიციპალურ არჩევნებში **დამაჯერებლად გაიმარჯვა**, თუმცა გამარჯვება დასავლელი დამკვირვებლების განცხადებებმა დაჩრდილა, რომლებმაც ხმის მიცემის პროცესში **„მნიშვნელოვან ხარვეზებზე“** მიუთითეს“.

შეფასებები არასოდეს დაუშურებიათ ჩვენთვის, თანაც აღმატებული, ზოგჯერ — ურთიერთგამომრიცხავი, როგორც აქაა: **„დამაჯერებელი გამარჯვება“** და **„მნიშვნელოვანი ხარვეზები“.**

რაა იგი „დამაჯერებელი გამარჯვება“, რასაცა ახლავს „მნიშვნელოვანი ხარვეზები“?! გნებავთ, — პირიქით?!

რაიმე ლოგიკაც რომ იპოვოთ ასეთ აბსურდში, რა მერე? გაჯანსაღდება საქართველოში საარჩევნო გარემო, ხელისუფლება საარჩევნო ადმინისტრაციას აუკრძალავს გაყალბებას და, პირველივე დარღვევის შემთხვევაში, დამნაშავეებს პასუხისგებაში მისცემს?

ან, იქნებ, სააკაშვილის პარტიისთვის ოც ლარად ნაყიდი ელექტორატი მორცხვად დახრის თავს და ლოყები აუღაჟღაჟდება ისე, როგორც კარგ ხასიათზე მყოფ მათ პრეზიდენტს?

მსგავსი არაფერი მოხდება.

დიდი-დიდი, დაპირისპირებულმა პოლიტიკოსებმა იხმალაონ ქაღალდის ხმლებით.

იყო და დარჩება ჩვენი ხელისუფლების პოლიტარსენალში სიყალბის მანქანები. ამიტომო, ამბობს ლარისონი **„მნიშვნელოვანი გაყალბებებისა და დარღვევების არსებობა არ უნდა გაგვიკვირდეს“.**

ჩვენ ხომ გაკვირვებისგან თვალები გადმოცვენაზე გვაქვს...

ეს — ჩვენ, დასავლეთის პრესას რა რეაქცია ჰქონდა? ავტორი საწინააღმდეგოს პრინციპიდან გამოდის და ასე მიგვანიშნებს იქაურ დამოკიდებულებაზე: **„სააკაშვილის პარტიის ადგილზე „ედინაია როსია“ ან აჰმადინეჯადი რომ ყოფილიყო, თაღლითობასა და ფალსიფიკაციაზე აღშფოთებული განცხადებების მოწმენი გავხდებოდით, ხოლო ექსპერტები და ბლოგერები სრულ მხარდაჭერას აღუთქვამდნენ ოპოზიციას“.**

დასავლეთის მედიის სივრცეში კანტიკუნტ მასალას თუ აღმოაჩენს დაინტერესებული მკვლევარი და ისიც „სააკაშვილის მომხრეების განცხადებებია“.

კი ცდილობს მიმოხილვის ავტორი, გაშიფროს კოდური ფორმულირება „მნიშვნელოვანი ხარვეზები“, რაც „სისტემატურ დარღვევებს“ ნიშნავს, ანუ ბიულეტენების ჩაყრას და „მმართველი პარტიის სასარგებლოდ აშკარა მიკერძოებულობას“, მაგრამ ამის გამო არავინ გააჩერებს სპეციალურ შემადგენლობას, რომელიც დაიძრა სადგურისკენ „2013“ და, საეჭვოა, საპარლამენტო და საპრეზიდენტო რიგგარეშე არჩევნების ბაქნებზე შეაჩეროს მემანქანემ გულის გამხარებელი მატარებელი.

რატომ ასეთი პესიმიზმი?

იმიტომ, რომ **„ოპოზიცია საქართველოში სუსტი და დეზორგანიზებულია“.** დავუმატოთ, რომ ნაწილი — ნასყიდია, ნაწილი — სატელიტი, ნაწილმა არც კი იცის, არის თუ არა ოპოზიცია.

სამაგიეროდ, **„ხელისუფლება უზარმაზარი უპირატესობით სარგებლობს“, ანუ მაქსიმალურად და უფრო მეტადაც იყენებს სახელისუფლო რესურსებს და ამიტომაა, რომ „არანაირ გაკვირვებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ სააკაშვილის პარტიამ გასულ კვირას ხმების ორი მესამედი მოიპოვა“.**

მოიპოვა და გზაც იქით ჰქონია!

მაგრამ რა ვუყოთ იმ აბსურდულ სიტუაციას, რომლის მოდელირება მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი? კერძოდ, ასეთის:

**„სააკაშვილმა ომი დაიწყო, რომელსაც სამხედრო კატასტროფა მოჰყვა, ხოლო მისი პარტია ამ ომის შემდეგ გამართულ პირველ არჩევნებს დიდი უმრავლესობით იგებს. ჩემი აზრით, — განაგრძობს დანიელ ლარისონი, — ეს ადასტურებს არა ჯანსაღი დემოკრატიის არსებობას, რომელსაც მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ძალები გააჩნია, არამედ ერთპარტიული სახელმწიფოს დაბადებას, რომელშიც ელექტორატი ნებისმიერ არაკომპეტენტურობასა და ნებისმიერ მარცხს ეგუება“.**

საეჭვო დასკვნაა. შეგუებაზე ვლაპარაკობ, რადგან ნებისმიერ მოძრაობას მიქცევისა და მოქცევის ფაზები ახასიათებდა ყოველთვის. ახლა მიქცევაა, თავთხელია.

შემდეგი მოქცევა განსაკუთრებით წყალუხვი უნდა იყოს.

ხოლო, რაც შეეხება იმ ენთუზიაზმს, რომლითაც ბუში და მისი ადმინისტრაცია მხარს უჭერდა სააკაშვილს და რომელიც „აბრმავებს პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს და არ აძლევს მათ სააკაშვილის ხარვეზებისა და შეცდომების დანახვის საშუალებას“, ამაზე ჩემს მოკრძალებულ შეხედულებას მოგახსენებთ:

**ნიკარაგუის დიქტატორი — ანასტასიო სომოსა, ამერიკელებმა, როგორც იქნა, აღიარეს, რომ ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილიაო. უსამა ბენ ლადენიც მათი მიჩურინელების გამოყვანილი ჯიშია, რომელსაც წლების განმავლობაში გეშავდნენ და ბოლოს და ბოლოს ისე დაგეშეს, რომ „ინვესტორების“ მიწოდებული იარაღი მათ წინააღმდეგ მიმართა.**

ცუდი პარალელია?

იყოს!

დანიელ ლარისონის წერილი, რომელიც მიმოვიხილეთ, პოლემიკაა „კონტინენტთან“, მისი პუბლიკაციის განქიქებაა.

ერთი მთავარი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული შეურიგებლობით განიხილავს ავტორი, **2008 წლის ომია, რომელსაც მისი ვიზავი გვერდს უვლის, „ახსნის არანაირი მცდელობა არ აქვს“. „ამ ომმა, — მიაჩნია ლარისონს, — საქართველოს ეკონომიკას უზარმაზარი ზიანი მიაყენა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შანსის გარეშე დატოვა. დიახ, რთულია ინვესტიციების მოზიდვა, როცა ქვეყანას უგნური დემაგოგი მართავს“.**

**მეც მანდა ვარ.**

# საქართველოს არეული არჩევნები

**Open Democracy აქვეყნებს იაკობ პარუსინსკის წერილს, რომელიც საქართველოში გამართული არჩევნების დემოკრატიზმისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეფასებისგან ქვას ქვაზე არ ტოვებს.**

„მე, — წერს პარუსინსკი, — თბილისში მოქმედ ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრთან“ ერთად არჩევნებს ვმეთვალყურეობდი და, რაც ვნახე, ქებას ნამდვილად არ იმსახურებს.

**ერთ უბანზე კომისიის წევრები საარჩევნო კაბინებში იყვნენ შესულნი და ამომრჩევლებს მე-5 ნომრის – ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის შემოხაზვას სთხოვდნენ. მთავრობის ერთმა დამკვირვებელმა მოგვიანებით ამიხსნა, რომ ბევრმა ამომრჩეველმა არ იცოდა ქართული და წერა-კითხვა, მათ ციფრების ამოცნობაც კი არ შეეძლოთ... სანამ ის ამ განმარტებებს გვაძლევდა, ბედის ირონიით, ჩვენ დავინახეთ კაცი, რომელსაც აუღელვებლად გამოჰქონდა მოძრავი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბნიდან. მან მიამიტად აგვიხსნა: „უბანზე ადგილს იკავებს, ამიტომ მანქანაში მიმაქვსო“.**

მაგრამ ყველა დარღვევა ასეთი „მსუბუქი“ როდი იყო. დამკვირვებლებს აშინებდნენ, საჩივრებს არ იღებდნენ, ხოლო ამომრჩეველთა შემოწმება წყდებოდა მაშინვე, როგორც კი დამკვირვებელი თვალს მოაშორებდა ან იქაურობას დატოვებდა. **ლიის ტიიპმა,** მშვიდობისა და განვითარების აკადემიის დამკვირვებელმა, მითხრა: „ერთ უბანზე, რამდენიმე საჩივარი შევადგინეთ იმაზე, რომ მარკერს არ იყენებდნენ. მათ იგნორირება გაგვიკეთეს. როდესაც ჩვენ თვითონ დავიწყეთ ადამიანების შემოწმება, აღმოჩნდა, რომ ექვს მათგანს ცერი უკვე მარკირებული ჰქონდა.

მეორე უბანზე, საარჩევნო ყუთს თვალი მოვაცილეთ, **მერე ისევ შემოვბრუნდით ყუთისკენ და დავინახეთ კაცი, რომელიც 10 თუ 20 ბიულეტენს საარჩევნო ყუთში ყრიდა. ასევე, დღის ბოლოს ბევრი ისეთი ადამიანის ხელმოწერა გაჩნდა, რომლებიც დარეგისტრირებულები იყვნენ, როგორც უცხოეთში მყოფნი“.**

მაგრამ პრობლემები ამით არ ამოწურულა. ხმის მიცემის საშუალება არასრულწლოვანებსა და პირადობის მოწმობების ასლებით მოსულ ადამიანებსაც ეძლეოდათ. ერთ სადგურზე ოპოზიციონერმა უბედურმა დამკვირვებელმა, რომელსაც მასობრივი გაყალბების ეშინოდა, დარჩენა გვთხოვა. **მალე შევამჩნიეთ, მგზავრებით სავსე მანქანა როგორ გაჩერდა და მხოლოდ მას შემდეგ წავიდა, როცა ზიზღით აღმოაჩინა, რომ ყოველწუთს ვამოწმებდით მარკერებს. მაგრამ მოგვიანებით ადამიანები, რომლებიც მარკირებული თითის გამო გააბრუნეს, სუფთა ცერებით დაბრუნდნენ – მიაგნეს ხსნარს, რომელიც მელნის ლაქებს შლიდა. ერთ-ერთმა მათგანმა ერთ უბანზე, სულ ცოტა, სამჯერ მისცა ხმა.**

პროსამთავრობო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის რეპორტიორი ადგილობრივ თავმჯდომარესთან მივიდა და სთხოვა, წაეკითხა მესიჯი, რომლის თანახმადაც საარჩევნო პროცესმა ინციდენტის გარეშე ჩაიარა...

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის (IEOM) მეთვალყურეებმა სიტუაცია მთელი ქვეყნის საარჩევნო უბნების მყვირალა 96 პროცენტით შეაფასეს, როგორც კარგი ან ძალიან კარგი; ხოლო კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში ასეთად 90 პროცენტი მიიჩნიეს. მაგრამ ფაქტია — **საერთაშორისო დამკვირვებლებმა, რომლებსაც ჩვენ შევხვდით და რომლებიც ადვილად მისადგომ უბნებზე იმყოფებოდნენ, ერთი შემთხვევაც ვერ შეამჩნიეს, რომ ამომრჩევლებს ამოწმებდნენ მარკირებაზე, ამიტომაც ჩნდება ეჭვი ამგვარი შეფასების მართებულობაზე.**

თუ მთავრობის წარმომადგენლები მაშინ, როდესაც მოსახლეობის მხარდაჭერა აქვთ, ურიგდებიან ან ხელს უწყობენ საარჩევნო დარღვევებს, საკითხავია, რა მოხდება, როდესაც ასეთი მხარდაჭერა არ ექნებათ?

**საქართველოში ძალაუფლების დემოკრატიულად გადაცემა ჯერ არ მომხდარა.** მმართველმა მთავრობამ უკვე გამოამჟღავნა ავტორიტარული ტენდენციები. **ასეთი არჩევნების მართებულობის აღიარება კი იმ მომავალი რევოლუციის საფუძველს ქმნის, რომლის მიზანი სააკაშვილის დამხობა იქნება. მოვლენათა ასეთი განვითარება ფერადი რევოლუციების იდეის დაღუპვა იქნებოდა. ამ იდეას უკვე მიადგა ჩრდილი იუშჩენკოს უვარგისობითა და ბაკიევის დაცემით, რაც ყირგიზეთში ამ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა.**

საქართველოს ოპოზიციის ცუდი შედეგები, ძირითადად, ერთიანობის დეფიციტმა გამოიწვია. ოპოზიცია, ალბათ, უგუნებოდაა, მაგრამ იმ პოზიციასთან დათანხმება, რომლითაც საარჩევნო თაღლითობა მხოლოდ მაშინაა მიუღებელი, თუ იგი უშუალოდაა დამნაშავე ოპოზიციის მარცხში, სახიფათოა. ასეთი პრაქტიკით მავნე ჩვევები კიდევ უფრო გაიდგამს ფესვებს და მომავალში უარესი პრობლემების მიზეზი გახდება“.

მიმოხილვა მოამზადა **არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საქართველოში პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებელი 23 მოსამართლე და 59 პოლიტიკური პატიმარია

**80-იან წლებში „სიკვდილის მოსამართლეს" აწ განსვენებულ გერსამიას ეძახდნენ. ვის პროცესზეც ის გამოჩნდებოდა, ყველამ იცოდა, რომ ის ადამიანი სასიკვდილო განაჩენისთვის იყო განწირული.**

საბედნიეროდ, საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, მაგრამ „სიკვდილის მოსამართლის" სტატუსში გერსამიას ახლა თანამედროვე მოსამართლეები ეცილებიან. სიკვდილით ადამიანებს ვერ სჯიან, მაგრამ, სულ მცირე, ხუთი წლით მაინც ახერხებენ ციხეში გაგზავნონ ისინი, ვისაც არაფერი დაუშავებია; უბრალოდ, ხელისუფლებას მათი დანახვა აღიზიანებს ან მათი თავისუფლება არ აწყობს. ახლა, გერსამიას მსგავსად, ამ ადამიანების პროცესზე გამოჩენა იმის უტყუარი დასტურია, რომ, რაც უნდა დანაშაულს გედავებოდეთ გამოძიება, ვერანაირი გირაოს ფასად თავისუფლებას ვერ შეინარჩუნებთ და, სულ მცირე, ხუთი წლის პატიმრობაში გატარება მოგიწევთ.

**მოძრაობამ „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ასეთ პატიმართა 59-კაციანი სია გამოაქვეყნა; ასევე, გამოაქვეყნა სიაში მოხსენიებული პატიმრების მოსამართლეების სიაც.** ნიშანდობლივია, რომ პოლიტიკურ საქმეებზე, ძირითადად, განაჩენი ერთი და იმავე მოსამართლეებს გამოაქვთ. ვინ არიან XXI საუკუნის უკანონო პოლიტიკური პატიმრები და რომელი მოსამართლეები მოხვდნენ ამ მოძრაობის მიერ გამოქვეყნებულ სიაში?

**პოლიტიკური პატიმრები:**

**1. ამირან ქადაგიშვილი, 2. ლუკა რამაზაშვილი, 3. მერაბ ქვარაია, 4. ნორა კვიციანი, 5. გიორგი ახობაძე, 6. რევაზ ბელია, 7. ვარლამ გალდავა, 8. ზაზა დავითაია, 9. მაია თოფურია, 10. იაკობ (კოკა) კვინიკაძე, 11. გიორგი მეტრეველი, 12. გურამ პაპუკაშვილი, 13. რამაზ სამნიძე, 14. ვახტანგ ტალახაძე, 15. კახაბერ ქანთარია, 16. ჯონი ჯიქია, 17. გიორგი ამირანაშვილი, 18. მერაბ რატიშვილი, 19. მარლენ ნადირაძე, 20. რევაზ კლდიაშვილი, 21. თეიმურაზ ნაოჭაშვილი, 22. ომარ ქუცნაშვილი, 23. ტრისტან წითელაშვილი, 24. ჯუმბერ თავშავაძე, 25. ბეჟან დავითაძე, 26. ჯონი ბაბილოძე, 27. სიმონ წურიაშვილი, 28. ზურაბ ბერიძე, 29. გიგა გოგიჩაიშვილი, 30. დავით გრძელიძე, 31. ვლადიმერ ვახანია, 32. ზურაბ ავალიანი, 33. დავით გოგრაჭაძე, 34. ვახტანგ ნარსია, 35. მამუკა შენგელია, 36. ვახტანგ მაისაია, 37. თეიმურაზ მელიქიძე, 38. მელორ ვაჩნაძე, 39. ბესიკ ობოლაძე, 40. გია დადეშელი, 41. კონსტანტინე კაპანაძე, 42. დავით კაპანაძე, 43. ლევან ლოლიაშვილი, 44. შალვა გოგინაშვილი, 45. თეიმურაზ ჟორჟოლიანი, 46. თამაზ ტლაშაძე, 47. ზურაბ შალიკიანი, 48. პავლე ბლიაძე, 49. ვახტანგ მასურაშვილი, 50. ოთარ ყავლაშვილი, 51. გიორგი ალხაზიშვილი, 52. ბესო სარჯველაძე, 53. სერგო ბესელია, 54. ჯამბულ ჩიქოვანი, 55. ბექარ ძაგანია, 56. ცოტნე გამსახურდია, 57. მერაბ ძირკვაძე, 58. ნათია სირაძე, 59. გურამ გოგუა.**

საგულისხმოა, რომ ამათგან ზოგი იარაღის უკანონო ტარების, ზოგი ფინანსური, ზოგიც ნარკოტიკული დანაშაულისთვის არის გასამართლებული, ზოგიც ხულიგნობისთვის იხდის სასჯელს. რეალურად კი მათ ერთი რამ აერთიანებთ — არსებულ რეჟიმთან დაპირისპირების გამო აღმოჩნდნენ გისოსებს მიღმა.

ახლა კი იმ მოსამართლეებს გავეცნოთ, რომელთა სიაც მოძრაობამ „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" მოგვაწოდა და რომლებიც პოლიტიკიკური შეკვეთების შემსრულებლად მოაიზრებიან. ასეთი ქართულ მართლმსაჯულებაში 23 მოსამართლე აღმოჩნდა:

**1. დავით კეკენაძე, 2. მამუკა ნოზაძე, 3. თამარ ალანია, 4. მურთაზ კაპანაძე, 5. მანანა ოთარაშვილი, 6. მერაბ ჯორბენაძე, 7. მალხაზ ენუქიძე, 8. დალი მეტრეველი, 9. მარინე ხორგუაშვილი, 10. მაიკო ჯვარშეიშვილი, 11. მარინე იმერლიშვილი, 12. შორენა გუნცაძე, 13. ვერა დოლიძე, 14. იუზა ბუცხრიკიძე, 15. გოჩა ჯეირანაშვილი, 16. ჯემალ კიკნაძე, 17. ზვიად ესეგუა, 18. დავით ჯულელი, 19. თევზაძე, 20. კოჭლამაზაშვილი, 21. ბარდაველიძე, 22. რამიშვილი, 23. ოქროპირიშვილი.**

გვერდი მოამზადა **სოფო გელაშვილმა**

# რა უპასუხა ირაკლი კოდუამ დიმიტრი ლორთქიფანიძეს?

**შს სამინისტროს მიერ განხორციელებულ სპეცოპერაციას, რომელიც თავისი მასშტაბით მართლაც შთამბეჭდავი იყო, საკანონმდებლო ორგანოში არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ პარლამენტის ტრიბუნიდან საჯარო შეკითხვით მიმართა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ უფროსს — ერეკლე კოდუას: ფლობდა თუ არა იგი ინფორმაციას ქვეყანაში ნარკოდილერთა ამ ჯგუფის არსებობის შესახებ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დაკავება მისი თანამდებობის შეცვლის შემდგომ განხორციელდა, რაც არაპირდაპირი მინიშნება იყო მის ამ ტრანზიტში რაიმე ფორმით მონაწილეობაზე.**



ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ამ დაკავებათა სერიას, შესაძლოა, შს სამინისტროს თანამშრომლების დაკავებაც მოჰყოლოდა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია შს სამინისტრომ ჩვენთან საუბარში კატეგორიულად უარყო.

## აპირებს თუ არა შს სამინისტრო ნარკოტრანზიტის საქმეზე საკუთარი თანამშრომლების დაკავებას?

ირაკლი კოდუას დეპუტატისთვის პასუხი არ გაუცია, თუმცა, ალბათ, ამის პასუხად შეიძლება ჩაითვალოს ამ დღეებში გავრცელებული ინფორმაცია, რომ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში დამოუკიდებელი საგამოძიებო დეპარტამენტი იქმნება, რომელსაც ირაკლი კოდუა უხელმძღვანელებს. აღნიშნული სამსახურის შექმნის დეტალები საქართველოში ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ხელმძღვანელის — რობერტ მიულერის ვიზიტის დროსაც განიხილებოდა. ამ ვიზიტს უკავშირებს დეპუტატი ნიკა ლალიაშვილი აღნიშნულ სპეცოპერაციასაც და მიაჩნია, რომ მასში FBI-ის წვლილიც არის. რაც შეეხება საკითხს, რომ შეუძლებელია ამდენი ხნის მანძილზე მსგავსი ნარკოტრანზიტი შეუმჩნეველი ყოფილიყო ძალოვანი სტრუქტურისთვის და იგი შსს-ს მაღალჩინოსნების მფარველობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა, **ნიკა ლალიაშვილი** შემდეგნაირად ხსნის:

„ეს ძალიან რთული თემაა. მიუხედავად იმისა, რომ დაიხვეწა შს სამინისტროს ტექნიკური შესაძლებლობები, მაინც ძალიან ძნელია ტვირთების კონტროლი. ამას ბევრად უფრო დიდი რესურსი სჭირდება, ადამიანურიც და ფინანსურიც; შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ რაღაც პერიოდის განმავლობაში ეს შეუმჩნეველი ყოფილიყო.

არის კიდევ ერთი გარემოება: **ხშირად არაპროფესიონალურად აფასებენ სიტუაციას. რეალურად როდესაც ასეთი ტიპის პროცესი მიმდინარეობს, ამის შესახებ იცის სამინისტრომ, მაგრამ იწყება ოპერატიული მუშაობა და ოპერატიული ინტერესებიდან გამომდინარე არ არის მიზანშეწონილი, რეაგირება და ჯგუფის დაკავება მყისიერად მოხდეს. იმისათვის, რომ მოხდეს უფრო დიდი რაოდენობით ნარკოტიკების ამოღება ან პირთა უფრო ფართო წრის დადგენა, რამდენიმე თვის, შეიძლება ერთი წლის განმავლობაშიც კი სამინისტრო ოპერატიულ თამაშში იყოს შესული დამნაშავეებთან.**

ეს იყო, როგორც ჩანს, ძალიან კარგად ჩატარებული ოპერაცია, მაგრამ, მეორეს მხრივ, მე წინააღმდეგი ვარ ასეთი გაპიარების, ტელევიზიით ჩვენებისა და ასეთი ფაქტების პოლიტიკურ თემად ქცევისა. ვფიქრობ, ჯობია, თავშეკავებული იყოს სპეცსამსახურები, როდესაც საუბარია ამა თუ იმ ოპერაციაზე.

**— მართლაც, ძალიან გაპიარდა ეს ოპერაცია. როგორ ფიქრობთ, ეს იმიტომ მოხდა, რომ კალაშოვს უკავშირდება თუ იმ ვერსიას იზიარებთ, რომ შს სამინისტრო რამდენიმე მაღალჩინოსანზე გასვლასა და მათ დაკავებას აპირებს?**

— არ მგონია. თუ ვინმე დასაკავებელი დარჩა, გაპიარება ასეთი მასშტაბით არ იქნებოდა. ვფიქრობ, ეს სპეცოპერაცია იზოლირებულად არ უნდა განვიხილოთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რამდენიმე კვირის წინ თბილისში ამერიკის ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელი იმყოფებოდა, ვფიქრობ, ეს ვიზიტი უკავშირდება ამ სპეცოპერაციას, ანუ ეს არ არის განყენებულად მარტო ქართველი სამართალდამცავების მიერ დაგეგმილი და ჩატარებული ოპერაცია. დარწმუნებული ვარ, ეს ეფექტი მარტო საქართველოზე არ ვრცელდება და ყველასთვის ძალიან პოზიტიური რამ მოხდა".

**კომენტარისთვის შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსს — შოთა უტიაშვილს დავუკავშირდით, თუმცა იგი ჟენევაში იმყოფება და ფაქტის კომენტირება ვერ მოახერხა.**

**კითხვებით შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს — ზურა გვენეტაძეს მივმართეთ:**

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა ამ ნარკოტრანზიტში შს სამინისტროს მაღალჩინოსნები იყვნენ გარეული და სამინისტრო მათ დაკავებას აპირებს.**

— არა, რა შუაში არიან სამინისტროს თანამშრომლები?

**— ეს იყო ყველაზე მასშტაბური ოპერაცია ნარკოტიკებთან დაკავშირებით, რაც შს სამინისტროს აქამდე ჩაუტარებია?**

— ამ ეტაპზე დიახ, ეს არის.

**შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ეტაპზე შს სამინისტროს თანამშრომლების დაკავების შესახებ ინფორმაციას უარყოფს, მაგრამ ინტენსიურად საუბრობენ იმაზე, რომ სოდის ყოფილ უფროსს ჩემოდნები უკვე ჩალაგებული აქვს.**

**ინფორმაციისთვის (შს სამინისტროს ინფორმაცია): შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქუთაისსა და თბილისში საერთაშორისო ნარკოკარტელის 5 წევრი დააკავა. ესენია: ანასტასია ზაუტაშვილი, ცნობილი ქირურგის ზაზა ზაუტაშვილის მეუღლე; მევლუდ სვანიძე; რომან მუსემიანი; გიორგი ჩეჩელაშვილი და თენგიზ გურჩიანი. საბერძნეთის მოქალაქე, ესპანეთში მცხოვრები ნუგზარ ბოჭორიშვილი დაკავებულთა ჯგუფს რეგულარულად უგზავნიდა ჯართს პანამიდან, პერუდან და კოლუმბიიდან. ტვირთში გადამალული იყო კოკაინის დიდი პარტიები, საერთაშორისო ბაზარზე შემდგომი გადანაწილების მიზნით. ტვირთი ჩამოდიოდა ფოთში, ანასტასია ზაუტაშვილის ბიძაშვილის – რომან მუსემიანის სახელზე.**

**2009 წლის ივლისში, მუსემიანს ჯართის მორიგი პარტია, რომელშიც 90 კგ კოკაინი იყო გადამალული, ფოთში ჩამოუვიდა. მუსემიანმა, ბოჭორიშვილის ბიძაშვილმა, გიორგი ჩეჩელაშვილმა და მათმა კიდევ ერთმა მეგობარმა აღნიშნული ტვირთი გადაიტანეს ქუთაისში, ბოჭორიშვილის დის ქმართან, მევლუდ სვანიძესთან და მის სახლში გადამალეს. ნარკოტიკებს შემდგომი ტრანსპორტირებისათვის ჯგუფი ელოდებოდა ნუგზარ ბოჭორიშვილის ზარს ესპანეთიდან. ბოჭორიშვილის დარეკვის შემდეგ ჩეჩელაშვილმა და მისმა მეგობარმა, რომელსაც დახმარებისთვის 10 000 ევრო აღუთქვეს, მანქანის „ბამპერში" დამალეს კოკაინი და წაიღეს თურქეთში. აღსანიშნავია, რომ თურქეთში ტვირთის მისაღებად მათ ყოველ ჯერზე სხვადასხვა პიროვნება ხვდებოდა. ამჯერად მათ საბერძნეთის მოქალაქე დახვდა. ჯგუფის წევრები პაროლად იყენებდნენ 5-დოლარიანი კუპიურის ნომერს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები შეხვედრისას ზეპირად ეუბნებოდნენ დამხვდურს, ხოლო ეს უკანასკნელი 5-დოლარიანის სწორედ აღნიშნულ კუპიურას უჩვენებდა. ამის შემდეგ ხდებოდა ტვირთის გადაცემა. გამოძიებისთვის ცნობილია, რომ ამგვარი რეისი რამდენჯერმე განხორციელდა.**

**ჩეჩელაშვილის მეგობარს თანმხლებისთვის 10-10 ათასი დოლარი გადაუხადეს, ნაცვლად დაპირებული 10 ათასი ევროსი. ამას გარდა, ჯგუფმა გადაწყვიტა ამ უკანასკნელის საქმიდან ჩამოშორება. შეშფოთებულმა კურიერმა ადგილობრივ კრიმინალებს სთხოვა დახმარება. კრიმინალებმა იმ დროს საქართველოში მყოფი ბოჭორიშვილი დაიბარეს და 250 ათასი დოლარის მოტანა სთხოვეს. საქართველოში მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტს — თენგიზ გურჩიანს დაუკავშირდა კანონიერი ქურდი შაქრო კალაშოვი და ბოჭორიშვილისთვის დახმარება სთხოვა. გურჩიანი შეხვდა ბოჭორიშვილის დაშინების მოსურნე კრიმინალებს და ბოჭორიშვილზე ზეწოლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოსთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. მოგვიანებით ბოჭორიშვილმა პირადად დაურეკა გურჩიანს და მადლობა გადაუხადა.**

**ჯგუფმა კურიერის ლიკვიდაცია გადაწყვიტა. ცოტა ხანში ბოჭორიშვილი დაუკავშირდა ანასტასია ზაუტაშვილს და მისცა ქილერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლისთვისაც ზაუტაშვილს კურიერის მკვლელობა უნდა შეეკვეთა. აღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფი შს სამინისტროს ოპერატიული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მათი აყვანა მოხდა 2 ივნისს. ჩხრეკისას მევლუდ სვანიძის ეზოდან ამოიღეს მიწაში დამარხული დაახლოებით 1 700 000 ევრო, ხოლო ანასტასია ზაუტაშვილის ბინიდან 50 000 ევრო. ნუგზარ ბოჭორიშვილი ამჟამად ესპანეთშია.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# და ხვალ იყო ომი?

**პლანეტას რესურსების, მათ შორის წყლის გამოც, შესაძლოა ომი ემუქრებოდეს; ამჯერად არა ტერიტორიების გასაღების ბაზრების, არამედ რესურსების გამო. მსოფლიო ფინანსური კრიზისი მხოლოდ აღვივებს ზოგიერთი სახელმწიფოს აგრესიულ მისწრაფებას. რფ-ის მხედართმთავართა კლუბის პრეზიდენტი, გენერალი ანატოლი კულიკოვი მიიჩნევს, რომ „XXI საუკუნის კონფლიქტები, გენშტაბთა გეგმებით კი არა, მენდელეევის ცხრილის მიხედვით წარიმართება“. მოვლენათა განვითარების ასეთი სცენარის მოდელირებას ახდენენ სამხედრო ექსპერტები. მათ შორისაა გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი კონსტანტინ სივკოვი, რომელსაც პრავდა.რუ-ს კორესპონდენტი ესაუბრა.**



**— რატომ გგონიათ, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ახალ მსოფლიო ომს გამოიწვევს?**

— ამაზე მეტყველებს ამგვარი კრიზისების გადაჭრის ისტორია. უწინ ეს სწორედ I და II მსოფლიო ომების მსვლელობისას მიიღწეოდა. დღესაც მსგავსი სიტუაციაა. გლობალური ფინანსური კრიზისი მსოფლიოში განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. მისი ჩვეული ღონისძიებებით დაძლევა არ ხერხდება, რადგან ის უფრო ღრმა კრიზისის შედეგია.

**— შეიძლება ითქვას, რომ წინა ომები ტერიტორიებისთვის მიმდინარეობდა, ახლა რისთვის იომებენ?**

— რესურსებისთვის. დასავლეთის კეთილდღეობა მითი აღმოჩნდა. უმუშევარი დარჩა მილიონობით ადამიანი. დასავლეთის ქვეყნების ყოფილი ეკონომიკური აღმავლობის საიდუმლო მარტივად აიხსნებოდა; უმთავრესად —განვითარებადი ქვეყნებიდან მიღებული იაფი ნედლეულით. კრიზისმა თავისი კორექტივები შეიტანა — ნედლეული ყველასათვის სამყოფი აღარაა და სულ უფრო მეტად გაძვირდება.

ლაპარაკია არა მარტო ენერგორესურსებზე. მომავალში სასმელი წყლისთვის იდავებენ. ვითარება იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ ნედლეულის წყაროს მფლობელი ქვეყნები დასავლეთის კონტროლს დაექვემდებარებიან. თუმცა დასავლეთისთვის სიტუაცია იმით რთულდება, რომ მსოფლიო არენაზე ჩინეთი გამოდის, რომელსაც, ასევე, რესურსები სჭირდება.

**— რა გზით შეძლებს დასავლეთი ასეთი კონტროლის მოპოვებას?**

— მშვიდობიანი გზით შეეცდება. მაგალითად, ბიზნესის შესყიდვით ამა თუ იმ ქვეყანაში, რაც მას მყიდველზე „მიაბამს“; ანდა — პოლიტიკური ელიტის მოსყიდვით, რომელიც რესურსებს მომხმარებლისთვის ხელსაყრელი ფასის სანაცვლოდ მიაწვდის. თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ეს მეთოდი ყოველთვის როდი ამართლებს. ვენესუელასა და ირანს გადახედეთ. დასავლეთის ყველა მცდელობა, ამ ქვეყნების სათავეში თავისი ხალხი დაესვა, მარცხით დასრულდა.

**— და მაშინ სიტუაცია „ერაყული“ სცენარით განვითარდება?**

— ერაყი, ფაქტობრივად, ერთ ქვეყანას ჰყავს დაპყრობილი და მარტოს მისი შენარჩუნება გაუჭირდება. ამასთან, ერაყის მარაგი არასაკმარისია იმისათვის, რომ დასავლეთის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილოს. დასავლეთის ინტერესების სფეროში მყოფ ქვეყნებზე კონტროლის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად ნატოს ბლოკს გამოიყენებენ.

**— რომელიმე კოალიციას თუ შეუძლია ამას წინ აღუდგეს?**

— მაგალითად, თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის ქვეყნებს რუსეთისა და ჩინეთის ხელმძღვანელობით; კიდევ არაბულ-მუსლიმანურ სახელმწიფოებს და, ასევე, ვენესუელის გარშემო გაერთიანებულ ლათინოამერიკულ ქვეყნებს.

**— ვინ აღმოჩნდება ჩათრეული ამ ომში?**

— ახალი მსოფლიო ომი ყველა კონტინენტსა და ოკეანეს მოიცავს და 6-დან 30 წლამდე გაგრძელდება. მოსახლეობის საერთო დანაკარგებმა შესაძლოა ასობით მილიონ კაცს მიაღწიოს. დასასრულს რიგი თავისებურებანი განსაზღვრავს. დასავლეთს მნიშვნელოვანი კოზირები აქვს. მის მოწინააღმდეგეთაგან განსხვავებით, ნატოს ქვეყნების საორგანიზაციო-ტექნიკური მზაობის ხარისხი წარმატებას განაპირობებს, ოღონდ ერთი პირობით: ომი ხანგრძლივი არ უნდა იყოს, რადგან, თუ ის გაჭიანურდება, პოლიტიკური რეჟიმები დასავლეთში შეიძლება შეიცვალოს.

**— რუსეთი?**

— ჩვენი საკვანძო მონაწილეობის გარეშე არც ერთ მსოფლიო ომს არ ჩაუვლია. ასე მოხდება რესურსებისათვის ომის პირობებშიც, იმის გათვალისწინებით, რა ბუნებრივ რესურსებსაც ვფლობთ. სხვა საქმეა, რა სახის იქნება ჩვენი მონაწილეობა. სანამ ისეთ ბირთვულ პოტენციალს ვფლობთ, რომელიც გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებს ნებისმიერ მოწინააღმდეგეს, ჩვენ ხელსაც ვერ გვახლებენ. თუმცა, შესაბამისი ხელშეკრულებების თავზე მოხვევით, უკვე ცდილობენ ჩვენს განიარაღებას.

ჩვენი ბირთვული პოტენციალის შემდგომი შემცირების შემთხვევაში, რაც დასავლეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განვითარების პარალელურად მოხდება, ვერ გამოვრიცხავ, რომ ჩვეულებრივი ჰიპერბგერითი საშუალებების დახმარებით შემოგვიტიონ, და ადექვატურად პასუხის გაცემას, უბრალოდ, ვერ შევძლებთ.

**— დასავლეთს სუსტი მხარეები არ აქვს?**

— აქვს, რასაკვირველია. მისი სუსტი მხარეებია დიდი დანაკლისებისათვის არამზაობა და ადამიანური და საკუთარი ნედლეულის რესურსების შეზღუდულობა. დასავლეთის მოწინააღმდეგე ქვეყნებს კი დიდი ადამიანური რესურსები, მაღალი მორალური პოტენციალი და უზარმაზარი ბუნებრივი რესურსები და ტერიტორიები აქვთ. თუმცა დასავლეთის ქვეყნების წისქვილზე ასხამს წყალს ის გარემოება, რომ მისი მოწინააღმდეგეები დაქსაქსული არიან. ინდუისტები მუსლიმანებს მტრობენ, მუსლიმანები — ბუდისტებს. ისლამური სამყარო კი შიიტური და სუნიტური დაპირისპირებითაა გახლეჩილი.

**— გამოდის, რომ გლობალურ ომში, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ, გამარჯვებულები არ იქნებიან.**

— დიახ, აბსოლუტურ გამარჯვებას, ალბათ, ვერც ერთი მხარე ვერ მიაღწევს. ამასთან, მხარეები შეეცდებიან, თავი აარიდონ ბირთვული იარაღის გამოყენებას, მაგრამ ამ ვარიანტის გამორიცხვაც არ შეიძლება. სამხედრო მოქმედებები, უმთავრესად, ჩვეულებრივი შეიარაღებით იწარმოებს, მაგრამ ამა თუ იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალების განადგურება და მისი ტერიტორიების დაპყრობაც კი ომის დასასრულს ვერ მოასწავებს.

ერაყულმა მაგალითმა აჩვენა, რომ ომი სხვაგვარ, პარტიზანულ ფორმებს მიიღებს. მტრული კოალიციები იძულებული შეიქნებიან, მშვიდობიანი მოლაპარაკებები გამართონ, თუმცა დაპირისპირების შედეგებზე იქნება დამოკიდებული „ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება“.

**— ნუთუ მსოფლიო ომს თავიდან ვერ ავიცილებთ?**

— ამის ალბათობა არსებობს. იმისათვის, რომ ეს ომი არ დავუშვათ, ისინი, ვისაც მისი საფრთხე კარგად ესმის, უნდა გაერთიანდნენ. მაშინ დასავლეთის სავარაუდო იერიში უპერსპექტივო გახდება...

## მოკლედ



### სანქცია საქართველოს შეიარაღებისთვის

**კომპანია „ევროკოპტერს“ საქართველოსთან თანამშრომლობისთვის რუსეთის მხრიდან სანქციები ელის.**

სააკაშვილმა პარიზში ვიზიტისას ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ამ კომპანიამ საქართველოს ორი ვერტმფრენი უნდა მიაწოდოს. მაგრამ რუსეთში მოქმედებს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც ქვეყნებსა და კომპანიებს, რომლებიც საქართველოს ორმაგი დანიშნულების სამხედრო პროდუქციას მიაწვდიან, სანქციები ელით. „ევროკოპტერი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩება, თუ ვერტმფრენები ცალსახად სამოქალაქო დანიშნულებისაა და არანაირ სამხედრო მოდიფიკაციას არ დაექვემდებარება.



### ნადირობა ნარკოკარტელებზე

**არავინ იცის, რამდენ ხანს იყო აშშ მექსიკელი ნარკობარონებისთვის მყუდრო სავანე, მაგრამ მხოლოდ ერთი ოპერაციის შედეგად ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა იქ 429 ადამიანი დააკავეს.**

დაკავებულებისგან საერთო ჯამში ამოიღეს 1,5 ტონა მარიხუანა, 100 კილოგრამზე მეტი კოკაინი, 141 ერთეული იარაღი და 5,8 მილიონი დოლარი ნაღდი ფულის სახით. დაკავებულებს, ძირითადად, ნარკოტიკების შენახვასა და გავრცელებას, ასევე ფულის მითვისებას ედავებიან. ეს ამერიკელი და მექსიკელი ნარკოპოლიციის მიერ 2008 წელს დაწყებული ოპერაციის მორიგი რაუნდი იყო.

# აშშ პლანეტის ასაფეთქებლად ემზადება

**ისრაელის მსგავსად, რომელსაც თავი ნაციზმის მთავარ მსხვერპლად მოაქვს და სულაც არ აცბუნებს ის გარემოება, რომ ნაციზმის წლებში ის, როგორც სახელმწიფო, საერთოდ არ არსებობდა, აშშ-მაც მიისაკუთრა ტერორიზმისგან ყველაზე დაზარალებული სახელმწიფოს სტატუსი. ეს სტატუსი, მათი აზრით, სრულიად განსაკუთრებულ უფლებებს იძლევა. ასე მიანიჭა საკუთარ თავს ვაშინგტონმა მის მიერვე შექმნილ ნახევრად ვირტუალურ „ალ-ქაიდასთან“ ბრძოლის წარმოების უფლებამოსილება ისე, რომ აინუნშიც არ აგდებს საერთაშორისო სამართალს, სახელმწიფო საზღვრებსა და ნაციონალურ სუვერენიტეტს.**




ამასთან, თავიანთი პრეტენზიების დამალვა ამერიკელებს აზრადაც არ მოსდით. ჯერაც არ ჩამცხრალიყო ცსს-ს საიდუმლო ციხეებთან, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა გატაცებებთან და მთელ პლანეტაზე მათ უკანონოდ გადაყვანასთან დაკავშირებული მრავარიცხოვანი სკანდალი, რომ აშშ-მ მსოფლიო თავისი ახალი ინიციატივით გაახარა.

ამერიკულმა მედიამ განაცხადა, რომ **აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოიწონა 75 ქვეყანაში სპეციალური დანიშნულების ჯარების განთავსების გეგმა „ალ-ქაიდას“ ტერორისტულ ქსელთან ბრძოლის ფარგლებში. ამასთან, როგორც გამოცემა The Times-ი ირწმუნება, უწინ ამერიკის სპეცნაზის საიდუმლო ოპერაციები დაახლოებით 60 ქვეყანაში იყო სანქცირებული, მაგრამ მაშინ ამას ხმამაღლა არ აცხადებდნენ.**

ძირითადად, სპეცდანიშნულების რაზმების საქმიანობის გაფართოება აღმოსავლეთ აფრიკის, იემენის, ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს ეხება. დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელ ქვეყნებში მოქმედებს აშშ-ის სპეცრაზმი, არ არსებობს.

კიდევ უფრო ადრე ამერიკის მედია იტყობინებოდა, რომ **აშშ-ში ხელმოწერილი იყო დოკუმენტი, რომელიც საქართველოში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და უზბეკეთში საიდუმლო სამხედრო ბაზების შექმნას ითვალისწინებდა. შარშანდელი ზაფხულიდან მოყოლებული, თეთრმა სახლმა არატრადიციული ომის — მთელ მსოფლიოში ცნობების შეკრება და საიდუმლო სამხედრო მოქმედებების წარმოება დაიწყო.** გამოცემა იუწყება, რომ პირველი გეგმის შესაბამისად, აშშ-ის სეპცსამსახურები ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და ცენტრალურ აზიაში სადაზვერვო მონაცემების შეკრებას ახდენს. შესაბამისი ოპერაციის დაწყების ბრძანებას ხელი მოაწერა აშშ-ის ცენტრალური სარდლობის მეთაურმა, გენერალმა დევიდ პეტრეუსმა.

**გენერლის მიერ ხელმოწერილი მეორე დოკუმენტი საქართველოში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და უზბეკეთში ამერიკის საიდუმლო ბაზების შექმნისა და სადაზვერვო ხასიათის შესაბამისი ღონისძიებების გატარების გეგმას შეიცავს.**

ბუნდოვანია, რა კონტრტერორისტულ ამოცანებს წყვეტს აშშ საქართველოში, სადაც მხოლოდ ის ბოევიკები არიან, რომლებსაც ამერიკის, ბრიტანეთისა და ისრაელის სპეცსამსახურები რუსეთის სამხრეთით გადასასროლად ამზადებენ, და ასევე აზერბაიჯანში, სადაც უკვე დაჭრილი ტერორისტები მკურნალობასა და რეაბილიტაციას გადიან.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ამ ქვეყნებში ამერიკის სპეცრაზმები კონტრტერორისტული კი არა, სწორედაც რომ ტერორისტული ამოცანების გადაჭრას აპირებენ, ისევე, როგორც ცენტრალურ აზიაში.**

ყველა საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ საიდუმლო ბაზები მთელ მსოფლიოში ანალოგიურ ამოცანებს წყვეტდნენ და კვლავაც გადაწყვეტენ.

**პიოტრ ივანჩენკო**, სეგოდნია.რუ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რუსეთი შავი ზღვის ფლოტს აძლიერებს?



„ინტერფაქსის“ ცნობით, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარ შტაბში განიხილება ბალტიიდან სევასტოპოლში ორი ხომალდის — „Неустрашимый” და „Ярослав Мудрый” _ გადაყვანა. პროექტ 11540-ის (კლასი „Ястреб”) ეს ორი ფრეგატი ბალტიის ფლოტის შემადგენლობაში შესაბამისად 1993 და 2009 წლებში შევიდა (წყალწყვა 4 ათასი ტონა, სიჩქარე 30 კვანძი). ისინი აღჭურვილნი არიან ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსით „Уран”-ი, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით „Кинжал“-ი, სარაკეტო-სატორპედო კომპლექსით „Водопад-НК“-ი , წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო რეაქტიული დანადგარით „РБУ-6000“-ი, 100 მმ საარტილერიო დანადგარით „АК-100“-ი, საზენიტო-სარაკეტო საარტილერიო კომპლექსით „Кортик“-ი. ხომალდის ანგარში განთავსებულია ვერტმფრენი „Ка-27“ (ეკიპაჟი: 210 მეზღვაური, მათ შორის — 35 ოფიცერი).

# იცნობდეთ, არმადილოს ოჯახი



შეიარაღებების გამოფენაზე „Eurosatory 2010“, რომელიც 14 ივნისს საფრანგეთში გაიხსნა, ბრიტანულმა „BAE Systems“-მა ჯავშნიანი საბრძოლო მანქანების ახალი ოჯახის კონცეფცია წარმოადგინა. კონსტრუქტორებმა დღეს პოპულარულ მოდულურ მიდგომას მიმართეს. „არმადილოს ოჯახის“ კონცეფცია ითვალისწინებს „CV90“ პლატფორმაზე ახალი ჯავშანტრანსპორტიორის, მობილური ნაღმსატყორცნი დანადგარის, მართვის, უზრუნველყოფის და სამედიცინო დახმარებისა და ა.შ. ჯავშნიანი მანქანების შექმნას. „BAE“-ის წარმომადგენელი ჰაკან კარლსონი ამბობს, რომ „მათ უკვე მიაღწიეს მდგრად დაცვას 8-10-კილოგრამიანი ნაღმებისაგან“. „Defence News“-ი აღნიშნავს, რომ კონსტრუქტორებს გარკვეული პრობლემები შეექმნათ, მაგრამ არაფერს აკონკრეტებს.

# „Humvee“ პენსიაზე გადის



ამერიკულმა არმიამ ახალი მსუბუქი ტაქტიკური მანქანის „JLTV“-ის გამოცდა დაიწყო. პროექტზე მუშაობაში მონაწილეობდა შვიდი კომპანია, მათ შორის „BAE Systems“-ი, „General Tactical Vehicles“-ი, „Lockheed Martin“-ი და „Humvee“-ს მწარმოებელი „AM General“-ი, ამასთანავე, არმია და საზღვაო ქვეითთა კორპუსი, აგრეთვე, ავსტრალიის მთავრობა. პროექტის მენეჯერმა ვოლფგანგ პეტერმანმა განაცხადა, რომ „JLTV“-ს საკვანძო ელემენტები უნდა უზრუნველყოფდეს ბალანსს, ამასთანავე უნდა შეამცირონ ხარჯები მისი ექსპლუატაციის დროს. ჩვენ შევიმუშავეთ მანქანა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სანდოა და, ნაღმზე აფეთქების შემთხვევაში, მისი რემონტი იოლი იქნება. განსაკუთრებული ყურადღება, მისი თქმით, უპრობლემო ტრანსპორტაბელურობას მიექცა, როგორც თვითმფრინავ C-130-ის, ისე ვერტმფრენების _ CH-47 და CH-53 _ მეშვეობით. ახალი მანქანის ტექნიკური მახასიათებლები მოგვიანებით გახდება ცნობილი, იგულისხმება, რომ მომავალში „JLTV თანდათან ჩაანაცვლებს „Humvee-ს.



# «Super Puma» თუ სუპერზარალი?



**„საქართველომ საფრანგეთისგან კატასტროფებისა და ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგების სალიკვიდაციოდ ორი ვერტმფრენი შეიძინა. ამასთან დაკავშირებით ხელშეკრულება 9 ივნისს საქართველოს მთავრობასა და კომპანია „Eurocopter”-ს შორის გაფორმდა“ („ინტერპრესნიუსი“). „რუსთავი 2“-ის 10 ივნისის სიუჟეტის თანახმად, საუბარია „AS332“-ის მოდელის საფრენ აპარატზე; მას რამდენიმე მოდიფიკაცია აქვს, სიუჟეტში გაჟღერებული მახასიათებლის მიხედვით, „ეკიპაჟის 3 წევრი და 24 მგზავრი“, თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საუბარი „AS332L2 Super Puma Mk II“-ს ეხება.**

მიხეილ სააკაშვილმა ჩამოთვალა ამოცანები, რომელთა გადაწყვეტისთვის უნდა გამოიყენებოდეს ეს ვერტმფრენები: „სამაშველო ოპერაციები, საგანგებო სიტუაციები, სასწრაფო სამედიცინო დახმარება და ევაკუაცია“ (Newsgeorgia.ru). კაცმა რომ თქვას, საგანგებო სიტუაციებისთვის და ევაკუაციისთვის, როდესაც ნებისმიერ ადგილს ბორტზე ძალიან დიდი ფასი აქვს, ლოგიკური იქნებოდა „AS 332L2“-ის იმ მოდიფიკაციის შეძენა, რომელიც შესაძლებელს ხდის სალონში 28 ადამიანის (და ერთი ბორტგამცილებლის) განთავსებას, რაც შეეხება ვერტმფრენის სანიტარულ ვარიანტს, მას 12 (საკაცეზე მწოლიარე) ავადმყოფის (დაჭრილის) გადაყვანა შეუძლია, კიდევ 5 მგზავრს შეუძლია იჯდეს.

თუმცა, როგორც ჩანს, შეირჩა „AS332L2“-ის საბაზო ვარიანტი, რომელიც ამასთანავე მოსახერხებელია ტურისტებისა და საერთოდ, მგზავრების გადაყვანისთვის. სხვათაშორის, ზემოთ ნახსენები ეკიპაჟის მესამე წევრი მფრინავი როდია — სტიუარდია ან კიდევ სტიუარდესა; გემოვნებას გააჩნია. მართალია, ეს არ არის „AS332L2”-ი „ლუქს“ კონფიგურაციის სალონით 19 მგზავრისთვის და არც მისი VIP- მოდიფიკაცია, რომელიც ხელმისაწვდომი ჯერჯერობით მხოლოდ „Samsung-ისთვის აღმოჩნდა, თუმცა, მაგალითად, გალატაკებული ქვეყნის ელიტისთვის, რომელმაც ზღვაზე გაგრილება გადაწყვიტა, სავსებით გამოსადეგი რამეა.

**„დღეს ჩვენ შევიძინეთ ორი ყველაზე საუკეთესო ვერტმფრენი, რაც არსებობს მსოფლიოში“,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა („ინტერპრესნიუსი“) ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და, ალბათ, ვერც მიხვდა, რომ **მასპინძელი „Eurocopter”-ისთვის ამ ფრაზამ ერთობ ერეტიკულად გაიჟღერა, რადგან მისივე „EC225 Super Puma Mk II+“-ს „საუკეთესოს“ წოდებაზე გაცილებით მეტი პრეტენზია აქვს, ის წინამორბედს ყველა მახასიათებლით უკან იტოვებს.**

დავა სხვადასხვა ვერტმფრენების ავკარგიანობაზე უსასრულოდ შეიძლება, თუმცა რეიტინგის შედგენისთვის ერთ-ერთი კარგი მაჩვენებელი საექსპორტო გაყიდვებია. ფაქტი ისაა, რომ სხვადასხვა ქვეყნის მიერ გამოიყენება ასობით „AS332“-ი და ათასობით „МИ-8/17“-ი. სხვათაშორის, 19 მაისს „МИ-8МВТ“-მა ახალი ძრავებით, რომელიც უკრაინულმა „Мотор Сич“-მა დაამზადა, 13 წუთში რეკორდული 8100 მეტრის სიმაღლე აკრიფა. „Super Puma“-ს მიერ ამ მანევრის გამეორების მცდელობა ტრაგიკულად დასრულდებოდა.

თუმცა ეს ჯერ ექსპერიმენტული ნიმუშია, რეალურ ცხოვრებაში კი „МИ“ აგერ უკვე ზედიზედ მეორე ავღანური ომის უღელს მიათრევს. 11 ივნისს ნატოს გენმდივანმა სთხოვა რუსეთს ალიანსისთვის დახმარების აღმოჩენა, კერძოდ: „დიდი რაოდენობის ვერტმფრენების გამოყოფა, მფრინავების მომზადება, სათადარიგო ნაწილები და საწვავი“. იქვე, ყურისძირში არ ჰყავს „Eurocopter”-ი „ყველაზე საუკეთესო ვერტმფრენებით“? ფრანგებს რატომ არ მიმართა? ▶



# ამერიკელი ჯარისკაცის

**მე ძალიან ვცდილობდი, მეამაყა ჩემი სამხედრო სამსახურით, მაგრამ ერთადერთი, რასაც ვგრძნობდი, სირცხვილი იყო. რასიზმს ოკუპაციის რეალობის შენიღბვა აღარ შეეძლო; ისინიც ხომ ადამიანები იყვნენ. მე ვიხსენებ მოხუცს, რომელსაც საკაცით მივათრევდით, შემდეგ კი ვუბრძანეთ ერაყელ პოლიციელებს, იგი ჩვენთვის მოეშორებინათ. მე მუდამ ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ, როდესაც ვიხსენებ დედას და მის შვილებს, რომლებიც სახლიდან გავაგდეთ; იგი ტიროდა და გულმოსული ყვიროდა, რომ სადამზე უარესები ვართ. მე ვგრძობ, რომ დამნაშავე ვარ, როდესაც ვიხსენებ, როგორ მოვკიდე ხელი ახალგაზრდა გოგონას და ქუჩაში გამოვათრიე.**



...ჩვენ გვითხრეს, რომ ტერორისტებს ვებრძვით, ნამდვილი ტერორისტი მე ვიყავი და რეალური ტერორიზმი ეს ოკუპაცია იყო. მათ, ვინც ომში გვაგზავნის, ბრძოლა და სასხლეტისთვის თითის დაჭერა არ სჭირდებათ, მათ, უბრალოდ, ამ ომის გაყიდვა სჭირდებათ. მათ სჭირდებათ საზოგადოება, რომელიც მზად არის, თავიდან მოიშოროს თავისი ჯარისკაცები და ომში გაგზავნოს.

**მათ სჭირდებათ ჯარისკაცები, რომლებიც, კითხვების დასმის გარეშე, მზად იქნებიან, მოკლან და მოკვდნენ. მათ შეუძლიათ, დახარჯონ მილიონები ერთ ბომბზე, მაგრამ ეს ბომბი იარაღი მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც სამხედროებს გაუჩნდებათ სურვილი, ეს ბომბი გამოიყენონ.**

**მათ შეუძლიათ გაგზავნონ ჯარი დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, მაგრამ ომი დაიწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯარისკაცები მზად იქნებიან ბრძოლისთვის.**

**ხოლო ის მმართველები, მილიარდერები, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკას აკონტროლებენ და სხვა ადამიანების ტანჯვაზე ფულს შოულობენ, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, უფრო მეტად როგორ გამდიდრდნენ.**

მათ ესმით, რომ მათი ძალა მდგომარეობს მხოლოდ უნარში — დაგვარწმუნონ, რომ ომი, დათრგუნვა და ექსპლუატაცია ჩვენს ინტერესებშია. მათ ესმით, რომ მათი სიმდიდრე დამოკიდებულია მათ უნარზე, დაარწმუნონ მშრომელი ადამიანები, მოკვდნენ იმისთვის, რომ მათ სხვა ქვეყნების ბაზრები გააკონტროლონ; ხოლო ჩვენი დარწმუნება იმაში, რომ უნდა მოვკლათ და მოვკვდეთ, ეფუძნება მათ უნარს — შთაგვაგონონ, რომ სუპერ-მაგრები ვართ.

ჯარისკაცები, მეზღვაურები, საზღვაო ქვეითები, მფრინავები ამ ოკუპაციისგან არაფერს მოიგებენ. აშშ-ში მცხოვრები ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა ამ ოკუპაციისგან არაფერს მოიგებს.

**ჩვენ ვკარგავთ კიდურებს, ვიტანჯებით ჭრილობებისგან, ჩვენ სიცოცხლეს ვწირავთ. ჩვენი ოჯახები უყურებენ ამერიკული დროშებით დაფარულ კუბოებს, რომელთაც მიწაში უშვებენ.**

**მილიონობით ადამიანი ამ ქვეყანაში რჩება სამედიცინო დახმარების, სამუშაოს ან განათლების გარეშე და უყურებს, როგორ ხარჯავს ეს მთავრობა ყოველდღიურად 450 მილიონ დოლარს ერაყის ოკუპაციაზე.**

ღარიბ და მშრომელ ადამიანებს ამ ქვეყნიდან აგზავნიან იმისთვის, რომ დახოცონ ღარიბი და მშრომელი ადამიანები სხვა ქვეყანაში, რათა მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდნენ. როდესაც რასიზმისგან გათავისუფლდებიან, ჯარისკაცები მიხ- ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ჩადის რესპუბლიკა, 2008 წლის სექტემბერი, ვითარება ევროპის ქვეყნებსა და რუსეთს შორის აგვისტოს ომის შემდეგ ერთობ დაძაბულია, თუმცა სამშვიდობო კონტინგენტის სარდალი, ირლანდიელი გენერალი პატრიკ ნეში „იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთი გამოყოფს ოთხ სატრანსპორტო ვერტმფრენს ეკიპაჟებით“ („ბი-ბი-სი“). 4 „МИ-8 МТ“-ი და მფრინავები ჩადში მართლაც გააგზავნეს. ჩადი ყოფილი ფრანგული კოლონიაა, სადაც ინტერესები ფრანგებს დღესაც აქვთ და სხვადასხვა სახის ოპერაციებში იქ ხშირად ერთვებიან. ლოგიკურად მისი საჰაერო სივრცე „Super Puma“-ს უნდა ჰქონდეს ათვისებული, თუმცა „პირველი ვიოლინოს“ როლს იქაც რუსული ვერტმფრენები ასრულებენ. აფრიკისა და აზიის ქვეყნების უმრავლესობა „МИ“-ს იძენს, ის კლიმატურ პრობლემებსაც უფრო იოლად იტანს და, რაც მთავარია, გაცილებით იაფია.

**„Eurocopter”-თან დადებული ხელშეკრულების დეტალები უცნობია, მაგრამ, „AS332L2“-ის ფასიდან თუ გამოვალთ და სხვა თანმდევ ხარჯებს მივუმატებთ, გადასახდელი თანხა, სავარაუდოდ, 30 მილიონ დოლარს გადააჭარბებს. ამავე ფულით, მინიმუმ 3 „МИ-171“-ის ან 6 „МИ-8 МТ“- ის შეძენა შეგვეძლო და ხურდაც დაგვრჩებოდა. ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს ეს არის იაფი, არასაიმედო ვერტმფრენები ღარიბებისთვის; ძალიან მდიდარი ქვეყანა — საუდის არაბეთი 30 „МИ-171”-ის შეძენაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. თუმცა აქ წინა პლანზე პოლიტიკური ფაქტორი გამოდის, საქართველოს ხელისუფლებისთვის რუსული ვერტმფრენების შეძენა და შემდგომი ექსპლუატაცია სერიოზულ პრობლემებს უკავშირდება. კი, ბატონო, „МИ“-ს თავი დავანებოთ, ამერიკული (ან სხვა) ვერტმფრენები რატომ არ შევიძინეთ? რატომ მაინც და მაინც „Eurocopter“-ი?**

ხომ არ ითამაშა როლი პოლიტიკურმა ფაქტორმა „Super Puma“-ს შეძენაში? სააკაშვილის ბოლო საზღვარგარეთული ვოიაჟის მარშრუტი „რუმინეთი-საფრანგეთი“ იყო. რუმინეთში განთავსებულია „Eurocopter”-ის დანაყოფის „Eurocopter Group Romania“-ს ქარხნები. წლეულს, იანვარში ჯგუფის ხელმძღვანელმა ჟან ლუი ფასემ „Act-media News”-ს განუცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის ვერტმფრენის ტექნიკურ მომსახურებას, სწორედ „Eurocopter Romania” უზრუნველყოფს (defpro.com/news/details/12722/). სავარაუდოდ, ახლადშეძენილ „Super Puma“-ებსაც რუმინელი სპეციალისტები მიხედავენ.

9 ივნისს ხელმოწერილი შეთანხმებით, „Eurocopter“-ი ნახავს მოგებას, ხოლო ფრანგი და, სავარაუდოდ, რუმინელი ინჟინრები და მუშები მიიღებენ დამატებით (თუნდაც მცირე) გარანტიას იმისა, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე სამსახურს არ დაკარგავენ და ოჯახებში ხელფასსაც მიიტანენ. ეს საფრანგეთისა და რუმინეთის პირველი პირებისთვის, შესაძლოა, დამატებითი საბაბი აღმოჩნდა, რომ იზოლაციისგან გათანგული სააკაშვილი მიეღოთ. გამორიცხული არც ისაა, რომ ამ ფაქტორმა, მისი ლობისტების მუშაობასთან ერთად, ევროპული ტურნეს ორგანიზებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. თუ 2 ძვირადღირებული „Super Puma“-ს შეძენის ერთ-ერთი მოტივაცია, მართლაც, სააკაშვილის პოზიციების გამყარება იყო; გამოდის, რომ არა უბრალოდ დიდი, არამედ პოლიტიკური საფასურის გადახდა მოგვიწევს.

# აღსარება



◀ ვდებიან, რომ მათ გაცილებით მეტი საერთო აქვთ ერაყელებთან, ვიდრე მილიარდერებთან, რომლებიც ომში გვაგზავნიან.

**ერაყში მე გამოვაგდე ოჯახი სახლიდან მხოლოდ იმისთვის, რომ შინ დავბრუნებულიყავი და მენახა, რომ ამ ქვეყანაშიც ოჯახებს ქუჩაში ყრიან; ეს ტრაგედიაა, უაზრო კრიზისი, რომელმაც ადამიანებს წაართვა უფლება, დაგირავებული ქონება გამოისყიდონ.**

ჩვენ უნდა გავიღვიძოთ და გავიაზროთ, რომ ჩვენი ნამდვილი მტრები არა შორეულ ქვეყნებში მცხოვრები ჩვენთვის უცნობი ადამიანები არიან, რომელთა კულტურა არ გვესმის, არამედ ისინი, ვისაც ძალიან კარგად ვიცნობთ. მტერი ეს სისტემაა, რომელიც აწარმოებს ომებს, როდესაც ეს მომგებიანია. მტრები არიან გენერალური დირექტორები, რომლებიც სამუშაო ადგილებს გვართმევენ; სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც უარს გვეუბნებიან სამედიცინო დახმარების მიღებაზე; ბანკები, რომლებიც სახლებს გვართმევენ, როდესაც ამას მოგება მოაქვს.

**ჩვენი მტერი აქედან ხუთი ათას მილში არ არის, იგი აქვეა, ჩვენ სახლში. როდესაც ჩვენ ძმებთან და დებთან ერთად დავირაზმებით, ამ ომის შეჩერებას, ამ მთავრობის შეჩერებას და უკეთესი სამყაროს შექმნას შევძლებთ.**

**მაიკ პრისნერი**

*იბეჭდება შემოკლებით. სრულად მაიკ პრისნერის გამოსვლას შეგიძლიათ გაეცნოთ ვებ-მისამართებზე: youtube.com/watch?v=4i5ZUfpxnV0 და youtube.com/watch?v=-iTdxBECos8*

# მიუნხენის ოლიმპიადის «შავი სექტემბერი»

**სტივენ სპილბერგის ფილმის — „მიუნხენი. საზღაური“ — ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ მსოფლიო საზოგადოებრიობამ კვლავ გაიხსენა 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის ტრაგიკული მოვლენები...**



ებრაელები ტერაქტამდე

1972 წლის 5 სექტემბერს პალესტინის ტერორისტული ორგანიზაციის „შავი სექტემბერი“ 8 ბოევიკი, სპორტული სამოსითა და ზურგჩანთებით, ოლიმპიური სოფლის ზღუდეს გადააცოცდა. მათ არ დასჭირვებიათ იმ სახლის კარის შემტვრევა, სადაც ისრაელელი სპორტსმენები ცხოვრობდნენ, რადგან მისი გაღება მოახერხეს. ისრაელის გუნდის 21-ვე წევრს მშვიდად ეძინა. **პალესტინელებმა 11 მძევალი აიყვანეს. ორი სპორტსმენი, რომლებმაც წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, ბოევიკებმა სიცოცხლეს იქვე გამოასალმეს...**

ოლიმპიადა კი გრძელდებოდა. გერმანელი ხელბურთელები იაპონელებს ერკინებოდნენ და მაყურებელი საყვარელ სპორტსმენებს გულშემატკივრობდა. **ტელევიზორის ეკრანებზე ერთმანეთს ცვლიდა ტერორისტების ხელში ჩავარდნილი სახლისა და სპორტულ ორთაბრძოლათა ამსახველი კადრები.** ისრაელის პრემიერ-მინისტრმა გოლდა მეიერმა თამაშების შეჩერება მოითხოვა მანამდე, სანამ ებრაელი სპორტსმენები ტერორისტთა ტყვეობაში იმყოფებოდნენ. ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები კი დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ შეჯიბრი უნდა გაგრძელებულიყო და ამ გზით დაერწმუნებინათ საზოგადოებრიობა, სპორტი ტერორიზმსა და ძალადობაზე ძლიერიაო. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცს — ევერი ბრენდეჯს ნებისმიერ ფასად სურდა თამაშების გაგრძელება. **კრიზისულ შტაბში, რომელსაც შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი ხელმძღვანელობდა, აღარ იცოდნენ, რა ექნათ. მზა გეგმა არავის ჰქონდა.** ბოევიკები უკან ხელცარიელები არ დაბრუნდებოდნენ, მაგრამ ოლიმპიური სოფლის სახლშიც უსასრულოდ ვერ დარჩებოდნენ. გერმანელები შტურმის დაწყებას მაშინ აპირებდნენ, როცა ტერორისტები დაიღლებოდნენ.

ტერაქტის ორგანიზატორებმა ბოევიკებს იმ არაბული ქვეყნების სია მისცეს, სადაც მათ მძევლებთან ერთად გამგზავრება უნდა მოეხერხებინათ, თუ ისრაელი მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა. სიაში პირველი ეგვიპტე ეწერა. პალესტინელების თქმით, მძევლები არაბეთის მიწაზე რომ აღმოჩენილიყვნენ, ისრაელს მათი მოთხოვნების შესრულება მოუწევდა. ამაზე გერმანელებმა მიუგეს, რომ ნაცისტური გერმანიის მწარე გამოცდილების გათვალისწინებით, გერმანიიდან ებრაელების ძალით გაყვანას არ დაუშვებდნენ. ამიტომ მძევლებს უნდა დალაპარაკებოდნენ და დარწმუნებულიყვნენ, რომ ისინი კაიროში გაფრენაზე დათანხმდნენ. მინისტრ გენშერს სახლში შესვლის ნება დართეს.

**ოთახის შუაგულში იოსეფ რომანოს გვამი ეგდო, კედლები ტყვიებით იყო დაცხრილული, იატაკზე სისხლის გუბეები იდგა, მძევლები ხელფეხგაკოჭილი ეყარნენ. მათ ერთნაირად ეშინოდათ დამტყვევებლებისაც და პოლიციისაც, რადგან მძევალთა გათავისუფლების ოპერაციას შეიძლება მათი სიცოცხლე შესწირვოდა. ამიტომ, როცა გენშერმა ჰკითხა, თანახმა იყვნენ თუ არა, სიცოცხლის შენარჩუნების გარანტიით, ქვეყანა ტერორისტებთან ერთად დაეტოვებინათ, ტყვეებმა დასტურით უპასუხეს, რადგან ეს გადარჩენის შანსი მაინც იყო.**

კრიზისულ შტაბში დაბრუნებულმა გენშერმა განაცხადა, რომ სახლში სულ 5 პალესტინელი ნახა. ამიტომ პოლიციამ მიიჩნია, რომ იქ სულ 5 ტერორისტი იყო. ამ შეცდომას კი საბედისწერო შედეგი მოჰყვა. სნაიპერებსაც ეჭვი არ შეჰპარვიათ, რომ საქმე ხუთიოდე ტერორისტთან ჰქონდათ. ასე რომ, ოპერაცია თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული. შემდგომ ბავარიის პროკურატურა ტრაგედიის ყველა გარემოებას იკვლევდა.

გფრ-ის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მძევლები არსადაც არ გაფრინდებოდნენ და კრიზისულ შტაბს მძევალთა გათავისუფლების ოპერაციის მომზადება და განხორციელება უბრძანა. შესაფერისი ადგილიც გამონახეს — ქალაქიდან 25 კმ-ში მდებარე ფიურსტენფელდბრიუკის სამხედრო აეროდრომი, საითკენაც ორი შვეულმფრენით გაამგზავრეს ტერორისტები მძევალ სპორტსმენებთან ერთად.

გერმანიაში ჩასულმა **„მოსადის“ ხელმძღვანელმა ცვი ზამირმა გერმანელებს დახმარება შესთავაზა. იგი მიიჩნევდა, რომ მოლაპარაკებები უნდა გაეჭიანურებინათ. ტერორისტებისთვის დაძაბულობა აუტანელი იქნებოდა, შესაბამისად, ყველაფერი უნდა ეღონათ, რომ მათ ფსიქიკას ვერ გაეძლო და დაქანცულობისგან ძალღონეც გამოცლოდათ. გერმანელმა ჩინოვნიკებმა დახმარებაზე უარი განაცხადეს, რადგან ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ პალესტინელებს თავადაც იოლად გაუსწორდებოდნენ.**

გეგმა ასეთი იყო: საზაფხულო მინდორზე დააყენეს „ლიუფტჰანზეს“ თვითმფრინავი, ვითომდა ტერორისტებისათვის. ეკიპაჟის ადგილი გადაცმულმა პოლიციელებმა დაიკავეს. მათ უნდა დაეკავებინათ ანდა გაეუვნებლებინათ ტერორისტთა ხელმძღვანელები ტონი და ისსა, რის შემდეგაც სნაიპერები დანარჩენ პასლესტინელებს ჩახოცავდნენ. **შვეულმფრენების გამოჩენამდე 20 წუთით ადრე 17 შეიარაღებულმა პოლიციელმა უარი განაცხადა ოპერაციაში მონაწილეობაზე – მათ არ სჯეროდათ, რომ ორი ტერორისტის დაკავებასა და განიარაღებას შეძლებდნენ, თანაც თუ პირველივე გასროლით ვერ მოკლავდნენ, მაშინ თავად ემსხვერპლებოდნენ ბოევიკებს.** მიუნხენის პოლიციის უფროსის მოადგილე გეორგ ვოლფი დაიბნა, ახალი გეგმის შესამუშავებლად და უფრო გაბედული პოლიციელების მოსაძებნად დრო აღარ რჩებოდა. ახლა მძევლების სიცოცხლე მთლიანად იმ 5 სნაიპერზე იყო დამოკიდებული, რომლებსაც სპეციალური მომზადებაც კი არ გაევლოთ და გამოცდილებაც არ ჰქონდათ.

როცა ტერორისტებიანი და სპორტსმენებიანი შვეულმფრენები ძირს დაეშვნენ, ორი ბოევიკი თვითმფრინავის შესამოწმებლად ტრაპზე ავიდა, მაგრამ ბორტზე არავინ დახვდა. ცარიელი თვითმფრინავის დანახვაზე, რომელსაც ქაიროში გაფრენის პირი არ უჩანდა, ტერორისტები მიხვდნენ, რომ ხაფანგში გაებნენ და უკან გამოიქცნენ. ამ დროს მიუნხენის პოლიციის უფროსის მოადგილემ გეორგ ვოლფმა, ალბათ, სასოწარკვეთილებისგან, ცეცხლის გახსნის ბრძანება გასცა. ეს ბრძანება კი ხუთიდან სამმა სნაიპერმა გაიგონა და ორი ტერორისტი ადგილზე ჩაცხრილა. შემდეგ კი ნამდვილი ქაოსი დაიწყო... ტერორისტები შვეულმფრენების ქვეშ მოთავსდნენ და „კალაშნიკოვები“ააკაკანეს. **ოპერაცია მომზადებული რომ ყოფილიყო, მძევალთა ნაწილს მაინც გადაარჩენდნენ, მაგრამ ეს უწესრიგო სროლა იყო...**

და როცა ბრძოლის ველზე ჯავშანტრანსპორტიორები გამოჩნდნენ, ტერორისტებმა მძევლების განადგურება დაიწყეს. შვეულმფრენში ერთმა ბოევიკმა ჯიქურ აუტეხა სროლა ოთხ მძევალს, რომელთაგან სამი ადგილზე დაიღუპა. მეოთხე, დავით ბერგერი, როგორც მოგვიანებით, გაკვეთისას გაირკვა, ფეხში მხოლოდ ორი ტყვიით იყო დაჭრილი. ტერორისტი კაბინიდან გადმოხტა და შვეულმფრენს ყუმბარა სტყორცნა.

აფეთქებისგან საწვავის ბაკს ხანძარი გაუჩნდა. **ებრაელები ცოცხლად დაიწვნენ, მათ შორის, დაჭრილი დავით ბერგერიც.** მეორე ტერორისტმა დანარჩენი მძევლები ჩახოცა. მხოლოდ ამის შემდეგ გაუსწორდა პოლიცია ტერორისტებს. ხუთი მათგანი ჩაცხრილეს, სამი ცოცხლად აიყვანეს.

ღამის სამ საათზე „მოსადის“ დირექტორმა ცვი ზამირმა ოლიმპიური სოფლიდან პრემიერ-მინისტრ გოლდა მეიერს დაურეკა. **„ცუდი ამბებია, — უთხრა ზამირმა, — ახლახან დავბრუნდი აეროდრომიდან. ვერც ერთი ებრაელი ვერ გადარჩა.“ გოლდა მეიერს ელდა ეცა.**

პალესტინის ბანაკებში გამარჯვებას ზეიმობდნენ. ლიბიის რევოლუციის ლიდერმა, პოლკოვნიკმა მოამარ კადაფმა გფრ-ს მოკლული ტერორისტების გვამების გადაცემა მოსთხოვა. გფრ-ის კანცლერი ვილი ბრანდტი დათანხმდა — მოამარ კადაფთან საქმის დაჭერა არავის სურდა. ხუთ დაღუპულ ტერორისტს კადაფმა საზეიმო დაკრძალვა მოუწყო და თავად ჩაუდგა სათავეში 30.000-კაციან პროცესიას, ხოლო იასირ არაფატს 5 მლნ დოლარი გადასცა...



მიუნჰენი, 1972 წ.

თვე-ნახევრის შემდეგ, 1972 წლის 29 ოქტომბერს, ორმა პალესტინელმა ბოევიკმა ხელში ჩაიგდო „ლიუფტჰანზეს“ კუთვნილი „ბოინგ-727“ და მიუნხენში დაპატიმრებული ამხანაგების გათავისუფლება მოითხოვა. ვილი ბრანდტი, ახალი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, ულტიმატუმს დათანხმდა.

ტერორისტების გათავისუფლების მეორე დღეს გოლდა მეიერმა „მოსადსა“ და სამხედრო დაზვერვას ებრაელ სპორტსმენთა მკვლელობაში მონაწილე პალესტინელების მოძებნა უბრძანა: **„მსურს, რომ ყველა ორგანიზატორმა და შემსრულებელმა პასუხი აგოს დანაშაულისთვის. შური იძიეთ ჩვენი ბიჭებისათვის!“**

შურისგების ოპერაციამ, რომელიც რამდენიმე წელს გაგრძელდა, კოდური სახელწოდება „ღვთის რისხვა“ მიიღო...

მოამზადა
**ნანა ჩარკვიანმა**

# «ფერადი» გენერალი — პარაგვაის უკანასკნელი ფიურერი

**კარგა ხნით ადრე, ვიდრე პარაგვაი იმ ნაცისტების წყნარ ნავსაყუდელად გადაიქცეოდა, რომლებიც მართლმსაჯულებას ემალებოდნენ, ბავარიელი ემიგრანტის — ჰუგო სტრესნერის ოჯახში ვაჟიშვილი ალფრედო დაიბადა. ეს 1921 წლის 3 ნოემბერს მოხდა ქალაქ ენკარნასიონში. ალფრედოს მამა პარაგვაიში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლუდსახარშის მფლობელი იყო, დედა — დიასახლისი. მათ ოჯახში ბიურგერობისა და რელიგიურობის სულისკვეთება სუფევდა. მამა იმედოვნებდა, რომ საქმეს თავის პირმშოს — ქერაკულულებიან ალფრედოს უანდერძებდა, თუმცა თავად ბიჭს სხვა გეგმები ჰქონდა. მიყრუებულ ენკარნასიონში ცხოვრება მას სულაც არ ეპიტნავებოდა და 17 წლისამ მშობლებს გამოუცხადა, რომ სამხედრო სასწავლებელში ჩაბარებას აპირებდა.**


„ფერადი" გენერალი


ალფრედო სტრესნერი და ხორხე ვიდელა


ალფრედო სტრესნერი და ფრანკო მადრიდში, 1973 წელი

იმდროინდელ პარაგვაის, რომელმაც დამოუკიდებლობა მხოლოდ 1811 წელს მოიპოვა და მას შემდეგ არც ერთი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი არ ჰყოლია, ერთმანეთის მონაცვლე „თეთრი" („ბლანკო") და „ფერადი" („კოლორადო") პარტიების წარმომადგენლები მართავდნენ, რომლებიც ერთმანეთშიც და მეზობლებთანაც გაუთავებელ ომებს აწარმოებდნენ. ქვეყნის ტერიტორია დღითიდღე მცირდებოდა, ისევე, როგორც პარაგვაელი მამაკაცების რაოდენობა. ასე რომ, იმხანად სამხედრო კარიერის არჩევა ხანმოკლე და არცთუ ბედნიერ ცხოვრებას ნიშნავდა.

თუმცა ალფრედო სტრესნერი სხვებზე იღბლიანი აღმოჩნდა. სწავლის დამთავრებისთანავე (ასუსიონის სამხედრო სასწავლებლის გარდა, მან რიო-დე-ჟანეიროში აკადემიაც დაამთავრა) ლეიტენანტი სტრესნერი წინა ხაზზე აღმოჩნდა. 1932 წელს პარაგვაი სისხლისმღვრელ ომში ჩაება ბოლივიასთან ნავთობით მდიდარი რაიონის გამო (მოგვიანებით გაირკვა, რომ გეოლოგები შეცდნენ!). ომი 1935 წელს დასრულდა პარაგვაისა და სტრესნერის გამარჯვებით — იგი მეთაურებმა შენიშნეს და მისმა კარიერამაც ზრდა დაიწყო.

**1940-იანი წლების ბოლოს პარაგვაიში სამოქალაქო ომმა იფეთქა. იმ დროისათვის ალფრედო სტრესნერს უკვე პოდპოლკოვნიკის წოდება ჰქონდა და საარტილერიო პოლკს ხელმძღვანელობდა, რომელიც, არც აცია, არც აცხელა და ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარის — „კოლორადოს" პარტიის განკარგულებაში გადასცა. ეს ომი უმძიმესი იყო პარაგვაის ისტორიაში. იქიდან მეზობელ ქვეყნებში მოსახლეობის მესამედი გაიქცა, ათასი კაცი „ფერადების" ხელით დაიღუპა.**

ალფრედო სტრესნერმა კი გარჯისათვის ბრიგადის გენერლის წოდება მიიღო და მთელს ლათინურ ამერიკაში ყველაზე ახალგაზრდა გენერლად იქცა. 1950 წელს, როცა თავად მმართველი პარტიის შიგნით ძალაუფლებისათვის ბრძოლა გაჩაღდა, სტრესნერი ერთ-ერთ ლიდერს, დოქტორ ფედერიკო ჩავესს მიემხრო, რომელმაც პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ ერთგულ ალფრედოს ახალი წოდება და ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის თანამდებობა უბოძა.

**დოქტორი ჩავესი არც პირველი პრეზიდენტი იყო და არც უკანასკნელი, ვინც მწარედ ინანა იმის გამო, რომ უახლოეს თანამოაზრეს სრული ნდობა გამოუცხადა.** 1954 წლის 5 მაისს ალფრედო სტრესნერი სათავეში ჩაუდგა გადატრიალებას, დაამხო ჩავესი და რამდენიმე თვის შემდეგ თავი ქვეყნის პრეზიდენტად გამოაცხადა.

უფრო სწორად, ფორმალურად იგი პრეზიდენტად გამოაცხადა მმართველმა პარტია „კოლორადომ", თუმცა ამ დროისათვის სტრესნერმა ყველაფრის გაკეთება მოასწრო საიმისოდ, რომ მის მოწინააღმდეგე პარტიულ ბოსებს ან ქვეყანა დაეტოვებინათ, ანდა იმქვეყნად გადასახლებულიყვნენ.

„პარაგვაი, რომლის დედაქალაქში წყალგაყვანილობაც კი არ იყო, სწორედ სტრესნერის მმართველობის ხანაში იქცა მეტ-ნაკლებად სტაბილურ ქვეყნად," — აღნიშნავდა ამერიკელი ისტორიკოსი ბენ საიქსი. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ: **ალფრედო სტრესნერი აშშ-ის ერთგული იყო, რაც არაერთხელ დაამტკიცა, თუმცა განსაკუთრებული სიმპათია მაშინ დაიმსახურა, როცა დომინიკის რესპუბლიკაში ამერიკელების შეჭრისას დასახმარებლად პარაგვაის ჯარები გაუგზავნა.** მოგვიანებით სტრესნერი ლათინური ამერიკის თითქმის ყველა დიქტატორულ რეჟიმს დაუმეგობრდა (პარაგვაის მომიჯნავე ქვეყნების გამოკლებით). მხარდაჭერისთვის აშშ-მა პარაგვაი კმაყოფაზე აიყვანა.

მეორე გარემოება ბრაზილიასთან ერთობლივად ერთადერთი, მაგრამ წარმოუდგენელი მასშტაბების ჰიდროტექნიკური აღჭურვილობის — იტაიპუს ჰესის მშენებლობა იყო პარანის მდინარეზე, რამაც პარაგვაი კონტინენტის უღარიბესი ქვეყნიდან თვალისდახამხამებაში ელექტროენერგიის უდიდეს ექსპორტიორად აქცია. ქვეყანა დღემდე ამით ცხოვრობს.

**სტრესნერს ძალიან უყვარდა საკუთარი თავი და ნეტარებდა, როცა სკოლებს, საავადმყოფოებს, გზებს, აეროპორტებსა და ქალაქებს თავის სახელს არქმევდა. პარაგვაის დედაქალაქის — ასუნსიონის ცენტრალურ ქუჩაზე ყოველ საღამოს ინთებოდა უზარმაზარი ნეონის პლაკატი: „სტრესნერი: მშვიდობა, შრომა, კეთილდღეობა." დიქტატორის პორტრეტებით მოფენილი იყო მთელი ქვეყანა და, თუ სადმე მის ნაკლებობას შენიშნავდნენ, ეჭვმიტანილს „ინტელექტუალურ ტერორიზმში" ადანაშაულებდნენ და სასტიკად სჯიდნენ.**

სწორედ სტრესნერის მმართველობის ხანაში იქცა პარაგვაი ნაცისტების ნამდვილ ნაკრძალად. **აქ გარკვეულ ხანს ცხოვრობდა ოსვენციმის მთავარი ექიმი, დოქტორი იოზეფ მენგელე,** რომელსაც დიქტატორის უახლოეს მეგობრად მიიჩნევდნენ. აქვე ჰპოვეს კომფორტული თავშესაფარი სხვა გერმანელმა ლტოლვილებმაც, რომელთა რაოდენობამ 200 ათასი კაცი შეადგინა. სტრესნერი მხოლოდ დევნილ ნაცისტებს როდი სწყალობდა, ის თავის ნაკლებად იღბლიან კოლეგებსაც იფარებდა. მაგალითად, **პარაგვაიში აფარებდა თავს სანდინისტებისგან დევნილი ნიკარაგუის დიქტატორი ანასტასიო სომოსაც...**

ფორმალურად სტრესნერი დიქტატორი არ ყოფილა. **5 წელიწადში ერთხელ იგი საპრეზიდენტო არჩევნებს ატარებდა, ყოველ ჯერზე იმარჯვებდა და თავის სახელს ამატებდა ტიტულს, რომელიც მის მეგობარ-დიქტატორებს არ ჰქონდათ — „რესპუბლიკის კონსტიტუციური პრეზიდენტი."** მოქმედებდა პარლამენტი, სადაც მმართველი პარტია „კოლორადო" პრეზიდენტის ყველა გადაწყვეტილებას ადასტურებდა. **სტრესნერი მისი მინისტრებისთვის, სენატორებისა და სხვა ჩინოვნიკებისთვის ღმერთი იყო,** მაგრამ ასე დიდხანს ველარ გაგრძელდებოდა...

სტრესნერს პრობლემები 1980-იანი წლებში დაეწყო. ქვეყანაზე კონტროლს რომ კარგავდა, ამის პირველი ნიშანი ხმაურიანი პოლიტიკური მკვლელობა გახდა. დედაქალაქის ცენტრში დღისით-მზისით, ტერორისტებმა გენერალისიმუსის მეგობარი ანასტასიო სომოსა მოკლეს. დამნაშავეებს ვერ მიაგნეს. პარაგვაის ხელისუფლებამ ბრალი სანდინისტებს დასდო, მსოფლიო პრესამ კი ეს ფაქტი სტრესნერის რეჟიმის დასასრულად მიიჩნია.

გენერალისიმუსის მმართველობის ხანაში პარაგვაი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ქვეყანა იყო, თუმცა კორუფციის ყველა სიკეთით მხოლოდ პრეზიდენტი და მისი მეგობრები სარგებლობდნენ. მმართველ პარტიასა და უკვე მთავრობაშიც უკმაყოფილოთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. ქვეყანაში, რომელსაც სტრესნერი ლათინურ ამერიკაში ყველაზე მშვიდ სახელმწიფოს უწოდებდა, საპროტესტო გამოსვლები დაიწყო და მარტო რეპრესიებით მათი შეჩერება ველარ მოხერხდა.

**ბოლოს და ბოლოს, სტრესნერს ყველა დაუპირისპირდა: ბიზნესმენებმა საქმეთა წარმოების უფრო მკაფიო და გამჭვირვალე წესები მოითხოვეს, სამხედროები აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმ პრივილეგიების გამო, რომლითაც არმიაში მხოლოდ სტრესნერის ნათესავები სარგებლობდნენ, ხოლო ამერიკელებმა 1984 წელს დიქტატორს სიტყვა გადაუკრეს გადადგომის აუცილებლობაზე (რონალდ რეიგანმა ოფიციალურად შეიტანა პარაგვაი დიქტატორული რეჟიმების სიაში), „კოლორადოს" პარტიის მაღალჩინოსანი წევრები ძალაუფლებისკენ ილტვოდნენ. 1989 წლის 3 თებერვალს სტრესნერის ერთგული თანამოაზრე და ნათესავი, გენერალი ანდრეას როდრიგესი სათავეში ჩაუდგა უსისხლო გადატრიალებას, რომლის დროსაც დიქტატორი დააპატიმრეს.**

რამდენიმე დღის შემდეგ სტრესნერი და მისი ოჯახი ბრაზილიაში გაიქცნენ, ხოლო როდრიგესი პარაგვაის ახალი და ხელისუფლების სათავეში არაკონსტიტუციური გზით მოსული უკანასკნელი პრეზიდენტი გახდა.

ასუნსიონში მონაცვლე რეჟიმებმა რამდენჯერმე მოითხოვეს მათთვის სტრესნერის გადაცემა, რათა იგი კორუმპირებულობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის გაესამართლებინათ, მაგრამ ბრაზილიის ხელისუფლებამ, რომელმაც პოლიტიკური თავშესაფარი მისცა სტრესნერსა და მის ოჯახს, ეს მოთხოვნები უგულებელყო.

სიცოცხლის ბოლო წლები ყოფილმა დიქტატორმა თითქმის სრულ მარტოობაში გაატარა. მისი ცოლ-შვილი გარდაიცვალა, დარჩა მხოლოდ შვილიშვილი — ალფრედო სტრესნერ-უმცროსი. 2006 წლის 16 აგვისტოს სწორედ მან განაცხადა გენერალისიმუს ალფრედო სტრესნერის გარდაცვალების შესახებ. უმცროსმა სტრესნერმა პარაგვაის ხელისუფლებას ცხედრის სამშობლოში გადასვენების ნებართვა სთხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღო.

„მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ბოლოს და ბოლოს გავთავისუფლდით. **სანამ ეს კაცი ცოცხალი იყო, პარაგვაის მზეს ჩრდილავდა, — განაცხადა გენერალისიმუსის სიკვდილის შემდეგ ერთ-ერთმა პოლიტპატიმარმა,** რომელმაც ასუნსიონის ციხეში 15 წელზე მეტხანს დაჰყო, — თუმცა მოსვენებას არ მაძლევს ის ფაქტი, რომ იგი დაუსჯელი მოკვდა..."



სტრესნერი სტუმრად პინოჩეტთან


ომი ნავთობით მდიდარ ჩაკოს რაიონისთვის

# აბუ ნიდალი: ვკლავ, მაშასადამე ვარსებობ!

**წარსულში ერთ-ერთი ყველაზე საშიში და ამჟამადაც დიდი საბრძოლო პოტენციალის მქონე პალესტინური ტერორისტული ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელის — აბუ ნიდალის ნამდვილი სახელი საბრი ჰალილ ალ-ბანაა. იგი 1937 წლის მაისში იაფაში, შეძლებულ ოჯახში დაიბადა. მამამისი პალესტინაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კაცი იყო: ღაზის სექტორში, იაფადან აშკელონამდე 3 ათას ჰა მიწას ფლობდა და პალესტინიდან ევროპაში ექსპორტირებული პროდუქციის 10 პროცენტს აკონტროლებდა. სახლები ჰქონდა საფრანგეთში, სირიასა და თურქეთში. 1948 წელს, ებრაული სახელმწიფოს გამოცხადების შემდეგ, ისრაელის ხელისუფლებამ მისი მიწების კონფისკაცია მოახდინა.**





ერთ-ერთი ტერაქტის შემდეგ

საბრის მამას 13 ცოლი ჰყავდა, რომლებმაც მას 16 ვაჟი და 8 ქალიშვილი აჩუქეს. **მომავალი ტერორისტი მერვე ცოლის, სირიელი ქალისგან შეეძინა.**

ერთხანს ოჯახი ჰაიფეში ცხოვრობდა. მამამ შვილებისთვის კარგი განათლების მისაცემად ისინი ინგლისის კერძო სკოლებში მიაბარა. საბრი იაფაში, ფრანგულ კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა. იქ დღემდე შემონახულია დოკუმენტი, რომელიც იუწყება: „საბრი ალ-ბანამ ამ სკოლის დაწყებითი კურსი დაამთავრა“.

1945 წელს მამამისი გარდაიცვალა. უფროსმა ძმებმა საბრი კათოლიკური სკოლიდან მუსლიმანურში, იერუსალიმის ალ-უმარიას პრესტიჟულ სკოლაში გადაიყვანეს. **მეოთხე კლასში იყო, როცა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ № 181 რეზოლუცია მიიღო პალესტინის ორ — არაბულ და ებრაულ სახელმწიფოდ დაყოფის შესახებ. ეს 1947 წლის 29 ნოემბერს მოხდა. თითქმის მაშინვე დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები არაბებსა და ებრაელებს შორის.**

1948 წლის დასაწყისში, როცა ებრაელებმა იაფა აიღეს, საბრი ალ-ბანას ოჯახი იძულებული შეიქნა, მაჯდალში გადასახლებულიყო. იქ საკუთარი სახლი ჰქონდათ, მაგრამ მალე ღაზის სექტორში, პალესტინელი ლტოლვილების ბანაკში — „ალ-ბურჯში“ გადავიდნენ. ბავშვებიცა და უფროსებიც ჩვეულებრივ კარვებში ცხოვრობდნენ ათობით ათას ლტოლვილთა შორის. ფუფუნებაში გაზრდილი საბრი მოულოდნელად სიღარიბეში აღმოჩნდა. 20-ოთახიანი ლამაზი სახლის ნაცვლად, იძულებული იყო კარავში ეცხოვრა და ყოველდღიურად უსასრულო რიგში მდგარიყო დღიური პროდუქტის: ზეთის, ბრინჯის, კარტოფილის მისაღებად. გასაკვირი არაა, რომ შეიძულა ისრაელიცა და ინგლისიც, რომლებმაც მის ოჯახს ტანჯვა და გაჭირვება მოუტანეს.

ბანაკში 9-თვიანი ცხოვრების შემდეგ, ოჯახი იორდანიის კონტროლქვეშ მყოფ, მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე უდიდეს ქალაქ ნაბლუსში გადასახლდა. იმ დროს საბრი 12 წლისა იყო. ერთწლიანი პაუზის შემდეგ მან სწავლა განაგრძო, ამჯერად — ჩვეულებრივ სახელმწიფო სკოლაში.

1955 წელს საბრიმ ქაიროს



ერაყის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი ჯალი ჰაბუში იტყობინება აბუ ნიდალის სიკვდილის შესახებ 2002 წელს

უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე ჩააბარა, საიდანაც ორი წლის შემდეგ გარიცხეს და იძულებული გახდა, ნაბლუსში დაბრუნებულიყო. გარკვეულ ხანს ადგილობრივ სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. 1960 წელს უფროსი ძმის, ზაქარიას რჩევით, საუდის არაბეთში გაემგზავრა და ქალაქ ჯიდაში ელექტრიკოსად მოეწყო. საბრი ძალიან მიჯაჭვული იყო ოჯახზე, ამიტომ ყოველწლიურად ჩადიოდა დედის მოსანახულებლად.

1962 წელს შინ მორიგი ჩასვლისას ცოლი შეირთო და საუდის არაბეთში მასთან ერთად დაბრუნდა. ცოლ-ქმარს ვაჟი ნიდალი და ქალიშვილები: ბიზანი და ნაიფა შეეძინა. საბრი კვლავ ელექტრიკოსად მუშაობდა, თუმცა ნელ-ნელა პოლიტიკით დაინტერესდა და პალესტინურ თემთა დისკუსიებშიც მიიღო მონაწილეობა. მოკლე ხანში კი არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიაში (ბაას) გაწევრდა, რითაც შემდგომ ერაყის ხელისუფლების კეთილგანწყობა მოიპოვა. **მაშინ გაერთიანდა „ფათჰის“ პალესტინურ ორგანიზაციაშიც, რომელიც 1965 წელს იასირ არაფატმა შექმნა და სწორედ ამ დროს მოხვდა საუდის არაბეთის სპეცსამსახურთა მხედველობის არეში.** მას აპატიმრებდნენ, დაჰკითხავდნენ, აწამებდნენ და ბოლოს ქვეყნიდანაც გაასახლეს. ამ სავალალო გამოცდილებით აიხსნებოდა საბრის უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება საუდის არაბეთისადმი. ნაბლუსში ცოლ-შვილთან ერთად იგი 1967 წლის 5 ივნისს დაწყებულ „ექვსდღიან ომამდე“ რამდენიმე თვით ადრე დაბრუნდა.

**ისრაელის ჯარების შესვლა ნაბლუსში მისთვის, სხვა პალესტინელთა მსგავსად, სერიოზულ ტრავმად იქცა. ისრაელის მიერ სინაის ნახევარკუნძულის, ღაზის სექტორის, გოლანის სიმაღლეებისა და მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის დაპყრობამ საბრის მოქმედებისკენ უბიძგა — იგი აქტიურ იატაკქვეშა ბრძოლაში ჩაერთო.**

როცა ისრაელის სპეცსამსახურებმა „ფათჰის“ წევრების გამოვლენა დაიწყეს, საბრიმ ნაბლუსი დატოვა და იორდანიის დედაქალაქ ამანში გადავიდა, სადაც მისი უფროსი ძმები ცხოვრობდნენ. ორგანიზაციის სხვა წევრების მსგავსად, მან საბრძოლო ფსევდონიმი აიღო — აბუ ნიდალი (არაბულად „ნიდალის მამას“, ასევე, „ბრძოლის მამას“ ნიშნავს). იგი არაფატის ერთ-ერთ მოადგილეს სალაჰ-ჰალაფს (აბუ-აიადი) დაუახლოვდა, რომლის მფარველობითაც სწრაფად წაიწია სამსახურებრივ კიბეზე. ხელმძღვანელობას მოსწონდა მისი პატივმოყვარეობა, სიმკაცრე, ინიციატივიანობა. იგი „ფათჰის“ პირველი წევრი იყო, ვინც სამხედრო მომზადების გასავლელად ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეაში გაგზავნეს.

1969 წელს „ფათჰმა“ აბუ-ნიდალი სუდანში გააგზავნა ორგანიზაციის წარმომადგენლობის გასახსნელად და მის სათავეში ჩასადგომად. ეს უმაღლესი თანამდებობა იყო, რომელსაც მან „ფათჰი“-ში მიაღწია. თუმცა 8 თვის შემდეგ გადაჭარბებული ინიციატივისა და დამოუკიდებლობის გამო საბრი უკან გაიწვიეს და ერაყში გადაიყვანეს. ამ დროიდან დაიწყო მისი ხანგრძლივი თანამშრომლობა სადამ ჰუსეინთან.

ბაღდადში ყოფნისას აბუ-ნიდალმა მჭიდრო კონტაქტები დაამყარა სამთავრობო სტრუქტურებთან და საიდუმლო სამსახურებთან. როცა „ფათჰის“ შტაბბინაში შემაშფოთებელი ცნობები მოვიდა, აქაოდა, აბუ-ნიდალის ურთიერთობები ერაყის ხელისუფლებასთან ახალ სახეს იღებსო, არაფატი და მისი თანამოაზრენი თავიანთი წარმომადგენლის ჭეშმარიტი ზრახვებით დაინტერესდნენ. უნდა ითქვას, რომ პალესტინის ლიდერიცა და „ფათჰის“ სხვა დამფუძნებლებიც მიიჩნევდნენ, რომ მათი ორგანიზაცია რაც შეიძლება ნაკლებ დამოკიდებული უნდა ყოფილიყო არაბულ ქვეყნებზე.

**მალე აბუ-ნიდალმა უარი განაცხადა არაფატის განკარგულებების შესრულებაზე და კონტაქტების განმტკიცება დაიწყო ერაყულ სპეცსამსახურებთან, შედეგად ერაყში №1 პალესტინელი ტერორისტი გახდა.** 1973 წელს ერაყის სპეცსამსახურების დახმარებით მან თავისი საკუთარი ორგანიზაციის — „აბუ-ნიდალის ჯგუფის“ შექმნა დაიწყო (დღეს მას „აბუ-ნიდალის ორგანიზაცია“ ეწოდება). მისი ჯგუფი 150-200 კაცს ითვლიდა. **ეს ერთ-ერთი პირველი პალესტინური ტერორისტული ორგანიზაცია იყო, რომელსაც სახელმწიფო დონეზე უჭერდნენ მხარს ერაყი, სირია და ლიბია.**

„ჯგუფი“ სამი კონტინენტის 20 ქვეყანაში მოქმედებდა და 200-მდე ტერაქტი განახორციელა. ამ ტერაქტების მსხვერპლი იყვნენ ებრაელები, ამერიკელები, ევროპელები, არაბები, პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლები. **საბრი ალ-ბანას ძალიან სწყდებოდა გული, რომ ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი არ მოკლა...**

საბრი უკმაყოფილებას გამოთქვამდა არაფატისა და „ფათჰის“ სხვა ხელმძღვანელების ზომიერების გამო, ეწინააღმდეგებოდა პალესტინის პრობლემისა და არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ყველა გეგმას. მან თავისი ორგანიზაციის დოქტრინა შექმნა. **„ჩვენი პროგრამა „ფათჰისას“ ეფუძნება, — აცხადებდა იგი, — რაც „სიონისტური წარმონაქმნის“ (ისრაელის) სრულ განადგურებას გულისხმობს. ჩვენ პალესტინის გათავისუფლებისათვის ვიბრძვით, სადაც დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა გვსურს. არაფატმა და მისმა მომხრეებმა პალესტინის რევოლუციას უღალატეს, მზად არიან, მოლაპარაკებები აწარმოონ სიონისტებთან. ვაცხადებთ, რომ ნებისმიერს, ვინც მოღალატეობას შეეცდება, გავანადგურებთ!“ სწორედ მაშინ ჩამოაყალიბა აბუ-ნიდალმა თავისი კრედოც: „ვკლავ, მაშასადამე, ვარსებობ!“**



ქალაქი იაფა, სადაც დაიბადა აბუ ნიდალი

1974 წლის ოქტომბერში საბრი ჯერ არაფატის უახლოესი თანამოაზრის — აბუ მაზენის ლიკვიდირებას, შემდეგ კი თავად პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ლიდერის განადგურებასაც შეეცადა, რადგან მან აღიარა ებრაელების უფლება, ეცხოვრათ პალესტინაში. შემსრულებლები დააკავეს. რაკი არაფატს ვერ მისწვდა, აბუ-ნიდალი თავს დაესხა მის მომხრეებს — საიდ ჰამამსა და ისამ სარტავს. ამის გამო საბრი ალბანას დაუსწრებლად გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. არაფატსა და აბუ-ნიდალს შორის დაპირისპირებამ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების საბრძოლო შეტაკებები გამოიწვია.

1980 წელს ერაყის ხელისუფლებამ საბრი ალ-ბანა „ერაყში პალესტინის რევოლუციის პოლიტიკური კომიტეტის“ ხელმძღვანელად დანიშნა. ეს ორგანიზაცია აერთიანებდა ყველა პალესტინურ დაჯგუფებას, რომლებსაც მხარს უჭერდა ბაღდადი. **1981 წელს ერაყის ხელისუფლებამ მას 50 მლნ დოლარი გამოუყო. ფინანსური დახმარება აღმოუჩინა სირიამაც (მილიონი დოლარი) და ასევე ლიბიამ (რამდენიმე მილიონი). ამ ფულის ნაწილი რადიოსადგურ „პალესტინის ხმის“, საინფორმაციო სააგენტო „ვაფასა“ და გაზეთ „პალესტინის რევოლუციის“ შექმნას მოხმარდა.**

1983 წელს აბუ-ნიდალისა და სადამ ჰუსეინის თანამშრომლობის „პირველი რაუნდი“ დასრულდა: ტერორისტი სირიაში გაასახლეს, სადაც 1987 წლამდე დაჰყო და პრეზიდენტ ჰაფეზ ასადის მითითებით ტერორი იორდანიის წინააღმდეგ მიმართა. ერაყში იგი 1990 წელს დაბრუნდა.

აბუ-ნიდალთან დაახლოებულ პირთა თქმით, იგი პარანოიდალურად ფრთხილი იყო, საკუთარ ცოლ-შვილზე კი ეჭვი მიჰქონდა, ცსს-ს აგენტები ხომ არ არიანო; არასოდეს ლაპაკობდა ტელეფონით, რადგან შიშობდა, რომ ააფეთქებდნენ; არასოდეს ჭამდა პირველი...

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი იარაღის ვაჭრობით იყო დაკავებული და ამით 400 მლნ დოლარიც იშოვა. 2000 წელს საბრი ერაყში დაფუძნდა, მას შემდეგ, რაც დანარჩენმა არაბულმა ქვეყნებმა უარი თქვეს მის მიღებაზე.

**2002 წლის 15 აგვისტოს აბუ-ნიდალი მოკლული იპოვეს ბაღდადში, მისსავე ბინაში. 65 წლის ტერორისტს ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი.**

ამჟამად „აბუ-ნიდალის ჯგუფი“ მთელ ახლო აღმოსავლეთშია მიმოფანტული: ლიბანში, ალჟირში, სუდანში, აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებში. ორგანიზაცია 400-მდე კაცს ითვლის, ჩამოყალიბებულია კლანური პრინციპით და სხვადასხვა ფუნქციონალური კომიტეტისგან შედგება. ტერაქტებს ცალკეული, 3-5-კაციანი ბირთვები აწყობენ, რომელთა ძირითადი იარაღი „კალაშნიკოვის“ ავტომატები, ყუმბარმტყორცნები და პოლონური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებია.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# «ახალი წარღვნა» თუ ამერიკული ელექტრომაგნიტური იარაღის მოქმედება?

**ამ ფოტოსურათზე უფრო მორგებულ სიმბოლოს ძნელად თუ მოუძებნის ვინმე 2010 წლის გაზაფხულზე ევროპაში დატრიალებულ სტიქიურ უბედურებას. კარგი კადრია: მითიური მდინარე ლეთე, აქერონი თუ სტიქსი — ორი სამყაროს წყალგამყოფის ვარიაცია. სადაცაა გამოჩნდება ქარონი — დაუღალავი მენავე — და შეუდგება თავის მარადიულ საქმიანობას — გარდაცვლილთა სულების გადაყვანას მეორე ნაპირზე. მხოლოდ — იქით, და არავითარ შემთხვევაში — საწინააღმდეგო მიმართულებით.**



ლეთედ დაიღვარა წვიმა ევროპაში

ევროპაში დატრიალებული წყალდიდობის მასშტაბებს თუ გაისიგრძეგანებ, ბიბლიური პარალელები გაგახსენდება, უწინარეს ყოვლისა:

**„7 დღის შემდეგ მოვიდა წარღვნა ქვეყნად... ამ დღეს მოსკდნენ დიდი უფსკრულის წყაროები და გაიხსნენ ცათა სარკმელები. აწვიმდა ქვეყანას ორმოცი დღე და ორმოცი ღამე“...** *(დაბ. 7,10-12).*

აწვიმდა ევროპას ამ გაზაფხულზე და არ იყო ეს შვიდმაისის დამათრობელი წვიმა. არც მთლად წარღვნა. მაგრამ — მსგავსი.

დაეკიდა ციკლონი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის თავზე. 9 მაისს დაიწყო ესე. გადაუღებლად წვიმდა ჩეხეთში, უნგრეთში, ავსტრიაში, სლოვაკეთში, პოლონეთში. ატლანტიკიდან წამოსულმა ახალმა და ახალმა ციკლონებმა ისეთი სიძლიერით შეუტია ბებერ კონტინენტს, თითქოს მართლა დგებოდა ჟამი ახალი კიდობანისა.

მდინარეებმა გადმოლახეს კალაპოტები — ბუნებრივი თუ ხელოვნური, დამბები და წყალსაცავები. ვისლამ, ვარტემ და ოდერმა წყლით დაფარა პოლონეთის მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალები, სავარგულები, დატბორა დასახლებული პუნქტები — თითქმის ნახევარი ქვეყანა. ვარშავის 100-ზე მეტ სკოლაში შეწყვიტეს სწავლა. დღის წესრიგში დადგა საპრეზიდენტო არჩევნების გადატანის საკითხი. ჩვენ ამ დროს თბილისის მერის არჩევნებით ვერთობოდით და — დანარჩენი სამყარო წყალსაც წაუღია! მიჰქონდა.

მეტეოროლოგების დაკვირვებით, ეს წყალდიდობა ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ყველაზე დიდ სტიქიურ უბედურებად მოევლინა ევროპას და, უწინარეს ყოვლისა, პოლონეთს: **დაიღუპა 20-მდე ადამიანი, ზარალმა 2,5 მილიარდ ევროს გადააჭარბა.**

ტრაგიკული გაზაფხული დაუდგა პოლონეთს წლეულს.

**„დიდმა წყალმა“ ჩეხეთი 55 მილიონი ევროთი აზარალა.**

**სლოვაკეთში 3 ადამიანი იმსხვერპლა. წყალდიდობის ზონაში აქ ქვეყნის 10 პროცენტი მოექცა, დაიღუპა ერთი, 35 წლის კაცი.** სერიოზულად შეფერხდა ავტო და სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობა. **ზარალი 9 მილიონ ევროზე მეტია. ხელისუფლება მასობრივი ევაკუაციით განარიდებდა მოქალაქეებს კრიტიკული რეგიონებიდან.**

**უნგრეთში მდინარეების კალაპოტების გამაგრებით ცდილობდნენ სტიქიასთან გამკლავებას. ამ სამუშაოებზე ათასი სამხედრო მოსამსახურე იყო მობილიზებული.**

**დასავლეთ უკრაინას ქარიშხალმა გადაუარა. 200 ათასზე მეტი ადამიანი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.**

## დაფიქრდა შეშინებული ევროპელი

რა შეიძლება იყოს სტიქიის შემოტევის მიზეზი? რეალური — არც მითიური, არც — ბიბლიური.

პრესაში საინტერესო პუბლიკაციები გამოჩნდა. ერთ-ერთი, რომელსაც სენსაციურობის ელფერი დაჰკრავს, მაგრამ ამის გამო სულაც არ არის ხელაღებით უარსაყოფი, **„კომსომოლსკაია პრავდის“** 28 მაისი — 3 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების უფოლოგიის კომისიის თავმჯდომარის **მიხეილ გერშტეინის** წერილია — **„წყალდიდობა ევროპაში? ამერიკელების მოწყობილია“.**

**„მიზეზების ძიების პროცესში, — შენიშნავს ავტორი, — სულ უფრო ხშირად ახსენებენ პენტაგონს, რომელიც რეგულარულად აამოქმედებს ხოლმე თავის HAARP-ს – უსაშინელეს ელექტრომაგნიტურ იარაღს, რომელიც ალიასკაზე არის განთავსებული და რომელსაც ატომური ბომბის აფეთქებაზე უფრო გამანადგურებელი შედეგი მოაქვს“.**

რას წარმოადგენს ეს იარაღი, რომელსაც ევროპა უნდა უმადლოდეს ამ გაზაფხულის სიურპრიზებს?

HAARP-ის სადგური ალიასკაზე, ანკორიჯიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 250 კილომეტრზე არის განლაგებული. შედგება 360 რადიოგადამცემისგან და 22 მეტრის სიმაღლის 180 ანტენისგან, რომელთაც 14 ჰექტარი უკავია. კომპლექსს თითქმის 20 წელიწადს აგებდნენ და 250 მილიონი დოლარი დაახარჯეს. დღეს იგი ზეცაში 3600 კილოვატს ასხივებს (კომერციულ რადიოსადგურზე 75-ჯერ მეტს) და **ითვლება იონოსფეროზე ზემოქმედების მსოფლიოში უმძლავრეს დანადგარად.**

ოფიციალურად, მთელი ეს მოწყობილობა მეცნიერული კვლევისთვისაა გამიზნული – იონოსფეროსა და უახლოეს კოსმოსურ სივრცეში მიმდინარე ბუნებრივი მოვლენების შესასწავლად. მაგრამ, **ექსპერტებს აეჭვებთ ის ფაქტი, რომ რატომღაც, ეს „მშვიდობიანი სადგური“ სამხედროებს ეკუთვნის...**

HAARP-ის ისტორია, — საქმის კურსში შევყავართ გენშტეინს, — 1958 წელს დაიწყო. ლოურენს-ლევერმორის ეროვნული ლაბორატორიის (კალიფორნია) ფიზიკოსმა **ნიკოლას ქრისტოფილოსმა** წამოაყენა წინადადება, რომ წყალქვეშა ნავების მოძრაობის გასაკონტროლებლად გამოეყენებინათ უმოკლესი სიხშირის ტალღები (ELF). მათი გენერირებისათვის მომდევნო პერიოდში გამოიყენეს ელექტროჯეტები – იონოსფეროში დატენილი ნაწილაკების ნაკადები. 1980-იანი წლების შუა ხანს ვაშინგტონის სამხედრო-საზღვაო კვლევების ლაბორატორიის ფიზიკოსი **დენის პაპანდოპულოსი** გადამცემი სადგურის ახალი პროექტის რეალიზაციაზე იწყებს ზრუნვას. 1990 წელს მშენებლობას „მწვანე შუქი აუნთეს“. საზოგადოებას აუწყეს, რომ სადგურის ჭეშმარიტი დანიშნულება „ჩრდილოეთის ციალიდან ენერგიის ამოტუმბვა“ და ენერგოკრიზისის დაძლევაა. ეს ფანტასტიკური განმარტება ცოტა ვინმემ თუ დაიჯერა.

დაეჭვებულმა სკეპტიკოსებმა გაარკვიეს, რომ პროექტში ჩართულია ვინმე **ბერნარ ისტლუნდი**, ფიზიკოსი, რომელიც 1985 წლიდან ფლობდა პატენტს „დედამიწის ატმოსფეროს, იონოსფეროს და მაგნიტოსფეროს გაზომვის მეთოდი და აპარატი“. პატენტში ნახსენები იყო ანტენები, რომლებიც ატმოსფეროში გამოასხივებს ენერგიას, მაგრამ არა წყალქვეშა ნავებთან დასაკავშირებლად, არამედ **უმტკიცესი ენერგეტიკული ფარის შესაქმნელად, რომელიც მწყობრიდან გამოიყვანდა მტრის რაკეტებსა და თვითმფრინავებს.**

მეცნიერებმა განაცხადეს, რომ მოწინააღმდეგის რაკეტებისა და თვითმფრინავების ჩამოსაგდებად საჭირო იყო ისეთი სადგური, რომლის სიმძლავრე 330 ათასჯერ გადაამეტებდა HAARP-ს და მოიხმარდა მთელი მსოფლიოს ენერგიის 8 პროცენტს; ხოლო იონოსფეროში მისი გაყვანა შეეძლო ანტენების ველს, რომელიც 30 კილომეტრზე გაიჭიმებოდა, რაც არარეალურია. ამას დაემატა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს განცხადება: ისტლუნდის პროექტი არ მიიღეს როგორც აბსურდული.

## სად ვეძებოთ სიმართლე?

აშშ მეცნიერები შეეცადნენ, HAARP-ის მეშვეობით უსამა ბენ ლადენისა და სხვა ტერორისტების ბუნკერები აღმოეჩინათ. თუმცა — უშედეგოდ.

მაშინო, განაგრძობს ავტორი, თავდაცვის სამინისტროს მოწინავე კვლევითი პროექტების სამმართველომ (DARPA) დააყენა საკითხი, რათა ეს სადგური გამოეყენებინათ ატმოსფეროში ატომური აფეთქებების საწინააღმდეგოდ. მათი მთავარი დამრტყმელი ძალა მაღალი ენერგიების ელექტრონებია, რომლებსაც დედამიწის ახლო სივრცეში თანამგზავრების დაზიანება შეუძლია.

ამჟამად ცდილობენ, რომ HAARP-ის ანტენების მეშვეობით ელექტრონების ნაკადები 100 კილომეტრის სიმაღლეებისკენ მიმართონ, სადაც ისინი ელვად და ჩრდილოეთის ციალად „განიმუხტება“.

**შესაძლოა კი ამ იდეის მატერიალიზება? ამ შეკითხვას ახალზელანდიელი მეცნიერები კატეგორიული უარით უპასუხებენ: იმ შემთხვევაში, მიაჩნიათ მათ, თუ შესაძლებელი იქნებოდა იონოსფეროში საკმარისი რაოდენობის ენერგიის „გადატუმბვა“, მთელ მსოფლიოში დაირღვეოდა კავშირგაბმულობა და ნავიგაცია. ბირთვული აფეთქებების წინააღმდეგ გამოყენებულ „მკურნალობას“ „ავადმყოფობაზე“ უარესი შედეგი მოჰყვებოდა.**

სადგურის ანტენების ჩრდილოეთის ციალის დროს სრული სიმძლავრით ჩართვისას მეცნიერებმა 100-150 კილომეტრის სიმაღლეზე შენიშნეს მწვანე ნათება: მზისა და სადგურის ენერგია გარკვეულად ურთიერთმოქმედებდა. ეს იყო მსოფლიოში პირველი ხელოვნური ჩრდილოეთის ციალი, რომლის ხილვა შეუიარაღებელი თვალით შეიძლებოდა.

ექსპერტები გვამშვიდებენ, რომ HAARP-მა ამინდზე არ შეიძლება იმოქმედოს, რადგან სადგურის მიერ გამოსხივებულ ენერგიას არ შთანთქავს არც ტროპოსფერო, არც სტრატოსფერო — ატმოსფეროს ორი შრე, სადაც ფორმირდება დედამიწის ამინდი, ხოლო იონისფეროდან, ანუ 70 კილომეტრის სიმაღლიდან ამინდის გაფუჭება, მიწისძვრის გამოწვევა და, საერთოდ, კატაკლიზმების მართვა წარმოუდგენელია.

გამოდის, რომ HAARP-ის სადგური არ არის „სიკვდილის მანქანა“, მშვიდობიანი ლაბორატორიაა, სადაც მეცნიერები ჩრდილოეთის ციალს ელაციცებიან.

მაგრამ ამის არავის სჯერა.

სამაგიეროდ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ყველამ დაიჯერა, რომ იმ დროს საქართველოში მომხდარი დიდი მიწისძვრა რუსების ტექტონიკური იარაღის ამოქმედების შედეგი იყო.

რა გვეშველება?

სანამ სინოპტიკოსები მარჩიელობენ, „დარია თუ ავდარია“, ჩვენ, როგორც ყოველთვის, „ერთმანეთს ჩავკიდოთ ხელები“ და ერთხმად დავჭექოთ: „გი-ხა-რო-დენ!“, ან, თუ კიდევ გახსოვთ, „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“ და, ვისაც რა უნდა, ისა თქვას ჩვენზე!

არმაზ სანებლიძე



აშშ. ალიასკა. HAARP-ის სადგური

**P.S. ბოლო პარალელი: HAARP-ის სადგურის ალიასკაზე აგება ამერიკელებს 250 მილიონი დოლარი დაუჯდათ. თბილისში, ავლაბარში პრეზიდენტის სასახლის არაგებით, როგორც ამბობენ, მილიარდამდე აშშ დოლარი დაიხარჯა...**

**სამაგიეროდ, ვაშინგტონში არ აქვთ ახალი ხიდი „ოლვეის ულტრა“.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მამა გიორგი სხირტლაძე: ფასეულობების აღრევა სასოწარკვეთილებას იწვევს

**„ფულის, განცხრომის, სექსუალური ინსტიქტების და უდარდელი ცხოვრების კერპები; კაცთა წინაშე დიდების, ძალაუფლების მოხვეჭის, ყოველგვარი სახისა და ჯიშის კერპთაყვანისმცემლობა, ბელადომანია ეს ის ინსტიქტებია, რომელიც ღვთისაგან განდგომილ ადამიანთა მასებს ახასიათებს. ზუსტად ასეთი ვნებები მიაქანებს ადამიანებს სასოწარკვეთილებისა და თვითგანადგურებისკენ," — აღნიშნა წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზმა მამა გიორგი სხირტლაძემ. მამა გიორგის ამჯერად სასოწარკვეთილების ცოდვის არსზე ვესაუბრეთ.**



— სასოწარკვეთილება სულიწმიდის წინააღმდეგ მიმართული ცოდვაა, რადგან სულიწმიდამ მოგვცა ცხოვრება და ჩვენს სულში კანდელი აანთო. ადამიანებს ამ კანდელის ჩაქრობის უფლება არ გვაქვს, ამიტომ ეს ცოდვა ითვლება ჩვენში ღვთის ხატებისა და მსგავსების გამრუდება-გაქრობა-ამოშლის მცდელობად, რომელიც გამოწვეულია ინტერპერსონალური, ადამიანის შინაგანი, სულისმიერი კონფლიქტებით, დეპრესიითა და ოჯახური პრობლემებით. როდესაც ადამიანი სასოწარკვეთილებაშია, ადრე თუ გვიან შეიძლება სუიციდის მცდელობითაც კი დაამთავროს სიცოცხლე. სხვათაშორის, სუიციდის 100 შემთხვევიდან ნახევარზე მეტი სასოწარკვეთილების ფონზეა ჩადენილი.

**დღევანდელ ეკოლოგიურ ცვლილებებში, ფსიქოსოციალურ გარემოში, ეკონომიკურ მდგომარეობაში, მიწიერი ცხოვრების განსაცდელებსა და პრობლემებში, მახეებში, ხაფანგებში, უპირველესად, უხილავ ბრძოლებს ვგულისხმობ, თუნდაც ინდივიდთა ბიოლოგიურ-სომატურ მდგომარეობაში, რომელიც ხანგრძლივი ან უკურნებელი სენების თუ ფსიქიური დაავადებების გამრავლების შემთხვევებით არის აღნიშნული, უხვად ნახავთ იმ მიზეზებს, რომლებმაც ურწმუნო ან მცირედმორწმუნე ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს არა პირდაპირ სასოწარკვეთილება, არამედ ღვთის ხატად და მსგავსად მინიჭებული წონასწორობის მდგომარეობიდან გადახრა.** თუ ამას კიდევ სხვა კომპლექსები ერთვის, იბადება აგრესიის გრძნობა, სხვის ხარჯზე თვითდამკვიდრების სურვილი და ეგოცენტრიზმის უკიდურესი ფორმები.Gეს ყველაფერი კი ადამიანს ხელს უშლის, შეიმეცნოს როგორც უფალი, ასევე სამყარო, მოყვასი და საკუთარი ადგილი სამყაროში. ეს შეუმეცნებლობა ბადებს უკურნებელ სულიერ მდგომარეობას, რასაც ხანგრძლივი დეპრესია-სასოწარკვეთილება ჰქვია და რამაც შეიძლება ფატალურ შედეგებამდე მიიყვანოს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფები.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ გარემო პირობები უბიძგებს ადამიანს ამ ცოდვისკენ, ასეთ დროს ადამიანის სულიერი მდგომარეობა რა როლს თამაშობს?**

— არსებობს შინაგანი და გარეგანი პირობები. ზოგი ადამიანი უფრო მეტად ინტროვერტულია, ანუ შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობს, ზოგი პირიქით — ექსტროვერტული. ეს მეტ-ნაკლებად ყველაშია, რადგან მათ პროპორციას ადამიანის სულიერი ინტერესები და ფასეულობების აღქმა განსაზღვრავს. როდესაც პიროვნება გარეგან ფაქტორებზეა დამოკიდებული, მის ცნობიერებასა და შინაგან მდგომარეობას, მთლიანად თუ არა, უმეტესად მაინც გარესამყარო განაგებს, გარემო კი არასტაბილურია, სოციუმი — აგრესიული, მასა, რომელიც მის გარშემოა, — ბნელი და დაბალი ინსტიქტებისადმი მიდრეკილი, ამას ერთვის ეკონომიკური პრობლემები, ოჯახური კონფლიქტი, უმუშევრობა, ოცნებებისა და სურვილების მუდმივი, პერმანენტული მიუწვდომლობა-აუხდენლობა, საკუთარი არასრულყოფილების შეგრძნება ან ზედმეტად სრულყოფილების კომპლექსი მეგალომანიაში გადასული, ამან შეიძლება მომაკვდინებელი ჭრილობა მიაყენოს ადამიანს და ისეთი იარა გაუხსნას, რომელიც, პირველ რიგში, მის სულიერ სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნის.

**— ფსიქოლოგები დეპრესიას 21-ე საუკუნის დაავადებას უწოდებენ. მამაო, ბოლო დროს რატომ გახშირდა დეპრესია-სასოწარკვეთილება?**

— ადამინი მოწოდებულია, სრულყოფილებისაკენ ვიდოდეს, თავის თავში ღვთის ხატებსა და მსგავსებას გაუფრთხილდეს, მიემსგავსოს ღმერთს და იყოს სრულ, ვითარცა უფალია სრული; კეთილ საქმეთა აღსრულებით კი განავითაროს და სრულქმნას თავისი ზნეობრივი სახე, ჰაბიტუსი; მოიპოვოს ჭეშმარიტი სიმშვიდე, ქრისტესმიერი სიყვარული, ყოველივე ის სიკეთე და სათნოება, რასაც სულიწმიდის შვიდი ნიჭი ცხრა ნაყოფის გამოსაღებად გვაძლევს. ღმერთთან ერთად ყოფნისათვის, უფალთან ერთად ნეტარებისათვის არის მოწოდებული ადამიანი. ეს არის მისი იდეალი.

**ფასეულობათა აღრევა, ჭეშმარიტ ფასეულობათა ცრუ ფასეულობებით ჩანაცვლება, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში, ადამიანში ზოგჯერ საშინელი უსუსურობის განცდას იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად წინ მიდის, ფუფუნებაშია, გარკვეულ ძალაუფლებას ფლობს, ფულს, აგარაკებსა და ქონებას იხვეჭს.**

როცა ადამიანის მზერა მარტო ფიზიკური სივრცის სრულყოფისაკენ არის მიმართული, არსებობის თვითმიზანსა და ცხოვრების საზრისს სამგანზომილებიანი მატერიალური სივრცის მოწყობაში ხედავს ან ფასეულობად მხოლოდ და მხოლოდ სხეულის სილამაზეს აღიქვამს, რომელიც მუდმივი არაა, ამ ფასეულობების დაკარგვა, ეკონომიკური სიდუხჭირე მასში სასოწარკვეთილების გრძნობას ბადებს. სხვათაშორის, რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, სასოწარკვეთილების ცოდვა ამპარტავნებისგან იბადება. ჯოხის ერთი ბოლო თუ ამპარტავნებაა, მეორე ბოლო სასოწარკვეთილებაა.

**— რა შემთხვევაში შეიძლება ამპარტავნებამ სასოწარკვეთილების ცოდვა დაბადოს?**

— სასოწარკვეთილება წარმოიშობა ამპარტავნების გაცრუებისაგან და ღვთის მიმართ უნდობლობისაგან. როდესაც ადამიანი თავისი აუსრულებელი ამპარტავნების გამო იმედგაცრუებულ მდგომარეობაში ვარდება და ღვთის წინაშე ამბოხს მიეცემა, ეს ყველაფერი სასოწარკვეთილების გრძნობით მთავრდება. სასოწარკვეთილება ადამიანის განადგურების ყველაზე მძლავრი საშუალებაა.

მწუხარე, გულგატეხილი, ამ ცხოვრებაზე, ოჯახზე და საკუთარ თავზე ხელჩაქნეული ადამიანი, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, აგრესიაში და ნარკომანიაში ეძებს „შვებას," ამიტომ გავრცელდა ნარკომანია. ადამიანის გონებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მრავალი ცრუ საშუალება გამოიგონოს თვითდავიწყებისათვის, დაწყებული ძველმანებისა თუ ასანთის ყუთების შეგროვებით და დამთავრებული დოლარების შეგროვებით. Aარ აქვს მნიშვნელობა რით დაიბინდავს და რით ჩაიხერგავს გზას უფლისაკენ. სასოწარკვეთილება ეს არის ყველაზე ძლიერი ვნების — ამპარტავნების შედეგი და, თუკი ადამიანი გულგატეხილობასა და სასოწარკვეთილებაზე გაიმარჯვებს, როგორც წმიდა მამები ამბობენ, ყველაზე დიდ გამარჯვებას მოიპოვებს. მიწიერ ცხოვრებაში სამოთხე არსად არაა, არც აქ და არც სხვა ქვეყანაში, პრობლემები ადამიანს ყველგან თან დაჰყვება. გველი ტყავს იცვლის, თორემ მისი არსი იგივე რჩება. ერთი შეხედვით შეიძლება კეთილად მოგვეჩვენოს იქაური ცხოვრება, სადაც ჩვენ არ ვართ, მაგრამ თუკი აღმოვჩნდებით ჩვენთვის მოწონებულ ცხოვრებაში, რამდენიმე ხანში შეიძლება ისევ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდეთ. თუკი ჩვენი ფიქრების, აზრებისა და განცდების მაკონტროლებელნი არ ვიქნებით, რა მნიშვნელობა აქვს, სად არ ვიქნებით ღმერთთან — აქ თუ სხვაგან, სხვა ქვეყანაში? ნებისმიერ შემთხვევაში, ნეტარებას ვერ განვიცდით. შეიძლება, როგორც შიო მღვიმელი გამოქვაბულში იჯდე, თავი ცოცხლად დაიმარხო და ნეტარებაში იყო ან უდაბნოში მოღვაწეობდე დავით გარეჯელის ან სერაფიმ საროველის მსგავსად და იქაც ღმერთთან ერთად ნეტარებაში იყო, სხვები მოდიოდნენ შენთან, სხვებს იზიდავდე, მაგრამ შეიძლება ყველაფერი გქონდეს, მაგრამ არაფერი არ გიყვარდეს და არავის არ უყვარდე. მთავარი ის კი არაა, რომ ყველაფერი გქონდეს, რაც გიყვარს; მთავარია, რაც გაქვს, ის გიყვარდეს.

მიწიერ ცხოვრებაში ადამიანი სასოწარკვეთილებაში რომ არ ჩავარდეს, უნდა ჰქონდეს ფუნდამენტალური არა სილაზე, არამედ ქვაკუთხედზე, ქრისტეს ეკლესიაზე აშენებული მსოფლშეგრძნება და მსოფლმხედველობა. მართლმადიდებლური ცხოვრების წესი გულისხმობს ყველა იმ საშუალებას, რომ ადამიანი არ აჰყვეს ამ სისუსტეს, დროთა განმავლობაში არ ჩაიძიროს ცრუ გრძნობებისა და დამანგრეველი ვნებების ჭაობში. ადვილად გადაიტანოს უამავი წუხილი, გაჭირვება, ჯვარმტვირთველობა და არ დაკარგოს იმედი. იმედის ფუნდამენტი რწმენაა.

**— ცალკეული ადამიანები, ეკლესიური ცხოვრების მიუხედავად, მაინც სასოწარკვეთილებაში არიან. რა არის ამის მიზეზი?**

— თუ ადამიანს სიზიფეს შრომა უნდა, სურს ამქვეყნად მუდმივ ტანჯვაში იყოს და ჯოჯოხეთი ჯიბით ატაროს, იგი გულის სიხარულს ვერასდროს მოიპოვებს. გული უნდა გახსნას და ღვთის მორჩილება იქონიოს, რათა სიცოცხლის არა მარტო გარეკანს უყუროს, არამედ შიგთავსიც მიიღოს. **თუ ადამიანს დღეგრძელობა, ჟამგრძელობა და ბედნიერება უნდა, თავი არ უნდა დაუმონოს სასოწარკვეთილებას. თუ ამ გრძნობას დაემონება, მისი გული სიხარულითა და მხიარულებით ვერ აივსება, თუნდაც ყოველდღე იაროს ეკლესიაში.** რადგან ის ღვთის წინაშე გულს ბოლომდე არ ხსნის, უფლის მიმართ უნდობლობას იჩენს.

**— როცა ადამიანს უფლის რწმენაზე მეტად საკუთარი ძალის სჯერა, ამ შემთხვევაშიც სასოწარკვეთილებასთან გვაქვს საქმე?**

— აუცილებლად. ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ასკეზის ყოველი წიგნი, დაწყებული ნილოს მირონმდინარიდან სათნოსმოყვარეობითა თუ უხილავი ბრძოლით დამთავრებული, იწყება იმით, რომ ჯერ ღმერთს უნდა დაეყრდნო და მერე საკუთარ თავს. გავიხსენოთ ეფრემ ასურისა და ოპტინელ მამათა ლოცვები, ორივე საოცარ პროგრამას, დავალებას, სიბრძნეს გვაძლევს, როგორ ავიცილოთ სასოწარკვეთილების გრძნობა. ეფრემ ასურის ლოცვაში პირდაპირ ვევედრებით ღმერთს, რომ **„სულსა უქმობისასა და მიმომწვილველობისასა ნუ მიმცემ მე".** ხოლო ოპტინელ მამათა ლოცვაში ვამბობთ: **„უფალო, მომეც მე ძალა, რათა სიმშვიდითა სულიერითა მივილო ყოველივე, რასაცა მომიტანს დღეი ესე. მომეც მე ძალა, რაითა სრულიად მინდობილ ვიქნე წმიდასა ნებასა შენსა. ყოვლითურთ მიწინამძღვრე და შემეწიე მე თითოეულსა ჟამსა დღისასა. რაიცა რა ამბავი მესმას დღესა ამას, მასწავე მიღებად მისსა სულითა სიმშვიდისათა, რწმენითა მტკიცითა, რამეთუ ყოველივე ნებითა შენითა წმიდითა ქმნილ არს".** ეფრემ ასურის ლოცვაში მოცემულია ძირითადი მომაკვდინებელი ცოდვები, ვნებები და მათი სამკურნალო მდგომარეობები, რომელსაც უფალს როგორც მალამოებს, ისე ვევედრებით; ხოლო ოპტინელ მამათა ლოცვაში როგორ მოვიპოვოთ სულიერი სიმშვიდე, მყარი რწმენა და ყოველი დღის განმავლობაში როგორ შევხვდეთ გაუთვალისწინებელ განსაცდელებს, რომ არ წავრწყმდეთ, სულიერი ფუნდამენტი არ გამოგვეცალოს და ისეთ ჭაობში არ აღმოვჩნდეთ, საიდანაც ჩვენი ამოყვანა რამდენიმე ანგელოზსაც კი გაუჭირდება. ამ ლოცვებში კარგად ჩანს, როგორი მსოფლმხედველობა აქვთ დიდ სულიერ მამებს, როგორ აფასებენ იმ მოვლენებს, რომლებიც შეიძლება ჩვენში სასოწარკვეთილებას ბადებდეს; არა იმიტომ, რომ ეს მოვლენები თავისთავად სასოწარკვეთილების ვნების მატარებელნი არიან, არამედ ჩვენი არასწორი შეფასებისა და აღქმის შედეგია. ამ ლოცვებში ჩანს, რა იწვევს ჩვენში მწუხარებას, ისე რომ ზოგჯერ ღმერთსაც კი ვამტყუნებთ და ვგმობთ გადახდენილის გამო. ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ ცოდვისგან, ეს უკვე მკრეხელობაში და სული წმიდის გმობაში გადადის.

**— როგორია საზღაური სასოწარკვეთილებაში მყოფი ადამიანისა, რომელიც თვითმკვლელობით არ ასრულებს სიცოცხლეს?**

— შედარებით მსუბუქია მისი მდგომარეობა, რადგან ბოლომდე არ დაუკარგავს ღვთის შიში, საღი აზრი და წონასწორობის გრძნობა მთლად არ გამქრალა მასში. მისი მდგომარეობა თვითმკვლელისას არ უტოლდება, მაგრამ საშუალებას არ აძლევს, რომ სასუფეველში შევიდეს. ადამიანი სიცოცხლეს არ ისპობს, თუმცა, სამწუხაროდ, ჯილდოსა და მადლს ვერ იღებს. ამ დროს სჭირდება მას სულიერი მოძღვარი. თუკი სინდისის ქენჯნა გაიღვიძებს მასში, გააცნობიერებს, რამ ჩააგდო ის სასოწარკვეთილებაში, სინანულით შეუვრდება ქრისტეს, ცხარე ცრემლით მოინანიებს ცოდვებს, გამოიტირებს თავის უსჯულოებას, საკუთარ თავს სინანულის ცრემლებით დაიბანს, ამ შემთხვევაში მისი მდგომარეობა ბევრად შემსუბუქდება, შვებისა და ცხოვნების გზაზე დადგება. ასეთი ადამიანები, ძირითადად, მოძღვართან არ მიდიან და ამიტომ არიან პერმანენტულ განსაცდელში. თანამედროვეობისთვის დამახასიათებელია ეს. გულწრფელობა არ აქვს დღევანდელ საზოგადოებას, გულწრფელი აღსარება უჭირთ, ეს ზოგს თავის დამცირებად, ზოგს შიშის წყაროდ, ზოგს უნდობლობად, ზოგს სისუსტედ, ზოგს უძლურებად მიაჩნია. დამძიმებული გულითა და სინდისით ცხოვრება, წარმოიდგინეთ, რაოდენ საშიში და საზარელია ადამიანისათვის. თუ თვითმკვლელობით არ დაამთავრა, ყოველ შემთხვევაში, ცხოვრების აუტანელ პირობებში ჩააგდებს, რაც არ უნდა ფუფუნებითა და მატერიალური კეთილდღეობით იყოს მისი ცხოვრება აღსავსე.

**—სასოწარკვეთილების წამალი სასოებაა. რას ნიშნავს უფალზე დანდობილი ადამიანი?**

— წამალი სასოწარკვეთილებისა სასოებაა. სასოებას ფუნდამეტში რწმენა და სიყვარული უდევს. ურწმუნო ადამიანი ვერ იქნება მსასოებელი, ანუ იმედიანი. სასოება გულისხმოსა იმას, რომ ადამიანი ახალ ცხოვრებას იწყებს, ეზიზღება ცოდვა, უყვარს სიცოცხლე, უნდა სხვასაც აჩუქოს ოპტიმიზმი. როგორც სასოწარკვეთილებაა გადამდები, ასევე — სასოება. იმედიანობაც გადამდებია.

**ქრისტიანი ჯიუტად ოპტიმისტია. იგი განსაცდელის ჟამს შეიძლება გადაიხაროს, როგორც რბილი ლერწამი, მაგრამ მადლით დარბილებული ისევ განიმართება. არასდროს არ ამოიშლება სიცოცხლის წიგნიდან.** სასოების გრძნობა მოიპოვება აღსარებით, ზიარებით, ცხოვრების მართლმადიდებლური წესით, თვითკონტროლით. ადამიანი ტოტალურად რომ არ იყოს დათრგუნული მიწიერი ამქვეყნიური პრობლემებით და თვითგანადგურების ინსტიქტები არ დაეუფლოს მას, მისი ფიქრები თვითგანადგურებისკენ არ წავიდეს, ამიტომ ქრისტე გვაძლევს სასოებას, რაც მუდმივად ახალი სიცოცხლის დაწყების სურვილია.

ის არასდოს არ მოკვდება სულიერად, ვისაც ქრისტესმიერი სიცოცხლე უყვარს. რაც არ უნდა ძლიერი იყოს ტანჯვა, სპაზმები ამა ქვეყნიური პრობლემებისგან, რაც არ უნდა ბნელი და უგნური ხალხით ვიყოთ გარემოცულნი, ეჭვები გვღრღნიდეს, არაფერი ისე არ გვშველის, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაწესებული საიდუმლოებანი.

ყველაზე მეტად ევქრისტიის საიდუმლოს გამოვყოფ. განსაცდელში მყოფი ადმიანისათვის ყველაზე დიდი სასოება, პანაცეა და კურნება ღვთისკენ სიარულია. რამდენჯერაც დაეცემა მორწმუნე ადამიანი, იმდენჯერ უნდა ადგეს. ყველა მარცხი მარცხი არაა. შეიძლება წაბორძიკდე, მაგრამ მონანიებული შეცდომა ღვთისაგან ჯილდოვდება მადლით, რაც ჩვენში ბადებს ცოცხალ რწმენას იმისას, რომ ღვთის კეთილი ნება იქნება აღსრულებული. როგორც პავლე მოციქული ამბობს, უნდა მუდამ გვიხაროდეს, მუდამ ვლოცულობდეთ და მუდამ ვმადლობდეთ უფალს.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ყარაბულახის მემატიანენი

## ზურტაკეტი

**ეს დალოცვილი საქართველო ისეთია, რაც უფრო მეტს მოგზაურობ, თითქოს, მით მეტი გრჩება უნახავი. დადიხარ, დადიხარ და ერთხელაც ისეთ კუთხე-ქვეყანაში აღმოჩნდები, რომელიც მანამდე ვერც წარმოგედგინა. არადა, როგორ შეიძლება ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება წაკითხული გქონდეს და გულმა ზურტაკეტისკენ არ გაგიწიოს. რას არ ჰყვება ვახუშტი ბატონიშვილი ამ მხარეზე: ეს თამარ მეფის მიერ აშენებული ფუნდუკი (ე.ი. სასტუმრო) ზამთარში მოგზაურთათვისო, ეს ირმებით სავსე სანახები და კალმახებით სავსე მდინარეებიო... მდინარე ზურტაკერტსა და მის მდინარეებში თევზთაგან მხოლოდ კალმახი მოიპოვება და თანაც სამხრეთის შენაკადებში მხოლოდ შავი, ჩრდილოეთის შენაკადებში კი მხოლოდ თეთრიო... რომელ კალმახსაც რომელ მდინარეში ჩასვამ, იქაური ფერის შეიქნებაო. ირემიც ხომ იმდენია, რომ ვახტანგ მეექვსის ამალამ ერთ დღეში 180 სული მოინადირაო...**



ზემო ყარაბულახის დიდი ეკლესია



ქვემო ყარაბულახის სარკის „წმ. გიორგი“ და მისი წარწერიანი ბალავარი

დმანისიდან გზას ჩრდილოეთით დავადექით და ვიდრე მაშავერის ხეობიდან ზურტაკეტის ხეობაში გადავიდოდით, სოფელი იაყუბლო (ძველი ყაჯილეხი) გავიარეთ. ეს ქვემო ქართლის, სახელდობრ დბანისხევის ერთი იმ სოფელთაგანია, სადაც ნიჩბის ყოველ დაკვრას, შესაძლოა, საგულისხმო ისტორიული ნივთის პოვნა მოყვეს. სწორედ ასე, სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა იაყუბლოში ის უნიკალური ლუსკუმი (ტაგრუცი, სარკოფაგი), რომლის ბადალი მგონი კიდევ ერთია საქართველოში. ერთიან ქვაში ამოკვეთილი ლუსკუმის სიგრძე 205, სიგანე 73, სიმაღლე 60 და კედლების სისქე 12 სანტიმეტრია. საინტერესო კი ის არის, რომ ლუსკუმის რუფთან ერთად იპოვნეს მისი თავსახურიც — ამობურცული ხუფიც, რომელსაც შიდა, ანუ მიცვალებულის მხრიდან, ე.წ. ბოლნური ჯვარი აქვს ამოკვეთილი. ე.ი. მიცვალებულს ეს ჯვარი დასცქეროდა.

**ხელოვნური წყალსაცავი და მცირე უღელტეხილი გადავიარეთ თუ არა, მწვანედ მობიბინე ზეგანი ჯავახეთის ქედიდან დაქანებულმა მდინარეებმა დასერეს. თითოეული ეს მდინარე ყარაბულახის ერთ-ერთი სათავეა და მიუხედავად იმისა, რომ კამკამაა, მაინც შავი ფერი გადაჰკრავს ზევიდან. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს წყლები შავი ბაზალტის ქვის კალაპოტებში მოედინება. ამიტომაც ჰქვია ზურტაკეტს მეორენაირად ანუ თათრულად ყარაბულახი, რაც შავ წყაროს ნიშნავს. სწორედ ეს წყლებია კალმახით სავსე.**

ზურტაკეტის ზემო დინებაში არსებულ ყველაზე დიდ დასახლებასაც ყარაბულახი ჰქვია, ოღონდ ვახუშტი ერთ დაბა ყარაბულახს ახსენებს, დღეს კი ამ სახელწოდების 3 სოფელია აქ ერთმანეთის მიყოლებით. მათ შორის ყველაზე ძველი, მგონი, ზემო ყარაბულახი უნდა იყოს, თუმცა ახალი არც ქვემო ყარაბულახზე ითქმის. რაც შეეხება სულ ქვემო ყარაბულახს, რომელიც ძალიან პატარა დასახლებაა, ის, მგონი, მართლაც ახალია. ზემო და ქვემო ყარაბულახები ადრე, შეიძლება, ერთიანი დასახლებაც კი იყო, მაგრამ 1701 წლისათვის ზემო უბანი სულ დაცარიელებულა და მხოლოდ გვიან აღორძინებულა. ყარაბულახი XVIII საუკუნის დასაწყისში მამუკა ყაფლანიშვილის კუთვნილება ყოფილა. მას ორი მემამულე (გურგენაშვილები) და 17 გამომღები ყმა-კომლი ჰყოლია. ახლა ძნელი დასადგენია, რამდენი მცხოვრები მოიაზრებოდა 17 კომლში, მაგრამ დღეს რომ ორივე ყარაბულახში საკმაოდ დიდი მოსახლეობაა, იმდენი ნამდვილად ვერ იქნებოდა. ყარაბულახში ამჟამად მთლიანად აზერბაიჯანულენოვანი თარაქამები ცხოვრობენ.



ორთაშუას ეკლესია

**ზემო ყარაბულახში,** რომელიც ორი სასოფლო სამანქანო გზის გასაყარზეა, ყარაბულახის 4 სათავე მდინარე იყრის თავს. დასახლების ცენტრში, შემაღლებულ ადგილზე, მდინარის მანჯვენა ნაპირზე დგას განვითარებული შუასაუკუნეების დიდი დარბაზული საყდარი (15X7,8 მ). იგი სუფთად გათლილი რუხი ბაზალტის ქვით არის ნაგები, მაგრამ დროთა განმავლობაში პერანგის ფილები დაუკარგავს და მათ ნაცვლად დუღაბის ბუდეები რიყის ქვით ამოუვსიათ.

ტაძრის ნაცრისფერი პერანგი ზევით ოქროსფერი ქვიშაქვის ლავგარდანით სრულდება, რომელიც, ლორფინის ნაცვლად, აბალახებულ საბურველს იკავებს. ტაძარი სიმაღლეშიც მოზრდილია, მაგრამ გარედან ასე არ ჩანს, რადგან დროთა განმავლობაში მოშვავებული მიწა 1 მეტრით აცილებია ზეძირკველს. საყდარი 5 ვიწრო სარკმლით ძალიან სუსტად ნათდება. ამ ხუთი სარკმლიდან ფართო, სამკაულიანი და ლილვებიანი საპირე მხოლოდ აღმოსავლეთის სარკმელს აქვს, მაგრამ მისი ნახევარი დაკარგულია. ამ სარკმლიდან ხელმარცხნივ, ფასადზე, დიდ, მოჩარჩოებულ ფილაზე განედლებული, გაკვირტული ჯვარია გამოსახული. ეს ტაძრის ერთადერთი სამკაულია. შიგნით ეკლესია ასევე სუფთად გათლილი კვადრებითაა ნაგები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოდნავ შეისრული დეკორატიული თაღები, რომლებიც ორ საფეხურადაა შეჭრილი გრძივ კედლებში. მათი სიღრმე 1 მეტრია. საერთოდ, გარე და შიდა პერანგები ძალიან მონუმენტურ იერს აძლევს საყდარს, რომელსაც ორი წარწერა აქვს. დასავლეთ სარკმლის ქვეშ არსებული ქართული ასომთავრული წარწერა, თითქოს, ასე იკითხება **„ქრისტე, შეჰიწყალე შერქაიაი“.** სამხრეთ კარის ბალავარზე (ეკლესიას ჩრდილოეთის კარიც აქვს, რომლითაც ადრე მინაშენს უკავშირდებოდა) ასევე ქართული ასომთავრული მოკლე ტექსტი გვეუბნება: **„ქრისტე. ადიდენ ღმერთმან დავით მეფე, კვირიკე მეფე“.** თუ ამ ორ მეფეში დავით აღმაშენებელი და კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე იგულისხმებიან, მაშინ ეკლესია XI საუკუნის ბოლო წლებშია აგებული, მაგრამ **თუ ეს დავითი და კვირიკე ტაშირ-ძორგერრტის მეფეები დავით უმიწაწყლო და მისი ძე კვირიკე არიან, მაშინ ტაძარი XI საუკუნის პირველი ნახევრის გამოდის.**

**მეორე შემთხვევაში ჩვენ ძალიან საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე. ტაშირ-ძორგერტის დროებითი სომხური სამეფო ქვემო ქართლის ტერიტორიას მოიცავდა არაბთა ბატონობის შემდეგ, და ერთხანს სამშვილდეც კი ჰქონდა დედაქალაქად. 1040 წელს დავით უმიწაწყლომ ანისის სომხური სამეფოსა და გაერთიანებული ქართული სამეფოს დახმარებით დმანისს შეუტია და დაიმორჩილა, რომლის არაბი მფლობელი აბუ-სუარი ყველასთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. თუ წარწერაში ნახსენები მეფეები ტაშირ-ძორაგერტელები არიან, ქართული ასომთავრული წარწერა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ, ყველაფრის მიუხედავად აქაური მოსახლეობის ცნობიერება ბოლომდე ქართული იყო.**

სანამ ზემოდან ქვემო ყარაბულახში მოვხვდებოდით, შუა გზაზე, ხიდზე გადასვლამდე, გზის მარჯვენა ნაპირზე ერთ ძალიან შთამბეჭდავ ეკლესიას დავინახავთ. როგორც ქვემო ყარაბულახის მოსახლეობამ აგვიხსნა (საბედნიეროდ მათ უმეტესობამ საყველპურო ქართული იცის), ამ ადგილს ძველად **ორთაშუა** რქმევია... ორთაშუის ეს საყდარი იმ ტანმორჩილ მეომარს ჰგავს, რომელსაც გოლიათის დაგლეჯილი ბექთარი ჩაუცვამს. ახლა ამ „ბექთარის“ ზოგიერთი ლოდი ძირს ყრია და საყდარში ნაბზარებიდან ერთ-ორ ალაგას სინათლე იჭვრიტება. ეს ეკლესია, აქა-იქ გვიან ჩადგმული ქვებისა და მცირე შეკეთების მიუხედავად, მაინც დიდ სიძველეს ამჟღავნებს.

...სოფელში შევდივართ. **ქვემო ყარაბულახის** მთავარი ეკლესია შორიდან უფრო კარგად იხილება, ვიდრე ახლოდან. საქმე ის არის, რომ იგი სოფლის თავზე მდგარი მაღალი ბორცვის შუაგულშია აღმართული და სოფელში შესული თვალს ვერ უწევე. ეს ბორცვი ასასვლელად ძნელი არ არის — „ნივა“ ზედ მორღვეულ გალავნამდე ადის. ამ ეკლესიას სამეცნიერო ლიტერატურაში „სარკის წმინდა გიორგი“ ჰქვია. მან ორი რამით დაგვაინტერესა და მიგვიზიდა: ლამაზი ადგილმდებარეობით და სწორედ ამ სახელწოდებით. საქმე ის არის, რომ სარკის წმინდა გიორგის სახელწოდებით ერთი ეკლესია შიდა ქართლში, ქარელთან ახლოსაც არსებობს. იმ ეკლესიის მომლოცველთა შორის უმეტესობას უშვილო ოჯახის უფროსები შეადგენენ. აქ კი, ამ დალეწილ და ყველასგან მიტოვებულ ტაძარს ვინააკითხავს?!. ამიტომ ადამიანთა სითბოს რომ ვერ გრძნობს, მლოცველადაც და მცველადაც ერთი უზარმაზარი ხე გაუხდია.

გალავნის გარეთ ბატკნები ძოვენ. იქვე ფერდაზე პატარა ბიჭები წამოწოლილან და ცალკე ამ ბატკნებს და ცალკე თეთრი ღრუბლის ქულებს მწყემსავენ სტვენით.

რამდენი დალეწილი ეკლესია გვინახავს, სრა-სასახლეებს რომ ჯობია, მათზე კოხტაც რომ არის, მათზე მეტყველიც და, რაღა თქმა უნდა, თბილიც. სარკის წმინდა გიორგის აღარც საბურავი აქვს და აღარც კედლების ერთი ნაწილი. დასავლეთიდან თუ დაგინახათ, თეთრი საკურთხევლის კონქიდან შემოგანათებთ თვალებს.

მორღვეული ლოდები იქვე ყრია, ზოგზე ხავსს გადაუვლია, ზოგზე ჟანგისფერ სოკოვან სნეულებას. შიგ ტაძარში უცნაური ფორმის, გრძელი (უფრო სწორედ მაღალი), რუხი საკურთხევლის ტრაპეზის ლოდი გაწოლილა. ფორმაზე და სისქეზე ეტყობა, რომ აფსიდის კედელზე იყო მიკრული. ერთადერთი, მორღვეული სამხრეთ კარის წინ ასევე გდია დიდი ბალავრის ქვა ბოლნური ჯვრითა და გალეული 5-სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერით, რომლის ტექსტი ქვემო ქართლის ცნობილ მკვლევარს დევი ბერძენიშვილს აქვს გამოქვეყნებული: **„ქ. სახელითა ღმრთისაითა ესე ეკლესია წმიდისი გიორგისი მას ჟამს აღეშენა ოდეს ივანეს ჰქონდა ნიკოლოზის ძესა სადიდებლად სულისა მათისა დღეგრძელობისათვის ძისა მათისა ნიკოლოზისა. ქორონიკონი 1040 წელი“.**

მეცნიერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს ივანე მამამისთან ან უფროს ძმასთან ნიკოლოზთან ერთად, ასევე ნახსენებია აქედან ახლო მდებარე ბახჩალარის ნაეკლესიარის გაბზარულ ბალავრის ქვაზე, რომელსაც თარიღად 118 წელი უზის. სარკის წმიდა გიორგის წარწერიდან თითქოს ისეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ქვემო ყარაბულახი ქვემო ქართლელი ამ ფეოდალებისათვის შეძენილია და არა მემკვიდრეობითი. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს ფეოდალები ბაღვაშთა დიდი საგვარეულოდან არიან. ირგვლივ ხელის გულივით მოჩანს მთელი მიდამო, განსაკუთრებით კი გომარეთის პლატო.

— აი, კიდევ ერთი ეკლესია, — მიმანიშნებს სოზარ გულბანი, ჩემი მუდმივი თანამეწყვილე ვიდეოოპერატორი, მდინარის გაღმა შენიღბულად მდგარ საყდარზე.

ეს ის ეკლესიაა, რომელიც ექვ. თაყაიშვილს აქვს ნანახი და აღწერილი. იგი 1718 წელსაა აგებული და 10 სტრიქონიანი ქართულ-სომხური ტექსტი აქვს სამხრეთ კარის ბალავარზე. მასში ნახსენები არიან პატრონები მამუკა, რამაზი, მზეჭაბუკი, აზნაურიშვილი უსეფა, მისი მეუღლე თამარი, ვაჟიშვილები შერმაზანა და თეიმურაზი...

**გელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები



იაყუბლოს ადრექრისტიანული ლუსკუმი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გენერალი პეტრე ბაგრატიონი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19-21

**სმოლენსკის დატოვების შემდეგ რუსები უკან იხევდნენ. მტერს თითქოს გამარჯვება უნდა ეზეიმა, მაგრამ სინამდვილე სხვაგვარი გამოდგა. უკლებლივ ყველა წყარო, როგორც რუსული, ისე ფრანგული, აღნიშნავს, რომ ნაპოლეონის არმია სმოლენსკში შესვლისას და მას შემდეგ კატასტროფულ მდგომარეობაში იყო. მან ქალაქის კედლებამდე რის ვაი-ვაგლახით მიაღწია.**



ა. ვეფხვაძე — სასიკვდილოდ დაჭრილი გენერალი ბაგრატიონი ბოროდინოს ველზე

დატანჯულ, საგრძნობლად შეთხელებულ და გადაქანცულ მტრის ლაშქარს სმოლენსკში შესვლამდე ერთი იმედი ასულდგმულებდა, რომ ქალაქის აღების შემდეგ მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვლებოდა. „მთელი არმია ფიქრობდა, — ამბობდა ნაპოლეონი, — რომ აქ (სმოლენსკში — ი.ა.) მძიმე ლაშქრობა დამთავრდებოდა და იგი აღმოჩნდებოდა ბარაქიან ქვეყანაში, ცოტათი მაინც ისიამოვნებდა დასვენებით... ჩემი ჯარები, აღშფოთებულნი იმით, რომ უმძიმესი ბრძოლებისა და ხანგრძლივი გადასვლების შემდეგ, მათი იმედები თანდათან უფრო შორს იწევდა, ერთგვარი მოუსვენრობით აკვირდებოდნენ მანძილს, რომელიც მათ საფრანგეთს აშორებდა“.

**გვამებითა და მომაკვდავებით გავსებულ, ცეცხლმოდებულ სმოლენსკში შესვლამ მოწინააღმდეგეს შვება ვერ მოუტანა. ქალაქში არათუ დანაყრება არ შეიძლებოდა, არამედ გამოსაძინებელ ადგილსაც ვერ ნახავდა კაცი. ფრანგები მორალურად განადგურდნენ, ჯარის ფიზიკური მდგომარეობა უვარგისი იყო. ნაპოლეონმა კარგად იცოდა ყოველივე ეს. იცოდნენ მარშლებმაც და გენერლებმაც, ხოლო ჯარისკაცები უშუალოდ განიცდიდნენ ამ ოპერაციის დამღუპველ შედეგებს. ამას ერთოდა ახალი შეტაკებები, ხანგრძლივი და მომქანცველი გადასვლები და, რაც მთავარია, გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც სმოლენსკთან არ შედგა.**

ფრანგებისწარმატებანი ძალიან საეჭვო იყო და იმედის ნაპერწკალი თანდათან ქრებოდა.

„ზავი უნდა დაიდოს, უნდა დაჩქარდეს ომის დამთავრება, მისი გაგრძელება დაგვღუპავს“, — პირდაპირ ეუბნებოდნენ ნაპოლეონს მისი მარშლები და გენერლები, — ეს ყველაზე კარგად იცოდა თავად იმპერატორმა, მაგრამ რუსები არავითარ ზავზე არ ფიქრობდნენ.

სმოლენსკის დატოვების შემდეგ რუსეთის ორივე არმია მოსკოვისაკენ იხევდა. მიუხედავად ამისა, გენერალური ბრძოლის აუცილებლობას ყველა გრძნობდა, მათ შორის ბარკლაის მომხრეებიც. ბარკლაიმ მიიღო გადაწყვეტილება, გაემართა პირველსავე ხელსაყრელ პოზიციაზე „ნორმალური თავდაცვითი ბრძოლა“. ბრძოლის ადგილის შერჩევა დაევალა რუსეთის არმიის გენერალ-კვარტირმეისტერს პოლკოვნიკ ტოლს. მან შეარჩია პოზიცია დოროგობუჟის წინ, სოფელ უსვიატსთან, მდინარე ოშის გადაღმა. 12 აგვისტოს პოზიცია დაათვალიერეს ბარკლაი დე ტოლიმ, ბაგრატიონმა და იმპერატორ ალექსანდრეს ძმამ კონსტანტინე პავლეს ძემ. ბარკლაის ადგილი არ მოეწონა და მან მისი ხარვეზები აღნიშნა. არ მოეწონა იგი ბაგრატიონსაც. მაგრამ ჯიუტმა, ზედმეტად თავდაჯერებულმა ტოლიმ, რომელიც ამავე დროს არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ზრდილობით, დაიწყო პოზიციის დაცვა საკმაოდ „თავშეუკავებელი გამოთქმების“ მეშვეობით. იგი ამტკიცებდა, რომ მის მიერ შერჩეული პოზიცია უნაკლოა, ხოლო ოპონენტების პრეტენზიები — უსაფუძვლო და არგუმენტაციას მოკლებულ; მან, ტოლმა, იცის პოზიციების შერჩევა და არავის რჩევა-დარიგებანი არ სჭირდება. ბარკლაი ჩვეული სიმშვიდითა და გულგრილობით შეხვდა პოლკოვნიკის ასეთ ქცევას. ბაგრატიონი კი ისე გაფიცხდა, რომ უყვირა: „როგორ ბედავ შენ ასეთ ლაპარაკს, თანაც ვის წინაშე, შეხედე, ხელმწიფის ძმისა და მთავარსარდლის წინაშე, ლაწირაკო! იცი, რისი სუნი სდის ამას? — თეთრი ხალათის“.

**საბოლოოდ პოზიცია დაწუნებულ იქნა და ისევ გაგრძელდა უკანდახევა მოსკოვისაკენ, რომელშიაც ბრალი ისევ ბარკლაის დაედო. საერთოდ ბარკლაის პიროვნება მაინცდამაინც პოპულარული არ ყოფილა, ამ დროისათვის კი იგი ყველას შესძულდა. არმიაშიც და ხალხშიც ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი მოღალატეა, რომელსაც არ აქვს არც უფლება და არც უნარი იყოს ჯარების სარდალი. არმია სულ უფრო და უფრო ბაგრატიონისაკენ იხრებოდა. ამას კარგად გრძნობდა ბაგრატიონიც. 26 ივლისს იგი სწერდა გრაფ არაკჩეევს: „მთელი არმია საჯაროდ მთხოვდა, რომ ყველაფრის უფროსი მე ვყოფილიყავი“.**

რუსი ჯარების გაუთავებელმა უკანდახევამ დიდი შეშფოთება გამოიწვია მოსკოვში. შიშმა განსაკუთრებით მაღალი წრეები მოიცვა, რომლებიც ცდილობდნენ, სხვებზე ადრე გასულიყვნენ ქალაქიდან, რომ გადაერჩინათ თავიანთი სიცოცხლე და ქონება. „მე მოვითხოვე, — წერდა როსტოპჩინი, — წარმოედგინათ ჩემთვის ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ეკიპაჟი გადიოდა ყოველდღიურად იაროსლავლის, პეტერბურგის, ვლადიმირის და რიაზანის კარებიდან. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვაგვარი ეტლების რაოდენობა ყოველდღიურად 1320 აღწევდა, უბრალო სამცხენიანი ეტლების ჩაუთვლელად“. ამასთან დაკავშირებით მოსკოვში მკვეთრად გაძვირდა ტრანსპორტი. 3 ცხენის დაქირავება 50 ვერსის მანძილზე 300 მანეთი ღირდა, რაც დაახლოებით 10-ჯერ აღემატებოდა ომამდე არსებულ ფასებს.

შექმნილი ვითარება სერიოზულ ყურადღებას ითხოვდა. იმპერატორთან დაახლოებული პირები არწმუნებდნენ მას, რომ წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი სარდლებს შორის უთანხმოება და ბარკლაისადმი უნდობლობა იყო. დაუყოვნებლივ საჭირო იყო ახალი მთავარსარდლის დანიშვნა, რომელსაც საერთო ნდობა და პატივისცემა ექნებოდა.

სწორედ ამ დროს ალექსანდრე I-მა მიიღო გრაფი შუვალოვის შემდეგი შინაარსის წერილი: „თუ თქვენი უდიდებულესობა ორივე არმიას ერთ მეთაურს არ დაუნიშნავს, გარწმუნებთ ჩემი სინდისითა და პატიოსნებით, შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ. არმია იმდენად უკმაყოფილოა, რომ ჯარისკაციც კი ბუზღუნებს. ჯარი უნდობლად უყურებს სარდალს. გენერალი ბარკლაი და თავადი ბაგრატიონი ერთმანეთს ვერ შეეწყვნენ. ამ უკანასკნელის უკმაყოფილება ჭეშმარიტად სამართლიანია... საჭიროა სხვა მხედართმთავარი, რომელიც ორივე არმიას უსარდლებს და თქვენმა უდიდებულესობამ დაუყოვნებლივ უნდა დანიშნოს იგი, სხვაგვარად რუსეთი დაიღუპება“.

**ერთი სიტყვით, ჯარიც და ხალხიც ერთსულოვნად ითხოვდნენ სრულუფლებიანი მთავარსარდლის დანიშვნას, ასეთად კი მათ მხოლოდ მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვი ესახებოდათ. ალექსანდრე I იძულებული გახდა, გაეწია ანგარიში საზოგადოებრივი აზრისათვის და, თავისი სურვილის წინააღმდეგ, 8 აგვისტოს კუტუზოვი მთავარსარდლად დანიშნა.**

17 აგვისტოს რუსის ჯარებმა უკან დაიხიეს და ცარიოვო-ზაიმიშჩეში შევიდნენ, სადაც ბარკლაიმ ბრძოლისათვის პოზიცია შეარჩია. უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატიონს არც ეს პოზიცია მოსწონდა, რაც მან ბარკლაის წერილობით აცნობა. ბრძოლისათვის ხელსაყრელ ადგილად მას გჟატსკი მიაჩნდა, საითაც ურჩევდა ჯარის წაყვანას. მაგრამ იგი ამას დაჟინებით არ ითხოვდა, რადგანაც გაფრთხილებული იყო ალექსანდრე I-ის სპეციალური წერილით კუტუზოვის მთავარსარდლად დანიშვნის შესახებ. და მართლაც, 17 აგვისტოს ცარიოვო-ზაიმიშჩეში კუტუზოვიც ჩავიდა. ეს ამბავი სასწრაფოდ გავრცელდა და მეორე დღეს მთელმა არმიამ შეიტყო ახალი სარდლის ჩამოსვლის ამბავი.

არმიაში მიხეილ კუტუზოვის გამოჩენამ, თანამედროვეთა მოწმობით, საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ეს იყო გენერალი, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვებებით არაერთხელ ასახელა რუსეთი და რომელიც ხალხისა და ჯარის უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა. „ჩამოვიდა კუტუზოვი, რომ გაჟლიტოს ფრანცუზები“, — ამბობდნენ ჯარისკაცები. ამ სიტყვებს ისინი სიხარულით იმეორებდნენ, რადგანაც ერთი წამითაც არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ კუტუზოვი ბოლოს მოუღებდა დაუსრულებელ და „სამარცხვინო“ უკანდახევას.

„თვალის დახამხამებაში ჯარში გავრცელდა ხმა თავად კუტუზოვის ჩამოსვლის შესახებ, — წერს ერთ-ერთი თანამედროვე, — სიხარულის წუთს ვერავინ ვერ გადმოსცემს. ამ მხედართმთავრის სახელმა მოახდინა საბრძოლო სულის საყოველთაო აღორძინება. ყველა, ვისაც კი შეეძლო, გაქანდა მის შესახვედრად... ოფიცრები ერთმანეთს გულწრფელად ულოცავდნენ ბედნიერ ცვლილებას. ჯარისკაცებიც, რომლებიც ქვაბებით ხელში წყლის მოსატანად ზანტად მიდიოდნენ, შეიტყვეს თუ არა საყვარელი სარდლის ჩამოსვლის ამბავი, „ვაშას“ ძახილით ისე გაქანდნენ მდინარისაკენ, გეგონებოდათ, მტერს მისდევენო“.

**უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით არც ახალი სარდალი იყო განწყობილი გენერალური ბრძოლისათვის. მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: უმცირესი მსხვერპლის გაღებით რუსეთის მთლიანი გათავისუფლება. ნაპოლეონის არმიის განადგურება რუსების უმცირესი დანაკარგით — ასეთი იყო მისი გეგმა.**

გაგრძელება
შემდეგ ნომერში




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეშვიდე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გასაოცარი რელიკვიები



სიამის ყველაზე მთავარი სიწმინდე **ზურმუხტის ბუდაა,** რომელიც მის უძველეს გამოსახულებად მიიჩნევა. ზურმუხტის ბუდა სამეფო სასახლის მახლობლად მდებარე პჰრა-უბოსოტის მთავარ ტაძარში ბინადრობს. მიჩნეულია, რომ, სანამ ბუდა იქაა, ქვეყანას არაფერი ემუქრება.



ასეთივე საოცარი რელიკვიაა **ალთქმის კიდობანი.** ერთ-ერთი ლეგენდით, კიდობანი იერუსალიმის ტაძრიდან ქრისტეშობამდე 600 წელს გაიტანეს, რადგან შეეშინდათ, რომ კერპთაყვანისმცემელი მეფე შერყვნიდა. ახლა ის ეთიოპიაში, სამეფო ქალაქ აქსუმშია. მისი მცველის თანამდებობის დაკავება არავის სურს, რადგან სიცოცხლის ბოლომდე ვერ დატოვებს ადგილს, სადაც რელიკვია ინახება. ევროპის ერთ-ერთი უძველესი დინასტია — სავოის სახლი ამ უძვირფასეს საგვარეულო რელიკვიას 1453 წლიდან ფლობდა.



მიიჩნევა, რომ **ბუმერანგი** მუდამ უკან ბრუნდება. თუმცა ეს ასე არაა. უფრო მეტიც, უმეტესწილად მათი უკან დაბრუნება სასურველიც არაა. იმ ბუმერანგებს, რომლებიც უკან ბრუნდებოდა, ჯადოსნურად მიიჩნევდნენ, მოხატავდნენ და წმინდა რელიკვიად ინახავდნენ.



1814 წელს **ნიუტონის ვაშლი** რელიკვიის მოყვარულებმა დააქუცმაცეს და გაიყვეს. რელიკვიად იქცა ცნობილი ვაშლის ხეც, რომელმაც ნიუტონზე 100 წლით მეტხანს იცოცხლა და ძლიერი ჭექა-ქუხილისას „დაიღუპა“. მისგან დაამზადეს სავარძელი, რომელიც ინგლისში, კერძო კოლექციაში ინახება და ერთ-ერთ უძვირფასეს რელიკვიად მიიჩნევა.



ფრანგი მეფეების რელიკვია **წმინდა მარტინ ტურელის ლაბადა** იყო. მისთვის სასახლეში საგანგებოდ გამოყვეს შენობა — კაპელა. წმინდა მარტინის ლაბადის მცველს კი კაპელანი ეწოდებოდა.



ქალაქ სან-ხოსეს (კალიფორნიის შტატი) მკვიდრ ერთ-ერთ ოჯახში რელიკვიად იქცა **თოვლის გუნდა**, რომელსაც მაცივრის საყინულეში ინახავენ. ეს რელიკვია ოჯახს მრავალი ათეული წლის განმავლობაში ერთადერთხელ — 1975 წელს მოსულ თოვლს ახსენებს.



**მალტის წმინდა მარიამის ტაძარში** უნიკალური რელიკვია ინახება — **ფაშისტური ბომბი**, რომელიც მესის დროს შეკრებილ მრევლში ჩავარდა, მაგრამ არ აფეთქებულა.



**პოეტ პერსი ბიში შელის** კრემაციის დროს მისმა მეგობარმა ედუარდ ტრელონიმ პოეტის გული ცეცხლს გამოსტაცა. ბაირონი და მერი შელი მას რელიკვიად ინახავდნენ და ბაირონმა პოეტის ვეება **გულს** ლექსიც კი მიუძღვნა. არადა, ტრელონიმ, რომელმაც ანატომია არ იცოდა, ცეცხლს პოეტის გული კი არა, ღვიძლი გამოსტაცა...

## ყველაზე ძვირადღირებული აგური



უცნობმა პირებმა ლონდონის ვერნისაჟზე გამოფენილი, სამი ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების აგური გაიტაცეს. მოპარული ექსპონატი — „მეამბოხე აგური“ ერთ-ერთია იმ ათიდან, რომლებიც მხატვარმა გევინ თერქმა შექმნა.

ვერნისაჟის ორგანიზატორებმა გამოფენის დამთავრებამდე ერთი დღით ადრე შენიშნეს, რომ ექსპონატი მისი ასლით იყო შეცვლილი. მხატვარს გული დასწყდა, მაგრამ ეამა კიდეც. გევინ თერქი იმ სამხატვრო გაერთიანების წევრია, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მსოფლიოში სახელგანთქმული და ყველაზე ძვირადღირებული თანამედროვე მხატვარი დემიენ ჰერსტია. აგურს პოლიცია ეძებს.

## უდიდესი ღვეზელი

მექსიკის დედაქალაქში უჩვეულო რეკორდი დამყარდა: ადგილობრივმა კულინარებმა მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე დიდი ტკბილი ღვეზელი გამოაცხვეს. ის 12 ათას კგ-ს იწონის, ხოლო მისი სიგრძე კილომეტრ-ნახევარია.

კულინარების თქმით, გიგანტური ღვეზლის გამოსაცხობად მათ 7.5 ათასი ტონა ფქვილი, 3,7 ათასი ტონა მარგარინი, სამ ტონამდე შაქრის ფხვნილი, 57 ათასი კვერცხი, ერთი ტონა რძე და 249 კგ საფუარი დასჭირდათ.

ცომი ქალაქის ცენტრში, სოკალოს მოედანზე მიიტანეს, სადაც ღვეზელმა საბოლოო სახე მიიღო.



## უდიდესი ორმო

ეს ორმო Monticello Dams-ის ჯებირზე, ჩრდილოეთ კალიფორნიაში მდებარეობს და წამში 1370 კუბურ მეტრ წყალს ატარებს. ორმოს კონუსის ფორმა აქვს, რომლის ზედაპირის დიამეტრიც 21.6 მ-ს, ხოლო „ფსკერი“ 8.4 მ-ს უტოლდება.



# 8 ყველაზე მაღალი ქანდაკება



იაპონიაში, იბარაკის პროვინციის ქალაქ ჩუჩურაში აღმართული 120 მ-იანი ბუდას ქანდაკება ყველაზე მაღალია მსოფლიოში;

მეორე ყველაზე მაღალი ქანდაკება ჩინეთშია და ორი იმპერატორის (ჰიანგდისა და იანგდის) საპატივცემულოდაა აგებული. მისი სიმაღლე 103 მ-ია;

მესამე ადგილზეა ქანდაკება-მონუმენტი დედასამშობლო, რომელიც კიევში, დნეპრის სანაპიროზეა აღმართული. პოსტამენტთან ერთად მისი სიმაღლე 102 მ-ს უტოლდება;

ჩამონათვალში მეოთხე ადგილი ერგო პეტრე I-ის 96-მეტრიან ქანდაკებას მოსკოვში;

ნიუ იორკში აღმართული თავისუფლების ქანდაკების სიმაღლე 93 მ-ია, კვარცხლბეკის გარეშე კი — 43 მ;

დედასამშობლოს 82-მეტრიანი ქანდაკება მამაის ყორღანზე 1967 წელს აიგო.

ჩინეთში, ლეშანში მდგარი ეს 71 მ-იანი ბუდას ქანდაკება მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია (713-803 წ.წ.).

ქრისტეს 38 მ-იანი ქანდაკება რიო დე ჟანეიროს თავზე, კორკოვადოს მთაზე წამომართულა. ის 1931 წელს ააგეს.





## ყველაზე დიდი ცხენი

**შესაძლოა ეს ყველაზე დიდი ცხენი იყოს მსოფლიოში. ინგლისური Luscombe nodram-ის სიმაღლე 2.05 მ-ია, წონა — 1.5 ტონა.**



საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## ყველაზე სახიფათო ბილიკი

მსოფლიოში ყველაზე სახიფათო ტურისტული მარშრუტი ესპანეთის სამეფო ბილიკია. მისი მშენებლობა 1901 წელს დაიწყო და ამ რაიონში მდებარე ჰიდროელექტროსადგურების თანამშრომლებისთვის იყო გათვალისწინებული. 1905 წელს ბილიკი გაიხსნა. 1921 წელს მასზე მეფე ალფონსო მერვემ შედგა ფეხი. სწორედ ამის გამო ეწოდა ბილიკს „სამეფო." ამჟამად 300 მ-ის სიმაღლეზე მდებარე 1 მ სიგანის ბილიკი ავარიულ მდგომარეობაშია და მოაჯირიც არ აქვს. მას შემდეგ, რაც ამ ბილიკზე ტურისტები დაიღუპნენ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ იქ სიარული აკრძალა. თუმცა მამაც ტურისტებს ეს არ აშინებს და ისინი სიცოცხლის რისკის ფასად, ამ მარშრუტს ბოლომდე გადიან.



## გიგანტური კიბორჩხალა

დაივერმა პოლ უორსლიმ ლაიმა-ბეიში (ინგლისი) დაიჭირა გიგანტური კიბორჩხალა, რომლის მარწუხები სიდიდით მამაკაცის ხელის მტევნისოდენაა. ექსპერტების აზრით, ეს ყველაზე დიდი კიბორჩხალაა, რომელიც ოდესმე დაუჭერიათ. მისი წინამორბედი გიგანტი კიბო პარიზის ბუნებისმეტყველების ისტორიის ნაციონალურ მუზეუმს ამშვენებს. ამ კიბორჩხალას კი უფრო პროზაული ბედი ერგო: ის პოლ უორსლიმ და მისმა მეგობრებმა შესანსლეს.

## ყველაზე ლონიერი სტუდენტი

კრის მორგანი სავსებით ძალდაუტანებლად სწევს ერთტონიან „ფორდ ფიესტა"-ს. ის ყველაზე ლონიერი სტუდენტია ბრიტანეთში, ამისათვის კი ყოველდღიურად 5 000 კალორიის მიღება უწევს.



## ჯუჯა მაიმუნი



ჯუჯა იგრუნკა ყველაზე პატარა პრიმატია მსოფლიოში. ის ადამიანსაც ჰგავს, ფრინველსაც და კატასაც. მოწიფული მაიმუნის წონა 120 გ-ს არ აჭარბებს. ეს ცხოველები ჩინებულად გრძნობენ თავს ვოლიერებში, სადაც ჰაერის ტემპერატურა 25-29 გრადუსზე ნაკლები არაა. პაწაწა პრიმატები სამხრეთ ამერიკის, ბრაზილიის, პერუსა და ეკვადორის ტყეებში ბინადრობენ და მწერებით, ხილით, ბოსტნეულითა და თაგვებით იკვებებიან.

## ყველაზე დიდი კექსი

მსოფლიოში ყველაზე დიდი კექსი მინეაპოლისში გამოაცხვეს. კექსის სიმაღლე — 30 სმ, დიამეტრი — 60 სმ, ხოლო წონა 68,5 კგ-ია. სარეკორდო ნაწარმის შიგთავსს 7 კგ, ხოლო ზედაპირს 27 კგ შოკოლადის ჭიქური დასჭირდა. ღონისძიების დასასრულს კექსი ღორების ფერმას გაუგზავნეს, დამსწრეებს კი 400-მდე პატარა კექსი დაურიგეს.





## ყველაზე ძვირადღირებული ყავა

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ყავა ინდონეზიური „Kopi Luwak"-ია, რომლის პლანტაციებიც უხვადაა იავას, სუმატრასა და სულავესის კუნძულებზე. „კოპი" ინდონეზიურად „ყავას" ნიშნავს, ხოლო „Luwak"-ი პატარა ცხოველია, რომლის წყალობითაც ამ ყავამ მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. ის ერთობ უჩვეულოდ მზადდება: ყავის ხის ნაყოფს ცივეტებს — ციყვისმაგვარ ცხოველებს აჭმევენ. ნაყოფი ცივეტის კუჭ-ნაწლავის სისტემაში გაივლის და იქიდან ექსკრემენტებთან ერთად, დაუმუშავებელი გამოდის. ამის შემდეგ მარცვლებს რეცხავენ, აშრობენ და მსუბუქად ხალავენ.

ამგვარად მიღებულ ყავას არაჩვეულებრივი არომატი და გემო აქვს, რაც ცივეტის კუჭის ფერმენტების დამსახურებაა. ერთი გირვანქა ასეთი ყავა 100-დან 600 დოლარამდე ღირს, ფინჯანი ყავა კი — 33 დოლარი.



## ყველაზე მიუვალი სახლი

ეს 105 წლის სახლი როდ-აილენდში პატარა, კლდოვან კუნძულზე, ცნობისმოყვარე მეზობლების თვალთაგან მოშორებით მდებარეობს. ქინგსთოუნი 1905 წელს ააგეს და მისი მშენებლობა დაახლოებით 36 000 დოლარი დაჯდა. სახლი ორი ათეული წლის განმავლობაში მიტოვებული და ცარიელი იყო, სანამ ის ლოვერინგ უერთონმა და მისმა მეუღლემ 1961 წელს 3 600 დოლარად არ შეიძინეს და საცხოვრებლად არ მოაწესრიგეს. ქინგსთოუნს საინტერესო წარწერა ამშვენებს, რომელიც, ალბათ, ტურისტებისთვისაა გათვალისწინებული: „სამი კათხა ლუდისა და 86 წლის ასაკის შემდეგ აქ შემოსვლა აკრძალულია!"

## ყველაზე მაღალმთიანი



ცინხაი-ტიბეტის სარკინიგზო მაგისტრალი — ყველაზე მაღალმთიანი რკინიგზაა მსოფლიოში. ის ტიბეტის ადმინისტრაციულ ცენტრს — ქალაქ ლხასუს, გოლმუდისა და სინინის გავლით, ქვეყნის დანარჩენ სარკინიგზო ქსელთან აკავშირებს. ტიბეტში სარკინიგზო გზის გაყვანა დიდი ხნის წინათ იგეგმებოდა. ჯერ კიდევ 1958 წელს მაო ძე დუნმა განკარგულება გასცა, განეხილათ რკინიგზის მშენებლობა ტიბეტის ავტონომიურ რაიონში, მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზის გაყვანის გამოცდილება ამგვარ ექსტრემალურ პირობებში მაშინ არ ჰქონდათ. 2005 წლის 15 ოქტომბერს რკინიგზის მშენებლობა დასრულდა.

თუმცა ტიბეტისთვის ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა დანარჩენ მსოფლიოსთან პირდაპირი სარკინიგზო მაგისტრალის არსებობას: მშენებლებმა კიდევ რამდენიმე თვე მოითხოვეს სარკინიგზო ხაზის მოშანდაკებისა და დასრულებისათვის, რაც კიდევ 15 თვეს გაგრძელდა. ბოლოს, 2006 წლის 1 ივლისისათვის გაიხსნა რეგულარული სამგზავრო მოძრაობა ცინხაი — ტიბეტის მთელ მაგისტრალზე. პეკინიდან ლხასუმდე გზას 48 საათი სჭირდება.

გზის 80 პროცენტი ზღვის დონიდან — 4000, აქედან 160 კმ — 4000-4500, 780 კმ კი — 4500-5000 მ-ის სიმაღლეზე გადის. რკინიგზის უმაღლესი სადგური ტანგულა-პასია და ის ზღვის დონიდან 5068 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. ეს მსოფლიოში ყველაზე მაღლა განთავსებული სარკინიგზო სადგურია. მთლიანი სარკინიგზო ხაზის სიგრძე 1142 კმ-ია.

## უმდიდრესი პატიმრები



მიხაილ ხოდორკოვსკი

ჟურნალმა „ფორბსმა" გამოაქვეყნა მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ნუსხა, რომლებიც ციხეში სხედან ანდა პოლიცია ეძებს. ამ სიაში ორი რუსია — მიხაილ ხოდორკოვსკი და პლატონ ლებედევი. ხოდორკოვსკი თავის დროზე ყველაზე მდიდარი რუსის ტიტულსა და 15 მლრდ დოლარის ქონებას ფლობდა. ლებედევი კი მხოლოდ ერთხელ მოხვდა მილიარდერთა კლუბში. 2005 წელს ორივეს თაღლითობისა და გადასახადების დამალვისათვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მეორე სისხლის სამართლის საქმე მათ წინააღმდეგ 2006 წელს აღიძრა 350 მლნ ტონა ნავთობის დატაცებისათვის. დანაშაულს ორივე უარყოფს და მიიჩნევს, რომ მათ პოლიტიკური ნიშნით დევნიან.

არცთუ დიდი ხნის წინ ჩინეთის უმდიდრესი მოქალაქე ხუან გუანიუა, რომელიც ელექტრონიკის მაღაზიების ქსელსა და საყოფაცხოვრებო ნივთების მწარმოებელ კომპანიას ფლობდა, ასევე გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. მას 14 წელი მიუსაჯეს ქრთამის აღებისა და ფინანსური მაქინაციებისათვის.



ალენ სტენფორდ

ამერიკელ მილიარდერ ალენ სტენფორდს კი 8 მილიარდდოლარიანი ფინანსური პირამიდის შექმნისათვის 250-წლიანი პატიმრობა ემუქრება, სტენფორდს განაჩენს 2011 წელს გამოუტანენ.

იტალიელი მილიარდერი კალისტო ტანცი, რომელსაც ასევე ფინანსურ მაქინაციებში ედება ბრალი, ციხეში 10 წელს დაჰყოფს. განაჩენის ძალაში შესვლისთანავე ტანცის ფერწერულ ტილოთა ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიო კოლექცია ჩამოართვეს; მათ შორის, ვან გოგის, მოდილიანისა და პიკასოს ნამუშევრები...

## იდუმალი ბეჭედი

მართალია ეს ბეჭედი არც ოქროსია და არც ბრილიანტებითაა მოოჭვილი, მაგრამ მაინც ძვირფასია, იმის გათვალისწინებით, თუ რა საიდუმლოს მალავს... იდუმალი ბეჭდის ავტორი დიზაინერი Jungyun Yoon-ია. თავის დროზე იგი მოხიბლა სიმღერამ ჭაბუკზე, რომელმაც შეყვარებულთან განშორებისას ბეჭედი მოიხსნა და თითზე გაურუჯავი კანის ზოლის მკაფიო კვალი აღმოაჩინა — ერთგულებისა და სიყვარულის სიმბოლო. ჰოდა, დიზაინერმაც გადაწყვიტა, შეექმნა ბეჭდების კოლექცია, რომლებსაც შიდა მხარეზე წარწერა ექნებოდა. თუ ბეჭედს მთელი დღე თითიდან არ მოიხსნით, ასოები თითზე აღიბეჭდება და წარწერა ხილული გახდება. ეს შეიძლება იყოს ხელისა და გულის შეთავაზებაც და შერიგების თხოვნაც. აი, თურმე რა საიდუმლოს მალავს ჩვეულებრივი ბეჭედი...





16 — 22 ივნისი, 2010 წელი. №22 (65)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გაანათეთ ცხვრები!



**საბერძნეთის უმაღლესმა სასამართლომ ცხვრების მფლობელები დაავალდებულა, რომ შინაური ცხოველები ღამით განათებულები ყოფილიყვნენ.**

სასამართლომ ავტო-საგზაო შემთხვევის შედეგად, 14 ცხვრის დაღუპვის საქმის განხილვის შემდეგ, მომხდარზე პასუხისმგებლობა ნაწილობრივ მსხვერპლთა პატრონს დააკისრა, რადგან მას განათება ისე უნდა დაემონტაჟებინა, რომ ცხვრების დანახვა 100 მეტრის სიშორიდან ყოფილიყო შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ბრალეულობის 70% სასამართლომ ავტომანქანის მძღოლს დააკისრა, როცა მან საბრალო ცხოველები გაჭყლიტა, საჭეს ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მართავდა და სიჩქარის გადაჭარბებით მოძრაობდა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ინცინდენტი სამხრეთ საბერძნეთში ჯერ კიდევ 2002 წელს მოხდა; მას შემდეგ საქმეს ქვეყნის სხვადასხვა ინსტანციები განიხილავდნენ.

## ბოსტონში საზოგადოებრივ ტუალეტებს კაფეებად გადააკეთებენ



**ბოსტონის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ორი საზოგადოებრივი ტუალეტი კაფეებად გადააკეთოს. ამ ინიციატივის ავტორები თვლიან, რომ ეს სავსებით გონივრული გადაწყვეტილებაა.**

საოცარია, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა ყოფილ საპირფარეშოებში წახემსების პერსპექტივას სრული სიმშვიდით შეხვდა და იდეის ავტორებს დამატებითი წინადადებებიც მიაშველეს — საპირფარეშოები მაინც ქალებისა და კაცების ნაწილადაა გაყოფილი და სასადილოც ასე გავყოთო.

გარდა ამისა, ბოსტონელებმა იმედი გამოთქვეს, რომ კაფეების გახსნამდე ყოფილ საპირფარეშოებში დეზინფექციას ჩაატარებენ.

## ორი წლის ინდონეზიელი უკვე ნაკლებს ეწევა



**ორი წლის ინდონეზიელი არდი რიზალი, რომელიც დღეში სულ მცირე 40 ღერ სიგარეტს ეწეოდა, გამოსწორდა. ახლა მისი დღიური ნორმა 15 ღერამდე შემცირდა.**

ბიჭთან მომუშავე ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის თანამშრომლებმა ამ შედეგს თამაშზე დაფუძნებული თერაპიის წყალობით მიაღწიეს. კუნძულ სუმატრას მკვიდრი ორი წლის მწეველი ბავშვის შესახებ გაზეთები მაისის ბოლოს წერდნენ. არდი სიგარეტს მიაჩვია მამამ, რომელიც თვლის, რომ მოწევა ჯანმრთელობას არ ვნებს. მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გახმაურდა, ამ შემთხვევით უამრავი სპეციალისტი დაინტერესდა. ფსიქოლოგმა, პედიატრმა და სხვა სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ არდი იოლად დაივიწყებს მავნე ჩვევას, ვინაიდან სიგარეტისადმი მიჯაჭვულობა მისი მოწყენილობის ბრალია. პატარას არავინ ეთამაშება და მან, უბრალოდ, არ იცის, რა აკეთოს მთელი დღის განმავლობაში. ექიმებს ისიც დაეხმარა, რომ არდის სიმღერა უყვარს. ბავშვზე დადებითად იმოქმედა იმის ახსნამ, რომ, თუ მას სურს, მომავალშიც იმღეროს, სიგარეტისთვის თავის დანებება დასჭირდება.

# ოკეანის გაღმა ევროს წინააღმდეგ თამაშობენ

**პირველ საგანგაშო სიგნალად იქცა ინსაიდერული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამერიკული პროფკავშირების ბოსებმა არ იძუნწეს და საკმაო ოდენობის თანხა გაიღეს იმისათვის, რომ საბერძნეთში მათ პროფკოლეგებს ამ სახსრების სანაცვლოდ ქუჩაში გამოეყვანათ არა მხოლოდ რიგითი მშრომელები, არამედ ისინიც, ვინც მზადაა, ფულის გულისთვის თუნდაც სახელმწიფო გადატრიალება მოაწყოს.**



საკითხავია, ნამდვილად ასეა თუ არა, მაგრამ ამერიკული პროფკავშირების ბოსები რომ იმთავითვე გლობალური პრობლემების მაფიოზური გზებით მოგვარებაში არიან ჩვეულნი, წყალი არ გაუვა.

ამასთან ერთად, არამც თუ „მუშათა მოძრაობის მოღვაწეებმა“, არამედ თავად ამერიკელმა კონგრესმენებმა გადაწყვიტეს, აეძულებინათ აშშ-ის ხელისუფლება, რომ მას საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის ფინანსურად პრობლემური ქვეყნების დაფინანსების ამკრძალავი გადაწყვეტილება მიეღო. ცხადია, უპირველესი ასეთი ქვეყანა ამჟამად საბერძნეთია და მას მსოფლიო სავალუტო ფონდი ოცდაათ მილიარდ ევროს დაჰპირდა. თუ ვინმეს აინტერესებს, ვინ ეკითხება ამერიკელებს მსოფლიო სავალუტო ფონდის საქმიანობის დეტალებს, შევახსენებთ, რომ ამ ფონდის მთავარი აქციონერები სწორედ ამერიკელები არიან და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას ყველაზე მეტი ხმაც მათ ეკუთვნით. სხვათაშორის, ამერიკელები ძალზე უფრთხილდებიან ფონდში თავიანთ მდგომარეობას და მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდნენ მასში რუსეთისა და ჩინეთის კვოტების გაზრდას.

**და ბოლოს, გაურკვეველია, მივიდა თუ არა რაიმე შედეგამდე შტატების იუსტიციის მინისტრის გამოძიება, რომელსაც, ევროკავშირის ხელმძღვანელობის მოთხოვნით, ძალზე უცნაური ამბავი — უოლ-სტრიტის მოთამაშეების მხრიდან ერთიანი ევროპული ვალუტის წინააღმდეგ შეთქმულება უნდა გაეშიფრა. ამ ყოვლისშემძლეებმა ერთ მშვენიერ დღეს სადილობისას მოილაპარაკეს, ევროსთვის დარტყმა მიეყენებინათ და ევროპული ფინანსებიდან „ნაღები“ მოეხადათ. ერთხელ სოროსმაც ხომ გაანადგურა ფუნტი სტერლინგი.**

და ვინაიდან ევროს წინააღმდეგ სოლიდური თამაში დაიწყო, თანაც, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურ ასპექტში, ოკეანისგაღმელების შეთქმულება აბსოლუტურად ლოგიკურად გამოიყურება.

**თუ ვინმე იკითხავს, რა ადარდებთ ამერიკელებს და რატომ არ აწყობთ ძლიერი ევრო, პასუხი შეიძლება რამდენიმენაირი იყოს. უპირველეს ყოვლისა, ეს დოლარის, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტის, ევროთი ჩანაცვლების საფრთხეა. ზოგიერთისთვის ხომ დოლარი მთავარი სამრეწველო პროდუქტი და ექსპორტის ძირითადი საგანია. მეორეს მხრივ, გაჩნდა სერიოზული საფრთხე, რომ საბანკო სისტემის გადასარჩენად დაბეჭდილი დოლარების უზარმაზარი რაოდენობა შტატების ეკონომიკას გადაატრიალებდა, რომ მთავარი ამერიკელი კრედიტორები აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციების ჩამოყრასა და ვირტუალური ეკონომიკის გაცამტვერებას დაიწყებდნენ.** ამერიკას კი ისევ და ისევ სესხება და ბაზარზე მოკლევადიანი ობლიგაციების მორიგი ულუფების შეყრა სჭირდებოდა. აუცილებელი იყო იმის დამტკიცება, რომ აშშ-ის ლიკვიდური აქტივები კვლავაც ყველაზე საიმედოა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ფაქტობრივად დახატული ფულით იხდის. ამიტომ საჭირო გახდა ევროს განადგურება, რომელმაც სტაბილური ადგილი მოიპოვა მრავალი ქვეყნის ოქროს სავალუტო რეზერვებში.

**ასეა თუ ისე, დღეს ევროს მარხავენ. საუბარია ევროკავშირის, ანუ იმ ქვეყნების ერთიანობის ვალუტაზე, რომელთა საერთო შიდა პროდუქტი 16 ტრილიონს აჭარბებს. და რა არის ამ გაერთიანებისათვის საბერძნეთის გადასარჩენი 120 მილიარდი?**

ობივატელი ძირგამოთხრილი ევროს თავიდან მოშორებას ცდილობს და არავის უნდა, გაძვირებული დოლარი მოიშოროს, ფასდავარდნილი ევრო იყიდოს და ევროპული ვალუტისთვის უკეთეს დროს დაელოდოს. გარისკვა არავის უყვარს, ამიტომაც მთელი ძალაუფლება მოსყიდული ექსპერტების ხელშია. არადა, მათ ყველაფერი წინასწარ იციან.

*finance.rambler.ru*

# აშშ-ის მაღალჩინოსნებმა ბირთვული ინფორმაცია შავ ბაზარზე გაყიდეს

**იმაზე დაყრდნობით, რომ ბირთვული იარაღი ტერორისტული ორგანიზაციის ხელში ჩავარდნის შემთხვევაში აშშ-ისათვის უკიდურესად საშიში იქნება, პრეზიდენტმა ობამამ უსაფრთხოების ახლახან გამართულ სამიტზე 46 ქვეყანა დაარწმუნა, რომ მთელ მსოფლიოში ბირთვული წარმოება უნდა გაკონტროლდეს. ვაშინგტონის ლიდერები ბირთვული შეტევის თავიდან ასაცილებლად გაცილებით მეტს გააკეთებდნენ, აშშ-ის პრეზიდენტისთვის რომ ეთხოვათ, პასუხი აგოს საკუთარ აღურიცხავ ბირთვულ არსენალზე.**




რა თქმა უნდა, ბარაკ ობამამ შეიძლება არც კი იცის, აშშ-ის მიერ თავისი ბირთვული იარაღისა და ნოუ-ჰაუს ვითომდა „ახლო მოკავშირეების“ მიერ მიტაცების შესახებ. მაგრამ, ვინაიდან ობამას იმით „სპეკულირებაც“ კი არ სურს, თუ რომელი ქვეყანა ფლობს ახლო აღმოსავლეთში ბირთვულ იარაღს, ფუჭი დროის კარგვაა იმის მოლოდინი, რომ ოდესმე გაარკვევს, როგორ მოხვდა ეს იარაღი ამ ქვეყნის არსენალში.

**ისრაელში ოფიციალურად არ აღიარებენ ბირთვული იარაღის ფლობას, მაგრამ ამ ქვეყანას, აშშ-ის დამსახურებით 100-დან 200-მდე ბირთვული ქურვი აქვს.**

1940 წელს დავიდ ბენ-გურიონის მიერ აშშ-ში შექმნილი იარაღის კონტრაბანდის მასიურმა ქსელმა ბირთვული იარაღიც მოიცვა. პენსილვანიის ქარხნის შეძენა 1955 წელს ისრაელის პირველი პრემიერისა და ისრაელის ჯარის ყოფილი წევრის ახლო მეგობარმა დევიდ ლევენტალმა დააფინანსა. მომდევნო წელს ამერიკის ადგილობრივი სიონისტური ორგანიზაციის მეთაურმა ზალმან შაპირომ კორპორაცია „ბირთვული მასალები და აღჭურვილობები“ (NUMEC) და „აპოლო“ გააერთიანა. ცოტა ხანში NUMEC-მა „ვესტინგაუზიდან“ და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებიდან გამდიდრებული ურანისა და პლუტონიუმის დიდი რაოდენობით მიღება დაიწყო.

**1960 წელს ატომური ენერგიის კომისია ამ ორგანიზაციის საიმედოობაში დაეჭვდა და მის მიერ „საიდუმლო იარაღის შემუშავების“ შეჩერების საკითხსაც კი განიხილავდა. რევიზიის შედეგად აღმოჩნდა, რომ NUMEC-იდან 90 კილოგრამამდე გამდიდრებული ურანი უკვალოდ გაქრა. მომდევნო წელს გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამოძიება დაიწყო. ოპერაციის კოდური დასახელება იყო „გადამისამართების პროექტი“. მიუხედავად ამისა, ბირთვული მასალის ისრაელში გადინება არ შესუსტებულა, 1968 წლის 10 სექტემბერს ისრაელიდან ოთხი სტუმრის, მათ შორის „მოსადის“ აგენტის რაფი ეიტანის ჩასვლის შემდეგ კომპანიიდან კიდევ 240 კილოგრამი გამდიდრებული ურანი უკვალოდ გაქრა. როგორც გამოძიების ფედერალური ბიუროს თარჯიმანმა სიბელ ედმონდსმა განაცხადა, მისმა კონტრაბანდულმა ქსელმა მნიშვნელოვანი დახმარება მიიღო ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის სამი მაღალჩინოსნისაგან. სამივე მათგანს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ისრაელის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან.**

გამოძიების ფედერალური ბიუროს ინფორმატორების მტკიცებით, მარკ გროსმანმა, სახელმწიფო დეპარტამენტის თანამდებობრივად მესამე პირმა, მიიღო თავდაცვის დეპარტამენტის იმ თანამშრომელთა სია, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, მათ შორის — ბირთვულ ტექნოლოგიებზეც. სიაში მითითებული იყო უკიდურესად პირადი მონაცემებიც, ისეთი, როგორიცაა სექსუალური ორიენტაცია, აზარტული თამაშებისა და ალკოჰოლისადმი დამოკიდებულება, იპოთეკური კრედიტების მოცულობა და ასე შემდეგ. გროსმანმა ეს ინფორმაცია ისრაელელ და თურქ აგენტებს გადასცა, მათ კი ამის საფუძველზე პენტაგონის აღნიშნული ჩინოვნიკები გამოიჭირეს. გარდა ამისა, როგორც ედმონდსმა ოჰაიოს სასამართლოს მოახსენა, უცხოელმა აგენტებმა თავიანთი ხალხი მოაწყვეს სამუშაოდ „ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყველა ძირითად ბირთვულ ობიექტზე“.

**მას შემდეგ, რაც ისრაელმა და თურქეთმა მოპარული საიდუმლოებებიდან მიიღეს, რაც სურდათ, მათმა აგენტებმა დარჩენილი ინფორმაცია ყველაზე დიდი საფასურის გადამხდელს შესთავაზეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბირთვული ინფორმაცია შავ ბაზარზე გაიყიდა, სადაც მისი ყიდვა ნებისმიერს — მათ შორის „ალ-ქაიდასაც“ შეეძლო.**

**მაშ ასე, ისინი, ვინც ყველაზე მეტს ყვირიან ტერორისტული საფრთხის შესახებ, ანუ ნეოკონსერვატორები პერლი, ფეიტი, გროსმანი და მათი ისრაელელი კოლეგები, თავად ეხმარებიან ამ ტერორისტებს მასიური განადგურების იარაღის ხელში ჩაგდებაში.**

*Foreign Policy Journal*

# ავღანეთი — ყველა იმპერიის აღსასრული



**უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, ანუ 1979-დან 2009 წლამდე ავღანეთის ოკუპაცია ორმა იმპერიამ — ჯერ საბჭოთა კავშირმა, შემდეგ კი ამერიკამ მოინდომა, მაგრამ ეს მხოლოდ ბოლო პერიოდში. ისტორიულად კი ავღანეთი ყველა იმპერიის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა — ქრისტეს დაბადებამდე 330 წელს ალექსანდრე მაკედონელიდან დაწყებული, მე-13 საუკუნის მონღოლებით დამთავრებული.**

სიტყვა „ავღან“ სპარსული წარმოშობისაა. ისტორიკოსი და მოგზაური იბნ ბატუტა, რომელიც ქაბულში 1333 წელს იმყოფებოდა, წერს, რომ „ქალაქის მოსახლეობას შეადგენენ სპარსები, რომლებიც საკუთარ თავს ავღანელებს უწოდებენ“. სიტყვა „სტან“ სპარსულად ადგილს ნიშნავს. პუშტუნები (როგორც ადრე ავღანელებს უწოდებდნენ) თანამედროვე ავღანისტანის ძირითადი ტომია. ქვეყნის 30-მილიონიანი მოსახლეობიდან 13 მილიონს, ანუ 45%-ს სწორედ ისინი შეადგენენ, კიდევ 28 მილიონი ავღანელი პაკისტანში ცხოვრობს. ქრისტეშობამდე 275 წელს ავღანეთი არიანად მოიხსენიება. ქრისტეშობიდან 224 წელს სპარსეთში სასანიდების იმპერიის დაარსების დროიდან ავღანეთი ამ იმპერიის ნაწილი იყო, ავღანელები კი წარმომავლობით სპარსები არიან. 637 წელს მეორე მუსლიმანმა ხალიფამ უმარ იბნ ალ-ჰატაბმა სპარსულ სასანიდებზე იერიში მიიტანა და 640 წლიდან ეს ტერიტორია ისლამური იმპერიის ნაწილი გახდა.

**გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, ავღანეთი, რომელიც მოკლებულია ზღვაზე გასასვლელს, კარიბჭეს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთს, ევროპას, რუსეთს, ჩინეთსა და ინდოეთის ოკეანეს შორის. „დიდი თამაშის“ მიზანი დასაწყისისთვის ის იყო, რომ კარიბჭეზე, როგორც სავაჭრო გზის ნაწილზე, კონტროლი დაემყარებინათ, მაგრამ ახლა ავღანეთი უკიდურესად მნიშვნელოვანია, როგორც კასპიის რეგიონიდან პაკისტანისა და ირანის გავლით ინდოეთის ოკეანისაკენ ენერგომატარებლების უზარმაზარი მარაგების სატრანზიტო მარშრუტი. კასპიის კონტროლი დასავლეთისთვის ამ რეგიონში მონოპოლიას და რუსეთსა და ჩინეთზე ზეწოლის მძლავრი იარაღის ფლობას ნიშნავს.**

**აშშ და ნატო სპარსული წარმომავლობის ავღანელებს თალიბანად მოიხსენიებს. თალიბანი იდეოლოგიური მოძრაობაა, რომელიც 1979 წელს ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ამერიკელების დახმარებით პაკისტანში შეიქმნა. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლი თალიბანის წევრთა უმეტესობა ავღანელები იყვნენ, მაგრამ მათ შორის შეხვდებოდით არაბებს, უზბეკებსა და ტაჯიკებსაც. ახლა თალიბანი ამერიკელი და ნატოელი ოკუპანტების წინააღმდეგ იბრძვის.**

კრემლმა სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როდესაც 1979 წელს ავღანურ ავანტიურაში ჩაება, მით უფრო, რომ მან მშვენივრად იცოდა ყველა იმ იმპერიის აღსასრულის შესახებ, რომლებიც ამ ქვეყანას ეპოტინებოდნენ. კრემლი გამონაკლისი არ ყოფილა — 1989 წელს მან ავღანეთში სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური დამარცხება იგემა. იმპერია შიგნიდან შეირყა, ვინაიდან მოსკოვი მზად არ იყო ათწლიანი ომის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო დატვირთვისათვის. სწორედ ამ რთული პერიოდით ისარგებლეს აშშ-ნატოს ჩასაფრებულმა მგლებმა და მტრის საბოლოო პოლიტიკური განადგურება მოინდომეს. ევროპულ კომუნისტურ ბლოკს სხვა აღარაფერი რჩებოდა დასავლეთის კაპიტალისტურ სისტემასა და ნატოსთან გაერთიანების გარდა.

**2000 წელს საბჭოთა კავშირისგან აღარაფერი იყო დარჩენილი, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ კი ამერიკამ ავღანეთში „ტერორიზმთან ბრძოლა“ გააჩაღა.**

**აშშ-სა და მის პარტნიორებს უამრავი ისტორიული მაგალითი აქვთ. ამ ნუსხას კიდევ ერთი პუნქტი ემატება — კაპიტალისტური დასავლეთი სამხედრო, სამრეწველო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ავღანეთ-ერაყის ცხრაწლიანი ავანტიურის შედეგად საგრძნობლად დასუსტდა. კიდევ ერთი წელი და აშშ-ნატო სტრატეგიული შეცდომებით საბჭოთა მაჩვენებლებს გაიმეორებს. რუსეთი და ბრიტანეთი როგორც ქვეყნები არ განადგურებულან, მაგრამ როგორც იმპერიები მხოლოდ ისტორიას შემორჩნენ. როგორც ჩანს, ამერიკული იმპერიაც სასკოლო სახელმძღვანელოების კუთვნილება გახდება.**

*inosmi.ru*

# კონცერტი ძაღლებისთვის




**ავსტრალიაში (მსოფლიოში პირველად) ძაღლებისათვის კონცერტი გაიმართა. მისი ორგანიზატორები როკ-ჯგუფ „The Velvet Underground“-ის დამაარსებლები — მუსიკოსი და კომპოზიტორი ლორი ანდერსონი და მისი მეუღლე ლუ რიდომი გახლდნენ.**

კონცერტი 20 წუთს გრძელდებოდა და ანდერსონის მიერ დაწერილი მაღალი სიხშირის ნოტებს მოიცავდა.

სამწუხაროდ, ცნობილი არაა, რამდენი „მსმენელი“ მივიდა კონცერტზე, მაგრამ ცნობილია, რომ სტუმრები სპეციალურ საკონცერტო კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილნი და, ორგანიზატორთა მტკიცებით, სანახაობით მოიხიბლნენ.

# 157 წლის ტურინა



**ინდონეზიაში მოსახლეობის აღწერისას გაირკვა, რომ ქვეყანაში მსოფლიოს უხუცესი ადამიანი ცხოვრობს. ყოველ შემთხვევაში ქალბატონი, რომელსაც სახელად ტურინა ჰქვია, ირწმუნება, რომ 1853 წელს დაიბადა.**

სამწუხაროდ, დოკუმენტები, რომელთაც მისი ნათქვამის დადასტურება შეეძლებოდათ, მან 1965 წელს იმის გამო დაწვა, რომ კომუნისტებთან კავშირში არ დაედანაშაულებინათ.

სამაგიეროდ, ტურინას სიტყვებს ადასტურებს მისი 108 წლის გერი. 157 წლის ინდონეზიელი კი ამ დრომდეც ჩვეულებრივ ფუსფუსებს სახლში, არ აქვს მხედველობასა და სმენასთან დაკავშირებული პრობლემები და მთელი ცხოვრება სიგარეტს ეწევა.

ვიდრე ტურინას ასაკი დოკუმენტალურად დადგინდებოდეს, მსოფლიოში უხუცეს ადამიანად ფრანგი კალმანი ითვლება. ის 1997 წელს 122 წლის ასაკში გარდაიცვალა.

# აშშ-ისა და ევროპის მბრძანებლობის დასასრული

**სულ რაღაც ხუთი წლის წინათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბრაზილია და თურქეთი ირანის საკითხის მოსაგვარებლად შუამავლობის სურვილს გამოთქვამდნენ. როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს ეს ინიციატივები, აღნიშნული ფაქტი უკვე ადასტურებს, რომ რეგიონალური სახელმწიფოების გავლენა იზრდება და ისინი მსოფლიო არენაზე რაიმე მნიშვნელოვანი როლის შესრულებისთვის იღვწიან.**



ის დრო, როდესაც ვაშინგტონი თავს ყოვლისშემძლედ გრძნობდა, ისტორიას ჩაბარდა. საბჭოთა კავშირის დაშლა, ნატოს გაფართოება და ფერადი რევოლუციები „რბილი ძალის“ საშუალებით განხორციელდა. ერაყში ომით აშშ ახლო აღმოსავლეთის „მითვისებას“ ცდილობდა, მაგრამ ყველაფერი სრული კრახით დამთავრდა.

**2008 წელს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა სერიოზული სტრატეგიული შეცდომა დაუშვა და მოსკოვთან კონფლიქტში ჩაერთო, რუსეთზე ზეწოლისა და მისი იზოლაციის პოლიტიკა დაიწყო. უკრაინა ნატოში ვეღარ შევა და, მიუხედავად სერიოზული სირთულეებისა, რუსეთი კავკასიაში უდავო ავტორიტეტად რჩება და შუა აზიაში, მათ შორის ჩინეთთან ესოდენ დაახლოებულ ყირგიზეთზე, გავლენას ინარჩუნებს.**

და ამ დროს ჯერ აშშ-ს, შემდეგ კი ევროპასაც კრიზისმა შეუტია. მისგან გამოწვეულმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა სირთულეებმა ხაზი გაუსვა განვითარებადი ქვეყნების (მათგან ბრაზილიის გარდა ყველა აზიაშია) გავლენის ზრდას, ჩინეთი კი საერთოდაც მსოფლიოში ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ იქცა.

**ინდოეთმა ცალსახად აჯობა თავის მუდმივ მოწინააღმდეგეს — პაკისტანს, რომელიც საკუთარი ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვის ნაცვლად, უკვე მეორე ათწლეულია, ავღანეთში საკუთარი „სტრატეგიული ზურგის“ გამაგრებითაა დაკავებული და რეგიონალური კრიზისის ეპიცენტრად რჩება. დღეს ვაშინგტონი ინდოეთში მნიშვნელოვან მოკავშირეს ხედავს და იმედოვნებს, რომ ის აზიაში ჩინეთის გავლენას ნაწილობრივ მაინც გადაწონის.**

სწრაფმზარდი ეკონომიკებისა (ჩინეთი და ინდოეთი) და განვითარებული ინდუსტრიული (აშშ, იაპონია და ევროპა) ქვეყნები მზად არიან, იმ ნახშირწყალბადისთვის იბრძოლონ, რომელიც ასე სჭირდებათ.

**აშშ-ში ჯერ კიდევ ღრმა კრიზისია. დიდი პრობლემებია ერაყთან და ავღანეთთან დაკავშირებითაც. სადამ ჰუსეინის ჩამოგდების შემდეგ დასმული არც ერთი საკითხი ბოლომდე არ გადაწყვეტილა. სამოქალაქო ომის დაწყების ყველა პირობა ამ დრომდეც ძალაში რჩება. რაც შეეხება ავღანეთს, ჰამიდ ყარზაის მთავრობა და ადმინისტრაცია ნაჩქარევად მიღებული ახალი სტრატეგიის აქილევსის ქუსლად რჩება და არავინ იცის, მოიძებნება თუ არა მდგომარეობიდან ოდნავ ღირსეული გამოსავალი მაინც. ერთი სიტყვით, მსოფლიოში დემოკრატიული ქვეყნებიდან უძლიერესს არ შეუძლია ომი მოუგოს ქვის ხანის მეთოდებით მებრძოლ ადამიანთა პატარა ჯგუფს.**

ისრაელსა და პალესტინას შორის ტერიტორიული კონფლიქტის რეგიონალური კრიზისი ირანსა და მის ბირთვულ პროგრამასაც ეხება. ობამა ირანის პრობლემაზე ფიქრშია ჩაფლული და ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებებს სათანადო ყურადღებას ვეღარ უთმობს. ისრაელს დრო გაჰყავს და ობამას წასვლას ელოდება. **ახლო აღმოსავლეთში უდიდესი გავლენა მოიპოვა თურქეთმა, რომლის ინტერესები მთლიანობაში ემთხვევა აშშ-ის ინტერესებს და მიმართულია შუა აზიასა და კავკასიაში რუსეთის გავლენის შემცირებისაკენ.**

გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ აღმოსავლეთ აზია, ინდოეთიდან ჩინეთამდე ტერიტორიაზე 3,5 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს.

**ვიდრე ამერიკა და ევროპა კრიზისში იხრჩობიან, განვითარებადი ქვეყნები უსწრაფესი ტემპებით პროგრესირებენ და თამაშის ახალ წესებს მოითხოვენ. აშშ-ს კიდევ აქვს თავის დაძვრენის შანსი დინამიურობისადმი შემგუებლობის ხარჯზე, მაგრამ ევროპა ვერ გაუმკლავდება კონსერვატორულ კორპორატიულ სისტემასთან, საერთაშორისო არენაზე მკვეთრ განცხადებებთან და უმუშევრობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.**

**ევროპისა და აშშ-ის ლამის სამსაუკუნოვანი ჰეგემონიის ეპოქა დასასრულს უახლოვდება. და თუ ამ ორიდან რომელიმეს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება სურს, მკაცრ ზომებსა და თავდაუზოგავ შრომას უნდა შეეგუოს.**

*Le Monde*

# მგზავრობა თვითმფრინავის ბორბალზე



**ახალგაზრდა რუმინელი არაბეთის გაერთიანებული საემიროების პრემიერ-მინისტრის, მუჰამედ ალ მაკტუმას კუთვნილი „Boeing 747“-ის შასის ლუქში დაიმალა და ვენიდან ლონდონში ჩაფრინდა.**

20 წლის რუმინელი მხოლოდ ცუდი ამინდის წყალობით გადაურჩა სიკვდილს. ამის გამო თვითმფრინავი საკმაოდ დაბალ სიმაღლეზე მიფრინავდა. ფრენისათვის ნორმალურ სიმაღლეზე, ანუ დედამიწიდან 10-11 კილომეტრის დაშორებით, ჰაერის ტემპერატურა მინუს 40-45 გრადუსია.

ლონდონში შასის ლუქიდან გადმოვარდნილი უბილეთო მგზავრი ბრმა აღმოჩნდა. როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, ახალგაზრდას ბრიტანეთში მოხვედრა სურდა და ეს სარისკო გადაწყვეტილებაც ამიტომ მიიღო. ახლა მას ლონდონის ერთ-ერთ კლინიკაში ორგანიზმის უმნიშვნელო გადაციების გამო მკურნალობენ.

# როგორ «მომნათლა» ნიკო კეცხოველმა

**თბილისის ვაჟთა მე-11 სკოლას 1947 წელს დავემშვიდობე და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მივადექი. ეზო სავსე იყო ომგადახდილი, სწავლასმოწყურებული აბიტურიენტებით. როგორც იქნა, იურიდიული ფაკულტეტის სამდივნოს ფანჯრამდე მივაღწიე, კარგა მოზრდილი რიგი იდგა და ურიგოდ მოვინდომე გაძრომა, მოვახერხე კიდეც. ის იყო საბუთები ლამაზი ქალისთვის უნდა მიმეწოდებინა, რომ რიგში ვიღაცამ ვიღაცას მიაწვა და ასე ხელგაშვერილი ისტორიის ფაკულტეტის ფანჯარასთან აღმოვჩნდი.
აქაც ლამაზი ქალი დამხვდა, გამიღიმა, საბუთები გამომართვა და რა გაეწყობოდა...**

ასე დაირწა ჩემი უმაღლესი განათლების მიღების აკვანი. დაიწყო მისაღები გამოცდები. პირველი გამოცდა ქართულ წერაში სიმონ ხუნდაძის სახელობის აუდიტორიაში დაინიშნა. ჩემებურად მაგარი მომზადებული ვიყავი: ჯიბეები და უბე შპარგალკებით მქონდა სავსე. დინჯად შევედი აუდიტორიაში და ბოლოში დავჯექი, რათა გადაწერისთვის კარგი პირობები მქონოდა. ჩინებულად მოვიკალათე, მაგრამ უეცრად კარი გაიღო და მთელი აუდიტორია საგამოცდო კომისიის წევრების ჩათვლით ფეხზე წამოდგა.

მაღალმა, წარმოსადეგმა, მკაცრი გამომეტყველების კაცმა დაიყვირა: **„ეს რა ამბავია, ამდენი რომ შეყრილხართ აქა, უკანა რიგებიდან გვერდზე აუდიტორიაში მარშ!“** მაშინ პირველად ვნახე უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი. მეზობელ აუდიტორიაში აუღელვებლად გავედი. თავისუფალი მხოლოდ ერთი ადგილი დამხვდა. იქვე ახლოს კი ბატონი კორნელი კეკელიძე იჯდა, ე.ი. „შპარგალკობანა“ ჩაიშალა.

**ახლა ვფიქრობ, რომ ნიკო კეცხოველი დამეხმარა შპარგალკის გარეშე ჩემი შესაძლებლობების გამოვლენაში.**

მეამაყება, რომ ხუთი წელიწადი ვისწავლე უნივერსიტეტში, სადაც რექტორი გახლდათ პირდაპირი, მართალი, საქმისმოყვარე და, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ უხეში და შეუვალი ბატონი ნიკო კეცხოველი. მისი ერთგული მსახურნი იყვნენ: კარისკაცი მოსე, პარიკმახერი შოთა, კომენდანტი ახალკაცი და პირადი მდივანი თინა, რა თქმა უნდა, პროფესორ-მასწავლებლებიც. დერეფანში რომ გაივლიდა, გამვლელ-გამომვლელნი კარგა ხანს იყვნენ კედელზე აკრულნი.

**მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა. ერთხელ ჩემი თანაკურსელი ნანა მურღულია (მამამისი რუსთაველის თეატრის დირექტორი გახლდათ) დერეფანში იდგა, მოკლე კაბა ეცვა. ნიკომ დაინახა, დაუღრიალა: „მოდი აქ!“, მუხლზე მტკვეცი დაადო, გადაზომა და უთხრა: „ამაზე მოკლე კაბით უნივერსიტეტში არ დაგინახო!“. ჩემს თანასკოლელს, ახალგაზრდა პოეტს ავთო სვანს აუდიტორიაში მოუკიდებელი სიგარეტი ეჭირა ხელში. ამისთვის უნივერსიტეტიდან გარიცხა და კარგა ხნის მერე, გოგლა ლეონიძის თხოვნით, აღადგინა.**

1951 წელია. საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი გაიხსრა. რექტორის განკარგულებით, უნივერსიტეტის სტუდენტობაც გავემგზავრეთ. მე და ჩემი მეგობარი პეტრე (კაკო) მშვენიერაძე, მსოფლიო მნიშვნელობის წყალბურთელი, ჩვენ-ჩვენი ავტომანქანებით წავედით. თბილისში დაბრუნებისას პეტრეს მანქანიდან ჩვენი მეგობარი უნივერსიტეტის ავტობუსზე დამაგრებულ დროშას მისწვდა და მოიტაცა. ნიკომ ეს ამბავი როგორც კი გაიგო, მიუხედავად პეტრე მშვენიერაძისადმი დიდი პატივისცემისა და სიყვარულისა, იგი უნივერსიტეტიდან კინაღამ გარიცხა. პეტრე მშვენიერაძეს ეს ამბავი დიდი მონანიების ფასად დაუჯდა.

**ერთხელ, ლექციების დამთავრების შემდეგ, როგორც ყოველთვის, უნივერსიტეტის ბაღში ვისხედით: ნოდარ დუმბაძე, ელგუჯა მაღრაძე, ნოდარ მახარაძე, მუხრან მაჭავარიანი, ომან ომანიძე, ნიაზ დიასამიძე.**

**იქიდან კარგად ჩანდა რექტორის კაბინეტის ფანჯრები. უცებ ნიკოს მკაცრი ხმა გავიგონეთ: „ვონ ატსუდა!“ და ფანჯრიდან რაღაც ნივთები გადმოცვივდა. როგორც შემდეგ გავიგეთ, უნივერსიტეტის პარიკმახერს — შოთას ნიკოსთვის წვერის პარსვის დროს გაუბედავს და უთხოვია ვიღაც აბიტურიენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე. სწორედ ამიტომ მოფრინავდა ნიკოს ფანჯრიდან პარიკმახერის „პრიბორები“ და საპარიკმახეროც დაიკეტა.**



გიგლა ფირცხალავას
მეგობრული შარჟი

დღესასწაულების დროს, 7 ნოემბერს თუ 1 მაისს, დემონსტრაციაზე უნივერსიტეტს ნიკო კეცხოველი წინ მიუძღოდა ხოლმე. მივუახლოვდებოდით თუ არა ტრიბუნას, გამოეყოფოდა მსვლელობას, ავიდოდა ტრიბუნაზე მიწევმოწევდა ცეკას მდივნებს, დადგებოდა შუაში, მოგვესალმებოდა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტობას და კოლონის ჩავლის შემდეგ ჩამოვიდოდა ტრიბუნიდან.

ბატონი ნიკო დიდი ბოტანიკოსი, მთასა და ბარში მოხეტიალე აკადემიკოსი იყო. იგი დიდი მონდომებით სწავლობდა მცენარეებს. ზაურ ბოლქვაძემ 80 წლის ნიკო კეცხოველს ასეთი ლექსი მიუძღვნა:

**„ნანატრ ბატონ ნიკოს,
ტიტან ბოტანიკოსს,
მზე აკადემიკოსს
გიძღვნი ოთხმოც
სტრიქონს!
...როგორც შვილი მამას,
გეფერება დაღლილს, —
უნივერსიტეტის
ღვთაებრივი ბაღი!
შუბლს გიკოცნის ერი
(ადრეც გიკოცნიდა!)!
ერის კოცნა ბევრი
გელის, ნიკოწმინდავ!
თუ არ მოგწონს გიგლას
მეგობრული შარჟი,
თავს დავატეხ გრიგალს,
ფირცხალავას დავსჯი!“**

და ბოლოს. როგორ აღმოჩნდა, ნიკო კეცხოველი ჩემი ნათლია და მე მისი ნათლული, არა მირონცხებული, არამედ ჩემი სახელის შემცვლელ-შემსწორებელი.

**სააქტო დარბაზში დიპლომების გადაცემის დროს ჩემი დიპლომი სიაში არ აღმოჩნდა. გავიკითხ-გამოვიკითხე და გაირკვა, რომ ქართული სახელი უნდა დავირქვა. ნიკომ ჩემს დიპლომს ხელი არ მოაწერა. „ვაი, შენს ჟანის, — გავიფიქრე, — უნივერსიტეტი ძლივს დავამთავრე და უდიპლომოდ ვრჩები“. ისევ ისტორიის ფაკულტეტის მდივანმა ნათელა არჯევანიძემ გამომიწოდა მზრუნველი ხელი. მისი წინადადება ჩემთვის დიდი ყოყმანის შემდეგ მისაღები გახდა.**

**დეკანის კაბინეტთან ატუზული რომ დამინახა, მითხრა: წუხელ მთელი ღამე შენზე ვფიქრობდი, მგონი, რაღაც კარგი ვარიანტი მოვიფიქრე, შენს სახელს წინ „ბე“ დავუმატოთ „ბეჟანი“ გახდები და ჟანი მაინც არ დაიკარგებაო. მმაჩის ბიუროში თანხმობის განცხადება დავწერე და 150 მანეთიც გადავიხადე.**

უნივერსიტეტში ხუთი წლიწადი ჟანი სიხარულიძემ ისწავლა, სახელმწიფო გამოცდებიც მან ჩააბარა და დიპლომი ბეჟანმა მიიღო. ახლა ვცდილობ, დავუბრუნდე საწყის მდგომარეობას და ღვთის წინაშე ჟანის სახელით წარვსდგე.

**ჟანი სიხარულიძე**


## მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი —
## ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



### გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

● უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
● ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
● სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
● სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
● ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
● ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
● ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
● სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
● კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
● ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
● ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77



## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru










საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია გამოძიება დაიჯესტი დიალოგი PDF TV online
http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net